გზა

N41 (487)
1 ლარი
8/X-14/X-2009

„მას ჩემი სამეგობროსგანაც ელის გამოცდა“

რატომ უკარგავს მოსვენებას თიკა ჯაბურიას ექსპარლამენტარი დედამთილი

ვინ მოიტაცა თაკო აბაშიძე

ჯაბა ქარსელაძემ სიყვარული დაკარგა

ეკა კვალიაშვილი რუს მილიარდერზე „გაათხოვეს“

როგორ შეხვდა ალექსანდრე ბასილაია სიკვდილს

ოთარ ჭილაძეს დაუმთავრებელი რომანი დარჩა

ISSN 1987 - 5029

რუსეთის ქართველი კრიმინალური ავტორიტეტები მართავენ

ცხელი წიგნები

სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

გამომცემლობა „პალიტრა L“

www.elva.ge ფელ.: 38-26-73; 38-26-74

დარეკეთ, შეგვიკვეთეთ და ჩვენი კურიერები წიგნებს უმოკლეს ვადაში მოგართმევენ

„მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“

ბესტსელერი

ფორმატი: 14X21 სმ.
გვ.რაოდ.: 320
ყდა: რბილი
ფასი: 10.00

მსუბუქი ფრაზები, ამბის გადმოცემის სიწრფელე... ამ წიგნში უამრავ ნაცნობ სახეს ნახავთ და რაც მთავარია, დაინახავთ — კარგად ან არცთუ კარგად. მაგრამ აქ ყოველი სიტყვა ბოღმის გარეშეა ნათქვამი, ამიტომაც იკითხება ლაღად და თავისუფლად. მერე კი რჩება ფიქრი და განსჯა...

„მოკლე მოთხრობები“

ავტორი: ო' ჰენრი
ფორმატი: 14X20 სმ
გვ.რაოდ.: 363
ყდა: რბილი. ფასი: 5.99

ო' ჰენრი აშშ-ის ისტორიაში მოკლე მოთხრობის დიდოსტატის სახელითაა შესული. იგი წერდა ორიგინალური სიუჟეტის, იუმორისტულ და ამავე დროს, თანაგრძნობით სავსე მოთხრობებს.

„თეთრი თათმანი“

ავტორი: თომას მაინ რიდი
ფორმატი: 15X21 სმ.
გვ. რაოდ.: 460
ყდა: რბილი ფასი: 5.99

ცნობილი ინგლისელი მწერლის, თომას მაინ რიდის სათავგადასავლო ნაწარმოებში „თეთრი თათმანი“ მოთხრობილია XV საუკუნის ინგლისელი ხალხის ბრძოლა ტირანიის წინააღმდეგ, სიყვარულისა და გამარჯვების ამბები.

„მოგონებანი გალაკტიონზე“

ფორმატი: 14X20სმ.
გვ.რაოდ.: 440
ყდა: რბილი. ფასი: 5.99

ეძღვნება გასული საუკუნის უდიდესი პოეტის გარდაცვალების 50 წლისთავს. წიგნში გადმოცემულია ახლობელ ადამიანთა მოგონებები გალაკტიონზე. მკითხველი ბევრ საინტერესო დეტალს შეიტყობს პოეტის ცხოვრების შესახებ.

„ჩემი გავშვობის ალბომი“

სიახლე

ფორმატი: 21X28 სმ.
გვ. რაოდ.: 48
ყდა: მაგარი ფასი: 11.99

თქვენი შვილის მეგობარი დაბადებიდან სკოლამდელ ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარის ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი დეტალებით — ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით...

„ცხოველები“

საყმაწვილო ენციკლოპედია

სიახლე



ფორმატი: 24X31სმ.
გვ.რაოდ.: 256
ყდა: მაგარი
ფასი: 32.99

ცხოველთა სამყარო მეტად მრავალფეროვანია და საინტერესო. ამ ჯეზარმაზარ წიგნში ყველაფერია: ცხოველები, ფრინველები, მწერები, თევზები, მედუზები... სად ბინადრობს ცხოველის ესა თუ ის სახეობა? რით იკვებება, როგორ მრავლდება? ამ და სხვა კითხვებზე ამომწურავ პასუხს მიიღებთ. წიგნს ახლავს ფერადი ილუსტრაციები.

„ჭკუა“



ავტორი: ამირან ჭიჭინაძე
ფორმატი: 14X20 სმ.
გვ. რაოდ.: 320
ყდა: რბილი
ფასი: 5.99

საყმაწვილო სათავგადასავლო რომანი „ჭკუა“ პატარა ბიჭის საინტერესო და ფათერაკიან თავგადასავლზე მოგვითხრობს. წიგნი ერთნაირად დაინტერესებს ყველა თაობის მკითხველს.

„ჭკუა 2“



ავტორი: ამირან ჭიჭინაძე
ფორმატი: 14X20 სმ
გვ. რაოდ.: 326
ყდა: რბილი ფასი: 5.99

საყმაწვილო სათავგადასავლო მძაფრსიუჟეტიანი დეტექტივის „ჭკუას“ გაგრძელება აგებულია თანამედროვე საქართველოს რეალობაზე. წიგნი ერთნაირად საინტერესო და სახალისოა ყველა თაობის მკითხველისათვის.

„მსოფლიოს დიდი ატლასი“



ფორმატი: 27X34 სმ.
გვ. რაოდ.: 176
ყდა: მაგარი ფასი: 32.99

სრული სურათი დედამიწის შესახებ. ფერადი ილუსტრაციები და განმარტებითი ტექსტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონზე. იმოგზაურე აღმოჩენათა სამყაროში!

„ჯადოსნური ფოკუსების დიდი წიგნი“

სიახლე



ფორმატი: 25X31 სმ
გვ.რაოდ.: 120
ყდა: მაგარი
ფასი: 21.99

ამ წიგნის საშუალებით ისწავლი 50-ზე მეტი ფოკუსის გაკეთებას. შეიტყობ ყველაზე გამოცდილი და ცნობილი ილუზიონისტების საიდუმლო ნომრების შესახებ.

„მხიარული ხმები“

ხმოვანი გასართობი წიგნი



ფორმატი: 26X26 სმ.
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ფასი: 19.99

კუ კაკუჩას დაბადების დღეს მეგობრები ყვავილხივილით ულოცავენ. გადაშალე წიგნი და შეუერთდი მხიარულებას!

„კონკია“, „პრინცი ბაყაყი“

ფორმატი: 24X31 სმ.
გვ. რაოდ.: 29
ყდა: მაგარი
ფასი: 21.99

ეს უბრალო ზღაპრების წიგნი არ გეგონოთ — აქ ჯადოსნური ნახატები გადაფურცვლისას ელვისებურად იცვლება.

„პლასტილინის ჯუნგლები“

ფორმატი: 23X27 სმ.
გვ.რაოდ.: 12
ყდა: მაგარი
ფასი: 19.99

გააცოცხლე ცხოველები პლასტილინისა და საჭრელების დახმარებით! ასე ძერწვასაც ისწავლი!



სიახლე

ფარნიანი წიგნები!



ფორმ: 28X28 სმ.
გვ.რაოდ: 10.
ყდა: მაგარი.
ფასი: 19.99

იმოგზაურე ცხოველთა სამყაროში ხმელეთსა და ოკეანის ფსკერზე. ჯადოსნური პროექტორით აღმოაჩინე და გაეცანი გარეული ცხოველებსა და ზღვის ბინადრებს.



„მხიარული მანქანები“
„ონავარი ცხენები“;

ფორმატი: 26X26 სმ.
გვ.რაოდ: 9
ყდა: მაგარი
ფასი: 11.99

ნაიკითხე წიგნის გმირების სახალისო ამბები და გააცოცხლე ფერადი ნახატები პაზლების საშუალებით.

გარდა ჩამოთვლილი წიგნებისა, ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ 2000-ზე მეტი დასახელების თქვენთვის სასურველი წიგნი

№41 (487)
8 - 14 ოქტომბერი, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
„გაშიფრულნი“

■ ქრელი მსოფლიო 6

■ ინფორმაცია 7

■ პოლიტიკა 8

■ სეპარატიზმი 12
აღიარებს თუ არა თურქეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას

■ მეომარი 14

■ დაიჯესტი 16

■ გემოვნება 19
„მიყვარს იმ სპექტაკლების აფიშები, რომლებშიც ვმონაწილეობ“

■ ამპლუა 21
„ჟილკიანი“ ჯაბა ქარსელაძის აღსარება

■ ცხოვრების სტილი 23
როგორ გაათხოვეს ეკა კვალიაშვილი რუს მილიარდერზე

■ სიხარული 25
„მზითვიანი“ სიძე და მეგრელი რძლით მოხიბლული დედამთილი

■ ფსიქოპორტრეტი 27
„ჩემი ოჯახის დანგრევას სხვას ვერ დავაბრალებ“

■ დანაკლისი 29

■ ვარსკვლავები 31

■ თქვენთვის, ქალბატონებო! 33

■ პროფესია 37
ბომბების ქვეშ მოყოლილი ქართველი

■ ცხოვრების გზა 41
ხის ფესვებისაგან შექმნილი ნაკეთობანი

ქვეყანა



„ვოცნებობდი, თავგანწირვის გამოჩენის საშუალება მეც მომცემოდა“

„ოსებმა და კაზაკებმა სნაიპერს რაციით გადასცეს ჩვენი კოორდინატები. გელამ მხოლოდ 15 წუთი იცოცხლა, სისხლდენა ვეღარ შევუჩერეთ... მერე მეც დავიჭერი, თვალთ დამიბნელდა, მაგრამ არ გავთიშულვარ, ყველაფერი მესმოდა“.

5

სახე

„მიყვარს იმ სპექტაკლების აფიშები, რომლებშიც ვმონაწილეობ“

„ახლა ჰოლივუდში მოხვედრაზე რომ ვიოცნებო, მაშინ დაახლოებით იგივე იყო იგოეთში მცხოვრები გოგონასთვის თბილისში თეატრალურ ინსტიტუტში სწავლა“.

19

ცხოვრება

ცხინვალელი ფერმწერის ოდისეა



„ცხინვალში 2 ქართული სკოლა იყო, 10-12 — რუსული. მე პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ჩვენ წინ 2 რუსული სკოლა იყო. რა თქმა უნდა, იმ ადამიანებთან ერთად ვიზრდებოდი და ვმეგობრობდით კიდეც“.

33



„ერთხელ მეც შევცდი და იცით, რაში? როცა ჩემი ყოფილი შეყვარებულის ცოლს ქმრის წართმევით დავემუქრე (ისე, გასამწარებლად, აბა, რა უნდოდა, რომ მიმესივჯებდა, რომელი ჩემი დაქალი ეგ იყო, ნანახიც არ მყავს?!). ნამდვილად შევცდი და ვნანობ“.

85

- ავტო 44
- საკითხავი ქალებისთვის 46
- ეს სამყაროა 48
- ტაძარი 50
  სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბება
- ანტიდეპრესანტი 52
- ჯანმრთელობა 52
- კოლორიტი 55
  „თბილისში ვცხოვრობ და თბილისში დავეძებ თბილისს“
- მსხვერპლი 59
  „სიცოცხლე ბროლის ჭიქასავით ნაკუწ-ნაკუწ დამიმსხვრიეს“
- ფსკერი 61
  რატომ ვერ მოერია რუსეთის ხელისუფლება ქართველ კრიმინალებს?!
- თინეიჯერული პონტები 64
- ანდერძი 68
  „მოვკვდები, როგორც ქვეყნის ნაწილი...“
- ქართული დეტექტივი 70
  გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
- გულახდილი დღიური 74
  მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)
- მინირომანი 76
- რეალური 79
  ეშმაკის მოციქული (გაგრძელება)
- რომანი 80
  სვეტა კვარაცხელია. აკრძალული ოცნებები (გაგრძელება)
- გზავნილები 85
- ერთი ყველასათვის 90
- მობილი-ზაცია 92
- გონიერი მკითხველი 96
- მოზაიკა 97
- უცნაური ამბები 99
- ერუდიტი 100
- გასართობი 102
- ასტროლოგია 104
- სკანვორდი 105
- საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, ლუკა ჟორჟოლიანი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



უძილობა და უბერებლობა

26 წლის იაკობ ცეპეროვიჩმა კლინიკური სიკვდილი განიცადა და მას შემდეგ აღარც დაუძინია. „ჩემთვის ცხოვრება დაუსრულებელი დღეა, რომელიც უსასრულოდ გრძელდება“, — ამბობს იგი.

43

ადამიანი



„თბილისში ვცხოვრობ და თბილისში დავეძებ თბილისს...“

„ჩემი ცხოვრების გზა ვერის უბნიდან იწყება... თბილისში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი გვარი იმერეთის ერთი ულამაზესი ისტორიული კუთხიდან ოკრიბიდან მოდის“.

55

ბიბლუსი

ოთარ ჭილაძეს დაუმთავრებელი რომანი დარჩა

„რასაკვირველია, უმიზეზოდ არავინ მიდის, მაგრამ მიზეზს, პრობლემისა არ იყოს, რა გამოლევს, თუკი საზოგადოებაზე მაღლა პირადულს დავაყენებთ... დალაგდება ქვეყანა და ჩამოვალო, — ამ პირობით ტოვებს უმრავლესობა აქაურობას, მაგრამ იმას კი აღარ ამბობენ, ვინ დაალაგებს აქაურობას მათ მაგივრად“...

67

ტაიმ-აუტი

ევრაზიური ცრურწმენები

ბერძნების აზრით, ღამურას ძვალს წარმატების მოტანა შეუძლია, მაგრამ მისი მოკვლა, ძვლის მოპოვების მიზნით, დიდ უბედურებად მიიჩნევა.

97

„გაშიფრულნი"

შესავლის ნაცვლად თუ გახსოვთ, წინა ხუთშაბათის „პროვოკაციას" „დეგრადაცია" ერქვა, რისთვისაც მინდა, მკითხველს ბოდიში მოვუხადო!.. დიდი ბოდიში, ბატონებო და ქალბატონებო! ბოდიში, რომ ასეთი ზედგამოჭრილი სათაური „დავხარჯე" და ძალიან რომ არ მერიდებოდეს თქვენი და „ხალტურშიკობაში" დადანაშაულებისაც რომ არ მეშინოდეს, იმ სათაურს ახლაც გავიმეორებდი!

რატომ, ჩემო კეთილებო და, ოციოდე დღის წინ „აგორებული" ჭორი „გუშინწინებზე" ისევ აქტუალური გახდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ „კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს" და საქართველოში ყველა ჭორი ბოლოს მართლდება... მოკლედ, ხელისუფლებას პაატა ბურჭულაძე რომ არ მოსდის თვალში, არახალია; ჰოდა, ბურჭულაძის ფონდ „იავნანას" ჩაანაცვლებს... ნინა(!) წკრიალაშვილის(!!) საქველმოქმედო(!!!) ფონდი (ცუდად ვარ...). ჩაანაცვლებს, რა, „იავნანას" არავინ აკრძალავს, მაგრამ — დარბაზი, რეკლამა, სპონსორები... მოკლედ, სახელისუფლებო მხარდაჭერა იქით — ღირსების ორდენოსანი წკრიალაშვილის ფონდისკენ გადავა... „ერთი ბილეთი სოხუმამდე..." — ავოეეეე!!!

ჩვენი მთლად უფროსი (ცხადია, „გზის" გამომცემელს არ ვგულისხმობ) ამჯერად სახურავზე არ იჯდა კარლსონივით და იქ არ ატარებდა მთავრობის სხდომას, მაგრამ კარლსონივით დაფრინავდა ქალაქიდან ქალაქში და როგორც იმ სასტუმროს სახურავზე ჯდომისას, ახლაც მწვანეჟილეტიანი მუშების შრომის ფონზე გვაბოლებდა... ტალიავინის ჯინაზე!

ეს ტალიავინი არ ყოფილა ცუდი ქალიო, — ყოველ შემთხვევაში, იაკობაშვილმა ასე თქვა, — დასკვნაში არსად წერია, ომი საქართველომ დაიწყოო... მერე იტყვის, ვენესუელას არ უცნია აფხაზეთ-ოსეთის დამოუკიდებლობაო, მერე — საქართველომ ამ ომში გაიმარჯვაო, მერე — ორჯერ სამი ხან შვიდია, ხან — ცხრა, როგორც პრეზიდენტი ბრძანებსო... თუმცა ამას ახლაც ამბობს...

„ტელეიმედი" საბოლოოდ რომ „განაციონალდა", ცნობილია, მაგრამ „საუბრები სექსზე" მაინც ნამეტანია!

მოკლედ, საქმე მიდის, ბოდიში და, ა-ტა-ში...

კარგი, შევეშვათ; ხელისუფლების დეგრადირების ამბავი გარკვეულია, თავისი გაჭირვებაც ეყოფათ (არ მითხრათ ახლა, მაგათ რა უჭირთ, კარგს ჭამენ და კარგს სვამენო...), „აქეთ" რა ხდება, „ოპოზიციურ ფრონტზე"?! ვაი, ჩვენს პატრონს!

მოკლედ?.. მხოლოდ ფაქტები?.. კი, ბატონო:

ქ-ნი ნინო ბურჯანაძის პრესსამსახურმა დაადასტურა, რომ პარლამენტის ექსთავმჯდომარე და პრეზიდენტობის მოვალეობის (საქართველოს პრეზიდენტობის!) ორგზის ყოფილი შემსრულებელი სომხური პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტის მიერ დაფუძნებული იმ ფონდის გამგეობის თუ რაღაცის წევრი ყოფილა, რომლის მიზანიც, ჯავახეთთან მიმართებაში სულაც არ არის ის, რომ იქ ყველა სომეხმა ქართული ისწავლოს!!!

ქართველი ოპოზიციის „ამაგდარმა მოღვაწემ", რომელსაც არც ამნისტია შეეხო, არც — შეწყალება და მხოლოდ წესიერი პატიმრებისთვის დადგენილი „შვებულებებით" სარგებლობს „საკანი №5"-ის დატოვებისას, ისეთები აკადრა ეროვნული მოძრაობის პატრიარქსა და მართლაც მოღვაწეს, რომ კიდევ ერთხელ დამენანა წინა „პროვოკაციის" სათაური...

კონსერვატიულმა პარტიამ პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებს დიდი „გამარჯვების" შესახებ აუწყა — არჩევნები მოიგეს?! ხელისუფლების მამაძაღლობის დოკუმენტები გამოაქვეყნეს?! ახალი ეკონომიკური ან საგარეო პოლიტიკის კონცეფცია წარმოადგინეს?! მსხვილი საერთაშორისო პოლიტიკური გაერთიანების წევრები გახდნენ?!

არა, არა და არა — სასტუმრო „რედისონის" მენეჯერისგან წერილი მიიღეს: თქვენი მოსაზრება საინტერესოა და უახლოეს მომავალში წარწერას ქართულადაც გავაკეთებთო!!!

ეეჰ, რა სათაური იყო... ისე, სინონიმები ხომ შეიძლება... „წყალწაღებულნი", „გაბანძებულნი", „გაფარჩაკებულნი", „აზრზე ვერმოსულნი"... სამაგიეროდ, ჩვენ — მათი გულშემატკივრები და ყოფილი გულშემატკივრები ვართ აზრზე მოსულნი და ამიტომ ესენი (იქითაც და აქეთაც) არიან „გაშიფრულნი"!!! აჰა, ესეც — სათაური...

P.S. კარგი, ესენი „გავშიფრეთ" და აღარაფერი ეშველებათ, მომავალი თაობა უნდა გვეიმედებოდეს... პოსტსკრიპტუმში ტრადიციულად, ანეკდოტს ვწერ, მაგრამ ამწუთას ტელევიზიით მომავალი „მის საქართველოს" კონკურსის რეკლამა იყო და ერთმა ცუგრუმელა კონკურსანტმა მის მიმართ დასმულ კითხვაზე ასე უპასუხა: „ძალიან მიყვარს შექსპირი და არ მიყვარს — ქეშმიში"(?!) ესეც — „ახალგაზრდობა, იმედი ხვალის"... არა, ისევ „დეგრადაცია" სჯობდა...

პროვოკატორი

გერმანიაში სოციალისტური სპეცსამსახურის არქივი აღმოაჩინეს

გერმანიის ქალაქ ფრაიტალში, ყოფილი სკოლის შენობაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეცსამსახურის დოკუმენტები აღმოაჩინეს. საბუთებს შორის, იმ მოქალაქეთა დოსიეებსაც წააწყდნენ, რომლებიც აღმოსავლეთ გერმანიიდან გამგზავრებას აპირებდნენ. სარდაფის ერთ-ერთ კედელში დამალული საბუთები მუშებმა მაშინ იპოვეს, როდესაც საკანალიზაციო მილებს ცვლიდნენ. როგორც გაირკვა, შენობა 1902 წელსაა აშენებული და მასში დიდი ხნის განმავლობაში ქალაქის ადმინისტრაციის არქივი იყო განთავსებული. ■

პოლიციამ „ტერორისტი ყვავი“ დააპატიმრა

ინგლისის ერთ-ერთ ქალაქში პოლიციამ დაატყვევა ყვავი, რომელიც სისტემატურად ესხმოდა თავს ადგილობრივ მკვიდრ ქალბატონს.

თვითმხილველთა თქმით, ჯიუტი ფრინველი „მეთოდურად“ იღებდა გეზს ქალის საცხოვრებელი სახლისკენ და მისი გამოსვლისთანავე უნისკარტებდა; ქალის ავტომანქანას კი იერიშის განსახორციელებელ პლაცდარმად იყენებდა. გარდა ამისა, მას პროდუქტით დატვირთულ პარკებს ჰპარავდა და ავტომობილის ფანჯრებზე უკაკუნებდა.

როდესაც ქალბატონი მიხვდა, რომ ჩიტს მარტო ვერ გაუმკლავდებოდა, დახმარებისათვის პოლიციას მიმართა, რომელსაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ „ტერორისტი“ დაეჭირა. ■

ზვიადაურმა ქართული ჭიდაობის მოყვარულები აღაფრთოვანა

ალავერდობის წმინდა დღესასწაულთან დაკავშირებით, ახმეტაში ქართული ჭიდაობის ტურნირი გაიმართა. ჩემპიონ-პრიზიორები 6 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ, ჩოხა კი სულ 64-მა მოჭიდავემ მოირგო. მოასპარეზეთა შორის, ათენის ოლიმპიური ჩემპიონი, ზურაბ ზვიადაურიც გახლდათ. ტრადიციული ქართული ჭიდაობის მოყვარულმა ძიუდოისტმა ყველა შეხვედრა მოიგო და 90 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა. ■

ჩინელებმა ჯუჯების ქალაქი ააშენეს

ჩინური ქალაქის — რომელსაც საკუთარი პოლიცია და სახანძრო სამსახური აქვს — მცხოვრებთა სიმაღლე 130 სმ-ს არ აღემატება. ჯუჯებმა სოკოების

ფორმის სახლები ააგეს, ზღაპრების გმირებივით იმოსებიან და ცხოვრების ზღაპრულ წესს მისდევენ. ერთ-ერთი ჯუჯის თქმით, მათ საკუთარი ქალაქი იმიტომ ააშენეს, რომ აღარ სურთ ნორმალური სიმაღლის ადამიანთა გვერდით ცხოვრება და მათთვის ქვემოდან ყურება. პატარა ადამიანთა ქალაქი ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად, ტურისტებისთვის ერთგვარ გასართობ პარკად იქცა.

ჯუჯებისთვის განკუთვნილი, თავისებური „გეტოს“ შექმნის იდეამ დასავლეთი აღაშფოთა. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მათ ეს ყველაფერი ჯუჯების ცირკს აგონებს. ამასთანავე, არსებობს მოსაზრება, რომ ჩინეთში, სადაც ჯუჯები უმუშევრობისთვის არიან განწირული, ეს მათთვის საუკეთესო გამოსავალია. ■



ქვეყანა

სამართლის აღსრულებას ორივე მხარისგან მოითხოვენ

საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია Human Rights Watch რუსეთსა და საქართველოს იმ პირების დასჯისკენ მოუწოდებს, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ომის კანონები დაარღვიეს. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ამ დანაშაულს ბევრი სამოქალაქო პირის სიკვდილი, დაშავება და ქონების განადგურება მოჰყვა. „ადამიანები, რომელთა სახლებიც ბრძოლების შედეგად დაინგრა, დღემდე ელიან მართლმსაჯულებას“, — აცხადებს ორგანიზაციის ევროპისა და შუა აზიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჰოლი კარტნერი. ■

აფხაზეთი მოსკოვს საჰაერო სივრცესაც დაუთმობს

„რუსეთის საზღვაო-სასაზღვრო სამსახურის გემები და კატარღები აფხაზეთისთვის განკუთვნილი ტვირთების ნეიტრალურ წყლებში უსაფრთხო გადაზიდვას უზრუნველყოფენ“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და დასძინა, რომ ქართული მხარე ვეღარ განახორციელებს თავის მუქარას და ვეღარ დააკავებს აფხაზეთისკენ მიმავალ იმ გემებს, რომელთა მარშრუტი ქართულ მხარესთან არ იქნება შეთანხმებული. მისმა უწყებამ აგრეთვე გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოჩამჩირეში უკვე იქმნება რუსული გემებისა და კატერების ბაზირებისთვის საჭირო სპეციალური ინფრასტრუქტურა. პარალელურად, რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრომ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს აცნობა, რომ ცოტა ხანში აფხაზეთი რუსეთს საკუთარ საჰაერო სივრცეში ავიამიმოსვლის მომსახურების ფუნქციებს გადასცემს. ■

ჟირინოვსკის რიხიანი ინიციატივა

ექსცენტრიკულობით გამორჩეულმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ წამოაყენა წინადადება — ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსმა დეპუტაციამ საქართველოსთვის ხმის უფლების ჩამორთმევა მოითხოვოს. მისი თქმით, არსებობს ევროსაბჭოს კომისიის დასკვნა, რომელშიც საქართველო აგრესორადაა გამოცხადებული: „ამ დასკვნაზე დაყრდნობით, შეგვიძლია, საქართველოსთვის ხმის უფლების ჩამორთმევა 2010 წლის იანვარში დაგეგმილ ევროსაბჭოს პარლამენტის სხდომაზე მოვითხოვოთ“, — განმარტა ვლადიმირ ვოლფოვიჩმა. მისი აზრით, ეს იქნება პასუხი ქართული დელეგაციის მცდელობაზე, რუსეთისთვის ხმის უფლება ჩამოერთმიათ. ■

სად განათავსებენ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით სისტემას?

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ არ დააკონკრეტა, განთავსდება თუ არა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა საქართველოში. როგორც მან განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით, ნატოში აშშ-ის პარტნიორებთან კონსულტაციები მიმდინარეობს და ვაშინგტონს ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია, სად განათავსებს აღნიშნული სისტემის ელემენტებს. მინისტრის მოადგილემ შესაძლებლად გამოაცხადა, რომ ამერიკული სისტემები, რუსულ რადარებთან ერთად, არმავირსა და გაბალში განლაგდება. ■

მომზადებულია სააგენტო „ინტერფაქსის“ ცნობების მიხედვით

ევროკომისიის ყბადაღებული დასკვნა

და კულუარული დინებები

ჰაიდი ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნებიდან პირველივე დღეებში არაერთხელ ითქვა — უცნაურია, მაგრამ ამ დოკუმენტით საქართველოს ხელისუფლებაც კმაყოფილია და ოფიციალური მოსკოვიცო. როგორც გაეროში რუსეთის ელჩმა განაცხადა, დოკუმენტის პირველივე ფრაზაში ნათქვამია, რომ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო და ეს უკვე კარგი შედეგია. ქართული მხარე კი ძირითად აქცენტს იმ ფაქტზე აკეთებს, რომ დოკუმენტში ლაპარაკია რუსეთის მიერ მოწყობილ პროვოკაციებზე, ქართველი მოსახლეობის მიმართ ჩატარებულ ეთნოწმენდასა და საქართველოს ტერიტორიაზე რუსი სამხედროების უკანონო მოქმედებებზე. თუ რამდენად ობიექტურია დასკვნა და რა შედეგის მოტანა შეუძლია ამ დოკუმენტს ჩვენი ქვეყნისთვის — ამ საკითხებთან დაკავშირებით, ექსპერტს უსაფრთხოების საკითხებში, ირაკლი სესიაშვილს და პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ვესაუბრეთ.

„რუსეთის ფულით მოსყიდულ გერმანელ ექსპერტებს რომ არ ეაქტიურათ...“

ნათუნა ბახტურიძე

ირაკლი სესიაშვილი:

— ჩემი აზრით, ტალიავინის კომისიის დასკვნა ობიექტურია ჩვენი ქვეყნის მიმართ, მაგრამ ლოიალური და მიკერძოებულია რუსეთის მიმართ. ვეთანხმები კომისიას იმაში, როდესაც ამბობს, რომ საქართველომ 7 აგვისტოს ცხინვალის მიმართულებით ცეცხლი გახსნა და საერთაშორისო სამართლის ნორმა დაარღვია, მაგრამ ვაპროტესტებ იმ ფაქტს, რომ მთელ რიგ შემთხვევაში, პრინციპულად არიდებს თავს რუსული მხარის ქმედებების შეფასებას. იმ შემთხვევებში, როდესაც ეს შეფასებები აუცილებელია, ყველაფერს აბრალებს ოსურ და აფხაზურ მხარეებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არ არიან და შესაბამისად, პასუხიც არ მოეთხოვებათ. ქართული სოფლების გადაწვა და განადგურება, რაც ეთნოწმენდის პირდაპირი ნიშანია, მხოლოდ ადგილობრივ სეპარატისტებს ჰბრალდებათ. არის კიდევ ერთი რამ, რასაც ველოდი და სამწუხაროდ, ამ კომისიის დასკვნაში ვერ წავიკითხე: არსად არის ნათქვამი, რომ რუსეთმა საქართველოს მიმართ განახორციელა აგრესია და ოკუპაცია. გარდა ამისა, არ არის საკმარისად გაანალიზებული კონფლიქტის შემდგომი პერიოდი. სამხედრო ოპერაცია ეჭვს არ იწვევს: რუსეთი შემოიჭრა, დაგვამარცხა და გავიდა?!. არა, ბატონო, ის დარჩა, ჩვენი ტერიტორიების ათვისება დაიწყო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები ხელში ჩაიგდო.

— ჩვენი ხელისუფლების მიერ საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით, ცხინვალის მიმართულებით ცეცხლის გახსნას თქვენც საერთაშორისო სამართლის დარღვევად მიიჩნევთ?

— რა თქმა უნდა, ეს დანაშაულია. ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეები უნდა დაეცვა, მაგრამ ცხინვალის მიმართულებით საარტილერიო ცეცხლი არ უნდა გაეხსნა. ტალიავინის დასკვნაში ეს საკითხი სწორად არის ფორმულირებული: იქ წერია, რომ რუსეთი კონფლიქტის ესკალაციას ხელს უწყობდა, სამშვიდობო მისიის მანდატს არ ასრულებდა, ადგილობრივ მოსახლეობას რუსულ პასპორტებს ურიგებდა... ეს ყველაფერი გახდა მიზეზი იმისა, რომ ქართულმა მხარემ შეცდომა დაუშვა და ომი დაიწო.

— ეს ომი იყო თუ საკუთარ ტერიტორიაზე წესრიგის აღდგენის მცდელობა?

— არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებები — 1992 წლის სოჭის ხელშეკრულება და გაეროს რეზოლუციები, რომელთა თანახმად, ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებში რუსი ცისფერჩაფხუტიანები იდგნენ. მათ მიმართ ცეცხლის გახსნა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევად მიიჩნევა.

— 7 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე კულახმეტოვმა თავად განაცხადა, რომ სამშვიდობოები სიტუაციას ვეღარ აკონტროლებდნენ. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ისინი იქ სიმშვიდეს ვეღარ უზრუნველყოფდნენ და შესაბამისად, სოჭის ხელშეკრულებაც თავისთავად, მათი მხრიდან ირღვეოდა?

— ნორმალურმა ხელისუფლებამ ერთი გამოშტერებული გენერლის მიერ გაკეთებული განცხადების გამო მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლი არ უნდა გაუხსნას. კულახმეტოვის ნათქვამი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის საერთოდ არაფერს ნიშნავს. კომისიის დასკვნაში წერია, რომ ქართულმა მხარემ არაპროპორციული ძალა გამოიყენა და სიმართლეც არის, რადგან ცხინვალის დაბომბვით, ქართული მხარე იმ საცეცხლე წერტილებს მაინც ვერ გაანეიტრალებდა, საიდანაც ჩვენი სოფლები იბომბებოდა.

სოსო ცინცაძე:

— ტალიავინის კომისიის შექმნის მიზანი — კონფლიქტის წარმოშობის მიზეზების შესწავლა იყო. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს დოკუმენტი სულ სხვაგვარი იქნებოდა, რუსეთის ფულით მოსყიდულ გერმანელ ექსპერტებს რომ არ ეაქტიურათ. მიკერძოებული ექსპერტების „წყალობით“, კომისია იმას კი არ ამბობს, თუ რა გახდა კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი, არამედ იმას, თუ ვინ გაისროლა პირველმა. ზეწოლის მიუხედავად, ვფიქრობ, საბოლოოდ, კომისიამ მაინც შეძლო ობიექტური დასკვნების გამოტანა. ნამდვილად არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს პირველად გასროლის უფლება არ ჰქონდა. პირიქით, ჩვენი ხელისუფლება ვალდებულიც კი იყო, ეს გაეკეთებინა. მართალია, კომისია, ზეწოლის გამო, იძულებული გახდა, ეთქვა, რომ 7 აგვისტოს საქართველომ პირველმა განახორციელა შეტევა, მაგრამ იქვე იმასაც ამბობს, რომ რუსეთის სამხედრო შენაერთებმა 7 აგვისტომდე გადალახეს მეზობელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვრები. გარდა ამისა, კომისიამ რუსეთი დაადანაშაულა იმაში, რომ ის წლების განმავლობაში ცდილობდა კონფლიქტის ესკალაციას და სეპარატისტებს არაკანონიერი ქმედებების ჩადენაში ხელს არ უშლიდა.

— როგორ ფიქრობთ — კომისია იმ ფაქტზე რატომ არ აკეთებს აქცენტს, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა?

— დასკვნაში ტერმინი „ოკუპაცია“ ნამდვილად არ არის ჩაწერილი, მაგრამ იქ არის ერთი ფრაზა, რომელიც ამ ქმედების გამომხატველია.

— რას გულისხმობთ?

— დოკუმენტში წერია, რომ რუსეთმა ქართველების ეთნოწმენდა მოახდინა და მათი ქონება გაანადგურა.

— ეს, დოკუმენტის მიხედვით, უმთავრესად, ადგილობრივ სეპარატისტებს ჰბრალდებათ...

— არც ასეა საქმე. ქართველების ეთნოწმენდა მოხდა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც რუსეთის ჯარი აკონტროლებდა. ეს იგივე ოკუპაციაა. დასკვნის ყველა სტრიქონიდან ჩანს, რომ კომისიის წევრები ბალანსის დაცვას ცდილობდნენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კომისიამ საერთოდ არ გამოიყენა ორი ტერმინი — „გენოციდი“ და „აგრესია“. დოკუმენტში „გენოციდის“ ჩაწერა რუსეთის ინტერესებში შედიოდა, აგრესიის დაფიქსირება კი ქართულ მხარეს სურდა. თუ კომისია იტყოდა, რომ ქართველებმა ოსებს გენოციდი მოუწყვეს, სეპარატისტების მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნა უკვე ლეგიტიმური გახდებოდა. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დამოუკიდებლობის მოთხოვნა, თუ ცენტრალური ხელისუფლება გენოციდს მოუწყობს. კოსოვოს დამოუკიდებლობა მსოფლიომ მხოლოდ ერთი არგუმენტის გამო ცნო — მილოშევიჩმა კოსოვოელ ალბანელებს ეთნოწმენდა მოუწყო. ეს უდიდესი დანაშაულია.

— ამ დოკუმენტს ჩვენ ქვეყნისთვის რა შედეგის მოტანა შეუძლია?

— ამ დოკუმენტმა ჩვენ უკვე მოგვიტანა კარგი შედეგი, თუნდაც იმიტომ, რომ ევროპის წამყვანმა მეცნიერებმა, მკვლევრებმა და ექსპერტებმა პირველად დაასაბუთეს: ცხინვალსა და აფხაზეთს, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, დამოუკიდებლობა არ ეკუთვნის. ამ ფაქტმა რუსეთის ოცნება დაამსხვრია: კრემლის ყველაზე დიდი სურვილი სწორედ ის იყო, რომ ევროკავშირის რომელიმე ქვეყანას აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობა ეცნო. ვერ უარვყოფთ, რომ კომისიამ რუსეთს გარკვეულწილად, რევერანსი გაუკეთა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ დოკუმენტში ბევრი ისეთი ფორმულირებაა შეტანილი, რომელიც ჩვენ აუცილებლად სასიკეთოთ წაგვადგება.

— ევროპელმა ექსპერტებმა რუსეთს რევერანსი მხოლოდ რამდენიმე გერმანელი ექსპერტის გავლენით გაუკეთეს?

— არა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ — რა პერიოდში დაიწყო კომისიამ მუშაობა: მაშინ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა, დასავლეთს ჟანგბადივით სჭირდებოდა რუსეთის დახმარება, ავღანეთში, ერაყსა და ირანში. ალბათ გახსოვთ, რომ დასკვნის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე მედვედევი ობამას შეეპირდა, — ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას მხარს დავუჭერო. ხომ არ გგონიათ, რომ ეს ობამას ლამაზი თვალებისთვის გააკეთა?!. ტალიავინის კომისიის დასკვნა რუსეთისთვის სერიოზული ნაღმია, თუმცა შესაძლოა, ამას მოსკოვში ჯერ ვერც კი აცნობიერებენ. ■

„რუსეთმა ნოკაუტით არა, მაგრამ ქართულ მხარეს ქულებით მოუგო“

მრავალ შეფასებას შორის, რომელიც ე.წ. „ტალიავინის კომისიის“ დასკვნასთან დაკავშირებით გაკეთდა, განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემური ანალიზის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის, ანდრეი პიონტკოვსკის მოსაზრება, რომელიც მან საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსნიუსის“ კორესპონდენტ კობა ბენდელიანს ექსკლუზიურ ინტერვიუში გაუზიარა. ჩვენ ამ ინტერვიუს საკვანძო მონაკვეთებს გთავაზობთ.

ანდრეი პიონტკოვსკი:

— თუ „მაყურებლებს“ ანუ — დასავლეთის საზოგადოებრივ აზრს დავაკვირდებით, ვისთვისაც ეს შოუ დაიდგა, ვიტყოდი, რომ რუსეთმა ნოკაუტით არა, მაგრამ ქართულ მხარეს ქულებით მოუგო. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ კარგად ვიცი, როგორ ყალიბდება დასავლეთში საზოგადოებრივი აზრი. დასავლეთში 40 ან 900 გვერდს არავინ კითხულობს, ყველა გაზეთების სათაურებს აქცევს ყურადღებას. რაც შეეხება სათაურებს, ისეთმა გაზეთებმაც კი, რომლებიც საქართველოსადმი კეთილგანწყობილი არიან, მისიის დასკვნასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია ერთი მოკლე ფრაზით გამოხატეს: „მისიამ დაადასტურა, რომ ომი საქართველომ დაიწყო“. ზოგი გაზეთი ამ აზრის შემდეგ, მძიმეს სვამდა და სრულად მოჰყავდა აღნიშნული ფრაზის შემდეგი წინადადება — იმის შესახებ, რომ სამხედრო მოქმედებები რუსეთ-საქართველოს შორის, მრავალწლიანი კონფლიქტისა და დაპირისპირების კულმინაცია იყო; მაგრამ მძიმის მომდევნო ტექსტს ვინ კითხულობს?!.

— თქვენი აზრით, მისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ რუსეთმა საქართველო დიპლომატიურ-პროპაგანდისტულ ასპარეზზე დაამარცხა?

— დასკვნასთან დაკავშირებით, არაერთი სააგენტოს ცნობების სათაურებს გავეცანი; მათი უმრავლესობა იმგვარი იყო, როგორიც მე უკვე გითხარით. კი, მათშიც მრავლად ეწერა, რომ მისიას რუსეთის მიმართ ჰქონდა სერიოზული კრიტიკული შენიშვნები, მაგრამ ამ ისტორიის ცენტრალური საკითხი — თუ რა უნდა ჩაითვალოს ომად, — პასუხგაუცემელი დარჩა.

— თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია რუსი ექსპერტის, ანდრეი ილარიონოვის პრეტენზიები მისიისადმი? იგი მიიჩნევს, რომ მისიამ პრაქტიკულად, არ აღიარა

საქართველოს უფლება, დაეცვა თავისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა; მისიამ იურიდიულად, საფუძვლიანად მიიჩნია რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეების დაცვა და მხოლოდ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე რუსეთის მოქმედება მიიჩნია უკანონოდ. ილარიონოვმა ტალიავინის მისიის დასკვნას „მიუნხენი-1938-2“ უწოდა.

— თქვენს ჩამონათვალს იმასაც დავამატებდი, რომ ილარიონოვი მისიას საყვედურობს იმ მონაცემების ანალიზზე უარის თქმას, რომლითაც დასტურდებოდა, რომ 7 აგვისტომდე რუსი სამხედროები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკვე იმყოფებოდნენ. ეს საკვანძო საკითხია, მაგრამ მისიამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე, პრაქტიკულად, უარი თქვა. რაც შეეხება იმას, არის თუ არა ტალიავინის მისიის დასკვნა „მიუნხენი-2“, ამგვარი შეფასება შესაძლოა, რიტორიკული და ემოციური იყოს, მაგრამ მისიის დასკვნისადმი ილარიონოვის ყველა შენიშვნა სამართლიანია. ევროპას არ სურს რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა, მისი იზოლირება. ცხადია, ამის მიზეზი ეკონომიკური ინტერესებია. რაც შეეხება აშშ-ს — იქაც პოპულარულია აზრი იმის შესახებ, რომ ამერიკას რუსეთი სჭირდება ისეთი პრობლემების გამო, როგორებიც არის: ავღანეთი, ირანი და ბირთვული შეიარაღების შემცირების საკითხები. მეორე მხრივ, დასავლეთი რუსეთს არ ენდობა და მისი ეშინია. მიუნხენს — არა, მაგრამ მომხდარს მე „ნახევრად მიუნხენს“ დავარქმევდი. ამის არსი ის არის, რომ დასავლეთმა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსია გადაყლაპა. საქართველოში უნდა ესმოდეთ, რომ ეს რეალურად ასეა და საქართველოს უახლოეს მომავალში ამ ტერიტორიების დაბრუნების შანსი არა აქვს. ამავდროულად, მოსკოვში ობამას ვიზიტი და ის, რაც მან რუსეთის დედაქალაქში საქართველოსთან დაკავშირებით ილაპარაკა, ასევე, ბაიდენის დემონსტრაციული ვიზიტი თბილისში — „არამიუნხენის“ მეორე მხარეა. მისი არსი ასეთია: საქართველოს მიმართ რუსეთის შემდგომ აგრესიას დასავლეთისა და აშშ-ის მხრიდან უმწვავესი რეაქცია მოჰყვება. მე მაქვს ჩემი წყაროები ორივე ქვეყნის — აშშ-ისა და რუსეთის — დელეგაციაში, რომლებიც მოლაპარაკებებში მონაწილეობენ და ვიცი, რომ საქართველოსთან დაკავშირებით, ობამა რუსეთის მმართველებს საკმაოდ გულახდილად და მწვავედ ელაპარაკა... დასავლეთი შეეგუა ვითარებას, რომელიც დღესაა შექმნილი. დასავლეთი სულ ილაპარაკებს იმაზე, რომ რუსეთი არ ასრულებს სარკოზი-მედვედევის შეთანხმებას, მაგრამ მის შესრულებას დაჟინებით არ მოითხოვს. იმავდროულად, მოსკოვს მიანიშნეს, რომ საქართველოს მიმართ მისი ავანტიურა დასავლეთსა და რუსეთს შორის სერიოზული დაძაბულობის მიზეზი იქნება... ■

„ხალხი ქუჩაში ოპოზიციის გარეშეც გამოვა“

„არჩევნები აქციების ფონზე უნდა ჩატარდეს“

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ლუსტრაციის კანონის მიღების იდეით სხვადასხვა პოლიტიკური ძალა გამოდიოდა, მაგრამ საკანონმდებლო ინიციატივამდე საქმე ჯერ არ მისულა. საქართველოს პარლამენტში ლუსტრაციის შესახებ ისევ ალაპარაკდნენ და შესაძლოა, ახლო მომავალში კანონს იურიდიული ძალა მიენიჭოს. რესპუბლიკური პარტიის წევრი ირაკლი ბაბიაშვილი ფიქრობს, რომ უმჯობესია, ხელისუფლებამ ახალი აგენტურული ქსელების გამოვლენაზე იზრუნოს.

ემა ტუხიაშვილი

— ლუსტრაციის კანონი მნიშვნელოვანია, მაგრამ დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გასულია 20 წელი, მნიშვნელოვანი და აქტუალურია ის აგენტურა, რომელიც 90-იანი წლების შემდგომ შეიძინეს რუსეთის სპეცსამსახურებმა საქართველოში. ჩვენს სინამდვილეში, სპეცსამსახური, როგორც ასეთი, აღარ არსებობს! ყველაფერი გაითქვიფა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან სისტემაში. უშიშროება, კონტრდაზვერვა, პოლიცია, სოდ-ი, კუდ-ი — ერთი მთლიანი სისტემა-მონსტრია, რომლის ძირითადი ფუნქციაა, იყოს პოლიტიკური ჟანდარმი. ჩვენი დაკვირვებით, კონტრდაზვერვა და სხვა ძალოვანი სტრუქტურები, იმის ნაცვლად, რომ უცხო ქვეყნის აგენტურა გამოავლინონ, ძირითადად, დაკავებული არიან პოლიტიკურ ოპოზიციაზე კონტროლის დამყარებით და მის წინააღმდეგ მუშაობით. უცხო ქვეყნის აგენტურა არსებობს ხელისუფლებაშიც, მმართველ პარტიაშიც, ოპოზიციაშიც, ძალოვან სტრუქტურებშიც.

— ოპოზიციის ერთი ნაწილი საპროტესტო აქციების განახლებას გეგმავს, მეორე კი არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. თქვენ სად გიხილავთ?

— აქციები და არჩევნებში მონაწილეობა ერთმანეთს ხელს არ უშლის. თუ ჩვენ გვინდა, წარმატებას მივაღწიოთ, არჩევნები აქციების ფონზე უნდა ჩატარდეს, ხოლო თუ გვინდა, აქციებს კონკრეტული დატვირთვა ჰქონდეს და მხოლოდ ლოზუნგების ძახილი არ იყოს, ყველა ღონე იქითკენ უნდა მივმართოთ, რომ ჩატარდეს ობიექტური, დამოუკიდებელი არჩევნები. ახლა მთავარია, ამან თავად ოპოზიციაში არ გამოიწვიოს განხეთქილება...

— ფიქრობთ, რომ ოპოზიცია კვლავ შეძლებს ხალხის ქუჩაში გამოყვანას?

— ხალხში არის იმედგაცრუება და ეს ბუნებრივია, რადგან 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა აქციები, რომლებიც ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა. ამას მოჰყვა პოლიტიკური რეპრესიების მთელი ტალღა. ქვეყანაში იმდენად დაძაბული ვითარებაა, იმხელა გაჭირვებაა და ისეთი მწვავე სოციალური თუ პოლიტიკური ფონია, რომ ახლა ხალხს ოპოზიცია სულ არ აინტერესებს, ქუჩაში მის გარეშეც გავა.

— დაბოლოს, მინდა ქალიშვილის, ირინას გაბედნიერება მოგილოცოთ. როგორც ვიცით, თქვენი სიძე ცნობილი ქართველი ბიზნესმენის ვაჟი, უმცროსი ვალერი გელაშვილი გახდა. საინტერესოა, თქვენი მძახალიც ხომ არ აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას?

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ღირსეული სიძე შემხვდა. რაც შეეხება უფროს ვალერის, მე და ის დიდი ხანია, მეგობრები ვართ, თანაც, ახლო მეგობრები, მაგრამ დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში, ეს ალბათ, მას უნდა ჰკითხოთ. ■

„საქართველო შაგრენის ტყავივით მცირდება“

საპროტესტო აქციების დროს მასზე ამბობდნენ, — მწერალთა კავშირიდან მწერალთა საკანში გადაინაცვლაო. ახლა კი, როგორც ჩანს, ოპოზიციამ რევაზ მიშვილაძის იმედი გაუცრუა და იმ საპროტესტო აქციებზე, რომელთა აგორებასაც ახლა გეგმავენ, მწერალს ალბათ, ვერ ვნახავთ.

„რუსეთი სამი თითის კომბინაციას უჩვენებს ყველას...“

ემა ტუხიაშვილი

— ფაქტობრივად, ოპოზიცია უკვე დაიშალა და ზოგი პარლამენტში მიიძვრება, ზოგი არჩევნებში მონაწილეობს. დიახ, იმ არჩევნებში, რომელზეც იჭაჭებოდნენ, — არავითარ შემთხვევაში არ მივიღებთ მონაწილეობასო. თანაც, არც საარჩევნო კანონი გაუმჯობესებულა და თარხნიშვილიც ხომ ისევ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა. ასე რომ, ეს ყველაფერი ფარსია. რაც შემეხება მე და ყველა ჭეშმარიტ მწერალს, ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ არც ოპოზიციონერები და არც ხელისუფლების მომხრენი.

— თქვენივე სიტყვები მინდა მოვიშველიო, — ოპოზიცია თუ მოვიდა ხელისუფლებაში, დედა შვილს არ აიყვანს ხელშიო...

— ახლაც ამ აზრისა ვარ. დღეს სააკაშვილია პრეზიდენტი. სააკაშვილთან გონიერ ქართველ კაცს თავისი დამოკიდებულება აქვს და იცის, რომ მისგან არავითარ სიკეთეს არ უნდა მოელოდეს... ამათ კი, რევანშისტებს, რომლებიც მთელი სამი თვის განმავლობაში მიტინგზე იდგნენ და გულზე მჯიღს იცემდნენ, ერთი ეროვნული სიტყვა არ წარმოუთქვამთ. სააკაშვილი ხომ ეროვნული ფენომენის მტერია და ზუსტად ეროვნულობის მტრები არიან ჩვენი „სახელოვანი“ ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლებიც. თუ ესენი ხელისუფლებაში მოვლენ, მათ შორის სკამებისა და თანამდებობებისთვის ბაგირის გადაქაჩვა გაიმართება და ისეთი ამბავი დატრიალდება, მართლა, დედა შვილს არ აიყვანს ხელში.

— ამ „პოზიცია“-ოპოზიციის ჭიდილში, თითქოს გვავიწყდება იმ დევნილთა ბედი, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საკუთარ სახლებში დაბრუნებას ვერ ახერხებენ.

— მსოფლიოში არ არსებობს არავითარი უწყება, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს დამპყრობელ, სისხლისმსმელ რუსეთზე. რუსეთი სამი თითის კომბინაციას უჩვენებს ყველას, მათ შორის, ევროკავშირსა და გაეროს. ჩვენ უნდა დავაბრუნოთ ეს ნახევარი მილიონი ლტოლვილი თავის საცხოვრებელ სახლებში და მხოლოდ ამის შემდეგ ვილაპარაკოთ დაკარგული ტერიტორიების სტატუსზე. ამოვიღოთ გულიდან ყოველგვარი იდიოტიზმი, რაც დევნილთა ღირსეულ დაბრუნებას უკავშირდება. დამაბრუნე, ბატონო, ჩემს სახლში და თუ გინდ, უღირსად დამაბრუნე! მე ჩემს დამწვარ სახლს ისევ აღვადგენ, მიწას მოვჩიჩქნი, ისევ დავრგავ ხეებს, ისევ ავლორძინდები. სადაც ქართველია, იქ საქართველოა! განსაცვიფრებელია ხელისუფლების პოზიცია, როდესაც ქართველებს ეუბნებიან, — არ შეხვიდეთ ახალგორშიო. აშინებენ: სამუშაო ძალად გამოგიყენებენო. რას ჰქვია, „სამუშაო ძალად“? გლეხი თუ კარტოფილსა და ხილს მოიყვანს, იმას რუსის ჯარისკაცს მიჰყიდის თუ რიო-დე-ჟანეიროს ბაზარზე გაიტანს, ვინ გკითხავს და რა შენი საქმეა!

— 2015 წლისთვის, საქართველოში შესაძლოა, ამერიკული სამხედრო ბაზები განთავსდეს...

— ღმერთმა დაგვიფაროს, რომ საქართველო რუსეთსა და ამერიკას შორის პოლიგონად იქცეს. ეს ახალი უბედურებაა საქართველოსთვის. ცოტა ხნის წინ ტელევიზორში ერთი სულელი ამბობდა, — ავღანეთის ომი ჩვენი ომიაო. რატომ არის ჩვენი ომი? იმ 100-მა ბიჭმა, ავღანეთში რომ გზავნი, ოკუპანტი რუსისგან თავისი პერევი და ახალგორი რომ დაიცვას, არ სჯობია?

— თქვენი აზრით, რა არის გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან?

— ოკუპანტი რუსი და რუსის ორი სნობი პრეზიდენტი, პუტინი და მედვედევი ჩემზე მეტად არავის სძულს, მაგრამ შენ არ უნდა მოსთხოვო ქართველ კინორეჟისორს, — მოსკოვში, ფესტივალზე ჯილდო არ აიღოო. ან პაატა ბურჭულაძეს, ამ ეროვნულ კაცს, მსოფლიო რანგის ხელოვანს რომ ეტყვი, — რას მიქვია, ჩახვედი მოსკოვში და იმღერეო... აი, ეს არის სისულელე! არ შეიძლება მუდმივი დამდურების პოზაში ვიყოთ რუსეთთან. ჩვენი დიპლომატია უნდა მივმართოთ არა რუსეთის შესაყვარებლად, არამედ რუსეთთან, როგორც სახელმწიფოსთან ურთიერთობის დასამყარებლად. მშვენიერია, წერილებს რომ გზავნიან ევროპელი პარლამენტარები, კარგია გაეროს დადგენილებაც ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით, მაგრამ იქვე მიწერილია, — ეს დადგენილება არ გახლავთ სავალდებულო, არამედ აქვს რეკომენდაციის ხასიათი. სავალდებულოს არ ასრულებს რუსეთი და სარეკომენდაციო ხასიათის დადგენილებას შეასრულებს? ამიტომ, პირველ რიგში, საქართველოში ეროვნული ხელისუფლება უნდა მოვიდეს. ეროვნულობის შეგრძნება რომ არა აქვთ ამათ, ამიტომ არის, რომ საქართველო შაგრენის ტყავივით მცირდება. ისე, მე თუ მკითხავთ, როგორია ჩემი შინაგანი რწმენა, გიპასუხებთ, რომ საქართველო უარეს დღეშიც ყოფილა და გადარჩენილა! ■

აღიარებს თუ არა თურქეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას —

მომგებიანი ნაბიჯი თუ დიდი შეცდომა

Milliyet
BASINDA GÜVEN
ABHAZLAR DA AYAKLANDI
KAFKASYA'DA ALEV SIÇRADI
Gürcistan'ın Güney Osetya operasyonuna Rusya'nın karşılık vermesi kıvılcımı ateşledi. Diğer ünlerk cumhuriyet olan Abhazya, Gürcü birliklerine saldırdı...
OLAN HALKA OLUYOR
Bütün dünyadan barış çağrısı yapılıyor

„თურქეთმა შესაძლოა, აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, თუ რუსეთი საპასუხოდ ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებლობას აღიარებს“, — ეს სკანდალური ინფორმაცია თურქულმა გამოცემა Milliyet-მა გაავრცელა. გაზეთის კორესპონდენტის თქმით, ამ თემაზე უკვე საუბრობენ თურქეთის სახელისუფლებო წრეებში. ქართველი ექსპერტების შეფასებით, თურქეთი ნატოსა და ევროკავშირის ორგანიზაციების საწინააღმდეგოდ არ წავა. ამასთან, თუ რუსეთი ჩრდილოეთ კვიპროსის აღიარებას დათანხმდება, სომხეთი მაშინვე დააყენებს მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის საკითხს... ასეა თუ ისე, სიახლეს არ წარმოადგენს, რომ თურქეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა აშკარად დათბა — თუ აქამდე, თურქი ბიზნესმენები აფხაზეთში ბიზნესსაქმიანობას ჩუმად ეწეოდნენ, ბოლო დროს, მათი ქმედებები უფრო ღია და მასშტაბური გახდა.

ლალი პაპასკირი

წავა თუ არა თურქეთი ამ ავანტიურაზე; გაიფუჭებს თუ არა ურთიერთობას პირველ რიგში, საქართველოსთან და შემდეგ ევროპელ პარტნიორ ქვეყნებთან, ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლენის გაზრდის სანაცვლოდ? ამის შესახებ ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე გვესაუბრება; ხოლო თუ რას ელოდება აფხაზეთი თურქეთისგან — აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ელენა ბგანბა განგვიმარტავს.

მამუკა არეშიძე:

— აფხაზეთის აღიარების შესახებ მინიშნება არც ერთ ოფიციალურ ორგანოს არ გაუკეთებია. ეს ინფორმაცია თურქულმა გაზეთმა Milliyet-მა გაავრცელა. მართალია, გამოცემა საკმაოდ რეიტინგულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს საკითხი თურქულ სახელისუფლებო წრეებში ოფიციალურად განიხილება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გაზეთში მოყვანილი იყო ციტატა თურქეთში რუსეთის ელჩის გამოსვლიდან, თითქოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხზე თურქეთის ხელისუფლებაში აქტიურად ლაპარაკობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის სპეცსამსახურები აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობენ თურქეთში. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ თურქეთში რუსეთის საელჩოს თანამშრომლებმა აფხაზურ-ჩერქეზული დიასპორების დაახლოებით 60-80 პროცენტის გადმობირება შეძლეს. ამისთვის რუსეთი დიდ თანხებს ხარჯავს.


აქამდე, თურქი ბიზნესმენები აფხაზეთში ბიზნესსაქმიანობას ჩუმად ეწეოდნენ...

— რას ნიშნავს „გადმობირება შეძლეს“?

— იმას, რომ ამ დიასპორის წევრები თვალს ხუჭავენ იმაზე, რაც რუსეთის ხელით ბოლო დროს აფხაზეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის ჩერქეზულ-ადიღურ რაიონებში ხდება. ისინი ლოიალურები არიან რუსეთის პოლიტიკის მიმართ და შესაბამისად, საქართველოს მიმართ დაუფარავ აგრესიას გამოხატავენ. დიასპორების იდეოლოგიურად დამუშავების საქმეს ხელი მოჰკიდა ერბრუს კარგიევმა, რომელიც ამჟამად სამხრეთ ოსეთში რუსეთის ელჩია. იგი წლების განმავლობაში თურქეთში რუსეთის ელჩის პირველ მრჩეველად მუშაობდა და ამ საქმეს წარმატებულად გაართვა თავი.

— გასაგებია, რომ თურქეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება ჩვენთვის დიდი დარტყმა იქნება, მაგრამ თურქეთი რას მოიგებს ამით?

— დიახ, ეს ნაბიჯი საქართველოსთვის მართლაც დარტყმა იქნება, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღება თავად თურქეთისთვისაც არ არის ასე ადვილი; არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლის გათვალისწინებითაც მან ეს გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს: პირველი — თუკი თურქეთი საქართველოს შავი ზღვისპირა რეგიონს აღიარებს, მისთვის ევროკავშირის კარი სამუდამოდ დაიხურება, ან უკეთეს შემთხვევაში, ამ ორგანიზაციაში გაწევრება შორეულ პერსპექტივად დარჩება. მეორე და უფრო მეტად მნიშვნელოვანი ის არის, ნატოს წევრ თურქეთს ამ ორგანიზაციაში თავისივე პარტნიორ საბერძნეთთან ურთერთობა უკიდურესად დაეძაბება... თავის დროზე, როცა თურქეთმა ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაცია მოახდინა, ორივე ნატოს წევრები იყვნენ, თუმცა ვითარება ლამის საომარ მოქმედებებამდე მივიდა. საქმეში დროულად ჩაერია ბრიტანეთი და დაპირისპირებული სახელმწიფოები ომს გადაარჩინა. ახლა კი, თუ რუსეთმა თურქეთთან გარიგების სანაცვლოდ, ჩრდილოეთ კვიპროსი აღიარა, საბერძნეთი ამას არ გადაყლაპავს. მესამე — ამ შემთხვევაში, თურქეთის, როგორც აზიური ენერგომატარებლების ევროპაში გამანაწილებლის ფუნქცია ეჭვქვეშ დადგება და მეოთხე — თურქეთის მიერ აფხაზეთის დამოუკი-

დებლობის აღიარების შემთხვევაში, თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე ექმნება — ბევრ ქვეყანას ხელი ეხსნება, რომ ქურთულ ნაციონალურ მოძრაობას მხარი დაუჭიროს. ჩემი ინფორმაციით, ამის სურვილი ბევრს აქვს. მეტსაც გეტყვით, დასავლეთში არც ისე დიდი ხნის წინ არსებობდა თურქეთის დაშლის გეგმა, რომელიც ქურთების თემის წინ წამოწევით უნდა მომხდარიყო. ეს საფრთხე რეალურია თუნდაც იმიტომ, რომ თურქეთს ერაყის ქურთისტანი ესაზღვრება, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ერაყის შემადგენლობაში შედის, პრაქტიკულად დე ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ეს კი თურქეთში მცხოვრებ ქურთებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მეტ სტიმულს აძლევს.

— და მაინც, ჩნდება კითხვა — რას იგებს თურქეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით?

— ამას ერთი პატარა შედეგი აქვს — თურქეთი მუდმივად ისწრაფვის, რომ კავკასია მისი გავლენის სფეროში მოაქციოს (ეს ასეც იყო) და ცდილობს, უფრო მეტად მოიკიდოს ფეხი კავკასიის რეგიონში, მაგრამ ეს ილუზიაა — ამის უფლებას მას რუსეთი არ მისცემს. რუსეთმა აფხაზეთში თურქეთის საყრდენი ყველა ძალა გაანადგურა, მათ შორის, ადგილობრივი ფუნდამენტალისტების ლიდერი ჰამზად კიცბა, რომელიც თურქეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის გამო მოკლეს.

— ბატონო მამუკა, თურქეთში ძალიან ბევრი მუჰაჯირი ცხოვრობს, ამ შემთხვევაში თუ შეუძლიათ მათ რაიმე გავლენის მოხდენა თურქეთის ხელმძღვანელობაზე?

— მართალია, თურქეთში ბევრად მეტი აფხაზი ცხოვრობს, ვიდრე თავად აფხაზეთში, მაგრამ ამას 40-მილიონიანი თურქეთისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მათი რაოდენობა საერთო ჯამში, ნახევარ მილიონს არ აღემატება, თანაც ამ რაოდენობას ჩერქეზულ დიასპორასთან ერთად აღწევენ.

— მაშ, რის საფუძველზე გააკეთა შამბამ იმედიანი განცხადება, რომ თურქეთის მხრიდან არის „სასიკეთო სიგნალები“?

— არ გამოვრიცხავ, რომ მართლა ასე იყოს, მაგრამ თურქეთი თუ ამაზე წავიდა, უფრო მეტს წააგებს, ვიდრე მოიგებს. მის დასაშლელად თითო მიზეზს უამრავი ქვეყანა იპოვის, მათ შორის საქართველოც — თურქეთში არის ძალიან დიდი ქართული დიასპორა, ლაზური და იმერხეველი ქართველები. ამ ხალხს თავიანთი ფესვებისადმი ლტოლვა დღემდე არ განელებია და მისი გამოღვიძება ძნელი არ უნდა იყოს...

— თურქეთსა და აფხაზეთს შორის საზღვაო მიმოსვლის აღდგენაზე იყო ლაპარაკი, რამდენად რეალურია ეს საფრთხე?

— სახელმწიფო დონეზე ჯერჯერობით არა, მაგრამ ეს მიმოსვლები უკვე აღდგენილია, მიუხედავად იმისა, ქართველი მესაზღვრეები თურქულ საზღვაო საშუალებებს დაკავებენ თუ არა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ინფორმაციას აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ერთგვაროვანი შეფასება მისცა, — მისი თქმით, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ თვითონ ნატოს წევრმა თურქეთმაც კი პოზიცია რეალურად შეაფასა. აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ელენა ბგანბას განცხადებით კი აფხაზეთი თანდათან თურქეთის პოლიტიკური ორბიტის ქვეშ ექცევა, რაც ადრე თუ გვიან, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით დასრულდება.

ელენა ბგანგა:

— თურქეთი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მიმართ ყოველდღიურად სულ უფრო მეტ ყურადღებას იჩენს. შესაძლოა, ქართული მხარისთვის ეს უსიამოვნო სიახლე იყოს, მაგრამ ანკარა სოხუმში დიპლომატიური სამსახურის გახსნასაც აპირებს... აქამდე ჩვენი ურთიერთობა პირადი ნაცნობობით შემოიფარგლებოდა, რაც აფხაზეთის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა. გვესმის, რომ აფხაზეთის აღიარება თურქეთს საქართველოსთან ურთიერთობას გაუფუჭებს, მაგრამ ეს ჩვენი პრობლემა არ არის. ჩვენთვის მთავარია, აფხაზეთის შავი ზღვისპირეთი მეზობელი ქვეყნებისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის ხელმისაწვდომი და უსაფრთხო იყოს. 10 სექტემბერს სოხუმს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უნალ ჩევიკოზი სტუმრობდა და სერგეი ბაღაფშს შეხვდა. შეხვედრის დეტალების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ სერგეი ბაღაფშის განცხადება ბევრ რამეზე მიანიშნებს — თურქი დიპლომატის ვიზიტი იმედისმომცემი იყოო... თურქეთში აფხაზური დიასპორის დიდი ნაწილი ცხოვრობს, რომელიც სამშობლოსთან დაკავშირებას თითქმის ვერ ახერხებდა. რამდენიმე წლის წინ (*ლაპარაკია ქართულ-აფხაზური ომის შემდგომ პერიოდზე. — ავტ.*) „თურქმა აფხაზმა“ ტაალი ხვატიშმა სოხუმის ცენტრში, ფოსტის პირდაპირ, სასტუმრო „იასემინი“ ააშენა. ამავდროულად, ტყვარჩელის რაიონ-

„ვოცნებობდი, თავგანწირვის გამოჩენის საშუალება მეც მომცემოდა“



24 წლის ლევან კვანტრიანი ერთ-ერთი მათგანია, ვინც აგვისტოს ომში გმირულად იბრძოლა და მხოლოდ სასწაულის ძალით გადაურჩა სიკვდილს. ცხინვალის მისადგომებთან, პატარა ბუჩქნარში ჩასაფრებულმა, 6 ქართველთან ერთად, ოსებისა და კაზაკების სამოცდაათკაციან დაჯგუფებას იმ დროს გაუხსნა ცეცხლი, როდესაც მტერი კარგად დაცულ იარაღის საწყობში იყო გამაგრებული. როგორც მისი მეგობრებისგან შევიტყვე, გულმკერდის არეში მძიმედ დაჭრილი, თანამებრძოლებს სთხოვდა, — ადგილზე დამტოვეთ და ბრძოლა განაგრძეთო. ჩადენილი გმირობის მიუხედავად, ყველაზე მეტად, საკუთარ თავზე საუბარი ეუხერხულება. ინტერვიუზე მხოლოდ იმის წყალობით დამთანხმდა, რომ შუამდგომლობისთვის, მის მამიდას მივმართე და უარი ვეღარ მითხრა.

ნათუნა ბახტურიძე

— ლევან, რომელ ბატალიონში მსახურობდით და 8 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან როგორ აღმოჩნდით?

— ბათუმის 53-ე ბატალიონში ვმსახურობდი. ჯარისკაცები ჩვენს სასწავლო ცენტრში ვიმყოფებოდით და ომის დაწყების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა. იმ პერიოდში კოდორში მე-3 ბრიგადა იყო განლაგებული და მის შესაცვლელად ვემზადებოდით. 7 აგვისტოს კი დილის 8 საათზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და ცხინვალისკენ დავიძარით. ჩვენი ჯარი ქალაქთან ახლოს დაბანაკდა. შვიდი კაცი: მე, ბატალიონის მეთაური — გელა ჭედია, მისი ძმა — გოჩა, სერჟანტები — მარუაშვილი, კომახიძე და კიდევ ორი ჯარისკაცი დაზვერვაზე გაგვგზავნეს. შეტაკების დროს მე, მარუაშვილი და გოჩა ჭედია მძიმედ დავიჭერით. გელას კი სნაიპერის ტყვია პირდაპირ კისერში მოხვდა.

— აშკარა იყო, რომ მტერი გაცილებით უსაფრთხო ადგილას იმყოფებოდა. ცეცხლი რატომ გახსენით?

— შენობა, რომელშიც ოსები და კაზაკები იყვნენ გამგრებულნი, იარაღის საწყობი იყო. ჩვენ წინასწარ გვქონდა მიღებული ინფორმაცია, რომ ისინი იქ იარაღის წასაღებად მივიდოდნენ და ცოტა ხანს დასასვენებლადაც გაჩერდებოდნენ. მოვიდნენ თუ არა, ინფორმაცია ჯარს რაციით გადავეცით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოსები და კაზაკები დასვენებას აღარ აპირებდნენ, ჯარი კი იქიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით იდგა და მოსვლას ვერანაირად ვერ მოასწრებდა. მეთაურმა გვითხრა, რომ თუ მტერს იქიდან გავუშვებდით, დიდი რაოდენობით იარაღს წაიღებდა და ჩვენებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა. ისიც გვითხრა, რომ თუ ცეცხლს გავხსნიდით, შეიძლება, ცოცხალი არც ერთი არ გადავრჩენილიყავით. ცეცხლი გავხსენით... ყველაზე თავდაუზოგავად მეთაური იბრძოდა, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მტერი გაენადგურებინა... როგორც ჩანს, სნაიპერმა შეამჩნია და ტყვია პირდაპირ ყელში მოარტყა.

— მტერი ხომ თქვენს იქ გამოჩენას არ ელოდა, სნაიპერი როგორ ჩაგისაფრდათ?

— როგორც ჩანს, ოსებმა და კაზაკებმა სნაიპერს რაციით გადასცეს ჩვენი კოორდინატები. გელამ მხოლოდ 15 წუთი იცოცხლა, სისხლდენა ვეღარ შევუჩერეთ... მერე მეც დავიჭერი, თვალთ დამიბნელდა, მაგრამ არ გავთიშულვარ, ყველაფერი მესმოდა. ამასობაში ჯარმაც მოგვისწრო, პირველადი დახმარება აღმომიჩინეს და სისხლი შემიჩერეს. როდესაც თვალი გავახილე, მითხრეს, რომ ის სამოცდაათი კაცი თურმე სულ გაგვინადგურებია... მოულოდნელად ჰაერიდან ჩვენი დაბომბვა დაიწყეს. მე ჯოხებისგან საკაცე გამიკეთეს და ექვსი კილომეტრი ისე მატარეს.

ში ხეტყის ბიზნესსაც ეწეოდა. ვინაიდან თავად თურქეთში ცხოვრობდა და ოჯახებიც იქ ჰყავდა (*ხვატიშს სამი ცოლი ჰყავდა. — ავტ.*), აფხაზეთში დაწყებული ბიზნესის კონტროლი დამოუკიდებლად ვერ შეძლო და წილში ადგილობრივი ბიზნესმენი ტაიფუნ არძინბა ჩასვა. 1994 წელს მათ აფხაზეთის განათლების სამინისტროს დახმარებით, ცანდრიფშის (განთიადი) დასახლებაში 5-წლიანი სასწავლებელი — „ბაშარან-კოლეჯი“ დაიფუძნეს, სადაც სწავლება რუსულ, თურქულ და აფხაზურ ენებზე მიმდინარეობდა. კოლეჯდამთავრებულებს საშუალო განათლების ატესტატსა და სერტიფიკატს აძლევდნენ. ეს სასწავლებელი თურქეთიდან მუჰაჯირების ჩამოყვანასაც გეგმავდა, რომლებიც სწავლა-განათლების მიღების შემდეგ, აქ დამკვიდრდებოდნენ. თუმცა, თურქეთი საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდა და სასწავლებელი დახურეს. მალე ტაალი ხვატიშმა ბიზნესი გაყიდა და სოხუმი სამუდამოდ დატოვა... რუსეთ-საქართველოს რამდენიმედღიანი ომის შემდეგ, როცა რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, თურქეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორა საზღვაო მიმოსვლის (სოხუმი-ტრაპიზონის მარშრუტი) აღდგენის ინიციატივით გამოვიდა, რასაც საჰაერო გზების გახსნაც უნდა მოჰყოლოდა, თუმცა, ჯერჯერობით მხოლოდ იმას მივაღწიეთ, რომ საზღვაო მიმოსვლა „პარტიზანული“ შემოპარვის დონეზე რჩება. თურქეთი კვლავაც საერთაშორისო საზოგადოების ტყვეობაში იმყოფება, თუმცა ბოლო დროს ჩვენ მიმართ აშკარა ინტერესს გამოხატავს, რაც იმედისმომცემია.

P.S. თურქული გამოცემის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი თურქეთის საელჩოსაც ვთხოვე, მაგრამ დიპლომატიურ სამსახურში მიპასუხეს, რომ ისინი პოლიტიკურ განცხადებებს არ აკეთებენ, ხოლო გაზეთი Milliyet-ი დამოუკიდებელი გამოცემაა და თურქეთის ხელისუფლების პოზიციას არ გამოხატავს. ■

„თურქი დიპლომატის ვიზიტი იმედისმომცემი იყო...“

— როგორც ვიცი, თანამებრძოლებს სთხოვდით, რომ ადგილზე დაეტოვებინეთ. ამას გულწრფელად ითხოვდით?

— კი, გულწრფელად ვითხოვდი. იქ ისეთი სიტუაცია იყო, რომ დაჭრილი კაცის კი არა, საკუთარი თავის გამოყვანა გაუჭირდებოდა ადამიანს. თან იმასაც ვაცნობიერებდი, რომ ჩემი ხელით ტარება მათ ბრძოლაში ხელს შეუშლიდა. არ მინდოდა, ჩემ გამო საქმე გაფუჭებულიყო.

— ოსებისა და კაზაკების სამოცდაათკაციანი დაჯგუფება თქვენ გაანადგურეთ თუ მოგვიანებით მოსულმა ბატალიონმა?

— როგორც მითხრეს, ის სამოცდაათი კაცი ჩვენ გავანადგურეთ. მერე ჩვენმა ჯარმა ნაღმმტყორცნით მათი ბაზა მთლიანად ააფეთქა. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შემთხვევით ვისარგებლებ და ამ ბატალიონსა და მის მეთაურს — სერჟანტ ამირან გოგიშვილს მადლობას გადავუხდი. პირადად მან გამომიყვანა ბრძოლის ველიდან, ჩემი საკაცეც მას ეჭირა. დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, წამითაც არ უფიქრია ჩემი იქ დატოვება.

— როდესაც შვიდმა კაცმა ცეცხლის გახსნა გადაწყვიტეთ, პირადად თქვენ რა იგრძენით? არ შეგეშინდათ?

— ადამიანი, რომელიც იტყვის, შიშის გრძნობა არ მქონდაო, ან მატყუარაა, ან გიჟი, ან დებილი. ჯარისკაცს შიშის დაძლევა უნდა შეეძლოს. ბრძოლის ველზე პირველად რომ გავედი, ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ მერე შიში დავძლიე და ჩემ ცხვირწინ ჩაქროლილი ტყვიებისაც კი აღარ მეშინოდა.

— როგორ ფიქრობ — ასეთი ომისთვის მზად იყავით?

— კი, მზად ვიყავი. მიხარია, რომ ახლა უკვე გამოცდილებაც მაქვს.

— ეი. ჯარში სამსახურის გაგრძელებას ისევ აპირებთ?

— აუცილებლად. სანამ ფეხზე ვიდგები და სანამ ეს ჩემს ქვეყანას დასჭირდება, იარაღს ხელიდან არ გავუშვებ.

— ჭრილობა მოგიშუშდათ?

— თბილისში რომ ჩამომიყვანეს, ოპერაცია მაშინვე გამიკეთეს. ახლა უკეთესად ვარ, მაგრამ კიდევ ერთი ოპერაციის გაკეთება დამჭირდება. იმედია, ავღანეთში წასვლამდე ყველაფერი კარგად მექნება.

— ავღანეთში როდის მიდიხართ?

— მარტში.

— იქ მაღალი ხელფასის გამო მიდიხართ თუ სხვა დაინტერესებაც გაქვთ?

— მინდა, მეტი გამოცდილება შევიძინო და მერე ის ცოდნა ჩემს ქვეყანაში გამოვიყენო.

— დამპირდით, რომ ავღანეთიდან როცა დაბრუნდებით, ინტერვიუზე ისევ დამთანხმდებით.

— თუ ცოცხალი ჩამოვედი, ინტერვიუს აუცილებლად მოგცემთ.

— როგორც ვიცი, ოჯახი ახალი შექმნილი გაქვთ; მეუღლე ავღანეთში თქვენს წასვლას არ ეწინააღმდეგება?

— დიახ, ოჯახი აგვისტოს ომის შემდეგ შევქმენი. მეუღლეს ძალიან უჭირს ჩემს პროფესიასთან შეგუება, ისიც კი მთხოვა, რომ ჯარისთვის თავი დამენებებინა, მაგრამ ამას ვერ გავაკეთებ, არ შემიძლია. მისთვის ჯერ-ჯერობით არ მითქვამს, რომ ავღანეთში მივდივარ, მხოლოდ ერთხელ „ვუნამიოკე“. იმედი მაქვს, ამასაც გამიგებს.

— შვილს როდისთვის ელოდებით?

— მარტისთვის.

— თუ გაქვთ გაცნობიერებული, რომ შეიძლება, ისე წახვიდეთ, შვილის ნახვა ვერც მოასწროთ?

— კი. მე ისიც მაქვს გაცნობიერებული, რომ შეიძლება, შვილი საერთოდ ვერ ვნახო, მაგრამ მე ხომ ისევ მისი უკეთესი მომავლისთვის უნდა ვიბრძოლო!.. მინდა, რომ ის თავისუფალი, ერთიანი საქართველოს მოქალაქე იყოს და მამამისით ამაყობდეს... სკოლის დამთავრების შემდეგ, ისტორიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. ეს საგანი იმიტომ ავირჩიე, რომ ისტორიის სახელმძღვანელოებში ჩემი წინაპრების გმირობაზე ბევრი რამ წერია, ეს კი ძალიან მეამაყებოდა. ვოცნებობდი, რომ გმირობის, თავგანწირვის გამოჩენის საშუალება მეც მომცემოდა. ახლა ამის შანსი მაქვს და ხელიდან არ გავუშვებ.

— ფიქრობთ, რომ საქართველოში ბრძოლა ისევ მოგიწევთ?

— აუცილებლად, აფხაზეთი და ცხინვალი ჯერ ისევ დასაბრუნებელია.

— იმის იმედიც გაქვთ, რომ ტერიტორიულ მთლიანობას ბრძოლით აღვადგენთ?

— კი, მაქვს ამის იმედი, იმიტომ, რომ მე ვნახე, როგორ იბრძოდნენ ბიჭები. ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია.

— კი, მაგრამ ჩვენ ამ ომში დავმარცხდით...

— ამ ომში მხოლოდ იმიტომ დავმარცხდით, რომ ჰაერიდან დაგვბომბეს. ცხინვალი უკვე აღებული გვქონდა. პირისპირ ბრძოლისას ვერც ოსებმა გაგვიძლეს, ვერც კაზაკებმა და ვერც რუსებმა. ჰაერიდან ჩამოვარდნილ ბომბებს რაღას ვუზამდით?!.

— თუ ომი ისევ დაიწყო, რუსები ჰაერიდან ისევ დაგვბომბავენ...

— იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხელისუფლება საჰაერო თავდაცვას გააძლიერებს. ხმელეთზე კი ჩვენი საქმის ჩვენ ვიცით...

— იმის შესახებ რას იტყვით, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ქართველი ჯარისკაცების ნაწილი დეზერტირობასა და იარაღის დაკარგვაში დაადანაშაულეს?

— ვერაფერს გეტყვით. მე გაქცეული ქართველი ჯარისკაცი არ მინახავს. შეიძლება, ასეთი ფაქტებიც იყო, მაგრამ არა მგონია, ეს პროფესიონალ ჯარისკაცებს დამართოდათ, — ალბათ რეზერვისტები შეშინდნენ... ძალიან ცუდია, როდესაც ერთი ან ორი გაქცეული ჯარისკაცის გამო მთელი ჯარის სახელი ტალახში ისვრება. მე არ ვიცი იმ ჯარისკაცების სახელები ან გვარები, რომლებიც ბრძოლის ველიდან გარბოდნენ, მაგრამ ვიცი, რომ ლეიტენანტი ცირდავა და თუთისანი ალყაში იყვნენ მოქცეული და წამითაც არ შეშინებულან... თუთისანი გმირულად დაიღუპა, ცირდავა კი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

ისეთი სიტუაცია იყო, რომ დაჭრილი კაცის კი არა, საკუთარი თავის გამოყვანა გაუჭირდებოდა ადამიანს

— ელოდით, რომ რუსებთან შეტაკებაც მოგიწევდათ?

— სხვათა შორის, ამას არ ველოდით, გვეგონა, რომ მხოლოდ ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ მოგვიწევდა ბრძოლა... ისე, არც რუსების შეგვშინებია, სანამ ჰაერიდან არ დაიწყეს დაბომბვა.

— ამერიკელთა დახმარების იმედი თუ გქონდათ?

— არა, ჩვენთვის არავის უთქვამს, რომ ამერიკელები დაგვეხმარებოდნენ. ისე, მე თუ მკითხავთ, სხვისი იმედი არასოდეს უნდა გვქონდეს, ჩვენი ქვეყნისთვის ჩვენვე უნდა ვიბრძოლოთ.

■

„ამერიკაში მალე დიქტატურა იქნება“

აცხადებს ცნობილი მწერალი გორ ვიდალი

მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ესეისტად ცნობილი ვიდალის კალამს 24 რომანი და კინოსტუდია „მეტრო-გოლდვინ-მაიერისთვის“ დაწერილი არაერთი სცენარი ეკუთვნის. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მწერ-

ალს დღემდე კარგად ახსოვს ის დრო, როცა ლონდონში, უინსტონ ჩერჩილის სახლთან ათასობით ადამიანი იყრიდა თავს და მას ოვაციას უწყობდა. შემოქმედის აზრით, სხვა ყველაფერთან ერთად, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ჩერჩილი „საუცხოოდ ფლობდა პიარის ხელოვნებას“...

მრავლისმნახველი გორ ვიდალი არაერთ ცნობილ ადამიანს, მათ შორის, თვით ამერიკის პრეზიდენტ ჯონ კენედისაც პირადად იცნობდა და მასთან მეგობრობდა კიდეც. ოდესღაც პოლიტიკოსობაზე სერიოზულად მოფიქრალმა, ახლა 83 წლის ვიდალმა შარშან ჰილარი კლინტონის ბანაკიდან ბარაკ ობამასთან გადაინაცვლა, რასაც საკმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა. დღეს კი მწერალი თავის ამ საქციელს ძალიანაც ნანობს. „ობამა უჭკვიანესი ადამიანია მათ შორის, ვინც კი ამ პოსტზე მრავალი წლის მანძილზე აგვირჩევია, — ამბობს იგი, — მაგრამ გამოუცდელია, სამხედრო საკითხებში კი საერთოდაც ვერ ერკვევა... ისე იქცევა, თითქოს ავღანეთი ჯადოსნური თილისმა იყოს და ავღანური პრობლემის გადაჭრას ტერორიზმის მოსპობა შეეძლოს“. მწერალს მიაჩნია, რომ ამერიკელებმა ავღანეთი საერთოდ უნდა დატოვონ, ჯორჯ ბუშის მიერ „ტერორიზმის წინააღმდეგ წამოწყებულ ომს“ კი წმინდა წყლის პიარს უწოდებს.

„ყოველთვის ცრუპენტელები მძულდა, არადა, სწორედ ასეთებით გადავსებულ ქვეყანაში მიწევს ცხოვრება, — წუხს მწერალი, — თუმცა ყოველთვის ასე როდი იყო. ის დროც კარგად მახსოვს, როდესაც პრესა სიმართლის სადარაჯოზე იდგა“.

ვიდალი ობამაზე გარკვეულ იმედს მაინც ამყარებს, რადგან მიაჩნია, რომ „მაქკეინისგან განსხვავებით, ის არ ცრუობს... მაგრამ ობამას თავისი გენერლებისა და იმისიც სჯერა, რომ რესპუბლიკური პარტია უბრალოდ, პარტიაა, — სინამდვილეში კი ეს სხვა სარწმუნოებებისა და რასების წარმომადგენელთა მიმართ სიძულვილზე დამყარებული იდეოლოგიაა“, — დასძენს მწერალი და ამერიკელ კონსერვატორებს ფაშისტებად მოიხსენიებს.

ამასთანავე, გორ ვიდალი იმაშიც დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტის პოსტზე ჰილარი კლინტონი უკეთესად გამოიჩენდა თავს: „მან ბევრი რამ და მათ შორის, ისიც უკეთ იცის, თუ საკუთარ გენერლებს როგორ მოექცეს“, — აცხადებს მწერალი. გორ ვიდალის აზრით, „საშიში იზოლაციონიზმით დაავადებულ“ დღევანდელ ამერიკას ინტელექტუალთა და გენიოსთა ფენა საერთოდ არ ჰყავს. „მალე ჩვენში სამხედრო დიქტატურა იქნება, — ირწმუნება იგი, — რადგან სამხედროების გარდა, ქვეყანას ქაოსს ვერავინ ააცილებს. ობამას პრობლემა კი ისაა, რომ ზედმეტად განათლებულია და არ ესმის, თუ რა უბირ აუდიტორიასთან აქვს საქმე“.

გორ ვიდალი პრესისთვის „შავ სიაში“ 1948 წელს, რომანის — „ქალაქი და ბურჯი“ — გამოსვლის შემდეგ მოხვდა. ამ რომანში ჰომოსექსუალთა ხორციელი გატაცებები სრულიად დაუფარავადაა აღწერილი. „ნუ დაემსგავსებით იმ იდიოტებს, რომლებიც გვასწავლიან, რომ ცისფერების ურთიერთობა ჰეტეროსექსუალების ურთიერთობას ჰგავს, ეს ასე არ არის“, ირწმუნება მწერალი, თუმცა კითხვას, — მაინც, რაშია განსხვავება? — რატომღაც, უპასუხოდ ტოვებს... გორ ვიდალმა თავის მეგობარ ჰოვარდ ოსტენთან ერთად, მთელი 53 წელი (მის გარდაცვალებამდე) გაატარა. კითხვაზე, — როგორ იცხოვრეთ ერთად ასე დიდხანსო? — ვიდალი ასე პასუხობს: „ერთადერთ წესს ვიცავდით: არავითარი სექსი!.. მაგრამ ადამიანებს ასეთი რამის დაჯერება უბრალოდ, არ შეეძლოთ. ჰოდა, მეც საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მართლაც, არნახულად ჩლუნგ აუდიტორიასთან მაქვს საქმე... ამერიკელებს თავში აზრი საერთოდ, არ მოსდით, მათ მხოლოდ ემოციური რეაქციები აქვთ, რომელთა პროვოცირებაც ნებისმიერ კარგ რეკლამისტს შეუძლია“, — დასძენს იგი.

ვიდალი გულახდილად ამბობს, რომ ამერიკის პრეზიდენტობაზე უარს ნამდვილად არ იტყოდა, ოდესმე საამისო ფული რომ ჰქონოდა. „ჯეკ კენედის ერთადერთხელ — მხოლოდ მაშინ შემშურდა, როცა მამამისმა ჯომ მას ჯერ სენატში ადგილი, შემდეგ კი პრეზიდენტის პოსტიც უყიდა“, — ბოლომდე გულახდილობს ვიდალი და ერთ საინტერესო ფაქტსაც იხსენებს. თურმე 1960 წელს ჯო კენედის თავისი 9 შვილის დამუნათება უცდია: მე ჯეკის საარჩევნო კამპანიას მთელი ჩემი ქონება დავახარჯე, თქვენ კი ისევ ხელგაშლილად ცხოვრებას განაგრძობთო!.. „ყველა დარცხვენილი იჯდა, — იხსენებს ვიდალი, — ჯეკი კი არხეინად უსტვენდა. „რაში ხედავთ გამოსავალს, მისტერ პრეზიდენტო?“ — ჰკითხა ჯომ ჯეკს. „მეტი უნდა იშრომოთ“, — მოკლედ მოუჭრა ჯეკმა“.

რვა ათეულ წელს გადაცილებულ გორ ვიდალს საამაყო ცოტა როდი აქვს, მაგრამ თავად, ამ თემაზე დასმულ კითხვას ასე პასუხობს: „ყველაზე მეტად იმით ვამაყობ, რომ უდიდესი ცდუნების მიუხედავად, არავინ მომიკლავს“...

The Times ■

ჰოლივუდის ელიტაში „მოპალათებული“ საბჭოთა ჯაშუში

19 სექტემბერს გარდაიცვალა საბჭოთა ჯაშუში ქალი ელიზავეტა მუკასეი, რომელიც მრავალი ათეული წელი ჰოლივუდის ელიტაში ტრიალებდა. ქალბატონი მუკასეი თავს დიასახლისად ასაღებდა, რაციას მტვერსასრუტში მალავდა, სასტუმრო ოთახში სასიამოვნოდ მოგიზგიზე ბუხარში კი მაკომპრომეტირებელ დოკუმენტებს წვავდა.

რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით, ელიზავეტა და მისი ქმარი მიხაილ მუკასეი (მეტსახელებად — ელზა და ზეფირი) საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, აშშ-ში, დასავლეთ ევროპასა და ბევრ სხვა ქვეყანაშიც მუშაობდნენ. 1939-დან 1943 წლამდე მიხაილ მუკასეი ლოს-ანჯელესში საბჭოთა ვიცე-კონსული იყო. როგორც ელიზავეტა თავის მემუარებში წერს, მათ ძირითადად, კულტურული ელიტის ცნობილ წარმომადგენლებთან, მაგალითად, დირიჟორ ლეოპოლდ სტოკოვსკისთან ჰქონდათ ურთიერთობა, ხოლო ჩარლი ჩაპლინს არყით უმასპინძლდებოდნენ და საბჭოთა ხელისუფლებისგან საჩუქრად, მურა დათუნიაც კი გადასცეს.

1950 წელს, დამატებითი სასწავლო კურსის (რადისტების კურსებით დაწყებული — სტანისლავსკის სკოლის სამსახიობო ოსტატობის დაუფლებით დამთავრებული) გავლის შემდეგ, ცოლ-ქმარი დასავლეთ ევროპაში დავალების შესრულებას შეუდგა, მაგრამ მალე მექსიკამდეც კი მოუხდა ჩასვლა. გასული საუკუნის 70-იან წლებში ელიზავეტა და მიხაილ მუკასეი მოსკოვში დაბრუნდნენ და მზვერავთა ახალი თაობის აღზრდას მოჰკიდეს ხელი.

ჯაშუშ ცოლ-ქმარს 2 შვილი ჰყავდა, რომლებიც საბჭოთა კავშირში იზრდებოდნენ. ვაჟი ანატოლი ცნობილი კინემატოგრაფისტი გახდა. არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნის მიუხედავად, ელიზავეტა შვილებთან ყოველწლიურად თითო თვის გატარებას მაინც ახერხებდა. „ოღონდ ნუ მკითხავთ, ამის ორგანიზება როგორ ხდებოდა, — ამბობდა იგი. — მე ხომ ხელმძღვანელობა ყოველთვის მოწყალე თვალით მიყურებდა“...

The Wall Street Journal

■

ბრიუს უილისი საპაპაშვილზე მეტად, პუტინს ჰგავს

საქართველო-რუსეთს შორის მოსალოდნელი ახალი კონფლიქტის პროგნოზირება მცდარი აღმოჩნდა. გასულ ზაფხულს ქვემეხები ძირითადად, დუმდა, რეჟისორები კი შარშანდელი ცეცხლოვანი ქარიშხლის კინემატოგრაფიულ ინტერპრეტაციებს ქმნიდნენ. დოკუმენტური ფილმი — „რუსულის გაკვეთილები“ 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ „სიმართლის ჩვენების“ ის ბოლო მცდელობაა, რომელსაც ქართულ საინფორმაციო საშუალებებშიც დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ეს, ნაწილობრივ, იმიტომაც მოხდა, რომ ფილმის ერთ-ერთ რეჟისორს, ანდრეი ნეკრასოვს (რომლის ბოლო ფილმიც ალექსანდრ ლიტვინენკოს მოწამვლასთან დაკავშირებულ სკანდალს ეძღვნება) კრემლის აპოლოგეტს ძნელად თუ უწოდებ. ქართული ტელეარხის — „რუსთავი-2“-ის ცნობით, აბსურდულ საბრძოლო ტრილერთან — „ოლიმპიუს ინფერნო“ („ოლიმპიური ჯოჯოხეთი“) და ტენდენციურ დოკუმენტურ ფილმთან — „ომი 08.08.08: ღალატის ხელოვნება“ — შედარებით, ნეკრასოვის ფილმში „რუსეთის იმპერიალისტური შეთქმულების დამადასტურებელ მტკიცებულებათა უმეტესი ნაწილია წარმოდგენილი“.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ფილმი მოვლენების ქართულ ინტერპრეტაციას ემხრობა.

აღნიშნული კონფლიქტის შესახებ სურათის გადაღებას, „კერკეტი კაკლის“ დარი ბლოკბასტერებით ცნობილი, რენი ჰარლინიც აპირებს. ჰოლივუდის ვეტერანი რეჟისორის სცენარში მოთხრობილია ორ უშიშარ ამერიკელზე, რომელიც ომის ბურუსში სიმართლის დადგენას ცდილობს. ჰარლინის თქმით, ის მრავალი წელი ელოდა „არსისა და რეალობის შემცველ“ პროექტს და ეკრანზე ომის საწინააღმდეგო გზავნილების წინ წამოსაწევად, ბოევიკების შექმნის გამოცდილებასაც მოხდენილად გამოიყენებს. ჯერჯერობით გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა მიხეილ სააკაშვილის როლს ბრიუს უილისი, რომლის მაჩოსეული სტილიც ალბათ, ვლადიმირ პუტინის სახის შესაქმნელად უფრო გამოდგებოდა...



კიდევ ერთი ამერიკელი მსახიობი, რომელიც ნამდვილად არ ითამაშებს სააკაშვილს, ნიკოლას ქეიჯია: წლის დასაწყისში გავრცელდა ხმა, თითქოს მას უნდა განესახიერებინა ემოციური ქართველი ლიდერი ფილმში, სადაც საკუთარი სამშობლოსთვის ბრძოლისას „ჭეშმარიტ სიდიადეს“ ნაზიარები პრეზიდენტი წარმოგვიდგებოდა, მაგრამ ეს ტყუილი აღმოჩნდა. უფრო სავარაუდოა, რომ რუსეთ-საქართველოს ომზე სურათს, აბსურდის მოყვარული, სერბი ემირ კუსტურიცა გადაიღებს. გაირკვა, რომ ამ ფილმს ოსი ნაციონალისტები უჭერენ მხარს. ასე რომ, საეჭვოა, ის ფარსი აღმოჩნდეს და ქართული კინოთეატრების ეკრანებზე უჩვენონ.

The Moskow Times, რუსეთი

მილიარდერები ისვენებენ: მაიკლი მიხაილის წინააღმდეგ

ნიუ-იორკელ მილიარდერთა მეფესა და მილიარდერებს შორის ყველაზე ახალბედებს თითქმის ერთნაირი სახელები — მაიკლი და მიხაილი ჰქვიათ: ლაპარაკია ნიუ-იორკის მერ მაიკლ ბლუმბერგსა და რუს ოლიგარქ მიხაილ პროხოროვზე, რომელიც საკალათბურთო გუნდის — New Jersey Nets — დაპატრონებასა და ბრუკლინის სპორტკომპლექსის ინვესტორობას აპირებს.

ბლუმბერგი სპორტის ყველა სახეობას, გოლფს ამჯობინებს, მხოლოდ ვიწრო წრეში ვახშმობს ხოლმე, არ უყვარს პირადი ცხოვრების სააშკარაოზე გამოტანა. პროხოროვი კალათბურთს, კიკბოქსინგსა და მთის თხილამურებს ანიჭებს უპირატესობას და ალბათ ძალიანაც ნანობს, რომ მისი პირადი ცხოვრების ბევრი დეტალი (თუნდაც კურშეველში ოთხდღიანი პატიმრობა) უცხო თვალისთვის ბოლომდე დაფარული ვერ რჩება. ბლუმბერგი უფრო მდიდარია, პროხოროვი კი — უფრო მაღალი. პროხოროვი უცოლოა, ბლუმბერგი კი, 1993 წლიდან — განქორწინებული. ბლუმბერგმა თავისი კარიერა ბანკში — Salomon Brothers — დაიწყო, რომლის აქციებსა და სერტიფიკატებსაც, ჩახუთულ დაჯავშნილ სარდაფში, ქვედა საცვლის ამარა ითვლიდა. პროხოროვი, ზოგიერთი ცნობით, მოსკოვში ჯინსით ვაჭრობდა.

პროხოროვსაც და ბლუმბერგსაც ძალიან უყვართ წვეულებები, რასაც მაიკლის თქმით, მისი ქორწინების პერსპექტივაც შეეწირა... ამბობენ, რუსი ოლიგარქების მიერ ამოჩემებული, მოსკოვის რესტორნები ლას-ვეგასზე „უფრო მეტი ლას-ვეგასიც“ კიაო. მიუხედავად ამისა, ნიუ-იორკის რესტორნებმა მაინც, პროხოროვისთვის ყველა პირობის შექმნის სრული მზადყოფნა გამოთქვეს...

The New York Times

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

სახე

„მიყვარს იმ სპექტაკლების აფიშები, რომლებშიც ვმონაწილეობ“

მსახიობ მაკა შალიკაშვილის მეუღლეს — რატი გოგუაძეს არ მოსწონს, მისი ცოლი თავისუფალი ქალის როლების შემსრულებლად რომ მიიჩნევა. მაკა ფიქრობს, რომ უკვე ისეთ ასაკშია, როცა სხვა როლშიც უნდა მოსინჯოს თავი. ხოლო თუ თავისუფალი ქალის როლის შესრულებას, მას კვლავაც შესთავაზებენ, ბევრს იფიქრებს და საბოლოოდ ყველაფერს შემოთავაზებული გასამრჯელოს მიხედვით გადაწყვეტს. მაკას საკუთარ გემოვნებაზე სასაუბროდ სახლში ვესტუმრე. მის ოთახში შესვლისთანავე ჩემი ყურადღება კედელზე გაკრულმა სპექტაკლის აფიშებმა მიიპყრო.

მერი კობიაშვილი

— ძალიან მიყვარს იმ სპექტაკლების აფიშები, რომლებშიც ვმონაწილეობ, მაგრამ ამ ოთახში ახლა ჩემი ქმრის ნათამაშები სპექტაკლების აფიშებიცაა. ეს სივრცე ორადაა გაყოფილი. ერთი კედელი რატისაა, მეორე — ჩემი. მაქვს შოთა კალანდაძის ნაჩუქარი სურათი, რომელიც ძალიან მიყვარს, ვან გოგის ავტოპორტრეტი, რომელიც ჩემი მეუღლის გახლავთ. ამბობს, მე მგავსო...

— ეთანხმები?

— კი, მათ შორის მსგავსება მართლაც არის. კედელზე გაკრულია ჩემი საყვარელი ფოტოებიც. მაგალითად, დუტას სპექტაკლიდან — „სულიკო“. პრემიერა რომ ჰქონდა, როგორც ახლობელმა, ძალიან ვინერვიულე. მაქვს კიდევ ჭოლას სურათიც, „თეატრალური სარდაფის“ სპექტაკლების ფოტოები, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სურათიც, ასევე, გივი ბერიკაშვილის ფოტოც; სხვათა შორის, ბატონი გივი ჩემი ნათლიაა.

— ბევრი საკუთარი ფოტოც გაქვს კედელზე გაკრული. ნარცისიზმი ხომ არ შეგეყარა?

— საკუთარი თავი მართლაც ძალიან მიყვარს. ჩემს ფოტოებს რომ ვუყურებ, კარგ ხასიათზე ვდგები ხოლმე. უფრო დიდი სახლი რომ მქონდეს, ალბათ კედლებზე უამრავ ფოტოს გავაკრავდი. მათ დაემატებოდა ასევე იმ ადამიანების ფოტოებიც, ვინც მე ძალიან მიყვარს.

— როგორ ბინაზე ოცნებობ?

— მართალია, ბინა ძალიან მჭირდება, მაგრამ ამწუთას მანქანა მინდა ვიყიდო, „ფოლკსვაგენი“ მომწონს.

— ფერიც უკვე შერჩეული გაქვს?

— კი, ვერცხლისფერი ან შავი.

— კარგი მძღოლი ხარ?

— მოწესრიგებული და ფრთხილი მძღოლი ვიქნები.

— საკუთარი სახლი რომ გექნება, მას როგორ ფერებში მოაწყობ?

— ლურჯი, ყავისფერი და ნაცრისფერი მომწონს...

— ეს პასუხი ფსიქოლოგს რომ მოესმინა, მგონი, დეპრესიულ ადამიანად მიგიჩნევდა...

— სამწუხაროდ, დეპრესიული ადამიანი ვარ და ამ ბოლო დროს უფრო ხშირად ვარ ცუდ განწყობილებაზე.

— ფილმებშიც მიგიღია მონაწილეობა და სპექტაკლებშიც. სად უფრო კარგად გრძნობ თავს?

— კი, ფილმებშიც მითამაშია, ტელევიზიაშიც მიმუშავია, მაგრამ ყველაზე კომფორტულად თავს მაინც „თეატრალურ სარდაფში“ ვგრძნობდი, მაგრამ „სარდაფი“ სამწუხაროდ, დაიხურა.

— როგორ ფიქრობ, რატომ გთავაზობდნენ რეჟისორები თავისუფალი ქალის როლებს?

— საერთოდ, ბუნებით თამამი ადამიანი ვარ. არ ვყოყმანობ რეჟისორების შემოთავაზებულ როლებზე. როდესაც ფილმზე — „მიდიოდა მატარებელი“ ვმუშაობდით, სცენარში ასე იყო, რომ ჯარისკაცები დილით ვაგონში უნდა შემოსულიყვნენ და ყველანი გარეთ გავეყვანეთ. ვიწექით და გარეთ რომ გავიდოდით, სცენარის მიხედვით კაბა უნდა მცმოდა. რეჟისორს ვუთხარი, ასე მალე ჩაცმას ვერ მოვასწრებ და ტყუილი კადრი არ გამოვიდეს, „კუპალნიკით“ ვიქნები-მეთქი. რეჟისორიც დამეთანხმა... ასე რომ, ხანდახან თავადაც ვთავა-

ზობ რეჟისორს თამამ სცენებს. ბოლოს გიო მგელაძის ფილმში „თბილისურ ლავ სთორიში“ ვითამაშე. ფილმში მე და ნუცა კუხიანიძეს თბილისელი, „სვეტსკი“ გოგოების როლები გვაქვს. ჩემი გმირი საოცარი „ჟარგონებით“ ლაპარაკობს... როცა ასეთ როლზე ვთანხმდები, მინდა, რომ

ცოტა ხნის წინ ლიკა ყაზბეგმა ჩვენებაზე გამოსვლა შემომთავაზა და სიამოვნებით დავთანხმდი

მაქსიმალურად დავიხარჯო. ეტყობა, ამიტომაც მაძლევენ რეჟისორები თამამ როლებს. ძალიან მინდა, რომ მაყურებლის წინაშე მომავალში უკვე სხვა ამპლუაშიც წარვდგე. როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში ჩავირიცხე, რეჟისორი შალვა გაწერელია მიწინასწარმეტყველებდა, რომ ტრაგიკული როლების საუკეთესო შემსრულებელი ვიქნებოდი. შემდგომში კი ჩემი ეს ამპლუა, რომელიც ახლა მაქვს, ლევან წულაძემ განსაზღვრა, როდესაც სპექტაკლში „ეთსეტერა“ დამაკავა. ასე რომ, პირველად ჭოლამ აღმიქვა გულუბრყვილო და ლაღ გოგოდ. შემდეგ სპექტაკლში „თაგვი“ „ავანტიურისტკა“ ვითამაშე. ჩემი გმირი ფულის გამო ყველაფერზე მიდიოდა. როდესაც აღნიშნულ სპექტაკლებზე რეჟისორები მოდიოდნენ და ასეთ როლებში მხედავდნენ, მერე მსგავს როლებს თავადაც მთავაზობდნენ. ახლახან ერეკლე ბადურაშვილის ფილმში „ცხელი ძაღლი“ (ხუთი) ვითამაშე, სადაც საკმაოდ სერიოზული როლი მაქვს (კრიმინალური დაჯგუფების წევრი ვარ). მართალია, უარყოფითი გმირი ვარ, მაგრამ ძალიან მომწონს. მგონი, ამ როლით ჩემს შემოქმედებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

— სახლში საქმის კეთება გიყვარს?

— 28 წლამდე ძალიან დაკავებული ვიყავი, ერთი წუთი თავისუფალი დრო არ მქონდა. 29 წლისამ შვილი გავაჩინე. მას შემდეგ თავისუფალ დროს სულ შვილს ვუთმობ. პატარას დიდი ყურადღება სჭირდება...

— რა ჟანრის მუსიკას ანიჭებ უპირატესობას?

— ძალიან მიყვარს — ბარი უაიტი, ჯორჯ ბენსონი, ტინა ტერნერი. ვაფასებ ნანი ბრეგვაძეს, მერაბ სეფაშვილს, მაია ჯაბუას, ნატო მეტონიძეს. ჯანსუღ კახიძის სიმღერებზე ვგიჟდები...

— თავადაც ხომ არ მღერი?

— პროექტში „იმედის ტალღა“ მქონდა ამის მცდელობა. იმისათვის, რომ მემღერა, საოცრად ბევრი იშრომა ირმა სოხაძემ.

— კიდევ აპირებ სიმღერას?

— თუ მიმიწვევენ მსგავს პროექტში, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები. ცოტა ხნის წინ ლიკა ყაზბეგმა ჩვენებაზე გამოსვლა შემომთავაზა და სიამოვნებით დავთანხმდი, მაგრამ მსახიობობას მაინც არც ერთ სფეროზე არ გავცვლი...

— შენი მსახიობობა შენივე ნათლიის დამსახურება ხომ არ არის?

— რა თქმა უნდა, ასეა. მსახიობობის ნიჭი გივი ბერიკაშვილმა დამანათლა.

— ერთად არასდროს გითამაშიათ?

— არა, სამწუხაროდ. მე მისი ოჯახის უზომოდ მადლიერი ვარ. გივი ბერიკაშვილის ოჯახმა დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ ჩემთვის მიუწვდომელ გარემოში შემეღწია. ახლა ჰოლივუდში მოხვედრაზე რომ ვიოცნებო, მაშინ დაახლოებით, იგივე იყო იგოეთში მცხოვრები გოგონასთვის თბილისში თეატრალურ ინსტიტუტში სწავლა. მოგვიანებით შევხვდი რეჟისორ შალვა გაწერელიას, შემდეგ კი — ჭოლას. ამ ადამიანებმა ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშეს.

— მაკა, გურმანი თუ ხარ?

— გურმანი ნამდვილად ვარ. ყველაზე მეტად მიყვარს მწვადი, ცივად მოხარშულ სოფლის დედალზე ვგიჟდები. ჩახოხბილიც მიყვარს და თავადაც უგემრიელესს ვაკეთებ.

— გარეგნულად სულ არ გეტყობა, რომ ასეთი გურმანი ხარ.

— კი, მაგრამ ჭამა მართლა ძალიან მიყვარს. გემრიელ კერძებთან ერთად, ღვინოც მიყვარს, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ ვსვამ.

— ყველაზე მეტად რომელი სასმელი მოგწონს?

— ალბერტა შალიკაშვილის დაყენებული ღვინო მომწონს.

— ალბერტა ვინაა?

— მამაჩემი. ის ძალიან მაგარ ღვინოს აყენებს და ძალიან მაგარ მწვადს წვავს. მის შემწვარ მწვადსა და ღვინოზე უარს ვერასდროს ვიტყვი.

— ვხედავ, რომ საწოლთან რამდენიმე წიგნი გიდევს. ესე იგი, კითხვა გიყვარს?

— ხომ არიან ადამიანები, რომლებსაც რომანები უყვართ. მე ლექსების კითხვა მიყვარს. ეს საოცარ სიამოვნებას მანიჭებს. რაც მთავარია, ლექსებს ხმამაღლა ვკითხულობ.

— ბოლოს რა წიგნი წაიკითხე?

— ცოტა ხნის წინ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ დავასრულე.

— მკლავზე საკმაოდ დიდი სვირინგი გაქვს. გიყვარს სვირინგები?

— სხვათა შორის, ეს სვირინგი მტკივა... სულაც არ მინდა, რომ მქონდეს. ის ექვსთვიანი უნდა ყოფილიყო და აღმოჩნდა, რომ ოსტატს შეცდომა მოსვლია და ახლა ის მთელი ცხოვრება მექნება. ბოლო დროს უარყოფითი ემოციებით რომ ვიტვირთები, რატომღაც მგონია, რომ ამ სვირინგის ბრალია. ახლა ვაპირებ, მოვიშორო, მაგრამ ამბობენ, რომ ძნელია...

— ყოველთვის რატისნაირი მამაკაცები მოგწონდა?

— პედანტი მამაკაცები არასდროს მომწონდა. მათთან კარგად ვერასდროს ვიქნებოდი. თავადაც არ ვარ მოწესრიგებული. ისე, ასეთი ტიპის მამაკაცები მომწონს.

— მეუღლე, როგორც ვიცი, ძალიან კრიტიკულია. ერთ-ერთ გადაცემაში თქვა: მაკა არც ერთ მის მიერ ნათამაშებ ფილმში არ მომწონსო.

— კი, და ისიც დაამატა: „ლიფტიორში“ კი კარგიაო. მე მესმის მისი: ქართველია და რატომ უნდა მოეწონოს, როცა მისი?! ცოლი საცურაო კოსტიუმით ჩნდება ფილმში, ან ის, რომ ჟარგონით ლაპარაკობს?! იმ გადაცემის სტუდიიდან რომ გამოვედით, მკითხა: ხომ არ გეწყინა, ასე რომ ვთქვიო? არა-მეთქი, — ვუპასუხე. მან თავისი აზრი გულახდილად დააფიქსირა... ისე, რატი კატეგორიული ადამიანი არ არის. იცის, რომ მის ცოლს უფრო მეტი შეუძლია. ჩვენ პირველ რიგში ხომ მაინც მსახიობები ვართ, მაგრამ ვერც ქართულ მენტალიტეტს გავექცევით სადმე. ■

ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ დავასრულე

„ჟილკიანი“ ჯაბა ქარსელაძის აღსარება

„ბევრი მძიმე დღე გადამიტანია“...

ლალი ფაცია

გაჭირვებულ ოჯახშიც რომ დაბადებულიყო, მიაჩნია, რომ მაინც ისეთივე შრომისმოყვარე იქნებოდა, როგორიც დღეს არის. როგორც თავად ამბობს, საოცრად „ჟილკიანია“, კარგი გაგებით, ამბიციურიც და ისიც იცის, რომ კიდევ მეტს მიაღწევს. ასე რომ, მომღერალი და ფინანსისტი — ჯაბა ქარსელაძე ერთ საფეხურზე გაჩერებას არ აპირებს და მუდმივად განვითარებაზე ფიქრობს... სკოლაში 9 კლასამდე კარგად სწავლობდა, მერე რეპეტიტორებთან მხოლოდ იმ საგნებს მეცადინეობდა, რომელიც უნივერსიტეტში ჩასაბარებლად სჭირდებოდა, ჩაბარების შემდეგ კი სწავლა ძალიან გაუჭირდა, რადგანაც იმ საგნებზე, რომლებიც სკოლაში ნასწავლი არ ჰქონდა, ცოდნის გაღრმავება ვეღარ შეძლო. „მაგრამ თავი გადავდე, ნერვებისა და ჯანმრთელობის ფასად, ძვირი კი დამიჯდა, მაგრამ იმდენი გავაკეთე, რომ რეიტინგით ბიზნესსკოლაში პირველი გავხდი, მაგრამ გაუთავებელმა მეცადინეობამ, გამუდმებულმა ღამეების თენებამ ნერვული სისტემა მომიშალა. დამემართა — კუჭის მწვავე გასტრიტი, ვეგეტონევროზი... მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში უზრუნველი ცხოვრებისთვის ყველანაირი პირობა მქონდა შექმნილი, მიზნის მისაღწევად მაინც რთული გზა ავირჩიე. სირთულეებში ვიწრთობი და ეს მსიამოვნებს. არადა, ვინც შორიდან მიყურებს, ყველას ჰგონია, რომ ია-ვარდით მოფენილი გზა მაქვს. დამიჯერეთ, ბევრი მძიმე დღე გადამიტანია“, — აღნიშნავს ჩემი რესპონდენტი...

— ჯაბა, ახლა როგორ განწყობილებაზე ხარ?

— მიუხედავად იმისა, რომ ცოტა გაცივებული ვარ, მაინც მშვენიერი განწყობილება მაქვს. თან ერთ საათში სტუდენტებთან ლექცია უნდა დამეწყოს და მინდა თუ არა, კარგ განწყობილებაზე უნდა ვიყო.

— სანამ ლექციაზე წახვალ, მითხარი, ზაფხულში როგორ დაისვენე?

— ივლისში, ერთი თვით, ლექტორის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სლოვენიაში, კურსებზე გავემგზავრე. ალბათ იცი, რომ ბიზნესსკოლაში ფინანსებსა და ბუღალტერიას ვასწავლი. ასევე ერთ-ერთი სავაჭრო ქსელის მთავარი ფინანსური ანალიტიკოსი ვარ. ამიტომ წელს სულ რაღაც ერთკვირიანი შვებულება ავიღე და დასასვენებლად თურქეთში, ზღვაზე წავედი.

— მარტო?

— იმისათვის, რომ კარგად დამესვენა, სრულიად მარტო გახლდით. მართლაც რომ შესანიშნავად დავისვენე. თურქეთიდან ახალი შემართებითა და დადებითი ენერგიით აღსავსე დავბრუნდი.

— სხვათა შორის, შენი თურქული ვოიაჟის შესახებ ჟურნალებში საკმაოდ სკანდალური სურათებისა და სათაურების („ვის საცოლესთან ერთად ერთობოდა თურქეთში ჯაბა ქარსელაძე“...) მქონე სტატიები დაიბეჭდა; თურმე იქ ვიღაც თურქ ქალბატონთან რომანი გაგიჩაღებია...

— სანამ თურქეთში წავიდოდი, ერთ-ერთ ჟურნალში პირად ცხოვრებაზე, ჩემი გულახდილი ინტერვიუ დაიბეჭდა. საქმე ის არის, რომ ცხოვრებაში პირველად, ერთი წლის წინ შემიყვარდა. ამ სიყვარულმა საოცარი განცდები მომანიჭა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს სიყვარული გასულ ივლისს დავკარგე, ყველაფერი დასრულდა, რაც ჩემთვის მძიმე გადასატანი იყო.

— რა მოხდა, რატომ გაქრა ასეთი ძლიერი გრძნობა?

— როდესაც ხარ პოპულარული, შეყვარებულისთვის რატომღაც რთული ხდება შენ გვერდით ყოფნა. იმ ადამიანმაც საკუთარ თავში ვერ დასძლია გარკვეული კომპლექსი. ხოლო ის ამბავი, რაც შენ ახლა ახსენე, ჩემს ცხოვრებაში ამის ლოგიკური გაგრძელება იყო.

— რას გულისხმობ?

— როდესაც ადამიანი რაღაცას კარგავს, საკომპენსაციოდ დანაკარგის აღდგენა სჭირდება. ის, რაც თურქეთში მოხდა, უბრალოდ ზაფხულის ფლირტი, გართობა იყო და მეტი არაფერი! ასეთი რამ ბევრი ადამიანის ცხოვრებაში ხდება. ეს არ იყო სერიოზული ურთიერთობა, რომელზეც ადამიანმა იმედის კოშკები უნდა ააგოს...

— ფოტოები ვინ გადაგილო?

— ადგილობრივი ფოტოგრაფები მიღებდნენ. ირგვლივ ქართველებიც, ჩვენი თანაქალაქელებიც იყვნენ... თუმცა მაინც გასაოცარია, ფოტოები პრესაში მანამ გავრცელდა, სანამ მე ვნახავდი მათ. როდესაც ჟურნალ „რეიტინგიდან“ დამირეკეს, თურქეთიდან ორი დღის ჩამოსული გახლდით და სამსახურში ვიყავი, ჟურნალისტმა კითხვები რომ დამისვა. გასაკვირი კიდევ ის იყო, რომ იმ ფოტოებზე, რომელ ადამიანზეც ინტერვიუში მალაპარაკეს, ის გამოსული ჟურნალის გარეკანზე არ აღმოჩნდა. არადა, მეგონა, რომ მათ რეალურად ჩემი მასთან გადაღებული ფოტოები ჰქონდათ ხელში ჩავარდნილი.

— მაშ გვითხარი, ვინ არის „რეიტინგის“ გარეკანზე აღბეჭდილი გოგონა, რომელსაც, რბილად რომ ვთქვათ, ეხვევი...

— ჩემი ახლო მეგობარია. ისე დაემთხვა, რომ თურქეთში დასასვენებლად ჩვენ ერთად აღმოვჩნდით...

— თურქ გოგო, ვისთანაც ფლირტი გქონდა, მართლაც ვინმეს საცოლე იყო?

— ის არაჩვეულებრივი, არათურქული გარეგნობის გოგო გახლავთ (დედა უკრაინელი ჰყავს), ლამაზი ნაკვთები აქვს... არ ვიცოდი, თუ მუსლიმანებს ასეთი ტრადიცია ჰქონდათ, რომ გოგონებს ადრეულ ასაკში ნიშნავდნენ; ამ ტრადიციის თანახმად ისიც თურმე დანიშნული ყოფილა და საქმრო ჰყოლია, მაგრამ მას ჩემთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს. ვიმეორებ, არ ვიცოდი, თორემ იმ კატეგორიის

მამაკაცებს ნამდვილად არ მიეკუთვნები, რომლებიც ქმრიან გოგონებს დასდევენ...

— გეთანხმები, ეს მართლაც არაკაცური საქციელია...

— ბევრი ბიჭი იმით ამაყობს, თუკი ვინმეს საცოლეს „აახევს". ეს მაგარი ბიჭობა ჰგონია. რაც უნდა მონდომებული იყოს გოგო, თუ იცი, რომ მას საქმრო ჰყავს, არ უნდა გაეკარო. ეს ერთი მამაკაცისგან მეორისთვის შეურაცხყოფის მიყენება, მართლაც არაკაცური საქციელია. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს ცოლთან მქონდა საქმე...

— ფლირტი უცხოელთან იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ცოლად უცხოელი გოგონას მოყვანა გინდა?

— ხშირად მითქვამს, რომ მინდა უცხოელი მოვიყვანო ცოლად. ამას საფრანგეთში ცხოვრებისა და ზოგადად უცხოეთში გატარებული წლების, თვეებისა თუ დღეების შემდეგ მივხვდი. ასე რომ, ჩემი მენტალიტეტის მქონე ადამიანს უცხოელი უფრო შეეფერება, ვიდრე — ქართველი გოგონა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა, მე მაინც უცხოელს შევირთავდი ცოლად...

— ის, ვინც ცოტა ხნის წინ დაკარგე, ქართველია?

— დიახ. ის უცხოეთში (ლონდონში) სწავლობს, განათლებული ადამიანია, მაგრამ სამწუხაროდ, მენტალიტეტით ქართველია, რამაც ურთიერთობაში ხელი შეგვიშალა. როდესაც ადამიანები უცხოეთში სასწავლებლად მიდიან, იქ ან იცვლებიან, ან — ვერა; თუმცა მე საფრანგეთში უკვე შეცვლილი წავედი, რადგანაც ბავშვობიდან არაქართულად ანუ განსხვავებულად ვაზროვნებ. იმიტომ კი არა, რომ მაგარი ტიპი ვარ! არა, ეს ჩემში თავისთავად მოხდა. ჩემთვის ბევრი რამ ქართული ტრადიციიდან მიუღებელია.

— მაინც რომელი ქართული ტრადიცია არ მოგწონს და ხასიათის რა შტრიხი გაღიზიანებს?

— ძალიან მაღიზიანებს უსაფუძვლო „ქართული ჭორაობა"; ადამიანს არ იცნობენ და მასზე ისეთ ჭორებს ავრცელებენ, გაგიჟდები. ვერ ვეგუები ქართველების არაინოვაციურ აზროვნებას, როგორც კი რაღაც ახალს ჩაიცვამ და განსხვავებული გამოჩნდები, ამას ცუდად აღიქვამენ. დაახლოებით 7-8 წლის წინ ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ჩვენში დახეული ჯინსი ჩაიცვა. ეს მაშინ ქართული სინამდვილისთვის უცხო ხილი აღმოჩნდა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აქ ადამიანებს სხვისი წარმატება აბორტებთ. როდესაც ხედავენ, რომ წინ მიდიხარ, ყველას უნდა, გადაგეღობოს და ხელი შეგიშალოს. მოკლედ, ძლიერი ადამიანი უნდა იყო, რომ საქართველოში იცხოვრო! საშინლად მაღიზიანებს ქართული ტრადიციული სუფრა. მე იქ ერთ საათზე მეტხანს ვერ ვჩერდები. არის კიდევ ბევრი რამ, რაც ჩემთვის მიუღებელია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. იმას კი არ ვამბობ, რომ ეს ყველაფერი ცუდია, შეიძლება, ცუდი თავად მე ვარ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ვერ ვეგუები და არ ვიღებ მას. უბრალოდ, ვცხოვრობ ჩემი ცხოვრებით. ეს ალბათ იმის ბრალიც არის, რომ დამოუკიდებლად მზრდიდნენ. არ ერეოდნენ ჩემს საქმეებში. თუმცა ჩემმა მშობლებმა იციან, ისე არ მოვიქცევი, რომ ოჯახი შევარცხვინო.

— შენს ცხოვრებაში ნუთუ სულ არავინ ერევა?

— არა. ერთადერთი ადამიანი, ვინც ჩემ მიმართ ყოველთვის კრიტიკულად არის განწყობილი, ჩემი და გახლავთ. ისე, ყოველთვის სამართლიან შენიშვნებს მაძლევს. თუმცა ხშირად მაინც ვერ მიგებს; მიუხედავად იმისა, რომ ერთ ოჯახში გავიზარდეთ, მენტალიტეტი სხვადასხვა გვაქვს.

— ჯაბა, ჯერ მხოლოდ 23 წლის ხარ და ლექტორობისთვის საკმაოდ ახალგაზრდა. არ გიჭირს სტუდენტებთან ურთიერთობა? ადვილად გემორჩილებიან? როგორ მოიპოვე სტუდენტების ნდობა?

— ჩემი, როგორც ლექტორის, კარიერა 2008 წლის იანვარში დაიწყო. თავიდან ლექციებს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ვკითხულობდი. ისე მოხდა, რომ იქ ჩემი თავის რეალიზება ვერ მოვახდინე და წამოვედი. რადგან ბიზნესსკოლის კურსდამთავრებული ვარ და იქაური სწავლების სისტემაც ჩემთვის უფრო ახლობელია, სამუშაოდ კი უფრო რთული, იქ გადავედი.

— რატომ ვერ მოახდინე იქ შენი თავის რეალიზება?

— მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს აქტიურად სცენაზე აღარ ვჩანვარ, ყველა სტუდენტი უფრო მომღერლად აღმიქვამდა, ვიდრე — ლექტორად. საქართველოში რატომღაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება, ადამიანი ერთზე მეტ სფეროში იყოს წარმატებული. არადა, 12 წლის ასაკიდან ოჯახის ბიზნესში ვიყავი ჩართული და ამასთან, ბავშვობიდანვე ვმღეროდი. ჩემს ცხოვრებაში უეცრად არაფერი მომხდარა... სიმღერაში ხალხური ანსამბლიდან დაწყებული ყველა ეტაპი გავიარე, ისევე, როგორც ბიზნესის სფეროშიც.

— მკაცრი ხარ სტუდენტებთან?

— ზოგადად მოსიყვარულე ადამიანი ვარ, ჰოროსკოპით კურო ვარ, კუროები თბილები გახლავართ, მაგრამ ვარ მკაცრიც (სიმკაცრე მამისგან მომყვება). სტუდენტები ურთიერთობაში ვერ წამომყვნენ და ჩვენ შორის კონფლიქტი წარმოიქმნა, რასაც ცუდი ამბები მოჰყვა... უნდოდათ, რომ ძალიან „ჯიგარი" ვყოფილიყავი, მეთქვა: ნუ ისწავლით, ბავშვებო-მეთქი... ასე არ მოვიქეცი...

— მოკლედ, ასაკმა და შენმა პრინციპულობამ უსიამოვნება მოგიტანა, არა?

— კი, პრინციპული ადამიანი ვარ. თუ ვერ დამისაბუთებენ, თუნდაც ეს ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი, მაგალითად, დედა იყოს, პრინციპს არ შევიცვლი, შეუვალი ვარ. თუ დამისაბუთებენ, მაშინ დამჯერი ვხდები.

— სასწავლო წელი უკვე დაიწყო, ახლა რა მდგომარეობაა?

— როგორც გითხარი, ვმუშაობ ბიზნესსკოლაში. ოთხი ჯგუფი მყავს. მეორეკურსელებს ბუღალტერიას ვასწავლი. ძალიან კარგი ბავშვები არიან. ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. სლოვენიაში იმისთვის წავედი, რათა ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ ლექტორობა მართლაც ჩემი საქმეა.

— რა კურსი გაიარე?

— იქ არის სკოლა, რომელიც ახალგაზრდა ლექტორებს ზრდის, სადაც ერთთვიან ინტენსიურ პროგრამას გადიხარ. დილის 8 საათიდან საღამომდე დატვირთული ვიყავი. იქ ლექტორები ყველა ქვეყნიდან იყვნენ, საქართველოდან და ბიზნესსკოლიდან პირველი მე

გახლდით. მოვიპოვე სერტიფიკატი, რომელიც უფლებას მაძლევს, არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში ფინანსები ვასწავლო. ამასთან, უკან მიდგას ორგანიზაცია, რომელიც ჩემს უფლებებს იცავს. მე მათი წევრი გავხდი. რა თქმა უნდა, ბევრი მინუსი მქონდა, მიმაჩნია, რომ ახლაც რაღაც მინუსები მაქვს, იდეალური არავინ არის, მაგრამ იქ ბევრი რამ დამახვეწინეს, მასწავლეს გზები, თავი როგორ უნდა ავარიდო სირთულეებს... ახლა ჩემი ინიციატივით, ბიზნესსკოლაში მთელ კურსზე ბუღალტერიის სახელმძღვანელო გამოვცვალე, რადგანაც მიმაჩნდა, რომ ის წიგნი არ იყო კარგი და უკეთესი ჩამოვიტანე. მაქვს კონტაქტები და კავშირები ჰარვარდის უნივერსიტეტის ლექტორებთან; ვუკავშირდები და ისინიც მიგზავნიან გარკვეულ მასალებს, ტესტებს; სლოვენიაში დავმეგობრდით.

— მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გატაცებით საუბრობ საქმეზე, რომელიც ძალიან გიყვარს, საზოგადოებისთვის ცნობილი მაინც სიმღერით გახდი. რას აკეთებ ამ მიმართულებით?

— სულ ახლახან, ჩავწერე ჯექსონის საკმაოდ რთული სიმღერა, არც კი მეგონა, თუ მას ვიმღერებდი. მიუხედავად ამისა, ორ საათში ჩავწერე, მაგრამ თავად მუშაობის პროცესი იყო ხანგრძლივი. მით უმეტეს, რომ ამ ეტაპზე პედაგოგი არ მყავს. ჩემით, ერთი კვირის განმავლობაში „ნაუშნიკებით“ ვიჯექი სახლში და ვღეროდი. ეს სიმღერა ჯექსონის სიმღერებიდან ძალიან მიყვარდა და სანამ მომღერალი ცოცხალი იყო, მისი ჩაწერის უფლებას თავს ვერ მივცემდი, რადგანაც ამ სიმღერას მასავით ვერავინ იმღერებს.

— მაშ, რატომ იმღერე?

— უბრალოდ, ჩემი ნამღერი განახლებული ვარიანტია, შეცვლილი და ჩემთვის მორგებული, გათანამედროვებული, თან სასიამოვნო მოსასმენია; საქველმოქმედო სიმღერაა, მას ყოველთვის ყველგან უსასყიდლოდ შევასრულებ, განსაკუთრებით ბავშვების გარემოცვაში. სიმღერა მე ყველა გაჭირვებულ ადამიანს მივუძღვენი.

— ჯაბა, ცხოვრებაში კიდევ რისი მიღწევა გინდა?

— ძალიან მინდა ჰარვარდის უნივერსიტეტი დავამთავრო, რადგანაც ვიცი, რომ იქ ისეთ ცოდნას მივიღებ, რომ მსოფლიოს მასშტაბით გზა ხსნილი მექნება. მინდა, ისეთ რამეს მივაღწიო, რომ მომავალში გარანტირებული და სტაბილური ცხოვრება მქონდეს.

— კიდევ რა გინდა?

— მინდა, მქონდეს კარგი ოჯახი, კარგი სამსახური და ვიყო ბედნიერი ადამიანი. მეტი არაფერიც არ მინდა! არანაირი ამბიცია არ გამაჩნია, არც პოლიტიკური და არც ბიზნესში. ასევე მინდა, სიმშვიდე, რაც ყველაზე ძვირფასი განძია ჯანმრთელობასთან ერთად... ■

„მოტორიანი“ ქართველი, პოლიტიკური მომღერალი

და როგორ „გაათხოვეს“ ეკა კვალიაშვილი რუს მილიარდერზე

მომღერალი ეკა კვალიაშვილი ყველგან „საქმიანად დადის“, პარალელურად — გართობასა და დასვენებასაც ახერხებს. რუსეთში 6-თვიანი ვიზიტის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებული მომღერალი მალე აზერბაიჯანში გაემგზავრა, მაგრამ იქ მდიდრულ ვილაში „კუდგაფხორილი ფარშავანგივით“ ცხოვრებას იქაურ მეგობრებთან ყოფნა არჩია... როგორც იქნა, დასვენებული და შემოქმედებითი გეგმებით აღსავსე ეკა კვალიაშვილი შინ „დავიჭირე“. სხვა თემებთან ერთად, ეკა რუს ოლიგარქზე „გათხოვებაზეც“ მესაუბრა: 17 წლით უმცროს მილიარდერ „ქმარს“ მომღერალი კარგად გაუმხიარულებია, ბოლოს კი „კარგადაც“ გაბრაზებულა „ახალდაქორწინებული წყვილის“ შესახებ ჟურნალ-გაზეთებში გავრცელებული ინფორმაციის გამო...



ეთო ყორღანაშვილი

— 2 თვეა, რაც რუსეთიდან დავბრუნდი, მაგრამ სახლში ძალიან ცოტა ხანს ვიყავი: ბათუმში — სოლო, გურიაში კი „ნაკრები“ კონცერტები მქონდა. ჩემთან ერთად, გურიაში ნუგზარ კვაშალი, ვახო ტატიშვილი, ბესო კალანდაძე, ნანა ცინცაძე იყვნენ. აი, ასეთ „გიჟებში“ და „გადარეულებში“ მოვხვდი მეც — ნახევრად „გიჟი და გადარეული“: „მოტორიანი“ ქართლელი ვარ, მაგრამ დედით მეც გურული გახლავართ (*იცინის*). მოკლედ, ლანჩხუთში კარგად ვისიამოვნე.

— კახეთში გამგზავრებასაც აპირებდით...

— მოულოდნელად ავად გავხდი: ზონარივით გადაკიდებული ვიყავი — ვიწექი და ვერ ვინძრეოდი, ამიტომ კახეთს ველარ ვესტუმრე. ჩემი ქვეყანა ძალიან მომენატრა. მინდოდა, საქართველოს თითოეული კუთხე მომენახულებინა, მაგრამ სამწუხაროდ, ბუნების სტიქიამ ხელი შემიშალა.

— რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, მალე ბაქოში გაემგზავრეთ. ეს საქმიანი ვიზიტი იყო აზერბაიჯანში?

— რა თქმა უნდა, მე ყველგან „საქმიანად“ დავდივარ (*იცინის*): ბაქოდან შოუბიზნესის საკმაოდ გავლენიანი წარმომადგენლებისგან მიწვევა მივიღე. გავემგზავრე და დასვენებაც მოვახერხე. მართალია, მდიდრულ ვილაში ცხოვრება შემომთავაზეს, სადაც ყველაფერი ჩემს განკარგულებაში იქნებოდა, მაგრამ „ძაან ფარშავანგივით“ ცხოვრებას, მეგობრებთან ყოფნა ვარჩიე — მათთან უფრო „გემრიელად“ ვარ ხოლმე.

— ბაქოში, თქვენი სამეგობრო წრის შესახებ მიამბეთ.

— 2000 წელს, იალტაში ჩატარებულ „ტელეკინოფორუმზე“ საქართველოს წარმომადგენელი ვიყავი. იქ აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ, რომლებთანაც დღემდე ვმეგობრობ. ბაქოში უკვე ნათლულებიც მყავს (*იცინის*)... წელს აზერბაიჯანში კარგად დავისვენე და ენერგიით ავივსე: ბაქოდან 40 კმ-ის მოშორებით, ნარდარანში ჩემს ნათლულს — მატანას აგარაკი აქვს. მატანა ინტერიერის დიზაინერია და იქაურობა საკუთარი გემოვნებით აქვს მოწყობილი. ფანტასტიკური გარემო იყო: სახლი ულამაზესი ეზოთი, აუზით, ფანჩატურით, ბარით... დილით ტრადიციულად, წყალში გახსნილ 1 კოვზ თაფლს და ლიმონის წვენს მივირთმევდი, შემდეგ მხარზე პირსახოცგადაკიდებული გავდიოდი და პირდაპირ „ბასეინში“ — ბრახ!.. აუზში „ვიღვიძებდი“ (*იცინის*). საღამოობით მეგობრები გვსტუმრობდნენ: სუფრა იშლებოდა, ვხ-

უმრობდით, ვმღეროდით... ძალიან კარგი იყო! ცხოვრების აქტიური რიტმი მიყვარს, პასიურობა მღლის...

— ხშირად გქონიათ ასეთი პერიოდი — პასიური ცხოვრება მელანქოლიური ფიქრებით?

— მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. დეპრესიული განწყობილება რამდენიმე საათს გასტანს ხოლმე, მერე ისევ მეგობრების წრეში „გამოვდივარ“.

— ეკა, მოსკოვიდან რატომ დაბრუნდით?

— იქ მეტხანს ვეღარ გავჩერდებოდი. ჩემს ქვეყანაში მაშინ უნდა გამოვემგზავრო, როცა მომინდება. იქ ყველაფერი სხვაგვარადაა „გაწერილი“. ამიტომ კონტრაქტებზე უარი ვთქვი, რადგან ერთი 2-წლიანი იყო, მეორე — 3-წლიანი. ალბათ, ამ ინტერვიუს ბევრი წაიკითხავს და იფიქრებს, — ჭკუა არა აქვს ამ გოგოსო, — მაგრამ ჩემს ადგილას რომ იყვნენ, ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზს მიხვდებოდნენ...

— მოსკოვში როგორ ცხოვრობდით?

— ცხოვრების იქაური რიტმი ბევრად უფრო სწრაფი და დამღლელია, ვიდრე — თბილისური. ჩემი საქართველო ყველას მირჩევნია (*იღიმება*)... რუსეთში მშვენივრად ვცხოვრობდი. მოსკოვი ძალიან მენატრება, მაგრამ ისე ძალიან — არა, როგორც თბილისი მენატრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს მოსკოვი გულში გიხუტებს, გეფერება...

— ეს თქვენ „გიხუტებთ გულში“, ალბათ.

— არა, სხვათა შორის, ქართველებთან რუსებს ნორმალური ურთიერთობა აქვთ. ჩვენ პოლიტიკას არ ვეხებით და არც ამ სფეროში მოღვაწე ხალხთან საქმის დაჭერის სურვილი გვაქვს. შარშან ზაფხულში, ვიდრე ომი დაიწყებოდა, რუსულენოვან მწერალთა ფესტივალზე ალბომი — „ია ჟენშინა“ — გამოვუშვი, რომელიც რუსეთ-საქართველოს დაძაბულ ურთიერთობას მივუძღვენი. ფესტივალზე იმყოფებოდა ნიკარაგუის ელჩი რუსეთში, რომელსაც თავად რუსები „წამოაძახებდნენ“ ხოლმე აგრესიულად: როგორ იყო, შენმა ნიკარაგუამ რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად რომ აღიარაო?! ჩემი ქვეყნის ერთიანობას ყველამ პატივი უნდა სცეს. ვინც ასე არაა განწყობილი, ის ჩემს პატივისცემას ვერ დაიმსახურებს, მაგრამ აგრესიას აგრესიით არასოდეს ვუპასუხებ — სიყვარულზე, სიკეთეზე ვიმღერებ. პოლიტიკას არასოდეს შევეხები, რადგან ეს ჩემი საქმე არ არის... ალბათ, დეკემბრისკენ ისევ მოსკოვში გავემგზავრები.

— მოსკოვში ყოფნისას, რუსეთის შოუბიზნესში მოღვაწე ქართველებს ხშირად ხვდებოდით?

— თითქმის — ყოველდღე. აი, ახლა ქეთას ნაჩუქარი სამაჯური მიკეთია, რომელიც მან დაბადების დღეზე მომართვა. მართალია, ქეთა თოფურიას ხშირად ვერ ვხვდებოდი, რადგან „ასტუდიო“ სულ „გადარბენაზეა“, მაგრამ სამაგიეროდ, აჩი ფურცელაძე შეიძლება ითქვას, რომ ჩემს სახლში „ცხოვრობდა“ (*იცინის*)...

— რუსეთში ყოფნისას, თქვენზე ჭორებიც ვრცელდებოდა. მახსოვს, ერთხელ რუს მილიარდერზეც „გაგათხოვეს“.

— უიმე, ნეტავ, მილიარდერზე გამათხოვონ და მეტი არაფერი მინდა, მისი მისამართი მაინც მომცენ (*იცინის*). ისე, კარგია, რომ მილიარდერი მაინც „გაიმეტეს“. თავდაპირველად, ამ ჭორზე ბევრი ვიცინე, მაგრამ მერე ძალიან ზედმეტი მოუვიდათ. ამიტომ რამდენიმე ჟურნალთან მიცემულ ინტერვიუში მკაცრად ვილაპარაკე.

— ჭორები იქით იყოს და რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში — გათხოვებას არ აპირებთ?

— გათხოვებას არ ვაპირებ. ჩემს პირად ცხოვრებაზე საუბარი არ მინდა — ამის შესახებ მხოლოდ მოძღვარს ვუყვები. საერთოდ, ცხოვრებაში თუკი რამე სიკეთე მეძლევა, ყველაფერი უფლისგან მოდის, რისთვისაც მადლობა ღმერთს. სამწუხაროდ, ადამიანები ისე ვერ ვცხოვრობთ, როგორც „სჯულის კანონი“ მოითხოვს... როცა რამე ახალს ვაკეთებ, მაშინვე პატრიარქთან მივდივარ. 3 წლის წინ, ანსამბლ „ალილოსთან“ ერთად საგალობელი ჩავწერე და მაშინვე პატრიარქს წავუღე. მან აკურთხა და „საქართველოს დიდება“ დაარქვა. იმედია, ამპარტავნობაში არავინ ჩამითვლის, თუკი ვიტყვი: ღვთის რჩეული გავხდი, რომ აღნიშნული სიმღერა სწორედ მე შევქმენი. შეუცნობელია უფლის ყოველი გზა. პრინციპში, მხოლოდ კალამი და ხელი მეკუთვნოდა მე, შთაგონება სულ სხვა რაღაც იყო...

— მოდი, თქვენს გოგონაზე — ნუკაზეც ვისაუბროთ. როგორი ურთიერთობა გაქვთ დედა-შვილს?

— მე და ნუკატოს „დაქალოჩკური“ ურთიერთობა გვაქვს. ნუკა ჩემგან აბსოლუტურად განსხვავდება: ძალიან, ძალიან „კულუარული“ ტიპია, პოპულარობა არ უყვარს — საქმეს თავისთვის აკეთებს. ძლიერი გოგონაა და ცხოვრებაში საკუთარი პრინციპები აქვს. ბოლო დროს, ფოტოგრაფიამ სერიოზულად გაიტაცა, ფოტომოდელობის საოცარი ნიჭი აქვს: საკუთარ თავს ისეთ სურათებს უღებს, რომ შეიძლება, გამოცდილმა ფოტოგრაფმაც კი ვერ მოიფიქროს (*იცინის*). ახლა მინდა, რომ პროფესიონალური ფოტოკამერა ვუყიდო. სხვათა შორის, კარგად ხატავს, ტექნიკაში ერკვევა, ფანტასტიკურად მღერის... ჯერჯერობით, სამხატვრო აკადემიის კოლეჯში სწავლა აირჩია და მერე რას მოიფიქრებს, ვნახოთ.

— დაბოლოს, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ქართულ შოუბიზნესს სიცოცხლის რამე ნიშანწყალს თუ ატყობთ?

— მსგავსი არაფერი შემინიშნავს. ზაფხულის სეზონმა უკვე ჩაიარა და ბათუმში კონცერტები გაიმართა, მაგრამ თბილისში არაფერი ხდება, ვიდრე პოლიტიკური არჩევნები არ დაიწყება. რომ დავუკვირდი, სულ საარჩევნო კონცერტები ტარდება, რომლებშიც მონაწილეობა არასოდეს მიმიღია. ზედმეტი 2 „კაპიკი“ არავის აწყენს, მაგრამ მე ჩემი პრინციპები მაქვს, რომლებსაც არ ვღალატობ. ასეთი ვარ და რა ვქნა?! საკუთარ ცხოვრებას ყველა თავად განკარგავს. ■

„მზითვიანი“ სიძე და მეგრელი რძლით

მოხიბლული დედამთილი



დიდი ხანი არაა, რაც ახალგაზრდა მომღერალი — თიკა ჯამბურია პარლამენტის ყოფილი წევრისა და ბიზნესლედის — ხათუნა ხოფერიას რძალი გახდა: თიკასა და 19 წლის ბექა ხოფერიას 4-წლიანი სიყვარულის ამბავი ახლახან ლამაზი ქორწილით დაგვირგვინდა. ქალბატონ ხათუნას პოპულარული, ლამაზი, ნიჭიერი და რაც მთავარია, მეგრელი რძალი ძალიან მოსწონს. დედამთილის მიერ თიკას პირველი შეფასებები დადებითია, თუმცა ახალ რძალს ქალბატონი ხათუნას სამეგობროსგანაც ელის „გამოცდა“, რაც არცთუ ისე იოლი საქმე ყოფილა...

„ოჯახის შექმნისას, თიკამ კარგი არჩევანი გააკეთა

ეთო ყორღანაშვილი

— ბექამ და თიკამ ქორწილი ერთ-ერთ ახალგახსნილ სასტუმროში გადაიხადეს, სადაც „ქორწინების ხაზი“ ახალი პროექტია. სასტუმროსთვის ხელსაყრელი იყო, რომ პირველი მექორწილე ცნობილი სახე ყოფილიყო. ამიტომ ანგარიში გაგვიწიეს და ხარჯი ჩვენს ბიუჯეტს ძალიან მძიმედ არ დასწოლია. ქორწილამდე არც თიკას კაბა მინახავს და არც ჩემი ბიჭის სმოკინგი. ბექამ კოსტიუმი ავთანდილ ცქვიტინიძესთან შეიკერა. რამდენჯერმე დამირეკა და მისვლა შემომთავაზა, — არ გაინტერესებს, როგორ გამოვიყურებიო? — მაგრამ თავი შევიკავე. მინდოდა, შვილის ქორწილის დღეს ძალიან ბედნიერი ვყოფილიყავი, ბედნიერებას კი ცალკეული ეფექტები ქმნის: ჯერ ჩემთან შეიკრიბნენ ბექას მეჯვარეები და მეგობრები, მერე ულამაზეს თიკას მიაკითხეს. შემდეგ კი ყველა ის ადამიანი მოვიდა სტუმრად, ვინც მიყვარს და პატივს ვცემ... ჯვარი ქაშუეთის ეკლესიაში დაიწერეს, იქ, სადაც ბექა სტიქაროსანია. ისმოდა „მრავალჟამიერი“ და ზარები რეკდნენ. თიკას 3 მეჯვარე ჰყავდა: ნინი ქარსელაძე, სალომე წვერაიძე და თიკო ბოლქვაძე. ჩემი შვილის მეჯვარეები ბექას ბავშვობის მეგობრები იყვნენ: გიორგი გულუა (გენერალ გია გულუას ვაჟი), ვატო ჩიხრაძე, თოკო თარხნიშვილი და რეზო ადამია.

— საქორწილო სამზადისში არ ჩარეულხართ?

— ყველაფერი ქორწილის დღისთვის შემოვინახე — წინასწარ თითქმის არაფერი ვიცოდი. ერთადერთი, რაზეც ვნერვიულობდი, ის იყო, რომ სტუმრებს ქართული ტრადიციული კერძები ძალიან უყვართ, სასტუმროს მენიუ კი აბსოლუტურად განსხვავებული იყო. ბერძენმა შეფ-მზარეულმა ჯორჯმა დამამშვიდა: ქართული კერძები აუცილებლად იქნება, ოღონდ — ჩემ მიერ „შეფუთულიო“.

— თიკა და ბექა ქორწილისთვის როგორ ემზადებოდნენ?

— მეჯვარეებთან ერთად, ცეკვაზე დადიოდნენ (*იცინის*). ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: ბექამ ცეკვა არ იცოდა — მთელი ცხოვრება ფეხბურთს „გადავაკვდით“. 17 წლის ასაკში საფრანგეთიდან მიწვევა მიიღო, მაგრამ რატომღაც, საელჩომ „დაბლოკა“. ახლა ცეკვაში მომზადება რომ დაიწყო, მასწავლებელს უთქვამს, — თუ გინდა, ცეკვის წრეზე კიდევ იარე და ერთ-ორ თვეში ანსამბლში „ჩაგსვამთ“, ისეთი ნიჭიერი ხარო. ამის გამო, გული ძალიან დამწყდა, რადგან ალბათ, რაღაც მომენტში, ბექას ეს ნიჭი „გავატარე“ — არადა, ხომ შეიძლებოდა, კარგი მოცეკვავე გამხდარიყო? დღეს სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობს. ძალიან წესიერი ბიჭია, რაც ჩემთვის უმთავრესია.

— ბექას გარდა, კიდევ გყავთ შვილი?

— დიახ, უფროსი ვაჟი — რეზო იურისტია. მას ცოლი და 2 შვილი ჰყავს. ასე რომ, უკვე „ორგზის“ ბებია ვარ (*იცინის*). ნათქვამია, — შვილები არის გზა მთავარი მიზნისკენ, ცხოვრების მიზანი კი შვილიშვილებიაო. ერთი შვილის მხრიდან მიზანს მივაღწიე. ახლა შვილიშვილებს ბექასგანაც ველი და მერე უკვე მივიჩნევ, რომ ჩემი ცხოვრების მიზანი შესრულებულია! ჩემს უმცროს ვაჟსა და თიკას ჯერ თავისი საქმეები აქვთ, მერე კი სავალდებულოცაა, ბავშვზე იფიქრონ, რადგან ორივე მათგანი ძალზე ლამაზია (*იღიმება*). საერთოდ, ნაკლებად მაინტერესებს, თუ როგორი დამოკიდებულება ექნებათ რძლებს ჩემ მიმართ, მთავარია, ჩემი შვილები უყვარდეთ. მანჩოსაც და თიკასაც მეუღლეები ძალიან უყვართ, მე კი სხვა პრეტენზია არ მაქვს.

— როგორ დაიწყო თიკასა და ბექას ურთიერთობა?

— დიდი ხანია, რაც თიკას მამასთან ვმეგობრობ: პოლიტიკაში ჩემი აქტიური მოღვაწეობის პერიოდში, გუჯა ჯამბურია საკმაოდ ცნობილი გენერალი იყო — სამეგრელოში. სამხარეო პოლიციის უფროსი გახლდათ. მომავალ რძალს ვიცნობდი, რადგან პოპულარული მომღერალია და თან, ვიცოდი, რომ გუჯას ქალიშვილი გახლდათ. ბექას და თიკას ურთიერთობის შესახებ, დეტალური ინფორმაცია არ მქონია, მაგრამ მათი სიყვარულის ამბავი მაშინვე გავიგე. ერთ დღეს ჩემმა ვაჟმა მითხრა: — დე, იცი, მე ახალი შეყვარებული მყავს — თიკა ჯამბურია მიყვარსო. ვუპასუხე: — ძალიან კარგი-მეთქი, — რადგან მინდოდა, რომ მეორე რძალი მეგრელი მყოლოდა, პირველი — რაჭველია (*იცინის*).

— როგორც მივხვდი, შვილებთან „გახსნილი“ ურთიერთობა გაქვთ. ბექას ყველა შეყვარებულზე ფლობდით ინფორმაციას?

— ყველაზე! მშვენიერი ბავშვები იყვნენ. საერთოდ, ბექას ძალიან კარგი სამეგობრო ჰყავს. მათთან მეც ვმეგობრობ. ზაფხულში, წყნეთში „კარტსაც“ ვთამაშობთ ხოლმე და ბევრისთვის სამაგიეროც მაქვს გადასახდელი. მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით მათ შევუთვალო: სკამის ქვეშ რომ გამაძვრინეთ, ვალი ჯერ კიდევ დასაბრუნებელია (*იცინის*).

— ვიდრე ბექა თიკას გულს მოინადირებდა, ალბათ, რჩევებსაც გეკითხებოდათ...

— დედა-შვილის ურთიერთობაში ყველაზე ცუდი ისაა ხოლმე, როცა დედა შვილს ზედმეტ რჩევებს აძლევს. ზოგჯერ ბექას თიკასთვის საჩუქრის შერჩევისას ჩემი აზრი გაუთვალისწინებია ან როცა ნაჩხუბრები იყვნენ, ჩემი შვილისთვის მითქვამს, რომ ჯობდა, ერთი-ორი დღის განმავლობაში თავი შეეკავებინა, რადგან შეყვარებული ძალიან გაბრაზებული იყო... ამ ყველაფერს რჩევა-დარიგების სახით არ ვეუბნებოდი, რადგან ასეთ შემთხვევაში, შეიძლებოდა, ჩემი სიტყვები ცუდად გაეგო.

— რაზე კამათობდნენ შეყვარებულები?

— 4 წლის განმავლობაში, ალბათ ყველაფერზე იკამათეს. დაწვრილებით არ ვიცი და ამისთვის ყურადღება არც მიმიქცევია: როცა იცი, რომ წყვილს ერთმანეთი უყვარს, გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის გრძნობა იმარჯვებს, მით უმეტეს — მათ ასაკში.

— ცოტა არ იყოს, ადრეულ ასაკში შექმნეს ოჯახი.

— ...უფროსი ბიჭი 17 წლის იყო, ცოლი რომ შეირთო და ეს ჩემთვის მოულოდნელი გახლდათ. მადლობა ჩემს რძალს — მანჩოს, რადგან ამდენი წლის განმავლობაში, ოჯახი შეინარჩუნეს. მან და რეზომ ერთად ბევრი პრობლემა გადალახეს, ბევრი რაღაც აპატიეს ერთმანეთს... დიდი იმედი მაქვს, რომ ბექა და თიკაც შეძლებენ, მათსავით ლამაზად იცხოვრონ.

— თიკას და ბექას ნიშნობა 7 აგვისტოს შედგა. ეს თარიღი რატომ აირჩიეთ?

— ვფიქრობ, ახალგაზრდებმა ოჯახები სწორედ ასეთ მძიმე დღეებში უნდა შექმნან, ჩვენი ქვეყნის მტრების გულის გასახეთქად. ტაშ-ფანდური არ გაგვიმართავს. თიკას გასტროლი ჰქონდა. წყვილს გამგზავრება ერთად სურდა. ამიტომ გადავწყვიტე, ფორმალური მხარე მომეგვარებინა. თიკას დედას ვესაუბრე და ვუთხარი: თქვენთან ოჯახში მოსვლას და გოგონას დანიშვნას ვაპირებთ-მეთქი. იმ დღეს „რუსთაველი“ გადაკეტილი იყო, თიკა კი „რუსთაველზე“ ცხოვრობდა. ამიტომ შეხვედრა რესტორანში შედგა. თიკას ხელი ოფიციალურად ვითხოვეთ და ქალი წამოვიყვანეთ (*იცინის*).

— მზითვიანი რძალია თიკა?

— თიკა თვითონ მზითვია, მაგრამ რაც მთავარია, სიძეა „მზითვიანი“ (*იცინის*).

— ახალდაქორწინებული წყვილი ცალკე ცხოვრობს?

— დიახ. ჩემს უფროს ვაჟს ბებიამ პატარა ბინა აჩუქა. დღეს რეზო ჩვენს ძირითად ბინაში ცხოვრობს ოჯახთან ერთად, ბებიის ნაჩუქარ ბინაში კი თიკა და ბექა ცხოვრობენ. პრინციპში ახალდაქორწინებულებს მთლად ცალკე ცხოვრება არ უწევთ, რადგან არც მე ვასვენებ ბექას და არც თიკას ასვენებენ თავისი მშობლები — ხშირად ვსტუმრობთ (*იცინის*). დედამთილის მიერ რძლის პირველი შეფასება თუ გაინტერესებთ, ვიტყვი, რომ რამდენჯერაც თიკას ვესტუმრე, ახალი რძალი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა: როგორი ლამაზიც თავადაა, სახლიც ასე ლამაზად აქვს მოწყობილი. საოჯახო საქმეებს ისე უძღვება, როგორც ქართველ მანდილოსანს შეჰფერის.

— ახალი რძლის მიერ მომზადებული კერძები თუ გაგისინჯავთ?

— უიმე, ძალიან გემრიელ რაღაცებს ამზადებს! ჯერ ერთი, თავად გურმანია — ხომ ემჩნევა ხოლმე ხანდახან, როცა სუქდება (*იცინის*)! კერძების დაგემოვნება მე და ჩემს შვილსაც ძალიან გვიყვარს. თიკა უგემრიელეს სალათებს ამზადებს — კარგი ხელი აქვს. შემწვარ-მოხრაკულის მომზადებაზე ჯერ არ გადასულა, მაგრამ ალბათ, ამასაც მალე ისწავლის. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკით ძალიან აქტიურად ვიყავი დაკავებული, საახალწლო სუფრისთვის ყოველთვის თავად ვზრუნავდი. საღამოდ „პასკებს“ ყოველთვის თავად ვაცხობ, თან — დიდი რაოდენობით, ნათესავებსაც რომ გავუგზავნო ხოლმე. ეს ერთგვარი ოჯახური ტრადიციაა, რომელსაც რძლებსაც ვასწავლი. ბოლო 2 წელია, რაც მანჩო აქტიურად მეხმარება. მალე თიკაც შემოგვიერთდება, მე კი ფეხს ფეხზე გადავიდებ და ვუყურებ, როგორ იზრუნებენ რძლები სადღესასწაულო სუფრისთვის კერძების მომზადებაზე (*იცინის*).

— თქვენი პირველი რძალი რას საქმიანობს?

— ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ რადგან 17 წლის ასაკში გათხოვდა და 2 შვილიც ჰყავს, ჯერ არსად უმუშავია. ნიჭიერი, დიდი შინაგანი კულტურის მქონე პიროვნებაა. ალბათ, პატარა ნიკოლოზი რომ წამოიზრდება, მანჩო თავის კარიერასაც მიხედავს. დედამთილი ვარ და არ მინდა, სუბიექტური ვიყო, მაგრამ თავად ჩემი მეგობრები ამბობენ ხოლმე, — ნეტავ, ჩვენც ასეთი რძალი შეგვხვდესო...

— თქვენი მეგობრები თიკაზე რას ამბობენ?

— მანჩომ მათგან შეფასება გათხოვებიდან 5-6 წლის მერე დაიმსახურა — ეს საქმე ასეთი იოლი კი არაა (*იცინის*)! თიკა პოპულარულია და ყველას ძალიან უყვარს — სიმღერით, გარეგნობით... მალე უფრო ახლოს გაიცნობენ და შეაფასებენ. თიკას რომ ვუყურებ, ზოგჯერ მისი მშურს კიდეც: ასაკით პატარაა და უამრავ საქმეს ართმევ თავს. ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგანად ძლიერი პიროვნებაა. ოჯახის შექმნისას თიკამ კარგი არჩევანი გააკეთა, რადგან ჩემი შვილი ყოველთვის მიჩვეული იყო, რომ მე დაკავებული გახლდით და იყო რაღაც, რაშიც ჩემთვის ხელი არ უნდა შეეშალა. ბექა ცოლს არასდროს ეტყვის: სად მიდიხარ, ქალო, საჭმელი გააკეთეო (*იცინის*)! ის მეუღლეს კარიერის გაკეთებაში ხელს შეუწყობს.

— კიდევ ერთხელ ვულოცავთ თიკას და ბექას გაბედნიერებას!

— დიდი მადლობა ჟურნალ „გზას“ და ზოგადად, ქართველ ჟურნალისტებს, რომლებიც ამ ახალგაზრდა წყვილით დაინტერესდით — ეს მათვის დიდი სტიმულია! ■

ვფიქრობ, ახალგაზრდებმა ოჯახები სწორედ ასეთ მძიმე დღეებში უნდა შექმნან

„ჩემი ოჯახის დანგრევას სხვას ვერ დავაბრალებ“

ტელესერიალ „ჩვენი ოფისის“ მსახიობი თაკო აბაშიძე, წინა სეზონის დასასრულს, სერიალში ცოლად შონზოს პერსონაჟს გაჰყვა. იმ გადაღებისთვის რომ ემზადებოდა, ერთ-ერთი სილამაზის სალონიდან, საპატარძლო კაბით გამოვიდა. იმ ქუჩაზე კი თურმე მოძრაობა შეწყდა, მანქანები ჩერდებოდნენ და მას გაბედნიერებას ულოცავდნენ. მერე ნათესავები ურეკავდნენ, მგონი, დაგადგა საშველიო. არადა, თაკო ჯერ არ გათხოვილა. მის ცხოვრებაში არსებობს ადამიანი, რომელზეც ფიქრობს, მაგრამ როგორც თავად ამბობს, ჯერ კიდევ დიდხანს უნდა იფიქროს, რომ მსგავსი შეცდომა არ დაუშვას, რაც 17 წლის ასაკში. ერთი კი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, მისი ქმარი ვერასდროს გახდება ადამიანი, რომელსაც ცხოველები არ უყვარს. თაკოს ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და კუს გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ახლახან ზაზუნა მოუკვდა და ძალიან განიცადა. შევეცადეთ, მისი ფსიქოპორტრეტი შეგვექმნა.

ნინო მჭედლიშვილი

— **თაკო, მოდი, საუბარი შენი ბავშვობიდან დავიწყოთ.**

— საშინელი ბავშვი ვიყავი, მე რომ მყავდეს ისეთი შვილი, მისი აღზრდა ძალიან გამიჭირდებოდა. საოცრად სწრაფი ვიყავი, ისე დავრბოდი, ვხტუნავდი და ვცოცავდი, რომ თვალს ვერც მაყოლებდნენ. დედა იხსენებს, რომ ერთხელაც 6 თვისა დივანზე დამტოვა და უკან დაბრუნებულს თურმე ფეხზე წამომდგარი და დივნის საზურგეს ჩაჭიდებული დავხვდი, გავდი-გამოვდიოდი. ამის შემხედვარე დედა ცუდად გამხდარა... ძალიან პატარა ვიყავი, ტანვარჯიშის წრეზე რომ შემიყვანეს, რამაც კიდევ უფრო აუტანელი გახადა ჩემი მშობლების მდგომარეობა. ავძვრებოდი ხეზე, ჩამომიყვანდნენ და სანამ სულს მოითქვამდნენ, შეიძლებოდა, ღობეზე ავბობღებულიყავი. გარდერობის თავზეც მიყვარდა ასვლა. ერთი სიტყვით, ძალიან ენერგიული ვიყავი. ახლაც ასეთი ვარ, თუმცა ხეებზე აღარ დავძვრები (*იცინის*). ამასთან, პრეტენზიულიც გახლდით. დედას ავუტყდებოდი, ეს კერძი გამიკეთე-მეთქი. ისიც რომ მომიმზადებდა, მერე ვეტყოდი: არ მინდა-მეთქი. ეს რომ ჩემმა შვილმა გამიკეთოს, ხომ მოვკალი?! ბევრი შვილის ყოლას ვაპირებ და დარწმუნებული ვარ, ერთი მაინც დამემსგავსება...

— **დედისერთა ხარ?**

— არა, უფროსი ძმა მყავს. მაგრამ მშობლები მაქსიმალურად მათამამებდნენ, სანამ თავხედობაში არ გადამივიდა ეს ყველაფერი. თუმცა, საქმე თავხედობამდე არ მისულა.

— **ვისი რიდი და შიში გქონდა?**

— არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ „შიში შეიქმს სიყვარულსა“. ისე, მორიდებული მამასთან უფრო ვარ. საერთოდ კი მშობლებთან ვმეგობრობდი და ასეა დღესაც. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ, როცა რაიმეს დავაშავებდი და მკითხავდნენ, ვინ გასწავლაო, მამას ვაბრალებდი. ერთხელ, სტუმრად ვანელი კაცი გვყავდა, ჩვენი ოჯახისთვის დიდად პატივსაცემი ადამიანი იყო. 4 წლის ვიქნებოდი, სასტუმრო ოთახში ჩემი პატარა ველოსიპედით შემოვვარდი და ყვირილი დავიწყე, — როგორც „მოსკვიჩი“ არ ვარგა ტაქსად, ისე ვანელი კაცად არ ვარგა-მეთქი, — ირგვლივ წამიერი დუმილი გამეფდა.

— **საიდან მოიტანე ეს სიტყვები?**

— არ მახსოვს, ალბათ ვიღაცამ თქვა და მეც ავითვისე. მთავარი მერე მოხდა, ამ კაცმა დამიძახა და ღიმილით მკითხა, ვინ გასწავლაო. მამამ-მეთქი, — ვუპასუხე. არადა, მამაც იქ იყო. იმის მერე არაფერი მახსოვს და ვერ გავიგე, გამთიშეს თუ რა მოხდა (*იცინის*).

— **ისეთი პერიოდი გქონია, როცა მშობლები მტრად მიგაჩნდა?**

— არა, ძალიან თბილ და მეგობრულ ოჯახში გავიზარდე, არაფერს ვაკეთებდი ისეთს, მშობლებს ჩემთვის რომ აეკრძალათ.

— **როგორი მოსწავლე იყავი?**

— კარგი. მრცხვენია, მაგრამ მათემატიკის მასწავლებელმა ერთხელ ორიანიც კი გამომაყოლა. ვაღიარებ, რომ არ ვიცი ეს საგანი. ჩემი მასწავლებელი, გურამ ოთინაშვილი ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, ძალიან კარგად იცნობდა ბიძაჩემის ოჯახს. რომ გაიგო, ვისი ძმისშვილიც ვიყავი, მითხრა, ხუთიანს დაგიწერ, ოღონდ გაკვეთილზე არ შემოხვიდე და არ იმღეროო.

— **გაკვეთილებზე მღეროდი?!**

— სკოლის პარალელურად სიმღერაზე დავდიოდი, წინადღეს ნასწავლი სიმღერა ამეკვიატებოდა და მერე გაკვეთილზე ვმღეროდი. მათემატიკის მასწავლებელი ბევრს მითმენდა. საწყალი, გარდაიცვალა, კარგი ადამიანი იყო. სულ ორიანები არ მყავდა, მაგრამ ოთხიანს რომ მივიღებდი, დავფრინავდი.

— **მოდი, შევამოწმოთ შენი ელემენტარული ცოდნა მათემატიკაში. მითხარი, რას უდრის სამისა და შვიდის ნამრავლი.**

— 21-ს.

— **აბა, არ ვიცი?**

— ახლა მარტივი მკითხე და იმიტომ გიპასუხე, ცხრაჯერ ცხრა ოთხმოცდაერთია, მაგრამ გამრავლების ტაბულა ბოლომდე არ ვიცი. ისეთი ახტაჯანა ვიყავი, სად მეცალა მაგის სასწავლად, პირველ კლასში რომ ვსწავლობდი, იმ პერიოდში ჩემი ძმა მამას დავით თევზაძესთან, კარეტეზე დაჰყავდა. ერთ დღესაც, როცა მე და მამა ჩემი ძმის გამოსაყვანად მივედით, ვარჯიში ჯერ დასრულებული არ იყო. კარი შეღებული დარჩენიათ და შიგნით ვიჭყიტებოდი: დავინახე, რომ ვიღაც გოგო „შპაგატში“ ვერ ჯდებოდა. მაშინ, ხომ გითხარით, ტანვარჯიშზე დავდიოდი-მეთქი, აღვშფოთდი, მამაჩემი გვერდით გავწიე, შევვარდი დარბაზში და „შპაგატში“ ჩავჯექი. გაგიჟდა პედაგოგი, გამოვიდა და მამაჩემს უთხრა: შემოიყვანეთ ჩვენთან, მისგან კარგი კარატისტი დადგებაო.

— **არ მითხრა ახლა, რომ კარატეზე დაიწყე სარული.**

— (*იცინის*) ძალიან მინდოდა, მაგრამ მამა კარატეზე არ შემიყვანდა. სამაგიეროდ, უცბად ავითვისე ილ-

ეთები და მათ სკოლაში ჩემს კლასელ ბიჭებზე ვცდიდი. ამის გამო მამა დირექტორთან სამჯერ დაიბარეს. ბიჭები რომ არ მეცემა, სამჯერვე მკაცრი გაფრთხილება მომცეს. სხვათა შორის, ბიჭებს ვურტყამდი და თან მხოლოდ მათთან ვმეგობრობდი ხოლმე. მეგობარი გოგონები, ფაქტობრივად, არ მყავდა. ერთხელ დერეფანში გამოვედი და ვხედავ, ჩემი ერთ-ერთი კლასელი ბიჭი უფროსკლასელებს დაუჭერიათ და გამეტებით ურტყამენ. მივხვდი, რომ იმ ბიჭს ვერ მოვერეოდი, ძალიან დიდი იყო. გავიქეცი, საკლასო ოთახიდან ნაგვის კალათა გამოვიტანე, უკნიდან მივეპარე და თავზე ჩამოვაცვი. მან ვერ დამინახა, მაგრამ როგორც ჩანს, უთხრეს, ვინც ვიყავი. მეორე დღეს კლასში მომაკითხა და ჩემი სახელი და გვარი იკითხა. ძალიან გავინაზე და მერე ვუთხარი: აქ ვარ-მეთქი. ვერ დაიჯერა, თუ იმის გამკეთებელი ვიყავი და უკან გაბრუნდა...

— ბიჭების ცემის მერე გაპრანჭვა როდის დაიწყე?

ვარდისფერი სათვალიდან აღარ ვიყურები

— უსამართლოდ არავის ვცემდი. თუ თმას მომქაჩავდნენ, პასუხად ჩემგან ცემას იღებდნენ. რაც შეეხება გაპრანჭვას, სკოლაშივე დავიწყე, მაგრამ ძალიან „ლაითად“. 17 წლის ასაკში აბსოლუტურად სხვანაირი ვიყავი, ვიდრე ახლა ვარ.

— რა განსხვავებაა შენს მაშინდელ და ახლანდელ შეხედულებებს შორის?

— ვარდისფერი სათვალიდან აღარ ვიყურები. საერთოდ, ძალიან რომანტიკული და მგრძნობიარე ადამიანი ვარ, მაგრამ იმას, რაც მაშინ იყო, ზღაპარივით ვუყურებდი, თითქოს რომანის პერსონაჟი ვიყავი. ყველაფერს ოცნებებში ვხედავდი.

— და სწორედ მაშინ გათხოვდი?

— გათხოვებას საერთოდ არ ვაპირებდი. ის ჩემი რეჟისორი იყო, მაშინ უკვე თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. ერთხელ, ერთ-ერთი წვეულებიდან მანქანით წამოვედით. სახლში ჯერ ერთი გოგონა მივიყვანეთ, მერე — მეორე... მე კი აღარ მიმიყვანეს. ეს იყო და ეს... მანამდე მისი გრძნობების შესახებ ვიცოდი, მის მიმართ გარკვეული სიმპათიები მეც მქონდა, მაგრამ ის სიყვარული არ იყო. მე 17 წლის ვიყავი, ის სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა და თავის სპექტაკლში დამაკავა... მაგრამ ჩვენი თანაცხოვრება საინტერესო არ აღმოჩნდა. ერთად 4 თვე ვიცხოვრეთ.

— თქვენი დაშორების მიზეზი მაინც რა იყო?

— ჩემს შეცდომებს არასდროს სხვას არ ვაბრალებ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მე ამ ადამიანზე გავთხოვდი, უკვე შეცდომა იყო. ამ გადასახედიდან, 17 წლის ასაკში გათხოვება არასწორად მიმაჩნია. იმ ადამიანთან ერთად 4 თვის მანძილზე ერთ ჭერქვეშ ცხოვრების შემდეგ პირველად მოვიხსენი ვარდისფერი სათვალე და სამყარო რეალურად დავინახე. მივხვდი, რომ ცხოვრება არც ისე ადვილია, როგორც მანამდე ვფიქრობდი.

— ერთგული ადამიანი ხარ?

— საოცრად ერთგული ვარ.

— ერთ მეგობართან მეორეზე თუ გიჭორავია?

— არასდროს. შეიძლება, ერთ მეგობართან მეორეზე ჩემი გულისტკივილი გამოვხატო მისსავე პრობლემებზე, თორემ წყენას არავითარ შემთხვევაში არ გავამხელ. ვინც მაწყენინებს, მასთან ვაგვარებ ურთიერთობას. მართლა მეწყინება, თუ ჩემი ახლო მეგობარი მოვა ჩემთან და თავის მეგობარზე ჭორაობას დამიწყებს...

— მტირალა ხარ?

— საშინელი მტირალა ვარ. ჩემი ძაღლი კატას რომ ეფერება, ამაზეც ვტირი, მოვთქვამ. ადამიანებს არ შეუძლიათ ასეთი სიყვარული...

— ბოლოს რაზე იტირე?

— ჩემი ზაზუნა მომენატრა...

— სად არის?

— მომიკვდა. მკითხველი ალბათ იფიქრებს, რომ სულელი ვარ, მაგრამ მართლა ძალიან განვიცადე. ცხოველი, შენ გვერდით რომ ცხოვრობს, ისეთ სიყვარულს იღებს შენგან და ისეთ პატივისცემას იმსახურებს, რომ რა გითხრათ...

— როგორც მივხვდი, სახლში ზოოპარკი გაქვს გახსნილი.

— სახლში მყავს ერთი ძაღლი, სამი კატა... მყავს კუც, თევზები, იადონი, თუთიყუში, მთის ჩიტი, ჩიჟიკას რომ ეძახიან.

— ვინ უვლის მათ?

— დედა, მეც ვეხმარები, როცა სახლში ვარ.

— დედა არ გეცოდება?

— რას ლაპარაკობ, დედას ეს ყველაფერი რომ წაართვა, ვერ გადაიტანს. მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ფლორა და ფაუნა ძალიან მაღალ დონეზე იყო აყვანილი. ყოველთვის მასწავლიდნენ, რომ ფრინველები და ცხოველები დაუცველები არიან და უნდა მიყვარდეს. გუშინ მკითხეს სამსახურში, ვირთხაც გიყვარსო. ვირთხა არ მიყვარს, რა თქმა უნდა, ვერ ჩავიხუტებ და ვერ მოვეფერები, მაგრამ ვერასდროს მოვკლავ და ვერც იმას ვუყურებ, როგორ კლავენ...

— რომ გათხოვდები და შენი საკუთარი ოჯახი გექნება, იქაც ამდენი ფრინველი და ცხოველი გეყოლება?

— იმ ასაკიდან უკვე გამოვედი, როცა თვალდახუჭულს უყვარდებათ. ჩემს მეუღლეს წინასწარ ეცოდინება, რომ მე აუცილებლად მეყოლება სახლში ძაღლი. შეიძლება, არც მყავდეს, მაგრამ ცხოველისადმი ჩემი სიყვარული უნდა გაიგოს.

— წინასაქორწინო ხელშეკრულების გაფორმებასაც ხომ არ აპირებ?

— არა, მაგრამ არასდროს ვიცხოვრებ ისეთ მამაკაცთან, რომელსაც ცხოველები არ უყვარს.

— ამის გამო უარი გითქვამს სიყვარულზე?

— არა. უბრალოდ არ შემიყვარდება ასეთი ადამიანი. ძუნწები და ისინი, ვისაც ცხოველები არ უყვართ, კარგი ადამიანები არ არიან. ამაში დავრწმუნდი, სასტიკები არიან.

— ახლა ვისზეც ხარ შეყვარებული, მას უყვარს ცხოველები?

— მე არ მითქვამს, რომ შეყვარებული ვარ. ეს თემა საიდუმლოდ დავტოვოთ. ვიღაც ნამდვილად არის, მაგრამ არ ვიცი, არის თუ არა ის ადამიანი, ვინც შეიძლება, ჩემი მომავალი მეუღლე იყოს. ჯერ ვფიქრობ და ალბათ კიდევ ბევრი ფიქრი მომიწევს. არანაირი სურვილი არ მაქვს, იგივე შეცდომა დავუშვა. მეორედ დაუფიქრებელ ნაბიჯს აღარ გადავდგამ. ის წარუმატებლობა სიყვარულში ახალი წარმატების გარანტი უნდა იყოს. მჯერა, რომ ასე იქნება. ■

„მასთან ურთიერთობის ყოველი დღე დიდი გაკვეთილი იყო“

მისი სიცოცხლე სამწუხაროდ, 67 წლის ასაკში შეწყდა. საქართველომ უნიჭიერესი კომპოზიტორი და ღირსეული პიროვნება — ალექსანდრე ბასილაია დაკარგა. ის უბერე-ბელი ანსამბლის, „ივერიის“ სულისჩამდგმელი და წლების განმავლობაში, მისი უცვლელი ხელმძღვანელი გახლდათ. ბოლო დროს, ბატონი ალექსანდრე, გაუარესებული ჯანმ-რთელობის გამო (კომპოზიტორს უკურნებელი სენი შეეყარა, მას მედიკოსებმა ფილტვის კიბო დაუდგინეს), გერმანიაში მკურნალობდა, თუმცა მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო... მისმა გარდაცვალებამ ყველას გული დასწყვიტა... ჩვენ კი მის უახლოეს მეგობრებსა და ადამიანებს გავესაუბრეთ, რომლებთან ერთადაც კომპოზიტორს არაერთი წელი აქვს გატარებული. ალბათ ყველაზე მეტად მათ დააკლდებათ დიდი მუსიკოსი...

ელენე ბასილიძე

ვახტანგ ტატიშვილი:

— ბუთხუზი 50 წლის წინ გავიცანი. ერთმანეთი ჯერ კიდევ მაშინდელ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვნახეთ. მაშინ ის იქ ორკესტრის ხელმძღვანელი გახლდათ, მე კი ორკესტრში ვმღეროდი... შემდეგ ერთმანეთს ფილარმონიაში შეეხვდით. 1968 წელს ანსამბლი „ივერია“ შევქმენით და მას მერე ალექსანდრეს არც არასოდეს დავშორებივარ... თავიდან, რეპეტიციებს ბუთხუზის ერთოთახიან ბინაში გავდიოდით, ცოლ-შვილიც სახლში ჰყავდა და ჩვენც იქ ვიკრიბებოდით, მის დანგრეულ პიანინოსთან... არაჩვეულებრივი ადამიანი იყო — მშვიდი, წყნარი, არასდროს გაწყენინებდა, მუშაობის პროცესშიც ისეთივე ალალი იყო, როგორიც — ურთიერთობაში. გაბრაზება იშვითად იცოდა, მაგრამ თუ გაბრაზდებოდაააა... — ოჰ, ოჰ, ოჰ! სულ ქარცეცხლში გაგვატარებდა. საშინლად არ უყვარდა, როდესაც რეპეტიციაზე ვაგვიანებდით; სულ იმას ამბობდა, სახლიდან რომ გამოდიხართ, გაითვალისწინეთ საცობი, ახლობელ-მეგობრებთან მოულოდნელი შეხვედრა და ისეთ დროს გამოდით, რომ აღარ დაგაგვიანდეთო... არასოდეს ჩარეულა არანაირ ინტრიგაში. იცით, კიდევ რა ახასიათებდა? თითოეული მეგობრის პრობლემა გულთან ისე ახლოს მიჰქონდა, თითქოს საკუთარი ყოფილიყოს. როდესაც რომელიმე ჩვენგანს რაიმე დახმარება სჭირდებოდა, ყველასთან თავად მიდიოდა სათხოვნელად, არასოდეს დაიზარებდა დახმარებას.

1968 წელს ანსამბლი „ივერია“ შევქმენით

კადრი ფილმიდან „არგონავტები“

— ბოლოს თუ გქონდათ ბატონ ალექსანდრესთან ურთიერთობა?

— კი, სულ ერთად არ ვიყავით?! ბოლო პერიოდში ხველას მოუხშირა და სიგარეტის გადაგდებას აპირებდა... მერე ამბობდა, მოწევას რომ თავს ანებებ, ხველება გეწყება და ალბათ მეც ამიტომ მახველებსო... პირველად რომ გასინჯეს, ვერაფერი აღმოუჩინეს, მერე მენჯის ძვლის ოპერაცია დასჭირდა და ალბათ ოპერაციამაც დააჩქარა ორგანიზმში მეტასტაზების განვითარება. მაისში კი გერმანელმა ექიმებმა სიმსივნე დაუდგინეს. ქიმიოთერაპიის კურსსაც გერმანიაში გადიოდა... ბოლოს იქიდან ჩამოსვლაც ვეღარ მოახერხა და გერმანიაშივე გარდაიცვალა... მისი გარდაცვალება ჩვენთვის დიდი ტრაგედიაა; დარწმუნებული ვარ, რომ ბუთხუზის სიმღერები მრავალ თაობას ემახსოვრება და იგი ყოველთვის იცოცხლებს ჩვენს გულებში.

გია ბაღაშვილი:

— ჩემთვის ბუთხუზი უახლოესი ადამიანი იყო. იგი ჩემი ნათლია გახლდათ და ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის მისი გარდაცვალება ორმაგი ტრაგედიაა. ნათლია სიცოცხლეშივე გამორჩეული იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. იგი იყო ადამიანი, რომლის ნაზრევსა და გემოვნებაზე, მის მდიდარ შემოქმედებაზე თაობები აღიზარდა. ასე რომ, მისმა შემოქმედებამ დროს გაუძლო და ქართულ საესტრადო ხელოვნებაში უნიკალური მემკვიდრეობა დატოვა... რაც მთავარია, საოცრად კეთილშობილი ადამიანი გახლდათ, ყოველთვის მზად იყო, რომ სხვებს დახმარებოდა. ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ ის სხვისთვის ცხოვრობდა, სხვისი გასაჭირის გასაქარვებლად... ყოველთვის

სცენა მიუზიკლიდან „ფიროსმანი“

მეგონა, რომ მთელ ქალაქს იცნობდა, სიკეთეს უშურველად გასცემდა... არაერთხელ მინახავს, როდესაც მისთვის სრულიად უცხო, შეიძლება ითქვას, ქუჩიდან მასთან დახმარების სათხოვნელად მოსულ ადამიანს გვერდით როგორ დასდგომია. მისთვის ყველა საქმე გადაუდვია... ალექსანდრე ბასილაიას შემოქმედება მანამდე იარსებებს, ვიდრე ქართველ კაცს სიმღერა ეყვარება.

— ბატონო გია, იქნებ თქვენსა და მის ურთიერთობაზეც გვესაუბროთ...

— იმაზე უფრო ახლობლური და თბილი ურთიერთობა ვერც კი წარმომიგდენია, როგორი ურთიერთობაც ჩვენ გვქონდა... განსაკუთრებულად ვუყვარდი და ჩემთვის საფიცარი ადამიანი იყო! გითხარით, ჩემი ნათლია იყო და ყველაზე დიდი მესაიდუმლე; მიუხედავად იმისა, რომ მამასთან ძალიან ღია და გახსნილი ურთიერთობა მაქვს, ადამიანის ცხოვრებაში პატარ-პატარა საიდუმლოებები ყოველთვის არის და ჩემი ყველა საიდუმლო ბუთხუზმა იცოდა. ჩემთვის მასთან ურთიერთობის ყოველი დღე დიდი გაკვეთილი იყო როგორც პროფესიული, ასევე წმინდა ადამიანური თუ კაცური თვალსაზრისით.

— როგორი იყო ბატონი ალექსანდრე სიცოცხლის ბოლო თვეებში?

— ძალიან ვაჟკაცური და რეალობასაც თვალს უსწორებდა. მან ბოლომდე იბრძოლა. შესანიშნავად იცოდა, თუ რა სჭირდა და კარგადაც ჰქონდა გაცნობიერებული თავისი მდგომარეობა, მაგრამ ბოლომდე თავაწეული იყო და არ გატეხილა! ბოლო პერიოდში ქიმიოთერაპიის მორიგი კურსის შემდეგ ექიმებმა დაგვაიმედეს, რომ პროცესი დაკონსერვებული იყო და დაავადება სწრაფად აღარ უნდა განვითარებულიყო. მას მხნეობა მოემატა და გეგმებზეც დაიწყო საუბარი... ვახტანგ კახიძესთან ერთად პროექტის გაკეთებას აპირებდა — 2010 წელს მიშელ ლეგრანისა და მისი ერთობლივი შემოქმედებითი საღამო პარიზში უნდა გამართულიყო. ბოლოს, სანამ გერმანიაში გაემგზავრებოდა, სახლში ვესტუმრე, ჩემი მეუღლე გავაცანი და ვუთხარი — ხომ იცი, რომ ჩემს ქორწილს უშენოდ არც ფერი ექნება და არც გემო, აუცილებლად ჩემ გვერდით უნდა იყო-მეთქი... ჩაიცინა და მითხრა: — სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები და დაგლოცავო... სამწუხაროდ, იგი ჩემს ქორწილს ვერ დაესწრო.

— მას, როგორც ვიცი, შესანიშნავი იუმორის გრძნობა ჰქონდა...

— მართალი ბრძანდებით, ბოლო პერიოდში უკვე საკმაოდ მძიმედ იყო და ტკივილებიც აწუხებდა. ერთხელაც, ერთად მივდიოდით, მომიბრუნდა და მითხრა: — იცი, ავადმყოფობასაც ჰქონია დადებითი რამ, შემხვედრი ადამიანები განსაკუთრებული მოწიწებით მითმობენ გზასო... მეც ვეხუმრე: — კარგი, ახლა, შენ არასოდეს განიცდიდი ადამიანებისგან პატივისცემისა და მოწიწების ნაკლებობას-მეთქი... მეც და მასაც, ერთი რიტუალი გვქონდა, შეხვედრისთანავე პირველ რიგში, უახლეს ანეკდოტებს ვცვლიდით; ერთ ანეკდოტს მე ვუყვებოდი, მეორეს — ის... ეს ტრადიცია მისი სიცოცხლის ბოლომდე შევინარჩუნეთ... ყოველდღიურობაში ძალიან მოკრძალებული იყო; მას ვარსკვლავური სენი არასოდეს შეჰყრია, მისი გარდაცვალება ქართველ ერს აუცილებლად დიდ დაღს დაასვამს, მაგრამ მისი ხსოვნა ყოველთვის მარადიული იქნება ჩვენს გულებში.


ყოველდღიურობაში ძალიან მოკრძალებული იყო

თემურ ნიკლაური:

— არ შეიძლება, გულგრილი იყო მაშინ, როდესაც ბუთხუზზე საუბრობ... არაჩვეულებრივი და კეთილშობილი პიროვნება იყო! ანსამბლის წევრები დროთა განმავლობაში დავნათესავდით და დღეს ერთმანეთის ოჯახის წევრები ვართ. რთულია ჩემთვის ბუთხუზზე, როგორც გარდაცვლილ ადამიანზე საუბარი, მაგრამ რას ვიზამთ?! ვიცოდით მისი მძიმე სენის შესახებ, მაგრამ ახალი ტექნოლოგიებისა და მედიცინის დიდი იმედი გვქონდა; გვჯეროდა, რომ ბუთხუზი კიდევ დიდხანს იცოცხლებდა... არაჩვეულებრივი იუმორის მქონე ადამიანი გახლდათ. ბევრი ანეკდოტი იცოდა და ადამიანების კარგ ხასიათზე დაყენებაც იოლად შეეძლო. ის თითქოს მხოლოდ ანსამბლისა და სხვების დასახმარებლად იცლიდა... ქველმოქმედი იყო, რომც არ შესძლებოდა, მაინც ცდილობდა, გაჭირვებულს რამით დახმარებოდა.

— ბატონო თემურ, მისი მეტსახელის, ბუთხუზის ისტორიის შესახებ თუ იცით რაიმე?

— ბავშვობაში ძალიან ბუთხუზა ბიჭი ყოფილა და თურმე გამზრდელი ბებია ასე ეძახდა და მას ეს სახელი იქიდან შემორჩა; თუ რაიმე ოფიციალური შეხვედრა იყო, მხოლოდ მაშინ ვეძახდით ალექსანდრეს, სხვა შემთხვევაში — ბუთხუზს... რაც დრო გავა, მეტად დაგვაკლდება... ჯერ ვერც კი ვხვდებით, მისი სახით ვინ დავკარგეთ, ახლა მხოლოდ ტკივილს ვგრძნობთ... ძნელი იქნება ქართველებისთვის მასთან გამომშვიდობება... უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ■


ის მხოლოდ ანსამბლისა და სხვების დასახმარებლად იცლიდა...

ჯოს სტოუნის ახალი ალბომი

სოულის ვარსკვლავის ჯერ კიდევ გასულ წელს ანონსირებული ახალი ალბომის Colour Me Free რელიზის ოფიციალური თარიღი როგორც იქნა, დასახელდა. მომღერლის მეოთხე სოლო ალბომი ჩრდილოეთ ამერიკაში 20 ოქტომბერს გამოვა, ორი კვირის შემდეგ კი ამერიკის საზღვრებს გარეთ გაიყიდება. აშშ-ის ტერიტორიაზე ფირფიტის ექსკლუზიური გავრცელების უფლება მაღაზიათა ქსელის Target მაღაზია iTunes-ს ეკუთვნის. ალბომის პირველი სინგლი, რომელიც 12 ტრეკს მოიცავს, კომპოზიცია Free Me იქნება.

ალბომის პროდიუსერები თავად ჯოს სტოუნი, ჯონათან შორნერი და კონერ რივზი არიან. ეს უკანასკნელი ჯოსს მეორე სრულფორმატიან დისკზე Mild, Body & Soul (2004) მუშაობის დროსაც ეხმარებოდა.

ახალ ალბომზე სამუშაოდ რამდენიმე ცნობილი შემსრულებელი იყო მიწვეული. მათ შორის გიტარისტი — ჯეფ ბეკი, მომღერალი და სიმღერების ავტორი შეილა ი (მათი ხმა სიმღერაში Parallel Lines ჟღერს), რიტმ-ენ-ბლუზის ვარსკვლავი რაფაელ სადიკი (კომპოზიცია Big Ole Game), რეპერი ნესი (Governmentalist) და ცნობილი საქსოფონისტი დევიდ სანბორნი (I Believe it To My Soul).

მკითხველს შევახსენებთ, რომ დღეისათვის ჯოს სტოუნის უკანასკნელ რელიზს 2007 წელს გამოშვებული ფირფიტა Introdusing Joss Stone წარმოადგენს. 22 წლის ნიჭიერი შემსრულებლის ყველა ალბომის საერთო ტირაჟი მსოფლიოში ამჟამად 8 მილიონს ითვლის.

■

რობი უილიამსი ცოლს ირთავს

მალე პლანეტის სასურველ სასიძოთა რიგებს ერთი ყველაზე სასურველი უცოლო მამაკაცი გამოაკლდება. ცნობილი ბრიტანელი მომღერალი — რობი უილიამსი მსახიობ აიდა ფილდზე თავდავიწყებით არის შეყვარებული და მასზე დაქორწინებაზე ოცნებობს. როგორც ამბობენ, რობი სატრფოს ერთი წუთითაც არ შორდება... მომღერალს ცხოვრებაში უამრავი ქალი ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ აიდაში პოვა ის, რის გამოც მისი ცოლად შერთვა ისურვა. ამჟამად შეყვარებულები ქორწილის თარიღისა და ადგილის შერჩევით არიან დაკავებულნი. კინოკამერებისა და ფოტოობიექტივების სამიზნედ გადაქცეული და პაპარაცების ყურადღებით დაღლილი მუსიკოსი ალბათ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქორწილი ოჯახურ ზეიმად იქცეს... ჯვრისწერის მოლოდინში რობი უილიამსი სატრფოს დანიშვნას აპირებს.

■

მეგან ფოქსისა და მიკი რურკის რომანი იწყება

ეს რომანი ჯერჯერობით მხოლოდ ეკრანზეა, მაგრამ ვინ მოთვლის, გადასაღებ მოედანზე რამდენი რეალური სასიყვარულო ურთიერთობა დაწყებულა!

მეგან ფოქსი და მიკი რურკი ფილმში — „ვნების თამაში“ ერთად მუშაობენ. ეს სათაური თავისთავად მრავლისმეტყველია, მით უმეტეს, რომ მასში ასეთი დუეტი თამაშობს — მიკი რურკი ჰოლივუდის მთავარი მაჩოა, მეგან ფოქსი კი — ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ქალი. მეგანის გმირი ფრთოსანი გოგონაა, რომელიც გალიაში ჰყავთ გამომწყვდეული და ცირკში გამოჰყავთ, მიკი რურკის გმირი კი კეთილშობილი ბუხრის მწმენდავია, რომელსაც ფრთოსანი გოგონა შეუყვარდება და სატრფოს ტყვეობიდან ათავისუფლებს... მაყურებელი ჰოლივუდის ვარსკვლავთა ახალ ნამუშევარს მომავალ წელს იხილავს. ■

ჯასტინ ტიმბერლეიკს რიანა შეუყვარდა

როგორც ჩანს, შოუბიზნესის ჰორიზონტზე ახალი რომანის კონტურები გამოისახა.

ცოტა ხნის წინ დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები ბევრს წერდნენ მავანი ცნობილი მომღერლისა და არანაკლებ ცნობილი მომღერალი ქალის გასაიდუმლოებული რომანის შესახებ. ახლა ირკვევა, რომ ეს ჭორები ჯასტინ ტიმბერლეიკსა და რიანას ეხებო-

და. ახალგაზრდები სერიოზულად არიან ერთმანეთით გატაცებულნი, მაგრამ ამ კავშირის დამალვას ცდილობენ. პაპარაცებმა წყვილი იმ დროს გამოიჭირეს, როდესაც ნიუიორკის ღამის კლუბიდან გამოდიოდა. ფოტოსურათებზე თვალნათლივ ჩანს, რომ ახალგაზრდებს ერთმანეთთან მეგობრობაზე უფრო დიდი გრძნობა აკავშირებს. სავარაუდოდ, ეს რომანი რიანას მესამე ალბომზე მუშაობის დროს ჩაისახა, როდესაც ჯასტინი მას ხმის ჩამწერ სტუდიაში ეხმარებოდა. რა გაეწყობა — ახალგაზრდა, ლამაზ და წარმატებულ ადამიანებს ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ არსებობს ერთი ნიუანსი — ჯასტინ ტიმბერლეიკს უკვე ჰყავს ოფიციალური მეგობარი ჯესიკა ბილი, რომელსაც იგი რამდენიმე წელია ხვდება...

■

პაპარაცები ჟიზელ ბიუნდხენს სასამართლოში უჩივიან

ორი ფოტოგრაფი ჟიზელ ბიუნდხენისა და მის მეუღლეს — ტომ ბრედის სასამართლოში უჩივის და მიყენებული ზარალის — 1 მილიონი დოლარის ანაზღაურებას ითხოვს. პაპარაცებს ამ გადაწყვეტილების მისაღებად ნახევარი წელი დასჭირდათ... ისინი ირწმუნებიან, რომ როდესაც ამა წლის აპრილში, საქორწინო ცერემონიის დროს, ფოტოგრაფებმა დაცვის მოთხოვნა არად ჩააგდეს და კამერების გამორთვაზე უარი განაცხადეს, ბიუნდხენისა და ბრედის დაცვამ მათ ავტომობილს ცეცხლი გაუხსნა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, მაგრამ ახლა პაპარაცები მორალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ.

როგორც ცნობილია, ჟიზელისა და ტომის საქორწინო ცერემონიის ფოტოგადაღების ექსკლუზიური უფლება ერთმა ძალზე ცნობილმა ბრაზილიელმა ჟურნალისტმა შეიძინა, მაგრამ მამაცმა პაპარაცებმა წვეულებაზე შეღწევა მაინც სცადეს, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. აბეზარმა ფოტოგრაფებმა ჟიზელის პირადი მცველების გაფრთხილება ყურად არ იღეს და ახალდაქორწინებულთა ფოტოსურათების გადაღება განაგრძეს. როდესაც მცველებმა პაპარაცები ალყაში მოაქციეს, ისინი ავტომობილში ჩახტნენ და მიმალვა სცადეს. ფოტომოდელის ერთ-ერთ მცველს ბევრი აღარ უფიქრია და მანქანას ცეცხლი გაუხსნა. ტყვია მინას მოხვდა... მოგვიანებით ჯიპის წინა ნაწილში 38-კალიბრიანი ტყვია აღმოაჩინეს. „მეგონა, რომ ეს ჩემი უკანასკნელი სამუშაო დღე იქნებოდა“, — იხსენებს ერთ-ერთი მათგანი.

ეს წყვილის პირველი ქორწილი არ იყო, მაგრამ მათ ზედმეტი აჟიოტაჟისთვის თავის არიდება სურდათ. ნამდვილი რეგისტრაცია ამ ამბებამდე ერთი თვით ადრე შედგა. ჟიზელმა და ტომმა ზედმეტი ალიაქოთისა და ხმაურის გარეშე საიდუმლოდ იქორწინეს. ■

მერილინ მენსონი ღორის გრიპით დაავადდა

დიადი და საზარელი მერილინ მენსონი ღორის გრიპით დაავადდა. მუსიკოსმა ბლოგით MuSpace ისარგებლა და საზოგადოებას ამის შესახებ მისთვის ჩვეული შავი იუმორით მოუთხრო:

— ღორის გრიპის დიაგნოზი ნამდვილმა ექიმმა დამისვა და არა ვინმე შარლატანმა. ბევრს მიაჩნია, რომ ამ დაავადების აკიდება მხოლოდ ღორთან სექსუალური კავშირის დამყარებით შეიძლება. ეს სრული სისულელეა. ექიმმა დამარწმუნა, რომ ჩემი ქალები არაფერ შუაში არიან — ეს დაავადება სადღაც სხვაგან შემეყარა და იმედია, გადავრჩები.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ აისახება მუსიკოსის ავადმყოფობა მის გეგმებზე. განრიგის თანახმად, ახალი ალბომის The High End Of Low მხარდასაჭერად დაგეგმილი საგასტროლო ტურნეს ფარგლებში მენსონს სექტემბრის ბოლომდე ჩრდილოეთ ამერიკაში კიდევ სამი კონცერტი უნდა გაემართა, შემდეგ კი ევროპულ ტურნეში გამგზავრებულიყო. მერილინ მენსონის გამოსვლა მოსკოვში 13 ოქტომბრისთვის არის დაგეგმილი და სავარაუდოდ, ამ დროისთვის მუსიკოსი უკვე გამოჯანმრთელებული იქნება და ძალების აღდგენასაც მოასწრებს.

მერილინ მენსონი ღორის გრიპით დაავადებული ერთადერთი მუსიკოსი როდია. რამდენიმე ხნით ადრე მსგავსი დიაგნოზი melisa auf der mors, ჯგუფის Kasabian წევრებს და შვედ პოპშემსრულებელ იენს ლეკმანსაც დაუსვეს. ■

რენე ზელვეგერი გასუქებაზე უარს ამბობს

„ბრიჯიტ ჯონსის დღიურის“ მესამე და მეოთხე ნაწილების გადაღებების დაწყების წინ რენე ზელვეგერს კვლავ წონაში მომატება უბრძანეს... როგორც მოგეხსენებათ, პირველი ფილმისთვის მსახიობმა 10 კილოგრამი მოიმატა, რასაც შემდგომ მტანჯველი დიეტა და სატრენაჟორო დარბაზში ყოველდღიური, მრავალსაათიანი ვარჯიში მოჰყვა. ფილმის გამაოგნებელი წარმატების შემდეგ კინოსტუდიამ სურათის გაგრძელების გადაღება გადაწყვიტა. სიქველის „ბრიჯიტ ჯონსის დღიური. გონივრულობის ზღვარი“ ავტორები კიდევ უფრო შორს წავიდნენ, მსახიობს წონაში 15 კილოგრამის მომატება უბრძანეს და ახლა, როდესაც სულ მალე მესამე ფილმის გადაღებები უნდა დაიწყოს, რენე ზელვეგერი საკუთარი სხეულის მასხრად აგდებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს და წონაში მომატებას არანაირი ჰონორარის ფასად არ თანხმდება. ფილმის ავტორებს კარგად ესმით, რომ რენე ზელვეგერის შეცვლა შეუძლებელია, ამიტომ გამოსავალი მონახეს და გადაწყვიტეს, რომ გადაღებების დროს რენეს ტანსაცმლის ქვეშ სპეციალურ კოსტიუმს ჩაიცმევენ, რომლის შედეგად მსახიობი იმ ფორმებს შეიძენს, რომელიც მას ფუმფულა გმირის სახის შესაქმნელად ესაჭიროება. ■

დრო, რომელიც დიდ გრძნობასთან უძლურია

ალბათ, ახალს ვერაფერს გეტყვით — მშობელს შვილისთვის მხოლოდ საუკეთესო უნდა. მაგრამ სამწუხაროდ, ამ „საუკეთესოს“ ძებნაში უფროსები ბევრ შეცდომას უშვებენ, რომლის გამოსწორებასაც სიკვდილამდე ვერ ახერხებენ.

ნელი დანახვისთანავე მომეწონა, გავიფიქრე, სათნო და თბილი ადამიანია-მეთქი. მერე კი, როცა თავის ცხოვრებაზე მიამბო, მივხვდი — პირველი ემოცია და შთაბეჭდილება არ მატყუებდა („როცა მშობელს შვილის ბედნიერება არ ახარებს“, „კვირის პალიტრა“, 2006 წ. 11 სექტემბერი).

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი
„მშობლებმა სიყვარული არ მაპატიეს...“

ნელის მშობლები დოცენტები იყვნენ, ბაბუა კი (მამის მამა) — აკადემიკოსი, ამიტომაც გოგონა სოსოსთან რომანს საგულდაგულოდ მალავდა. საქმე ის გახლავთ, რომ სოსო ე.წ. „კანონიერი ქურდის“ ერთადერთი შვილი იყო. ნელიმ იცოდა, რომ ამ სიყვარულის გამჟღავნებას მის ოჯახში დიდი სკანდალი მოჰყვებოდა.

სოსოს მამას თითქმის 25 წელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ციხეში ჰქონდა გატარებული. მიუხედავად იმისა, რომ შინ იშვიათად იყო, ოჯახს არაფერს აკლებდა, ცოლშვილიც უსაზღვროდ უყვარდა. სოსოს დედას, თამარს უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ იმდენად ნაკითხი იყო, ცოდნით არავის ჩამოუვარდებოდა. კარგი დიასახლისიც გახლდათ. ბიჭს სულ კუდში დასდევდა, ეშინოდა, ხელიდან არ წასვლოდა. როცა შვილი წამოეზარდა, ეუბნებოდა: მამაშენი დრომ და გარემოებამ აცდინა გზას, თორემ დიდი ღირსებების მქონე ადამიანია... თამარმა იცოდა, რომ სოსო შეყვარებული იყო. უხაროდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ნელიკოს მშობლები ასე იოლად ვერ შეეგუებოდნენ ქურდის მძახლობას.

ნელისა და სოსოს ურთიერთობა მაინც გამჟღავნდა — ამბავმა გოგოს დედის ყურამდეც მიაღწია.

ამონარიდი წერილიდან: „დედამ მეორე დღესვე ჩაუკაკლა მამაჩემს — ქურდის შვილი უყვარს და ეს ჩვენი შტერიც ცოლად მიჰყვებაო. მამაც გაგიჟდა. „ლექცია“ ჩამიტარეს, მომავალი ოჯახის საშინელი სურათი დამიხატეს, რა არ უწოდეს სოსოს, მამამისსა და ყველა მის ახლობელს!.. დადუმებული ვუსმენდი. სამსაათიანი „ლექციის“ შემდეგ მშობლების დასამშვიდებლად, ესღა ვთქვი: როგორც მეტყვით, ისე მოვიქცევი-მეთქი. დამშვიდნენ, ჩვენ კი მეტი სიფრთხილე გამოვიჩინეთ და მეგობრის ბინაში ვხვდებოდით ერთმანეთს... მეხუთე კურსზე სწავლისას სოსომ მუშაობა დაიწყო. ჩემმა მშობლებმა კი აკადემიკოსის შვილებში სასიძოს შეთვალიერებას მიჰყვეს ხელი. ამის მოთმენა აღარ შემეძლო. დავკარი ფეხი და სოსოსთან ერთად გავიპარე“.

ქალიშვილის „თავხედურ ნაბიჯს“ მძაფრი რეაქცია მოჰყვა. დედა დარდისგან ფეხზე ვეღარ დგებოდა, საწოლს მიეჯაჭვა, მამამ კი ნელი მკვდრად გამოაცხადა და... სამაგიეროდ, მამამთილმა (მაშინ პატიმარი არ იყო) ლამაზი რძალი საჩუქრებით გაავსო და შვილს დიდი ქორწილიც გადაუხადა.

ამონარიდი წერილიდან: „გავიდა დრო. ძალიან გამიჭირდა მშობლების გარეშე. სოსო ისეთი თბილი და მოსიყვარულე ქმარი იყო, როგორც კი მოწყენილს დამინახავდა, ჩემს გასამხიარულებლად ლამის ყირაზე გადადიოდა, ძალიან ცუდია (და ეს ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს), როცა შვილის გაბედნიერე-

ბას მშობლები ხელს უშლიან, თან, ცრემლით ხვდებიან ახალშექმნილ ოჯახს, ამით მის ცხოვრებას დიდ დაღს ასვამენ“.

მართლაც, იმდენი იტირა ნელის დედამ, მამამ კი სიკვდილამდე არ აპატია შვილს ოჯახიდან გაპარვა, რომ ნელისაც ცუდად წაუვიდა საქმე: 6 თვის ორსული იყო, როცა მამამთილის მტრებმა მის შვილზე იძიეს შური — სოსო სახლის წინ ჩაცხრილეს. ნერვიულობისგან ნელიმ კინაღამ ბავშვი დაკარგა, მაგრამ თავი ხელში აიყვანა და 3 თვეში გოგონა გააჩინა... ახლა სალომე 16 წლისაა. ნელის მამამთილს სოსოს დაღუპვის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. თამარმა კი მთელი ძალა და ენერგია შვილიშვილის გაზრდას შეალია. მოხუცდა და მოტყდა, მაგრამ ყოფას სალომე და ნელი უმსუბუქებენ...

ამბავი მეორე

„მირჩევნია, მისი ქვრივი მერქვას“

ყოველთვის, როცა რომელიმე რესპონდენტს პირველი ინტერვიუს შემდეგ დავკავშირებივარ, მეორე შეხვედრისას გაცილებით მეტი გაუხსენებია და გაუზიარებია ჩემთვის. ასე მოხდა ამჯერადაც. ნელიმ უფრო ვრცლად მიამბო საკუთარი თავგადასავალი და ისეთი ეპიზოდებიც გაიხსენა, რომლებიც 3 წლის წინ არ მოუყოლია.

— ვიცი, ბევრ რამეზე გწყდება გული. თავიდან რომ იწყებდე ცხოვრებას, რას შეცვლიდი? იქნებ, სოსოზე უარს იტყოდი? შენ ხომ მის გამო ბევრი ახლობელი დაკარგე.

— იცი, არაფერსაც არ შევცვლიდი. ხომ შემაქციეს ზურგი მშობლებმა, ნათესავებმა... მაგრამ სოსო ისე მიყვარდა, არაფრის დიდებით არ დავკარგავდი. სოსო ბევრი ღირსებით შემკული ადამიანი იყო. 24 წლის ბიჭს არაფერი ეშლებოდა — არც ცოლთან, არც დედასთან და მამასთან ურთიერთობისას; ზედმიწევნით კარგად იცოდა, სად, როდის და რა ეთქვა ან გაეკეთებინა. ვაჟკაცურიც იყო და რაფინირებული ინტელიგენტიც. აკადემიკოსს შეშურდებოდა მისი განათლება, ზრდილობა და საქმის (რასაც ხელს მოჰკიდებდა) ცოდნა. მიკვირდა კიდეც, როდის მოახერხა ასე ახალგაზრდამ ამდენის წაკითხვა-მეთქი?! არასოდეს ხიბლში არ ჩავარდნილა. უბანშიც და ქალაქშიც პატივს სცემდნენ არა მხოლოდ როგორც მამამისის შვილს, არამედ როგორც კარგ ქართველსა და ნიჭიერ ახალგაზრდას. მასზე უარს როგორ ვიტყოდი, როცა ამ სიყვარულით უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი?! რა თქმა უნდა, გული მტკიოდა, რომ ჩემებმა ზურგი შემაქციეს, მაგრამ სოსოს გვერდით ყოფნა იმხელა ზეიმი იყო, რაღაცნაირად დავძლიე მშობლებზე დარდი. სულ მინდოდა, რამენაირად შემომერიგებინა დედ-მამა, ძმა და რძალი, სხვა ნათესავები, მსურდა, გაეცნოთ სოსო და მიმხვდარიყვნენ, რატომაც შემიყვარდა. ეს სურვილი ვერ ავისრულე. ჩემი მამამთილის „რუსულ ბიზნესს“ შეეწირა სრულიად უდანაშაულო სოსო. მოგვიანებით, ღმერთმა სასტიკად დასაჯა მკვლელები (ორს 15-25 წელი მიუსაჯეს, ერთი კი ქურდებმა მოკლეს), მაგრამ ჩემს სოსოს ეს ხომ ვერ გააცოცხლებდა!

— მახსოვს, მითხარი, — ისე ვიყავი შეშინებული, რომ ბავშვთან და დედამთილთან ერთად თბილისიდან წავედიო...

— კი, შემეშინდა. ჩემი გონებიდან არასოდეს ამოიშლება ის დღე, როცა სოსო მოკლეს. სროლის ხმაზე ჯერ აივანზე გავვარდი, მერე, დაჭრილი სოსო რომ დავინახე, გიჟივით ჩავირბინე კიბე. სახეშეშლილი დავცქეროდი სისხლით მოსვრილ ქმარს და ვეხვეწებოდი, — არ მოკვდე-მეთქი!. სალომეს გაჩენის შემდეგ შიში ძვალსა და რბილში გამიჯდა. ამიტომაც შევუჩნდი დედამთილს, ცოტა ხნით თბილისიდან წავიდეთ-მეთქი. ჩემს მამამთილს პეტერბურგში 3-ოთახიანი ბინა ჰქონდა. იქ ვიცხოვრეთ 3 წელი. როცა თბილისში დავბრუნდით, დედაჩემს შევუთვალე, — ნუთუ, შვილიშვილის ნახვა არ გინდა-მეთქი?! დედა, ძმა, რძალი და სხვა ახლობლები სიხარულით შემხვდნენ. მხოლოდ მამა არ დამხვედრია. მივხვდი — მან ვერ სძლია თავის სიამაყეს, ამიტომაც პატიებაც ვერ შეძლო. ისე წავიდა ამქვეყნიდან, არც სალომე და არც მე არ ვუნახავვართ. დღემდე მიკვირს, როგორ გაძლო უჩვენოდ. მე თუ ვაწყენინე, სალომე ხომ უცოდველი იყო, მან რაღა დაუშავა ბაბუას?! განა, ბოდიში უნდა მოეხადა მისთვის და ეთქვა: მაპატიე, ბაბუ, რომ ამქვეყნად გავჩნდი და ვარსებობო?!.

— გულისტკენამ არ გაგიარა? დრო ხომ ყველაფერს ანელებს კარგსაც და ცუდსაც.

— გარდაცვლილ მშობელზე აუგს ვერ ვიტყვი, მაგრამ მას შეეძლო, სოსოს სიკვდილის შემდეგ სულ პატარა სიხარული მოენიჭებინა ჩემთვის — შემრიგებოდა და სალომეც გულში ჩაეკრა. მაგრამ ამპარტავნებამ და სიჯიუტემ გადაწონა მშობლიური სიყვარული და სიკეთე. კიდევ კარგი, სოსოს დედა მედგა მხარში, თორემ იმ რთულ პერიოდს ვერ გადავიტანდი სოსოს გარეშე.

— ახლა როგორია შენი და სალომეს ცხოვრება?

— სალომე გარეგნობით ძალიან ჰგავს მამამისს და იმედი მაქვს, ნიჭიც და სხვა ღირსებებიც სოსოსი გამოჰყვება. დედამთილს დიდი ამაგი აქვს მასზე და ჩემს შვილს სულ ამას ვახსენებ: ბებოს გაზრდილი ხარ და შენი სწავლით, ქცევით უნდა გაახარო-მეთქი. კარგია, რომ ბებოსთან მეგობრობს და ბევრ რამეს (რასაც ზოგჯერ მეც კი ვერ მეუბნება) უზიარებს.

— ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ქალი ხარ. მეორედ გათხოვებაზე არ გიფიქრია?!

— არა. გათხოვება ვერ წარმომიდგენია, რადგან რამდენი დროც უნდა გავიდეს, სოსოს ნაცვლად ვერავის ამოვიყენებ გვერდში. მირჩევნია, მისი ქვრივი მერქვას. სოსოსადმი სიყვარული ზვავივით იყო, დამეტაკა და თან გამიყოლა...

■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

საყვარელი — ქმრისთვის

მუდმივი კითხვა, რომელიც ოდითგანვე ყველა ქალს აღელვებს, — როგორ შეინარჩუნოს მამაკაცი? — ვინაიდან ცხოვრებამ შესაძლოა, ისეთი სიურპრიზები მოუწყოს, რომელსაც ვერანაირი ფანტაზია ვერ გასწვდება... ქალის ქმედების პროგნოზირება შეუძლებელია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ის შეყვარებულია. ამჯერად „სიტუაციაში“ ჩემი ახლობლის შესახებ მინდა მოგიყვეთ — უცნაური ქალის უცნაური საქციელის შესახებ.

მარი ჯაფარიძე

თამუნას 15 წელია, ვიცნობ. ბოლო დროს ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით — ასე, წელიწადში 3-4-ჯერ. მაგრამ დღესაც კარგად მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა საერთო მეგობრის დაბადების დღეს. წვეულებაზე მხოლოდ ქალები ვიყავით და როგორც ყოველთვის, მამაკაცებზე საუბარს გვერდი ვერ ავუარეთ: „ნამდვილი მამაკაცები გადაშენდნენ, უშიშარი გმირები აღარ არიან, „ნე ტო, ჩტო“ ჩვენი წინაპრები“ და ა.შ. სწორედ ამ დროს ალაპარაკდა მანამდე გაჩუმებული თამუნა:

— ვერ დაგეთანხმებით, რადგან ჩემი გიორგი ნამდვილი მამაკაცია, — მტკიცედ თქვა და ისეთი ტონი ჰქონდა, ვერც ვერავინ შეედავებოდა.

— ეგ კი მართალია, შენი გიორგი მართლაც, კაცური კაცია, — დაეთანხმა იუბილარი და ყველა მივხვდით, რომ ეს ხუმრობით ან სარკაზმით კი არა, არამედ გულწრფელად იყო ნათქვამი და მასპინძელი მართლაც მიიჩნევდა, რომ თამუნას ბედნიერი ბილეთი შეხვდა გიორგის სახით.

ამის შემდეგ თამუნასთან წლების განმავლობაში ვურთიერთობდი. მისი და გიორგის უჩვეულო და საოცარი კავშირი საერთო წრეში განხილვის საგნად ხშირად იქცეოდა. მათ სწორედ ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, როგორზეც წიგნებში წერენ ან ფილმებს იღებენ.

ერთმანეთს ენდობოდნენ და პატივს სცემდნენ. ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდნენ, მაგრამ ეს მათ ურთიერთობას უფრო მიმზიდველს ხდიდა. თამუნა მხიარული, კომუნიკაბელური ადამიანია. მეგობრების გარეშე ვერ ძლებს; გიორგის შინ ჯდომა ურჩევნია. თურმე, როცა ახალდაქორწინებულები იყვნენ, თამუნა, ასე თუ ისე, აიძულებდა ხოლმე, შინიდან გასულიყო, მერე და მერე, უფრო უძნელდებოდა. ტელევიზორი და დივანი გიორგის ყველაფერს ერჩივნა. მაგრამ თამუნას არ აღიზიანებდა ეს „დივნის ეპოპეა“. მთავარი ის იყო, რომ ქმარს კარგი სამსახური ჰქონდა, ისინი ერთმანეთს მშვენივრად უგებდნენ და მათ ოჯახში სიმშვიდე და სიყვარული სუფევდა...

გადიოდა წლები...

გასულ ზაფხულს მე და თამუნა სუპერმარკეტში შევხვდით. ერთმანეთი მოვიკითხეთ და კარგა ხანი ვისაუბრეთ, როდესაც ფეხზე დგომით ორივე ჩამოვწყდით, მთხოვა, შინ გავყოლოდი, რადგან მიაჩნდა, რომ „ოჯახური პრობლემების ექსპერტი“ ვარ. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ უბრალოდ, გულის გადაშლა სურდა. მისთვის სულ ერთი იყო, ვინ მოუსმენდა. ის ფაქტი, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ გვენახა ერთმანეთი, გულახდილობის სურვილს უღვივებდა.

დივანზე მოხერხებულად მოვეწყვეთ, ყავის ფინჯნებით ხელში და თავისი გულისტკივილი გამანდო:

თურმე ქმართან ურთიერთობაში რაღაც აშფოთებდა, მაგრამ ვერაფრით ხსნიდა, თუ საკუთრივ რა. ტყუილად კი არ ამბობენ, — ქალებს ინტუიცია კარგად აქვთ განვითარებულიო... არ ეჭვიანობდა სხვა ქალებზე, რადგან ფიქრობდა, რომ ამ მხრივ ყველაფერი გარკვეული იყო და ღალატი შეუძლებლად მიაჩნდა. გიორგი არც სასმელს ეტანებოდა და თამუნას არც ამის გამო ჰქონდა შფოთვის მიზეზი.

— იცი, ვგრძნობ, რომ ჩემს ქმარს, როგორც ქალი, აღარ ვაინტერესებ, — მოღუშული სახით თქვა თამუნამ, — ვეღარ ამჩნევს, რომ მე არა მარტო კარგი დიასახლისი და დედა, არამედ ლამაზი ქალიც ვარ. ინტიმური ურთიერთობა აღარ იზიდავს...

რა თქმა უნდა, საშინელი შეგრძნებაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა უკვე 40 წელს „მიუკაკუნებ“ და ბევრ რამეს სხვანაირად აღიქვამ. ასეთ დროს გინდა, ქმარი, რომელიც გიყვარს, ისეთივე იყოს შენთან ურთიერთობისას, როგორიც 10, 20 წლის წინ იყო.

თამუნამ გადაწყვიტა, ქმრისთვის მეტი ყურადღება დაეთმო, უფრო ალერსიანი გამხდარიყო, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. კაცი ვერც კი ამჩნევდა მის მოწადინებას.

საგონებელში ჩავარდნილი ქალი ფსიქოლოგის კარს მიადგა.

ამასთან, ოჯახური ცხოვრების შესახებ უამრავი წიგნი წაიკითხა, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ შედეგი ვერ გამოიღო. ლიტერატურა და ფსიქოლოგის რჩევები თეორიულად, გადასარევი იყო, მაგრამ პრაქტიკაში — უშედეგო აღმოჩნდა.

ფსიქოლოგი ურჩევდა, ქმრის საქმიანობისადმი მეტი ყურადღება გამოეჩინა. მაგრამ თამუნა მთელი ცხოვრება ასე იქცეოდა და არც ახლა მოუდუნებია ყურადღება. უყვარდა ქმართან ერთად სამზარეულოში ჯდომა და საუბარი, როცა ბავშვებს ეძინათ. ან საწოლში, ძილის წინ, დღის განმავლობაში მომხდარის გარჩევა... გიორგი ამაზე უარს

არასოდეს ამბობდა.

„მოაწყვე რომანტიკული საღამო ორისთვის“ — ურჩია ფსიქოლოგმა. ესეც სცადა, მაგრამ დამცირების მეტი ვერაფერი მიიღო...

შვილები დედასთან წაიყვანა; საუკეთესო ვახშამი მოამზადა, სანთლები აანთო, ახალი საცვლები და სუნამო იყიდა...

— ვაა, დღეს რა, ახალი წელია?.. — გაუკვირდა გიორგის, როცა სანთლები დაინახა.

— ჰო, საყვარელო, ახალი წელია... — გაინაზა თამუნა და ისედაც მოკლე ქვედაბოლო უფრო წამოიწია, რომ თავისი ღამაზი ფეხები კარგად გამოეჩინა.

— შენნაირი ფეხები თბილისში არავის ექნება, — შენიშნა გიორგიმ, სუფრას მიუჯდა და გემრიელ კერძებს მადიანად შეექცა.

— ჩემი სურნელი არ მოგწონს?.. ახალი სუნამო მაქვს, — ეჩურჩულებოდა თამუნა.

— მომწონს, კარგი სუნი აქვს. ძვირია? დილით მოგცემ მაგ ფულს.

როგორც ჩანს, როდესაც ერთი ადამიანის გვერდით დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობ, მისი ტუჩების, ფეხების, ტანის სილამაზეს ეჩვევი და თუ სხვა, ახალი თვალით არ დააკვირდები, ვერავითარ ცვლილებას ვერ შენიშნავ.

თამუნას მიერ შერჩეული ღამის პერანგის შესახებ კი გიორგიმ მხოლოდ მოკლე რეპლიკა ისროლა — კარგი სარაფანია, — და ტელევიზორის პულტს დასწვდა.

მორჩა!.. თამუნა ხმაურით რეცხავდა ჭურჭელს და გულში „შურისძიების“ გეგმას ადგენდა. „მე შენ გიჩვენებ სარაფანს!“

ერთი კვირის შემდეგ, ქალმა სტუმრად წასვლა გადაწყვიტა. ქმარმა თანხმობის ნიშნად, თავი დაუკრა და დივანზე წამოწვა. თამუნა ღიღინით ტრიალებდა სარკის წინ. თმა დაივარცხნა და ტანზე სწორედ ის ღამის პერანგი მოირგო, რომელსაც გიორგიმ „სარაფანი“ უწოდა. ქმრის წინ დადგა, დაბზრიალდა და ჰკითხა:

— მოგწონს?

— კარგია, გიხდება. მაგრამ მგონი, ღრმა დეკოლტე აქვს და შეგცივდება. ამ სეზონისთვის ცოტა უადგილო მეჩვენება.

გაბრაზებულმა თამუნამ „სარაფანზე“ ქურქი შემოიცვა და კარი გაიჯახუნა. კარგა ხანს იდგა სადარბაზოში და ელოდა, რომ ქმარი აუცილებლად დაბრუნებდა უკან, მაგრამ ის არც განძრეულა.

სტუმრად არ წასულა, რა თქმა უნდა... ღამის პერანგით მეგობარს მიადგა, გვიან ღამემდე ეჭორავა და საკმაოდ გვიან დაბრუნდა შინ, მაგრამ გიორგის არც ამაზე ჰქონდა რეაქცია.

თამუნას მოეჩვენა, რომ ნელ-ნელა ჭკუიდან იშლებოდა, რადგან გამუდმებით ერთსა და იმავეზე ფიქრობდა. გადაწყვიტა, ბოლო შანსი გამოეყენებინა... სწორედ ამ შანსის შესახებ მიამბო, როდესაც შინ მიმიპატიჟა.

როცა ყველაფერი გულახდილად მომიყვა, ჯერ ძალიან ბევრი ვიცინე, მერე დავფიქრდი და ბოლოს შევშფოთდი კიდეც.

იდეა ძალზე სახიფათო მომეჩვენა და ვცადე, გადამეფიქრებინა მისთვის, მაგრამ განა შეიძლება, დიდი სიჩქარით მიმავალი მატარებელი გააჩერო?! ქალს გადაწყვეტილი ჰქონდა, რისკზე წასულიყო და უკვე არაფრის მოსმენა აღარ სურდა.

ქმრის დასაბრუნებელი მეთოდებიდან, რომლებიც ერთ-ერთ წიგნში ამოიკითხა, ყველაზე სახიფათო და ფანტასტიკური აირჩია.

წამოწყებულ თამაშში 2 მთავარი პირობა იყო: საჭირო იყო მეგობარი ქალი, რომელსაც „1000%-ით“ ენდობოდა; ეს მეგობარი აუცილებლად, ისეთი გარეგნობის უნდა ყოფილიყო, როგორიც გიორგის მოსწონდა.

სწორედ აქედან დაიწყო პრობლემები.

შეიძლება თუ არა, ყველაზე საუკეთესო მეგობარსაც კი „1000%“-ით ენდო?.. იმავე წიგნებისა და თეორიების მიხედვით, რომელიც თამუნამ ასე უხვად წაიკითხა, — არასოდეს! მაგრამ მისი ერთ-ერთი მეგობარი ამ წამოწყებას სავსებით შეეფერებოდა და თამუნა მას ენდობოდა, თუმცა... ის არ მოსწონდა გიორგის... ქერა, გრძელფეხება ფოტომოდელი მამაკაცს უინტერესო ქალად მიაჩნდა. თანაც, მას ღამაზმანები არ იზიდავდნენ — უფრო, სექსუალური გარეგნობის ქალები მოსწონდნენ...

თამუნას შესაფერისი კანდიდატურის ძებნა დაეწყო. გულახდილად ვუთხარი, რომ ჩემს მეგობრებს შორის ისეთი არავინ იყო, ვინც გიორგის მოეწონებოდა და კიდევ ერთხელ ვცადე, დამერწმუნებინა, რომ ამ გიჟურ იდეაზე ხელი აეღო.

თამუნას კი კონტრარგუმენტებად, ამერიკელი ფსიქოლოგების წიგნებიდან ამოკითხული მაგალითები მოჰყავდა.

ბოლოს და ბოლოს, შემთხვევამ უშველა. ქუჩაში ძველ ნაცნობს (თანაკურსელს) გადაეყარა. ეკა მხიარული, ჭკვიანი, დამოუკიდებელი, შეძლებული და სექსუალური ქალი იყო... იმ დღიდან თამუნამ მოსვენება დაკარგა. ეკას გამუდმებით ურეკავდა, თავისთან სტუმრად ეპატიჟებოდა... კარგა ხანს ვერ ბედავდა მისთვის თავისი გეგმის გამხელას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი გულახდილად უამბო. როგორც ჩანს, ეკაც არანაკლები ავანტიურისტი იყო და მისი წინადადება აღფრთოვანებით მიიღო.

გეგმა ერთი შეხედვით, მარტივი იყო: ეკა მათთან სტუმრად უნდა მისულიყო, მერე გიორგი რესტორანში დაპატიჟებდა, ორივე ქალი ერთდროულად, ფლირტში მის აყოლიებას ცდიდა... ეკას მომხიბლაობა გიორგის თავბრუს დაახვევდა... ცეკვისას ეკა „მიეწებებოდა“ და მამაკაცს ძლიერ სურვილს აღუძრავდა... მას თავისებური კატალიზატორის როლი უნდა ეკისრა, მერე კი, საჭირო მომენტში მოულოდნელად გამქრალიყო და ცოლ-ქმარი მარტო დაეტოვებინა...

იმ დღეს ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. საღამომ საუცხოოდ ჩაიარა. მისივე წამოწყებულმა თამაშმა თამუნა ძლიერ ააფორიაქა, რისკისა და ფრენის შეგრძნებამ თავად დაახვია თავბრუ... გიორგის ვერ ცნობდა. ეჩვენებოდა, რომ ის თავს ბედნიერად გრძნობდა. მისი ჩვეული თავშეკავება სადღაც გაქრა; ხუმრობდა, ცეკვავდა და მუსიკოსებს სიმღერებს უკვეთდა. ორივე ქალისადმი ყურადღებას იჩენდა, თამუნას ეხვეოდა და ხელს კაბის ქვეშაც კი უცურებდა... დიდი ხანია, ქმარი ასეთი არ ენახა...

შინ წასვლის დრო დადგა. თამუნა ეკას მადლიერი იყო... ეკა ქალაქგარეთ ცხოვრობდა და რაკი რესტორნიდან საკმაოდ გვიან გამოვიდნენ, თამუნამ ჩაფიქრებული გეგმა შეცვალა და გადაწყვიტა, ღამის გასათევად ის თავისთან წაეყვანა.

ეკას ბავშვების ოთახის გვერდით საძინებელში გაუშალა ლოგინი, თვითონ კი ქმარს მიუწვა და ვნებიანად ჩასჩურჩულა — „მიყვარხარ!..“

— დავიძინოთ, უკვე გვიანია, — გიორგიმ თამუნას ზურგი აქცია, ბალიშს ჩაეხუტა და ორიოდე წუთში ხვრინვა ამოუშვა.

ქალს გამთენიისას გაეღვიძა. გიორგი მის გვერდით აღარ იწვა. თამუნამ ოთახები მოიარა, მაგრამ ვერსად მიაგნო... მერე იმ ოთახის კარი შეაღო, სადაც ეკა იწვა და... გაშეშდა...

იქ ნამდვილი ვნების ცეცხლი იყო დანთებული... მოგონილი და ხელოვნური კი არა — ნამდვილი ვნების... თამუნა გაფართოებული თვალებით უყურებდა წყვილის ალერსს, რომელსაც მისი გამოჩენა არც გაუგია... თამუნა ნაცემი ძაღლივით გამოვიდა ოთახიდან.

ყველაფერი დასრულდა!

...გიორგი პატიებას სთხოვდა და ცდილობდა, თავისი საქციელისთვის ახსნა მოეძებნა... ეუბნებოდა, რომ თავი ვერ შეიკავა...

თამუნასთვის გიორგი უკვე „სულერთი“ გახდა. საკუთარ თავში ჩაიკეტა. არც უყვირია, არც სკანდალი აუტეხავს... ქმარი შესძულდა კიდეც...

ოჯახიც ჰქონდა, საყვარელი ქმარიც ჰყავდა... რა დარჩა ამ ყველაფრისგან?..

არადა, მას მხოლოდ ის სურდა, რომ ბედნიერი ყოფილიყო... ცხოვრების ბოლომდე... ისევე, როგორც ეს ყველა ქალს სურს... ■

ბომბების ქვეშ მოყოლილი ქართველი თარჯიმანი, ასლან აბაშიძის ძვირფასი ფეხსაცმელი და გენერალ ბორისოვის „ნიანგის ცრემლები“

ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ თარჯიმნის საქმიანობა მოსაწყენი და ერთფეროვანია. მერწმუნეთ, ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავთ, აზრს ნამდვილად შეიცვლით... ის კი არა და, თურმე თარჯიმნობა შეიძლება, ყველაზე საშიშ და სახიფათო პროფესიათა რიგსაც მივაკუთვნოთ.

თაკო კლიმიაშვილი ახალგაზრდა, ენერგიული, სიმპათიური გოგონაა. მან თავისი პროფესია თავგადასავლის წყაროდ და ადრენალინის გამომუშავების საუკეთესო საშუალებად აქცია.

ელენე ხირსელი

— სანამ იმ არაჩვეულებრივ თავგადასავლებს მოგვიყვები, რომლებიც თარჯიმნის ამპლუაში გადაგხდენია თავს, ცოტა რამ იმ ცენტრის შესახებაც გვითხარი, სადაც ახლა მუშაობ.

— ენების ერთ-ერთ შემსწავლელ ცენტრში ვმუშაობ. საზღვარგარეთ სწავლის მსურველებს, მისაღები გამოცდებისთვის ვამზადებთ. ჩვენთან სასწავლო კურსი ბევრმა ცნობილმა ადამიანმა გაიარა (მათ შორის იყვნენ: მაია ნადირაძე, ბიძინა ბრეგაძე, დათო ტყეშელაშვილი, დათო კირკიტაძე, ნიკა ტაბატაძე, დათო ნამგალაური, ირაკლი იმნაიშვილი, გოგი გვახარია). ისე, დღეს უცხოეთში სწავლის გაგრძელება პრიორიტეტული უფრო, ბანკირებისთვისა და ბიზნესმენებისთვის არის. ჩემი დაკვირვებით, სწავლისას ისინი უფრო უნარიანები, სხარტები და მოწესრიგებულები არიან, ვიდრე პოლიტიკოსები. ყველაზე კარგად სწავლობდნენ: გოგი გვახარია, ირაკლი იმნაიშვილი და ბიძინა ბრეგაძე. მაია ნადირაძე იუმორის გრძნობით გამოირჩეოდა, მასთან ჩატარებული გაკვეთილები ძალზე მხიარული და ხალისიანი იყო. ბიძინა ბრეგაძე პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს, ცდილობდა, არც ერთი წუთი უქმად არ დაეკარგა. კირკიტაძე კი სიბეჯითით არ გამოირჩეოდა, მეცადინეობის დროს ლირიკული გადახვევები უყვარდა, საუბარი სხვადასხვა თემაზე, ხშირად, საკუთარ თავზე; წუხდა, რომ უსამართლოდ ჰქონდა მოჩხუბრის სახელი, ამბობდა, რომ სინამდვილეში, მშვიდობისმოყვარე ადამიანია...

— როგორც ვიცი, ხშირად გიწევს საქართველოში ჩამოსული უცხოელი ჟურნალისტების მეგზურობა. ალბათ ეს საკმაოდ რთული და ამავე დროს ძალიან საინტერესოა, არა?

— ჩემთვის მაინც ყველაზე სასიამოვნო, რადიო „ამერიკის ხმის“ მოსკოვის ბიუროს შეფთან, ქალბატონ ლისა მაკადამსთან ურთიერთობა იყო, რომელიც საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ გასაშუქებლად ჩამოვიდა. მისი პირადი თანაშემწე-თარჯიმანი გახლდით. ორმოც წელს გადაცილებული, მხიარული და ენერგიული ქალი იყო. მიტინგებზე დგომა სიამოვნებას ანიჭებდა. არც წვიმას უშინდებოდა, არც სიცივეს... თითოეულ ადამიანს აკვირდებოდა, სწავლობდა — უფრო ფსიქოლოგი იყო, ვიდრე ჟურნალისტი. მომიტინგეებთან ერთად მღეროდა და ცეკვავდა...

მერე გეზი აჭარისკენ ავიღეთ. ბათუმის აეროპორტში მაშინდელი მთავრობის ორი წარმომადგენელი შევნიშნეთ, ისინი ასლან აბაშიძესთან მოლაპარაკებაზე მიდიოდნენ. ვნახეთ ამერიკის ელჩიც, რომელიც იმავე მისიით იყო ჩასული. ლისამ მათი ჩაწერა მოინდომა. კარგა ხანს ვდიეთ. ძალიან სასაცილო სიტუაცია იყო — „დაჭერობანას“ თამაშს ჰგავდა...

— ასლან აბაშიძეს თუ შეხვდით?

— ძალიან დაძაბული ვითარება იყო. აჭარის ლიდერი ჟურნალისტებს ერიდებოდა. ჩვენ კი, სხვა ჟურნალისტებთან ერთად, მის რეზიდენციასთან ვიდექით და ასლანის გამოჩენას მოთმინებით ველოდით. როგორც იქნა, გამოვიდა. ლისამ ასეთი რამ ჰკითხა: გავესაუბრე მოსახლეობას და უმრავლესობა თქვენი წინააღმდეგია; თანამდებობაზე დარჩენას აპირებთ თუ არაო? მან მოკლედ და კონკრეტულად გვიპასუხა: ესენი, ვინც ახლა მოდიან, ჩემზე უკეთესები არ იქნებიანო, — თან გაგვაფრთხილა: — დატოვეთ ტერიტორია, ჩემს სიახლოვეს ყოფნა სახიფათოა! ესენი არაფერზე დაიხევენ უკანო, — და მაშინვე უკან შებრუნდა. ლისამ ასლანის კარგად შეთვალიერება მოასწრო, წამოსვლისას მითხრა: ისეთი ხარისხის ფეხსაცმელი, როგორიც მას ეცვა, ამერიკის სენატორზეც არ მინახავსო.

— სხვა ქალაქშიც თუ იყავით?

— ბათუმში ფრენა შეწყვეტილი იყო. იძულებული გავხდით, სენაკის აეროპორტამდე ტაქსით ჩავსულიყავით. ლისა გაოცდა, როცა მძღოლი გამართული, დახვეწილი ინგლისურით დაგველაპარაკა. კაცმა განგვიმარტა: ტაქსიზე გაჭირვებამ დამსვა, თორემ ერთ დროს, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციებს ვკითხულობდიო. მოწმობაც კი გვიჩვენა. ლისა აღტაცებული იყო მძღოლით. მითხრა: სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს, მაგრამ „ტაქსისტი-პროფესორი“ ჯერ არ შემხვედრიაო!

— ლისას რა მოეწონა საქართველოში?

— ის დიდი გურმანია. ქართული სამზარეულოთი მოიხიბლა. ამბობდა, ქართული სამზარეულო მექსიკურს ჰგავსო. განსაკუთრებით მოეწონა: საცივი, ისპანახის ფხალი, ხინკალი, რომელსაც ხელით საკმაოდ ოსტატურად მიირთმევდა. აკრიტიკებდა ფრანგ ჟურნალისტებს, ამბობდა, — იმდენად ძუნწები არიან, თბილისში „მაკდონალდსში“ იკვებებიანო... ხაჭაპურისა და საცივის რეცეპტები ჩაიწერა. ძალიან ბევრი სანელებელი წაიღო, რის გამოც, მოსკოვის აეროპორტში პრობლემები შეექმნა (ეჭვი გაუჩნდათ, ნარკოტიკი ხომ არ არისო?). ძალიან მოეწონა აქაური კლიმატი. ამბობდა, რომ საქართველოში დიდი სიამოვნებით იცხოვრებდა. მოხიბლული იყო ქართველი მამაკაცებით. განსაკუთრებულად ჭაღარაშეპარულები იზიდავდნენ. სულ მთხოვდა: ვინმე გამაცანიო...

— ჯორჯ ბუშის თბილისში ვიზიტის დროს თუ მოგიწია მუშაობამ?

— ვიზიტის გასაშუქებლად, თბილისში ამერიკის ყველა წამყვანი ტელევიზია ჩამოვიდა. მე სი-ბი-ესის პროდიუსერის თანაშემწე გახლდით. თავისუფალ დროს ქალაქში

ვსეირნობდით ხოლმე. მიწისქვეშა გადასასვლელში კახელი კაცი კახურ ქუდებსა და ჩურჩხელებს ყიდდა. ამერიკელებმა ქუდის ყიდვა გადაწყვიტეს. მოხუცს მათი ვინაობა რომ გავუმხილე, სულ გადაირია — ასეთი რანგის სტუმრებს ქუდს როგორ მივყიდიო?! — და ჩემს პროდიუსერს საკუთარი ხელით დაახურა, თან ჯიბეში ორი ჩურჩხელა ჩაუდო. ისეთი ლამაზი სცენა იყო, დადგმული გეგონებოდა. ამერიკელები აღფრთოვანებული იყვნენ; რაც კი ხელთ ჰქონდათ — კალმები, რვეულები, სხვადასხვა სუვენირი, — ყველაფერი ამ კაცს აჩუქეს... ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ, ნამდვილი კურიოზი იყო. ვაგზლის მეტროსთან ბოტასებს ყიდნენ 15 ლარად. სტუმრებმა ფასი რომ გაიგეს, გაოცდნენ, დიდხანს ატრიალეს ხელში, ბოლოს 12 წყვილი იყიდეს. გამყიდველი ცას ეწია სიხარულისგან. ჩვენთან ასეთი ბოტასები 700 დოლარი ღირსო (ადგილობრივი იმიტაცია იყო)...

— მართალია, დაცვის საოცარი ზომები იყო მიღებული, მაგრამ ბუშზე თავდასხმის მცდელობა მაინც იყო...

— სი-ბი-ესის ჟურნალისტების გვერდით, სცენასთან ყველაზე ახლოს ვიდექი. პირადად მე, დაბეჯითებით ვიტყვი, რომ არც ერთ უცხოელ ჟურნალისტს არაფერი დაუნახავს. არც ოპერატორებს დაუფიქსირებიათ რამე. უამრავი კამერა იყო ჩართული, როგორ გამოეპარა ასეთი რამ ამდენ პროფესიონალ თვალსა და ყურს, წარმოუდგენელია!.. მოგვიანებით, როცა ამის თაობაზე სი-ბი-ესის პროდიუსერს ვკითხე, მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა.

— როგორც ვიცი, შარშანდელი აგვისტოს ომის დროს, უცხოელ ჟურნალისტებთან ერთად, საკმაოდ ცხელ წერტილებში მოგიწია მუშაობამ.

— ომი რომ დაიწყო, მშობლებთან გორში ვიმყოფებოდი. ქალაქი რომ დაიბომბა, მეც, სხვებთან ერთად, ქალაქიდან წასვლა ვამჯობინე. მანქანით თბილისისკენ მივემგზავრებოდი, თან ტელეფონზე უცხოეთის ჟურნალისტების ზარებს ვპასუხობდი. მთხოვდნენ, მათთვის თარჯიმნობა გამეწია. „ალ ჯაზირასთან“ მუშაობა ვარჩიე. ჯერ ერთი, საკმაოდ პოპულარული და ობიექტური ტელევიზიაა, მეორეც — პროფესიონალები არიან და ცხელ წერტილებში (ავღანეთი, ერაყი, ისრაელი...) მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. მათთვის ისიც მისაღები იყო, რომ გორიდან ვიყავი, რადგან ერთგვარი ინფორმაციის წყაროსაც წარმოვადგენდი. ჩამაცვეს ჯავშანჟილეტი, დამახურეს რკინის ჩაფხუტი — ეს ყველაფერი ისეთი მძიმე იყო, ხუმრობის ხასიათზე მიყვანა: ამით მოვკვდები თუ ბომბი მომკლავს, რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი?!

— არ გეშინოდა?

— რა თქმა უნდა, მეშინოდა, მაგრამ საქმე ბოლომდე ხომ უნდა მიმეყვანა?!. ვხედავ, როგორ მოფრინავს ვერტმფრენი, კილომეტრში როგორ ეშვება ბომბი, როგორ იფარება კვამლით იქაურობა... ვგრძნობ, რომ ფეხქვეშ მიწა მეცლება... მერე მახარებს აზრი, რომ ცოცხალი ვარ... ჯერ-ჯერობით!.. ჩვენი მძღოლი — ახალგაზრდა, თბილისელი კაცი ისე შეშინდა, მანქანა დაძრა და დატოვებას გვიპირებდა. ყვიროდა: არც მაგათი ფული მინდა და არც არაფერი! თავს ვუშველოთ, ჩვენ მაინც გავიქცეთო, — მთავაზობდა. მანქანას წინ გადავუდექი: არ გრცხვენია?! რას აკეთებ-მეთქი? — შენ გიჟი ხარო! — მპასუხობდა... მეორე დღეს სხვა მძღოლი ავიყვანეთ...

— რამდენი ხანი გაგრძელდა თქვენი თანამშრომლობა?

— ორი კვირის განმავლობაში, ყოველ დილით, 8 საათზე გორისკენ მივემგზავრებოდით. თუმცა ოკუპანტები ქალაქში ყოველთვის როდი გვიშვებდნენ... გზაში უამრავი გამოქცეული ადამიანი გვხვდებოდა, ზოგი — გუდანაბადაკრული, ზოგიც — ცარიელ-ტარიელი; ფეხშიშველი ადამიანებიც შეგვხვედრიან. განსაკუთრებულად დამამახსოვრდა ორი მოხუცი, რომლებიც თურმე 6 დღე-ღამე ნიქოზიდან გორის შესასვლელამდე ფეხით მოდიოდნენ. ერთი ძალზე მოხუცებული ცოლ-ქმარი (ქალი 85 წლის იყო, კაცი — 100 წელს მიტანებული) კუს ნაბიჯებით მოდიოდა; ორი დღე გზაში ვართო, — გვითხრეს. თან არაფერი წამოეღოთ, მხოლოდ ერთი ბებერი ხარი მოჰყავდათ. როცა ვკითხეთ, რად უნდოდათ ეს ხარი? — ქალმა გვიპასუხა: ჩემს ქმარს შვილივით უყვარს და ვერ დავტოვეთო... გულისამაჩუყებელ ამბებს ვისმენდით, „ალ ჯაზირას“ კორესპონდენტები კი ამ ყველაფერს კამერით აფიქსირებდნენ.

— რუს სამხედროებსაც ხომ არ გასაუბრებიხართ?

— არც ეს შანსი გავუშვით ხელიდან. სამხედროების განწყობილებაში საბჭოთა წყობილების ნოსტალგია იგრძნობოდა — მისტიროდნენ რუსეთის ყოფილ დიდებასა და ძლევამოსილებას. ტელეფონის ზუმერებიც კი ამაზე მეტყველებდა: საბჭოთა კავშირის ჰიმნი, სამამულო ომის დროინდელი სიმღერები ჰქონდათ დაყენებული. ლანძღავდნენ გორბაჩოვსა და შევარდნაძეს: ახლა კონფლიქტი რომ გვაქვს, სწორედ მათი ბრალიაო. სააკაშვილისადმი საოცარ ზიზღსა და სიძულვილს გამოხატავდნენ. რამაც ყველაზე მეტად გამაოცა — რიგითმა ჯარისკაცებმაც კი ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ, საქართველოს მთავრობის წევრებისა და პოლიტიკოსების გვარ-სახელები, იცოდნენ, ვინ „პოზიციაში“ იყო, ვინ — ოპოზიციაში. 52-ე არმიის სარდალ, გენერალ ბორისოვთანაც გვიწევდა შეხვედრა.

— მასზე რას იტყვით?

— უბრალოდ და თავაზიანად იქცეოდა, პასუხის გარეშე არავის დატოვებდა. ხშირად ნასვამი იყო, უყვარდა ხუმრობა... ინგლისური არ იცოდა და რამდენჯერაც ჩემს ჟურნალისტებს ნახავდა, ყოველთვის გერმანულად ეკითხებოდა: გერმანულად ლაპარაკობთო? კითხვაზე — როდის წავიდოდნენ? — გვპასუხობდა, რომ ეს ჩვენზე მეტად უნდოდა; ამბობდა, რომ დედის დაბადების დღისთვის უნდოდა, ჩაესწრო... ჰყვებოდნენ და დღემდე ჰყვებიან, გორთან მის ძველ კავშირებზე. ამბობენ, ბავშვობაში რამდენიმე წელი გორში უცხოვრია (თურმე მამამისი გორის სამხედრო ნაწილში მსახურობდა) და ქალაქის №6 საშუალო სკოლაში უსწავლია. თითქოს ამიტომ, შეძლებისდაგვარად ცდილობდა, ქალაქისთვის ნაკლები ზიანი მიეყენებინა. სხვათა შორის, ოკუპაციის დროს, როცა გორი თითქმის დაცარიელებული იყო და არც ერთი ბინა არ გაძარცულა, ბორისოვმა ბრძანება გასცა, რომ ნებისმიერი მაროდიორი, რუსი იქნებოდა ეს, ოსი თუ ქართველი, ადგილზე განადგურებულიყო... ვერ გეტყვით, რას ეფუძნება გორში მისი ცხოვრების შესახებ ჭორები, მე მხოლოდ ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელმაც საგონებელში ჩამაგდო. გორის შესასვლელთან რომ ვიმყოფებოდით, დავინახე, როგორ მიუახლოვდა ბორისოვს მისი ხნის ქართველი მამაკაცი; მალე ერთმანეთს გადაეხვივნენ. ის კაცი გენერალს მხარზე ხელს ურტყამდა და „ბორკათი“ მიმართავდა. გამაკვირვა ასეთმა ფამილარობამ. ამ კაცს რომ დაშორდა, გენერალმა ჩვენს გასაგონად თქვა: мы с ним за одной партой сидели! — თითქოს თვალებიც აუწყლიანდა...

— მაღალი რანგის პირებთან შეხვედრებზეც თუ მოგიწია თარჯიმნობამ?

— „ალ ჯაზირას“ შემდეგ, ავსტრალიის ტელევიზიის მე-9 არხის ჟურნალისტებთან მომიხდა თანამშრომლობა. 2008 წლის 4-5 სექტემბერი იყო. ამ დროს რუსეთის ჯარმა უკვე დატოვა გორი, თუმცა ჯერ კიდევ

იდგა ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში, სოფელ კარალეთთან. ავსტრალიელ ჟურნალისტებთან ერთად, დანგრეული გორი დავათვალიერეთ, მერე კი კარალეთში რუსების ბლოკსაგუშაგოს ვეწვიეთ. ეს ჟურნალისტები შემტევები იყვნენ, იარაღმოშვერილ ჯარისკაცებს ლამის უყვირეს: აქ რატომ დგახართ? ეს ხომ თქვენი ტერიტორია არ არისო!.. საინტერესოა, რომ ამას რუსებიც არ უარყოფდნენ: ჩვენ შეიძლება, ინგლისური არ ვიცით, მაგრამ გეოგრაფია ვიცითო... იმავე დღეს მიხეილ სააკაშვილთან ინტერვიუც ჩაწერეს. იმ პერიოდში ჩვენს პრეზიდენტს ბევრი უცხოელი ჟურნალისტის მიღება უწევდა. შეხვედრა საღამოს 10 საათზე მის რეზიდენციაში შედგა. სულ ნახევარი საათი გაგრძელდა. ავსტრალიელ ჟურნალისტებს მეც ვახლდი, თუმცა თარჯიმნის საჭიროება არ იყო, რადგან პრეზიდენტი ინგლისურად საუბრობდა. საკმაოდ მწვავე კითხვა დაუსვეს: რატომ დაიწყეთ ომი, როცა იცოდით, რომ რუსეთს ვერ მოუგებდითო? სააკაშვილი ცოტა გაცხარდა და უპასუხა, რომ ომი რუსებმა დაიწყეს, რადგან ბრძოლების დაწყებამდე მათი არმია როკის გვირაბში უკვე შემოდიოდაო. მერე დასძინა: პრეზიდენტი ვალდებულია და კიდეც დაიცავს თავის მოქალაქეებს, რომლებსაც აფეთქებენ, ძარცვავენ და კლავენო!.. პრეზიდენტი ჩქარობდა, ეტყობოდა, რომ კიდევ ბევრი ინტერვიუ ჰქონდა მისაცემი. რეზიდენცია რომ დავტოვეთ, ავსტრალიელმა ჟურნალისტმა მკითხა: კითხვებს რომ ვუსვამდი, თქვენი პრეზიდენტი ძალიან ნერვიულობდა; ომის გამოა განერვიულებული თუ საერთოდ ასეთიაო?..

— ომის დროს შენი მშობლები სულ გორში იყვნენ?

— მხოლოდ მამა იყო გორში. როცა ქალაქში არ გვიშვებდნენ, ვურეკავდი და ამომწურავ ინფორმაციას ვიღებდი. ერთ დღესაც, „ალ ჯაზირას“ შემოქმედებითი ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს, ოკუპირებულ გორში მამაჩემი მოენახულებინათ. ჩვენს ქუჩაზე 5 ადამიანიღა იყო დარჩენილი. მოგეხსენებათ, ქართველების სტუმარმასპინძლობის ამბავი; მამაჩემი სტუმრებს უპატივცემულოდ როგორ გაუშვებდა?! არადა, იმწუთას თურმე პურიც კი არ ჰქონდა სახლში... ერთი სიტყვით, როცა ქალაქში, მანქანების ნაცვლად, ტანკები დადიოდნენ და ცარიელ ქალაქში ერთი მაღაზიაც კი არ მუშაობდა, მამაჩემი, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწში გაძვრა და საპატიო სტუმრებს სუფრა გაუწყო. ერთმა მეზობელმა პურები დააცხო, მეორემ რამდენიმე კვერცხი და წინა დღეს აღებული ჰუმანიტარული დახმარება — 2 ცალი თევზის კონსერვი მოგვაწოდა; მამამ ბაღში კიტრი და პომიდორი დაკრიფა... შეიძლება ითქვას, მასპინძლებმა ბოლო ლუკმა გაიღეს. სტუმრები აღფრთოვანებული იყვნენ; ასეთი გემრიელი ლანჩი „მარიოტშიც“ კი არ გვიჭამიაო, — გვითხრეს. სხვათა შორის, სამშობლოში დაბრუნებამდე ისინი კვლავ ესტუმრნენ მამაჩემს და იმ დაუვიწყარი სუფრისთვის, მადლიერების ნიშნად, თბილისის საუკეთესო მარკეტიდან 200 დოლარის ღირებულების პროდუქტი მიართვეს. ■

„გაქართველებული“ ნიგერიელები და „ვანოს შოუს“ მონაწილე ბრაიანი

„...მე უკვე ქართველი ვარ და არსად წასვლა არ მინდა“

ცოტა ხნის წინ ჩემს მშობლიურ მხარეს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედს ვეწვიე. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ქუჩაში გამოსული, 5 ფერადკანიან ბიჭს შევეჩეხე. ცოტა ხნით ადრე, ბავშვების მიერ გარეთ გამოყვანილი ჩემი 8 თვის შვილი ხელში აეყვანათ, კოცნიდნენ და ეფერებოდნენ... რასაკვირველია, დავინტერესდი, საიდან გაჩნდნენ შუაგულ კახეთში და ინტერვიუს ჩაწერა გადავწყვიტე.

ბრაიან იდოუ, ლარი რამანი, ქაზიმ ჰუსეინი და ოლუმუიავა ოკეუო ოიბადი თავ-თავის ბიოგრაფიას ხალისიანად მიყვებოდნენ. უნდა აღვნიშნო, რომ ბრაიანმა და ოლუმუიავამ უკვე ქართულიც იციან და ცდილობდნენ, ჩემს შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, ინგლისური სიტყვების გამოყენებისთვის თავის აერიდებინათ.

ნათია ჟვიტიძე

— საიდან ხართ და საქართველოში როდის და როგორ მოხვდით?

ბრაიან იდოუ:

— წარმოშობით ნიგერიელი ვარ, პროფესიით კი — ფეხბურთელი. ნიგერიაში ვცხოვრობდი და ბავშვობიდან ფეხბურთს ვთამაშობდი. მერე ნიგერიის გუნდში — „ფლამინგოში“ ამიყვანეს. მოგვიანებით აზერბაიჯანში, ბაქოს „ოლიმპიკთან“ გავაფორმე ხელშეკრულება და იქ ვთამაშობდი. მერე კი რუსთავის „ოლიმპში“ განვაგრძე ჩემი საფეხბურთო კარიერა. ახლა თავისუფალი ვარ და ვაპირებ, თბილისის რომელიმე გუნდში დავიწყო თამაში. მოლაპარაკებებს „ლოკომოტივთან“ ვაწარმოებ.

ლარი რამანი:

— ბრაიანის მსგავსად, მეც ნიგერიიდან ვარ და მეც ფეხბურთს ვთამაშობ. უკვე ორი თვეა, საქართველოში ვარ. ახლა უკვე კონტრაქტი დამიმთავრდა, სულ მალე საქართველოს დავტოვებ და განაში გავემგზავრები.

ქაზიმ ჰუსეინი:

— ალბათ არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ მეც ნიგერიელი ვარ. ადრე თბილისის „ლოკომოტივში“ ვთამაშობდი, ახლა თავისუფალი ვარ და თურქულ კომპანიაში ვმუშაობ. ასე რომ, საქართველოდან წასვლას ჯერ არ ვაპირებ.

ოლუმუიავა ოკეუო ოიბადი:

— საქართველოში წლისა და 8 თვის წინ მეც ნიგერიიდან ჩამოვედი. ჩემს სამშობლოში გუნდ „აკადემიში“ ვთამაშობდი, მერე თბილისში გადმოვედი, მაგრამ ახლა მეც თავისუფალი მოთამაშე ვარ. აქედან წასვლა არ მინდა, რადგან საქართველო მაგარია. მიშაც მაგარია. მე მიყვარს საქართველოს პრეზიდენტი.

— რისთვის გიყვარს?

— ძალიან კარგი ადამიანია. ადრე საქართველო „ბანძი“ ქვეყანა იყო. რაც მიშა თქვენი პრეზიდენტია, მაგარი ქვეყანა გახდა. ამიტომაც არ მინდა აქედან წასვლა.

— რა ამის პასუხია და, ძალიან მაინტერესებს, სოფელ ზემო ქედში როგორ მოხვდით. აქ რას აკეთებთ?

ბრაიანი:

— ზემოქედელი ძმაკაცი გვყავს — სოსო ყველაიძე. ადრე ამ რაიონში ერთი ახალგაზრდა ბიჭი დაიღუპა. ახლა მისი სახელობის ტურნირი მოეწყო ფეხბურთში. სოსომ გვთხოვა, ჩვენც მიგველო მონაწილეობა და უარს ხომ არ ვეტყოდით?! ამ ტურნირში მეორე ადგილი დავიკავეთ. როგორც ხედავ, პატარა თასებით დაგვაჯილდოეს კიდეც.

— ეი. ზემო ქედის ნაკრების წევრები ხართ?..

— ჰო, ასე გამოდის (*იცინიან*).

— კახეთი მოგეწონათ?

— რა თქმა უნდა! პირველად კახეთში რთველში ვიყავი და აღფრთოვანებული დავრჩი. მხოლოდ კახეთში კი არა, რაჭაშიც ვიყავი, სამტრედიაშიც, გურიაშიც... მოკლედ, თითქმის მთელი საქართველო მოვიარე და ძალიან მომეწონა.

ოლუმუიავა:

— რაჭა კიდევ, იცი, რატომ მიყვარს? მე იქ, ნიკორწმინდის ტაძარში მოვინათლე და მართლმადიდებელი გავხდი.

— ყოჩაღ! ვინ არის შენი ნათლია?

— ბესო კაციტაძემ და ბექა ქობულაძემ მომნათლეს. რაჭაში მოვინათლე და ამიტომ სულ ვამბობ, რომ მე რაჭველი ვარ.

— რატომ გადაწყვიტე, რომ მართლმადიდებლურად მონათლულიყავი?

— იმიტომ, რომ ძალიან მომწონს ქართული ტრადიციები. რომ გითხარი, საქართველო მიყვარს-მეთქი, კი არ მომიტყუებიხარ. მართლა მიყვარს და მინდა, ქართველი ვიყო.

— ბრაიან, შენ „ვანოს შოუში“ და „კომედი შოუშიც“ ხშირად ჩანხარ. როგორ მოხვდი იმ ბიჭებთან?

— ვანო ჯავახიშვილი ჩემი მეგობარია და პირველად მან მიმიწვია გადაცემაში. მერე დანარჩენებთანაც დავმეგობრდი და ხშირად მიწვევენ. სიმართლე რომ გითხრა, იმ გადაცემებში მონაწილეობა ძალიან მომწონს.

— როგორც ჩანს, საქართველოში ბევრი მეგობარი გყავს.

— რა თქმა უნდა. ადრე სამტრედიაში ერთ ქართულ ოჯახში 6 თვის განმავლობაში ვცხოვრობდი. მათ, როგორც საკუთარი ოჯახის წევრი, ისე მიმიღეს და მეც თავს სახლში ვგრძნობდი. რომ მეკითხებიან, რა გვარი ხარო? — გელიაშვილი-მეთქი — ვპასუხობ, რადგან ის ოჯახი ამ გვარისაა.

— ეი. გინდა, ქართველი იყო...

— უკვე ქართველი ვარ! შარშან ზაფხულში მეც მართლმადიდებლურად მოვინათლე, ოღონდ — ბათუმში. ჩემი ნათლიები — გელა კაციტაძე და მამა ირაკლი არიან, თუმცა მამა ირაკლიმ ამის შესახებ არაფერი იცის: ადრე მან შემომთავაზა, მართლმადიდებლად მოგნათლავო, მაგრამ უარი ვუთხარი, უნდა ვიფიქრო-მეთქი; მერე, როცა მონათვლა გადავწყვიტე, ბათუმში ვიყავი, ამიტომ მას ველარ შევუთანხმდი და მის დაუკითხავად, მოძღვარს ვუთხარი, რომ ჩემს ნათლიად მოეხსენიებინა. ისე, მანამდე მუსლიმანი ვიყავი. მამაჩემს რომ ვუთხარი, მართლმადიდებლურად უნდა მოვინათლო-მეთქი, ძალიან ეწყინა, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც არ შევიცვალე... 3 წელზე მეტია, მამა არ მინახავს. არ იცის, როგორ ვცხოვრობ. ერთმანეთთან მხოლოდ სატელეფონო კავშირი გვაქვს, შესაბამისად, ჩემი გადასაწყვეტი იყო, იესოს ვიწამებდი თუ — ალაჰს.

— ახლა შენი მამა ის გელიაშვილია, არა?..

— (*იცინის*) ახლა ჩემი მამა — მამა ირაკლია... ისე, საქართველოს მოქალაქეობაც მინდა, რომ მივიღო. უკვე ყველა საბუთი მოვამზადე და მიშამ ხელი უნდა მოაწეროს.

— ნიგერიის მოქალაქეობაზე უარს ამბობ?

— არა, ორმაგი მოქალაქეობა მექნება. საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა.

— ლარი, სულ ჩუმად რომ ხარ, ახლა შენ მითხარი, ყველაზე მეტად რა მოგეწონა საქართველოში?

— საერთოდ, ძალიან მიყვარს ბავშვები და ყველაზე მეტად, ქართველი ბავშვები მომეწონა. ძალიან საყვარლები არიან. ხომ ნახე, შენი შვილიც, დავინახე თუ არა, მაშინვე მისი მოფერება მომინდა. ბავშვების გარემოცვაში თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობ. გარდა ამისა, თქვენი კულტურა და ტრადიციებიც ძალიან მომწონს. თქვენს მუსიკასაც სიამოვნებით ვუსმენ.

— ახლა არ მითხრა, ქართულმა ესტრადამ მომხიბლაო.

— არა. ხალხური სიმღერები მომწონს ძალიან. ყველაზე დიდი სიამოვნებით კი „აჭარულს“ ვუსმენ. მოკლედ, ქართველები ძალიან ნიჭიერი და კარგი ხალხი ხართ. ქუჩაში ყველა თბილად მხვდება და მიღიმის, თუმცა გამონაკლისებიც არიან. ზოგჯერ დამიძახებენ, — ე, ზანგო, მოდი აქო!.. სიმართლე რომ გითხრა, ეს ძალიან მწყინს. ზანგები რა, ხალხი არა ვართ? რატომ უნდა დაგვიძახონ ასე?! ჩვეულებრივად, ადამიანურად დაგველაპარაკონ, არ შეიძლება?!. ერთხელ მე და ბრაიანი ქუჩაში მოვდიოდით და ვიღაცებმა დაგვიძახეს, — თქვენს ნიგერიაში წადით, აქ რა გინდათო?! ვერ გავიგე, ვინმეს რამეს ვუშავებთ?

ბრაიანი:

— ერთხელ ასეთი ლაპარაკის გამო ჩხუბიც კი მოგვიხდა.

ლარი:

— ადამიანი — ადამიანია, რა მნიშვნელობა აქვს, თეთრი იქნება თუ — შავი?! კარგი და ცუდი ხომ ყველგანაა! მაგალითად, ყვავილს მოვიტან: შავი ვარდი სხვა ფერის ვარდებს რამით ჩამოუვარდება? მგონი, ყველაზე ლამაზია. ასე ვართ ჩვენც (*იცინის*).

— ბრაიან და ოლუმუიავა, თქვენ, ასე თუ ისე, ქართულად ლაპარაკობთ. ვინ გასწავლათ?

ოლუმუიავა:

— უკვე რამდენი ხანია, საქართველოში ვარ. უამრავი ქართველი მეგობარი მყავს და მათთან ურთიერთობის შედეგად, ქართულიც ვისწავლე. სულაც არ გამჭირვებია.

ბრაიანი:

— პირველად საქართველოში რომ ჩამოვედი, არც ერთი ქართული სიტყვა არ ვიცოდი. ცოტ-ცოტას რუსულად ვლაპარაკობდი. მერე ერთმა მეგობარმა მითხრა, ქართული უნდა გასწავლოო და კარგად მახსოვს, ჩემი პირველი სიტყვა იყო „გამარჯობა“. მერე, სამტრედიაში რომ გადავედი, იქაურმა მეგობრებმა უფრო კარგად შემასწავლეს თქვენი ენა. კარგად არც ახლა ვიცი, მაგრამ ნელ-ნელა უკეთესად ვსწავლობ.

— ქართულ კერძებზე რას იტყვით?

ლარი:

— ვგიჟდები ქართულ კერძებზე. თქვენი ღვინო ძალიან მომწონს.

ბრაიანი:

— მე „რაჭველ ლობიანზე“ ვგიჟდები. კიდევ, ხინკალი და მწვადი მიყვარს. საცივი და ლობიოც კარგია. ღვინოებიდან კი ყველაზე მეტად, „ხვანჭკარა“ მომწონს.

ძაზიმი:

— მე უპირატესობას ხაჭაპურს ვანიჭებ. რამდენიც გინდა, ვჭამო, არ მომბეზრდება.

ბრაიანი:

— მარტო საჭმელები კი არა, ქართველი გოგონებიც ძალიან მომწონან. ვაპირებ, ქართველი გოგო მოვიყვანო ცოლად.

— უკვე გყავს შეყვარებული?

— არა, ამწუთას შეყვარებული არ მყავს. ერთი გოგო მომწონს და იმასაც მოვწონვარ. ვნახოთ, იქნებ გამოვიდეს ჩვენი ურთიერთობიდან რამე და მერე მულატი ბავშვები გვეყოლებიან. რა მაგარია, არა?!

ძაზიმი:

— მე ქართველი გოგონები იცი, რატომ მომწონს?.. ქალიშვილები რომ არიან, იმიტომ. თქვენი ტრადიციებიდან ყველაზე მეტად, „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ მომწონს.

ლარი:

— ჩემთვის ქალიშვილობას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ერთმანეთი გვიყვარდეს. მიყვარს გოგოები...

— თქვენ აქ ყოფნის პერიოდში საქართველოში ომი იყო. მაშინ არ შეგეშინდათ? სამშობლოში დაბრუნებაზე არ გიფიქრიათ?

ბრაიანი:

— სიმართლე რომ გითხრა, ცოტა შემეშინდა კიდეც, მაგრამ აქედან წასვლაზე არ მიფიქრია. საქართველო ხომ ჩემი მეორე სამშობლოა. მე უკვე ქართველი ვარ და არსად წასვლა არ მინდა. ჩემს სამშობლოს გაჭირვებაში ხომ არ მივატოვებდი?!

ლარი:

— ბოლოს ქართველებს მინდა ვუთხრა, რომ ფერადკანიანებს „ზანგოთი“ აღარ მოგვმართონ. ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და ასეთი მიმართვა გვწყინს. ჩვენ გვიყვარს ქართველები.

■

ცხინვალელი ფერმწერის ოდისეა, საუბარი მხატვრობაზე

და არა მხოლოდ...

ევროპაში 18-წლიანი მოლვაწეობის შემდეგ ქართველმა, უფრო კონკრეტულად კი, ცხინვალელმა ფერმწერმა ნოდარ გიუნაშვილმა ფონდის — „ღია საზოგადოება — საქართველო“ — მხარდაჭერით, ახალგახსნილ „ღია გალერეაში“ პერსონალური გამოფენა მოაწყო.

ირმა ხარშილაძე

— ბატონო ნოდარ, 18 წლის შემდეგ სამშობლოში მოწყობილ პირველ გამოფენას „მე და შენ“ უწოდეთ. რას გულისხმობდით?

— კარგი შეკითხვაა... ამ სახელწოდებაში ბევრი რამ ჩავატიე — ასე დავასათაურე აქ გამოფენილი ჩემი ერთ-ერთი ნამუშევარი, სადაც ქალ-ვაჟი გამოვსახე. შინაარსით, იმავეს ითვალისწინებს კიდევ რამდენიმე ნახატი. გარდა ამისა, აქ სამშობლოსთან შეხვედრასაც ვგულისხმობდი — ამდენი წლის შემდეგ გავბედე და ჩემს ქვეყანას საკუთარი შემოქმედება წარვუდგინე. საქართველოში მოწყობილი პერსონალური გამოფენა ძალიან ბევრს ნიშნავს: ჩემს ხალხს უნდა ვუჩვენო, ამ ხნის განმავლობაში რა ვისწავლე, რა შევქმენი. იქნებ, ვერც მივაღწიე იმდენს, რომ ჩემი პედაგოგების, კოლეგების, კრიტიკოსების, საერთოდ, დამთვალიერებლების მოწონება დავიმსახურო?! ამიტომ საგულდაგულოდ ვარჩევდი საექსპოზიციო ნამუშევრებს. სხვათა შორის, გამოფენას ურიგოდ არ ჩაუვლია.

— როგორ შეგაფასეს?

— აქ ის ადამიანები შეიკრიბნენ, ვის აზრსაც უდიდეს პატივს ვცემ. ბედნიერი ვარ, რომ ნამუშევრები მომიწონეს. გამოფენის გახსნის დღეს ემოციურად დამუხტული ვიყავი; დღეს რომ მოვედი „ღია გალერეაში“ და მშვიდად დავათვალიერე ჩემი ნახატები, აღმოვაჩინე, რომ თურმე სიმდიდრე მქონია (იცინის). ვუყურებ და ვტკბები ჩემი ნამუშევრებით — ძალიან სასიამოვნო განცდაა. ამ გამოფენით ჩემი ნათესავები და მშობლები, განსაკუთრებით კი დედა ძლიერ გავახარე. ცხინვალის სამხატვრო სასწავლებელში რომ ვსწავლობდი, ეს სწორედ მისი დამსახურებაა. სკოლაში დიდად არ მიყვარდა ტექნიკური საგნები. მერვე კლასს რომ ვამთავრებდი, დედას გაზეთიდან შეუტყვია ამ სასწავლებლის შესახებ და იქ გადასვლა შემომთავაზა. მომამზადა კიდეც. ჩავაბარე, თავიდანვე ფერწერა ავირჩიე და დაბეჯითებით გეტყვით, იქ სწავლამ პიროვნებად ჩამომაყალიბა. ძალიან მომთხოვნი პედაგოგი მყავდა — ნიკო ნიკოლიშვილი, რომელმაც შრომა შემაყვარა. ღამის 3 საათამდე ვმუშაობდით და ამან შედეგიც გამოიღო — სამხედრო სამსახურის შემდეგ სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე. მახსოვს, მესამე კურსამდე ჟორა ჯაში მასწავლიდა და წასახალისებლად, პრემიებს გვიწესებდა სტუდენტებს — ხან ჭიქით მარწყვს მოგვიტანდა, ხან საბურთალოზე, თავის სახელოსნოში წაგვიყვანდა და უგემრიელეს, თავის მომზადებულ ხახვში არეულ „სელიოდკაზე“ გვაქეიფებდა.



„ქეიფს“ ვამბობ, თორემ ალკოჰოლურ სასმელს არ გვაკარებდა (იცინის). ხშირად ახალქალაქში მივყავდით პრაქტიკაზე და იქაც გვიფასდებოდა შრომა. მახსოვს, ერთხელ შორს, მთაში წავედი სახატავად. ჰორიზონტზე ჩემკენ მომავალი ხელჯოხიანი კაცი შევნიშნე. მომიახლოვდა და ჩემი პედაგოგი — გიორგი ჯაში შევიცანი. გავიოცე: აქ რამ ამოიყვანა-მეთქი?.. თურმე ცელოფნის პარკით ახალშემოსული მარწყვი თუ ჟოლო ამოეტანა: აი, შენ პრემიაო (*იცინის*)!

— რაკი წარსულის გახსენება დაიწყეთ, მინდა გთხოვოთ, ცხინვალზეც გვიამბოთ — იქ გატარებულ ბავშვობაზე, მეგობრებზე, ურთიერთობებზე...

— არ ვიცი, რამდენად შეიძლება ამის ხმამაღლა თქმა, მაგრამ... საბავშვო ბაღის დროინდელი ერთი ეპიზოდი მახსენდება: 5 წლისაც არ ვიყავი, ერთი ბავშვი შემოიყვანეს ჯგუფში. მე ქართულად ველაპარაკებოდი, მას კი არაფერი ესმოდა. როგორც ჩანს, გავნერვიულდი, ქართული რომ არ იცოდა და ხელი ვკარი. მასწავლებელმა ამიხსნა: ეს ოსი არისო. ვერ გავიგე, ოსი რას ნიშნავდა, მაგრამ ძალიან გავმწარდი, როდესაც იმ ბავშვის დედამ გაიგო მომხდარის შესახებ, კინაღამ გამგლიჯა. ის ამბავი დღემდე არ მავიწყდება... მერე ცხოვრება გაგრძელდა — ჩემი ქართველი მეზობლები სახლებს ყიდდნენ და გორსა და თბილისში გადადიოდნენ საცხოვრებლად, მთიელი ოსები კი საქონელს ყიდდნენ და ჩვენთან სახლდებოდნენ. პაპაჩემს მიწები ჩამოართვეს და მათ გადასცეს. ცხინვალში 2 ქართული სკოლა იყო, 10-12 — რუსული. მე პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ჩვენ წინ 2 რუსული სკოლა იყო. რა თქმა უნდა, იმ ადამიანებთან ერთად ვიზრდებოდი და ვმეგობრობდით კიდეც; დღემდე კარგად მახსენდება თითოეული მათგანი, მაგრამ ყოველთვის მოაცებდა ზოგიერთი ოსის ქართველებისადმი დამოკიდებულება: საიდან დაუგროვდათ უზარმაზარი სიძულვილი?.. ვფიქრობ, ვინც ქართველებთან ერთად საქართველოში იზრდებოდა, თბილი ურთიერთობაც ჰქონდა, მაგრამ საკმარისი იყო, ერთი-ორი წლით რუსეთში წასულიყო სასწავლებლად, რომ მაშინვე ქართველის დაუძინებელ მტრად იქცეოდა... როკის გვირაბის მშენებლობისას სკოლაში ვსწავლობდი და არ მავიწყდება ერთი ოსი პედაგოგის ნათქვამი: მოიცადეთ, ჯერ „ტუნელი“ გაიხსნას და მერე ნახავთო!.. ასე რომ, ოსების ჩვენდამი დამოკიდებულებაში პრობლემა დღეს არ გაჩენილა, 70 წელზე მეტია, რუსებმა ჩვენ შორის მტრობა ჩამოაგდეს.

— სად არიან დღეს თქვენი ოსი მეგობრები, იცით?

— შარშანდელი აგვისტოს ომამდე მანქანით მივდიოდი ხოლმე დედაჩემის სოფელ კეხვში. მართალია, დედ-მამა უკვე

ლტოლვილები იყვნენ და თბილისში ცხოვრობდნენ, მაგრამ იქ უახლოესი ნათესავები მყავდნენ და მათ ვსტუმრობდი. გზად, ცხინვალის შესასვლელთან, საგუშაგოზე ავტომატიანი ოსი მეგობრები ყოველთვის მხვდებოდნენ და ძალიან დიდი სიხარულითა და პატივით მეპყრობოდნენ. მეც ძალიან მიხაროდა მათთან შეხვედრა, თუმცა... ისინი მაინც იარაღით იდგნენ, მე კი უიარაღოდ მივდიოდი. მეგობრები კი არიან, მაგრამ ფაქტობრივად, გამოგვაგდეს იქიდან. მათ სხვა იდეოლოგია აქვთ...

— არასდროს გისაუბრიათ ამ თემაზე?

— საუბარს აზრი არ ჰქონდა, რადგან ბავშვობიდან უკვე „მოწამლულები“ იყვნენ. კიდევ იცით, რას ვგრძნობდი იქაური ოსებისგან?.. თითქოს ყოველთვის შურდათ ჩვენი. მახსოვს, საჭიდაოდ თბილისში, სპორტის სასახლეში რომ ჩამოვდიოდით და ქართველი ოსს ხვდებოდა, უდიდეს აგრესიას ამჟღავნებდნენ. თუნდაც ცხინვალის შეჯიბრებებზე — გასაოცარი რეაქცია ჰქონდათ. მაშინ ამას ზერელედ ვუყურებდი და პრობლემად არც აღვიქვამდი, მაგრამ ახლა რომ ვაანალიზებ, ვფიქრობ: მაშინ მთავრობას ყურადღება რომ მიექცია ამ დამოკიდებულებისადმი, დღეისთვის ასეთ შედეგს არ მივიღებდით... თუმცა არა, ჩვენ შანსი არ გვქონდა; ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი — ვინც მეტად მიელაქუცა რუსეთს, რუსეთიც მას დაეხმარა.

— წლების განმავლობაში ბევრი რამ მოხდა საქართველოში. თქვენც უმეტეს დროს საზღვარგარეთ ატარებთ, გამოფენებსაც თურმე იქ აწყობთ... როდის წახვედით?

— როდესაც საზღვრები გაიხსნა, საშუალება მომეცა, ჩემი ბავშვობის ოცნება ამეხდინა — მემოგზაურა და ჩემთვის საინტერესო ადგილები დამეთვალიერებინა, სხვადასხვა ჯურის ადამიანების აზროვნებას, ყოფა-ცხოვრებას გავცნობოდი... პირველად, 1989 წელს პოლონეთში გავემგზავრე. ბევრი მეგობარი შევიძინე და მას შემდეგ სანახევროდ იქ ვიყავი. 1993-1994 წლებში „მხედრიონმა“ მანქანის წართმევა დამიპირა. მთელი ღამე მატარეს, იარაღით გატენეს ჩემი მანქანა, ხან „ზვიადისტებს“ დასდევდნენ, ხან ქუთაისში ჩამიყვანეს... არაფერში შეეწინააღმდეგე და საბოლოოდ, დილის 5 საათზე დამეხსნენ — მანქანიანად გამომიშვეს. ძალიან შევშინდი. მეორე დღესვე გავყიდე მანქანა და ცოლშვილიანად, პოლონეთში წავედი საცხოვრებლად. ჩემი შვილი საფრანგეთში, კოლეჯში სწავლობდა, წლების განმავლობაში ძალიან კარგად შეისწავლა ფრანგული, ინგლისური, რუსული და აქ ჩემი გამოფენის გახსნის დღეს კარგი სამსახურიც იშოვა (იცინის). დიდებულია, არა?

— ისიც მხატვარია?

— არა და ძალიან მწყდება გული: რასაც მე წლების მანძილზე ვსწავლობდი, მას ბუნებრივად და გაცილებით უკეთ გამოსდის, მაგრამ არ უნდა და ვერც ვაძალებ. კოლეჯის შემდეგ, ნანტის უნივერსიტეტში ჩააბარა, მაგრამ საფრანგეთში აღარ გავუშვით, ამიტომ სწავლა საქართველოს უნივერსიტეტში განაგრძო და სპეციალობად, საერთაშორისო ურთიერთობები აირჩია. რა ვქნა?.. სამაგიეროდ, გოგონა აგრძელებს ჩემს საქმეს: აბიტურიენტია და სამხატვრო აკადემიაში სურს ჩაბარება. სხვათა შორის, არ მითქვამს და, ჩემი მეუღლეც ოსია, გვარად ჯიოევი. მანაც ცხინვალის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, ოღონდ — თბილისში დაიბადა და გაიზარდა. ოსი წარმოშობითაა, თორემ მთელი არსითა და ცხოვრების წესით, ქართველია. სამწუხაროდ, ჩემი მეუღლე ხატვისთვის ველარც იცლის, მთელ დროს ბავშვების აღზრდასა და საოჯახო საქმეს ახმარს.

— მეუღლე და შვილები უკვე საქართველოში ცხოვრობენ?

— კი, აქ ვართ. პოლონეთის შემდეგ 2 წლის განმავლობაში მოსკოვში ვცხოვრობდით, მერე წამოვედით. შვილებისთვის, ვფიქრობ, ასე სჯობია. საერთოდ, რომ ვუკვირდები, აზრი არ აქვს საზღვარგარეთ სწავლას — უმრავლესობა არც არაფერს სწავლობს, დროსაც ტყუილად კარგავს და ფულსაც, სათანადო განათლებას კი ვერ იღებს. ამიტომ ვამჯობინეთ, ვაჟი აქ ჩამოგვეყვანა სასწავლებლად, — თავის ოჯახშია, ჩვენც თვალყურს ვადევნებთ, თანაც, მის უნივერსიტეტში საკმაოდ მკაცრი მოთხოვნებია... ამჟამად მხოლოდ მე ვმოგზაურობ ხშირად. ძირითადად ბერლინში ვარ, ძალიან მიყვარს ეს ქალაქი.

— თურმე ევროპის ბევრ ქალაქში გქონიათ პერსონალური გამოფენა, აქ კი პირველად მოაწყვეთ. ასე რატომ შეყოვნდით?

— იქ არ მეშინია პუბლიკის, შეიძლება, იმიტომ, რომ ბევრს მაქებენ. აქ კი, შინაური მოგეფერება, მაგრამ უცხო მკაცრად შეგაფასებს. ალბათ იქაც არიან მკაცრი შემფასებლები, მაგრამ მე მათ თვალსაწიერში ნაკლებად ვხვდები: ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში ძალიან მაღალი დონის გალერეებია, მაგრამ იქ ვერ ვაწყობ პერსონალურ გამოფენებს, ჩემი ზღვარი ვიცი და იმას ვჯერდები.

— იქ არ გიძნელდებათ ნამუშევრების გაყიდვა? ეს ხომ თქვენი შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

— ფაქტობრივად, მე თავად ვარ მხატვარიც, მენეჯერიც, გამყიდველიც და, ასე თუ ისე, ნამუშევრებიც მეყიდება. აქაც გამომიჩნდნენ მყიდველები, მაგრამ როგორც ყოველთვის, საქართველოში ასეა — „ბოლო ფასი“ აინტერესებთ და „დამიკელის“ აყოლებენ, ასე რომ, ვვაჭრობთ (*იცინის*).

— აქ კრიტიკულად არავინ შეგაფასად?

— ძალიან „ტექნიკურად“ — კი. ხანგრძლივად ვისაუბრეთ მე და ჩემმა ჯგუფელმა, თავისი მოსაზრებები და შენიშვნები გამიზიარა და ასეთი ურთიერთობა ჩემთვის ძალიან მისაღები და ყურადსაღებია.

— ალბათ სასიამოვნო დამთხვევა იყო თქვენთვის, რომ ფონდმა — „ღია საზოგადოება — საქართველო“ სწორედ თქვენი პერსონალური გამოფენით გახსნა თავისი საგამოფენო დარბაზი „ღია გალერეა“.

— ჩემი გამოფენა ამ ფონდის ორგანიზებულია და აქ მომუშავე ადამიანებისთვის მადლობის თქმაც არასდროს მომბეზრდება. „ღია გალერეაც“, რომელიც უცნობი ახალგაზრდა მხატვრების, რეგიონში მოღვაწე, დევნილი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მხატვრებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვების შემოქმედების წარმოსაჩენად, ჩემი ნახატების გამოფენით გაიხსნა, ძალიან ლამაზია, ნამუშევრებიც არაჩვეულებრივად გაანაწილეს მის კედლებზე — ფონდის პერსონალურმა მენეჯერმა თიკო თუშიშვილმა სულ თავისი ხელით გააწყო ყველაფერი, ბუკლეტებიც დამიმზადა, გარემოც შესანიშნავი შექმნეს და თქვენი საშუალებით, კიდევ ერთხელ ვეტყვი ფონდის დირექტორს, ქალბატონ ქეთი ხუციშვილს, თიკო თუშიშვილსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს, ანა ტოკლიკიშვილს უღრმეს მადლობას.

— ბატონო ნოდარ, მგონი, მალე მიემგზავრებით ევროპაში, არა?

— 4 ოქტომბერს მივდივარ. 7-დღიანი გამოფენა მექნება საფრანგეთში, ქალაქ კოლმარში. როტერდამშიც მელოდებიან, ამსტერდამშიც, მერე — ფრაიბურგში, ანტვერპენსა და ჰამბურგში... ასე რომ, საინტერესო და დაძაბული დღეები მელის.

— საქართველოში კიდევ 18 წელი უნდა გელოდოთ?..

— არა მგონია (*იცინის*). ყოველ წელს ერთ ქალაქში პერსონალური გამოფენა არ გამოვა, ჯერჯერობით კი მგონი, ჩემი ვალი მოვიხადე. ■

სამყარო

ხის ფესვებისაგან შექმნილი ნაკეთობანი და „ხორცშესხმული ზღაპარი“

„ადამიანს, რომელსაც ბუნება უყვარს, შეუძლებელია, არ უყვარდეს ღმერთი“, — მითხრა ხელმარჯვე ოსტატმა, ბატონმა თამაზ ჩიქოვანმა. შეუძლებელია, მის ნაკეთობებს გულგრილად ჩაუარო და ალბათ, ამიტომაცაა, რომ ხისგან გამოკვეთილ საყოფაცხოვრებო ნივთებს ხალხი ბუზივით ახვევია ხოლმე.

ელენე ბასილიძე

— ქიმიკოსი ვარ, მაგრამ პროფესიით ერთი საათიც არ მიმუშავია. მხატვრობა ჩემი ჰობი იყო. ბუნების სიყვარულმა მიბიძგა იმ საქმის კეთებისკენ, რომელსაც ვემსახურები. დაახლოებით, 30 წელია, რაც ხისგან სხვადასხვა ნივთს ვქმნი. სკამს დავამზადებ, სანთებელს თუ სურათის ჩარჩოს, მერწმუნეთ, იგი ერთადერთი და განუმეორებელი იქნება — მსგავს რამეს მეორედ თავადაც ვეღარ დავამზადებ. რასაც აქ ხედავთ, ყველაფერი ჩემი

„მინდა, საძინებელ ოთახში შესვლისთანავე, ადამიანს თავი ნახატ ფილმში ეგონოს“

ფანტაზიის ნაყოფია. ისეთ ავეჯს ვაკეთებ, როგორიც ადამიანებს მხოლოდ მულტფილმებში უნახავთ (*იღიმება*). ვცდილობ, ზღაპარს ხორცი შევასხა...

— ხის ფესვისგან ბევრი რამ გაქვთ დამზადებული...

— დიახ, ფესვის დანახვისთანავე ვხვდები, მისგან რის დამზადებას შევძლებ. სხვათა შორის, ის აუცილებლად, იმ პერიოდში უნდა ამოითხაროს, როდესაც სავსე მთვარეა.

— რატომ?

— ამ დროს ხეში ჭია არაა. თუ ჭიით სავსე ხეს მოვჭრი, რამდენიც უნდა ვხარშო, მომავალში აუცილებლად დაჭიანდება. სავსე მთვარისას მოჭრილ ხეს კი ეს საშიშროება არ ემუქრება. იმასაც კი აქვს მნიშვნელობა, სავსე მთვარის რომელ დღეებშია ფესვი ამოთ-

ისეთ ავეჯს ვაკეთებ, როგორიც ადამიანებს მხოლოდ მულტფილმებში უნახავთ

ხრილი... მოკვეთილ ხეს ვასუფთავებ, ორთქლში ვხარშავ, ვაშრობ, მერე ვამუშავებ და ნაკეთობას საბოლოო სახეს ვაძლევ. მერქანი, რომელიც მაგიდას გარშემო აქვს შემოხვეული, ამავე ხის არაა...

— მე კი ამას ვერც ვიეჭვებდი, ძალიან ბუნებრივად გამოიყურება.

— ჩემი მთავარი ჩანაფიქრი სწორედ ისაა, რომ ესა თუ ის ნაკეთობა, რაც შეიძლება ბუნებრივად გამოიყურებოდეს... ახლა გეგმაში ე.წ. „სპალნიას“ დამზადება მაქვს — სარკეს, კარადასა და საწოლს ბუნებრივი მასალისგან დავამზადებ. საწოლის ადგილს დიდი მორი დაიკავებს. მინდა, საძინებელ ოთახში შესვლისთანავე, ადამიანს თავი ნახატ ფილმში ეგონოს (*იღიმება*)!..

10 მცნების მაგიდაზე გადაგანის იდეა მოულოდნელად გამიჩნდა

ვხატავ და სხვათა შორის, მოზაიკაზე მუშაობა და ჭედურობაც მეხერხება

პატარა ხის ნაკეთობებს გასაჩუქებლად ვამზადებ ხოლმე

— **თქვენი გეგმის განხორციელებას დაახლოებით, რამდენი ხანი დასჭირდება?**

— ჯერ იდეა მაქვს, მაგრამ თუ მისი განხორციელება დავიწყე, მუშაობას დაახლოებით, 7-8 თვეში დავასრულებ.

— **ბატონო თამაზ, ეჭვი მაქვს, რომ თქვენი ნამუშევრები იაფი არ ეღირება...**

— (*იღიმება*) თითოეული ნივთის დამზადებას იმდენად ბევრი დრო და შრომა სჭირდება, რომ შეუძლებელია, ისინი იაფად გავყიდო... უცხოელები გაოცებულები ათვალიერებენ ჩემს ნამუშევრებს, აღფრთოვანებას ვერ ფარავენ და გული სწყდებათ, საზღვარგარეთ მათ წაღებას რომ ვერ ახერხებენ... ეს მაგიდა 5.000 ლარად შევაფასე, მაგრამ თუ კლიენტი არ მომეწონება და მივხვდები, რომ ის ჩემს ნამუშევარს არ გაუფრთხილდება, შეიძლება, არც მივყიდო.

— **გარდა იმისა, რომ ავეჯს ამზადებთ, ხატავთ კიდეც...**

— დიახ, ვხატავ და სხვათა შორის, მოზაიკაზე მუშაობა და ჭედურობაც მეხერხება. გამოყენებითი ხელოვნების თითქმის ყველა ჟანრში ვცადე ბედი. პატარა ხის ნაკეთობებს გასაჩუქებლად ვამზადებ ხოლმე. მერწმუნეთ, ნივთების გაჩუქება გაცილებით მეტ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე მათი გაყიდვა.

— **შეკვეთებს თუ გაძლევენ?**

— კი, მარნის ან ეზოსათვის სკამებს ან მაგიდას მიკვეთენ ხოლმე. ბარიც მაქვს გაკეთებული რესტორნისათვის. ქართველებს ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული ავეჯი ძალიან მოსწონთ... ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილთან 7 წელი ვიმუშავე. მას ჩემი ნამუშევრები მოსწონდა და სხვათა შორის, თავის მეგობართან გამიშვა, იტალიაში, რათა მისი ბინა გამელამაზებინა. ჩვენ ინგლისშიც უნდა წავსულიყავით, მაგრამ სამწუხაროდ, აღარ დასცალდა...

— **ბატონო თამაზ, თქვენს მაგიდას 10 მცნება ამშვენებს...**

— 10 მცნების მაგიდაზე გადატანის იდეა მოულოდნელად გამიჩნდა. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ნამუშევრის წყალობით ერთ ადამიანს მაინც შევახსენებ უფლის სიტყვებს. ■

ბარიც მაქვს გაკეთებული რესტორნისათვის

უცხოელები გაოცებულები ათვალიერებენ ჩემს ნამუშევრებს, აღფრთოვანებას ვერ ფარავენ

942 კილომეტრი უკუსვლით

ომსკის მცხოვრებმა სერგეი სილკოვმა ავტომობილ „ვაზ-2107“-ით უკუსვლით 942 კმ გაიარა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სილკოვმა ამერიკელი ჯონ სმიტის მიღწევა გააუმჯობესა, რომელმაც 1996 წელს, ანალოგიური სახით, 813 კმ დაფარა. მიუხედავად ამისა, სილკოვის მიერ ნაჩვენები შედეგი გინესის რეკორდების წიგნში არ მოხვდება, რადგან ამისთვის აუცილებელი იყო დიდი ბრიტანეთიდან სპეციალური ექსპერტების მიწვევა.

ასეთი მანძილის დასაფარავად საჭირო გახდა მანქანის საგრძნობი მოდერნიზება. სილკოვმა გადააკეთა რედუქტორი, რის შემდეგაც მის „07“-ს უკანა სვლისთვის — 4, ხოლო წინსვლისთვის 1 სიჩქარის გამოყენება შეეძლო. გარდა ამისა, მძღოლმა მოტორის ეფექტიანად გაგრილების მიზნით, ჰაერცხაურიც გადააკეთა. ამასთან, მანქანაში ავტომობილ Toyota Mark -ის მოსახერხებელი სავარძლებიც ჩადგა, გამომშვები სისტემა გვერდით გაიყვანა, რათა მავნე აირი სალონში არ შესულიყო, მტვრისგან დასაცავი საჰაერო ფილტრიც დაამონტაჟა და უკანა ბამპერზე ნისლის საწინააღმდეგო ფარებიც დააყენა, რათა ავტოგასამართ სადგურზე გაჩერება არ დასჭირვებოდა. ომსკელმა მოყვარულმა მანქანაში გაზის 2 ბალონი ჩადგა, ხოლო ავზი 40 ლ ბენზინით აავსო. რეკორდის დასამყარებლად სილკოვმა 2,5 კმ-ის სიგრძის მინდორი ამოირჩია, რომელიც 25 საათში 180-ჯერ დაფარა. რეკორდსმენის თქმით, დღისით იგი 82 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა, ხოლო ღამით ამ მაჩვენებლის 2-ჯერ შემცირება უხდებოდა. „დაახლოებით დილის 5 საათზე ძალიან მომინდა ძილი. ჰოდა, გაჩერება და დაწყებული საქმის მიტოვებაც კი ვიფიქრე, მაგრამ შემდეგ ენერგეტიკული სასმელი დავლიე და მუსიკა ჩავრთე“, — აცხადებს ომსკელი. სილკოვი ერთი წლის წინაც ცდილობდა უკუსვლით რეკორდის დამყარებას, მაგრამ საკროსო ტრასაზე ავტომობილ „ვაზ-2110“-ით მხოლოდ 276 კმ დაფარა; ხოლო 2007 წელს 672 კმ გაიარა, ოღონდ ამ შემთხვევაში, ის მანქანას მხოლოდ ფეხებით მართავდა. ■

„სიტროენის“ ახალი ჰეჩბეკი

კომპანია „სიტროენი“ მომავალი თაობის ხუთკარიანი ჰეჩბეკის — Citroen C4 — ტესტირებას შეუდგა. სიახლის დებიუტი მომავალი წლის ბოლოს, პარიზის ავტოსალონზე შედგება, მისი პროტოტიპი კი შეიძლება, უკვე 2010 წლის დასაწყისში, ჟენევის გამოფენაზე წარადგინონ. მანქანის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ეს ავტომობილი წინამორბედ მოდელზე მსუბუქი და ეკონომიური იქნება. ამასთან, „სიტროენში“ ირწმუნებიან, რომ საწვავის ხარჯის მაჩვენებლის მიხედვით, ახალი ავტომობილი თავისი კლასის ლიდერი გახდება. მომავალი თაობის C4-ზე გამოყენებული იქნება PSA-ს სამცილინდრიანი მოტორების ახალი ხაზი და ჰიბრიდული დანადგარი ბენზინის მოტორით, რომელიც სიახლის მხოლოდ ტოპვერსიებისთვისაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, C4-ს Citroen C3-ისა და DC3-ის ანალოგიურად, DS4-ს „პრემიალური“ მოდიფიკაციაც ექნება. მომავალი თაობის Citroen C4-ის ფასი ჯერჯერობით, უცნობია. ■

„ვოლვოს“ სერიული ჰიბრიდი

2012 წლისთვის კომპანია Volvo ბაზარზე თავის პირველ სერიულ ჰიბრიდს გაიყვანს. ეს იქნება მოდელის — Volvo V70 — მემკვიდრე, რომელსაც საყოფაცხოვრებო დენის წყაროდან დასატენი დიზელ-ელექტრული აგრეგატი დაუმონტაჟდება. Volvo-ს ჰიბრიდული აგრეგატი PSA Peugeot Citroen-ის ჯგუფის მიერ არჩეული სქემის მსგავსი იქნება: დიზელის მოტორი წინიდან და ელექტროძრავა — უკნიდან. შვედური კომპანია 205 ცხ.ძ. სიმძლავრის, 2,4-ლიტრიანი დიზელისა და 50-კილოვატიანი ელექტრომოტორის გამოყენებას გეგმავს. ასეთი სქემის წყალობით, Volvo-ს ჰიბრიდი სრულამძრავიანი გახდება. სიახლის სვლის თადარიგი 1100-1200 კმ იქნება, ხოლო ატმოსფეროში CO2-ის გამონაბოლქვის დონე 1 კმ-ზე 50 გრამს არ გადააჭარბებს. საყოფაცხოვრებო დენის წყაროდან მანქანის ბატარეების სრული დატენისთვის 6 საათია საჭირო. ჰიბრიდული „ვოლვოს“ მყიდველებს მთავრობა 7.000 ევროს ოდენობის საგადასახადო შეღავათს სთავაზობს, ამიტომ მანქანა მისი ჩვეულებრივმოტორიანი ანალოგისგან განსხვავებით, 9-10 ათასი ევროთი იაფი ეღირება. შვედური საავტომობილო კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, მანქანის გამოსვლის მომენტში ყველაფერი ლითიუმ-იონური ბატარეების საბაზრო ღირებულებაზე იქნება დამოკიდებული. ■

„მერსედეს ბენცი“ ახალ სუპერავტოს გამოუშვებს

„მერსედეს ბენცი“ ბაზარზე სუპერავტოს — SLS — ყველაზე ძლიერი მოდიფიკაციის გაყვანას გეგმავს, რომელსაც Black Series ეწოდება. ამის შესახებ ატელიე A-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, ფოლკერ მორნჰინვერმა განაცხადა. უკვე ცნობილია, რომ მისი წონა დაახლოებით, 300 კგ-ით შემცირდება. Black Series 571 ცხ.ძ. სიმძლავრის, 6,2-ლიტრიანი V8 მოტორითაა დაკომპლექტებული და სიჩქარის გადაცემათა 7-საფეხურიანი კოლოფით მუშაობს. „მერსედეს-ბენცის“ მონაცემებით, 100 კმ/სთ-ს მანქანა 3,8 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 315 კმ/სთ გახლავთ. ევროპულ ბაზარზე ბენზინის Mercedes-Benz SLS 2010 წლიდან გამოჩნდება, ხოლო დასაკეცი რბილსახურავიანი ვერსიის დებიუტი 2 წლით გვიან შედგება.

Black Series-ის გარდა, სუპერავტოს მალე ელექტრომოდიფიკაციაც ეყოლება, რომელსაც ბაზარზე 2015 წლისთვის გაიყვანენ. მანქანა ელექტრომოტორებით აღიჭურვება და მისი ჯამური სიმძლავრე 532 ცხ.ძ. იქნება. გარდა ამისა, მას დაუმონტაჟდება ლითიუმ-იონური ბატარეები, რომელთა სვლის თადარიგი 150-180 კმ-ია. საყოფაცხოვრებო დენის წყაროდან ბატარეების სრული დატენისთვის 8 საათია საჭირო. სავარაუდოდ, ელექტრული Mercedes-Benz SLS 100კმ/სთ სიჩქარეს 4 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 200 კმ/სთ იქნება. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

თავი ბედნიერად რომ იგრძნოთ...

ნათქვამია, ქალს ბედნიერებისთვის ცოტა სჭირდებაო, მაგრამ რამდენია ეს „ცოტა“, არავინ იცის. ერთი რამ კი ცხადია: მის დასათვლელად, თითები არც ერთ ქალს არ ეყოფა. თუმცა მაინც არსებობს ძირითადი კომპონენტები, რომელთა არსებობასაც ის ბედნიერებად მიიჩნევს. მაშ ასე, ქალი ბედნიერად გრძნობს თავს, როცა:

• შეუძლია დილით იმ დროს გაღვიძება, რა დროსაც სურს, და ამავდროულად, თავს ლოგინში ნებივრობის უფლებასაც აძლევს. თანაც, ყოველ დილით სიამოვნებით იმეორებს: „მე ახალგაზრდა და ლამაზი ვარ!“.

• აქვს ჯანსაღი, თვალისმომჭრელი თმა და მომაჯადოებელი ვარცხნილობა.

• გემრიელად საუზმობს, მიირთმევს იმდენს, რამდენიც სურს და იმას, რაც უყვარს — თანაც ისე, რომ წონაში მომატების საშიშროება არ ემუქრება.

• როცა გარეთ საშინელი თავსხმა წვიმა და ცივი ქარია, არსადაა წასასვლელი და შინ, ფინჯანი ყავით ხელში ტელევიზორის წინ მოკალათებულს, საშუალება აქვს, მეათასედ უყუროს საყვარელ ფილმს.

• ნებისმიერ დროს შეუძლია, ინებივროს ცხელი შხაპის ქვეშ და თანაც, მთელი ხმით იმღეროს, რადგან ყველაფერი ისევ ისე კარგადაა, როგორც მაშინ, როცა „ის“ გაიცნო.

• აქვს საშუალება, შეიძინოს ტანსაცმელი, რომელიც ძალიან მოსწონს და გრძნობს, როგორ შურიან მზერას ადევნებენ ქალები, ხოლო აღტაცებულს — მამაკაცები.

• უყურებს ჰოლივუდის სუპერმენებს და ფიქრობს: „მე რა, ამათზე ნაკლები მყავს?!“.

• მშობლები ყველანაირად უწყობენ ხელს და თანაც არ ბუზღუნებენ, რომ გამოუსწორებელი ეგოისტი გაზარდეს.

• ხშირად აქვს საშუალება, მხიარულ თავყრილობებზე წასასვლელად, სადაც ბევრს იცეკვებს და შინ დაბრუნებული აღმოაჩენს, რომ ორივე ფეხსაცმელს ქუსლი ადგილზე აქვს.

• მისი რჩეული ხშირად უძღვნის საჩუქრებს და კომპლიმენტებითაც ანებივრებს.

• ახლობლები ხშირად ეუბნებიან, რომ ფანტასტიკურად გამოიყურება და მისი ასაკი აღარც კი ახსოვთ.

• კბილის ექიმთან და საერთოდ — ექიმთან, აღარც კი ახსოვს, ბოლოს როდის იყო.

• ცივ, საშინელ ამინდში შინ დაბრუნებულს, თბილი, გაჩახჩახებული ბინა, ცხელი ჩაი და საყვარელი ადამიანი ხვდება.

• უცებ აღმოაჩენს, რომ ჯულია რობერტსი იმავე სუნამოს ხმარობს, რომელსაც — ის.

• თანამშრომლები აღფრთოვანებულნი არიან მისით და ხელმძღვანელობისგანაც მუდმივად გრძნობს, რომ შეუცვლელია.

• დაბადების დღეზე საწოლთან უზარმაზარი თაიგული ხვდება ბარათით: „გილოცავ! ძალიან მიყვარხარ!“.

• ჩანთაში დიდი ხნის მივიწყებულ ოცლარიანს სწორედ მაშინ აღმოაჩენს, როცა ჰგონია, რომ მხოლოდ ორი ლარიღა დარჩა.

• ზაფხულში, შვებულების გატარება დაგეგმილი აქვს უახლოეს, საყვარელ ადამიანებთან ერთად და სწორედ იქ — სადაც დასვენებაზე დიდი ხანია ოცნებობდა და აქამდე ვერ მოახერხა.

• ღამით მშვიდი ძილით სძინავს და ლამაზ სიზმრებს ხედავს.

• მაცივარში ყოველთვის აქვს ის ნუგბარი, რომელიც ძალზე უყვარს და დასვენების დღეებში მთელ დღეს ტკბილეულით პირგამოტენილი ნეტარებს.

• ყოველთვის შეუძლია თქვას: „ხვალინდელი დღე, დღევანდელზე მხიარული და ბედნიერი იქნება“.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი „რეცეპტების“ უმრავლესობის არარსებობას არ განიცდის, ქალს გულწრფელად შეუძლია თქვას, რომ ნამდვილად ბედნიერია. ■

სახელდახელო მაკიაჟი

თუ ძალზე მოუცლელი ხართ და სახელდახელოდ გიწევთ მაკიაჟის განახლება, გირჩევთ ჩვენი რეკომენდაციები გაითვალისწინოთ:

ბამბიანი ჩხირით აკურატულად მოიცილეთ მაკიაჟის ზედმეტი ფენა, გააახლეთ თვალის ჩრდილი, ტუჩის კონტური გაიმკვეთრეთ და წაისვით პომადა. სახეზე კი მსუბუქად გადაისვით პუდრი.

თუ შინ ხართ, სახე კოსმეტიკური რძით გაიწმინდეთ, შეისხით ცივი წყალი, გადაისვით ყინულის ნატეხი — ეს სახეს ბუნებრივ ელფერს მიანიჭებს. შემდეგ მკვებავი კრემი შეიზილეთ. კანი უკვე გაწმენდილია, დასვენებული და მზადაა მაკიაჟის გასაახლებლად.

დაიცავით სახეზე კრემის წასმის წესები

დღის კრემი სახეზე დილაობით, რაც შეიძლება ადრე უნდა წაისვათ, რათა მან ფორებში შეღწევა მოასწროს.

შეეცადეთ, მაკიაჟი კრემის წასმიდან მხოლოდ 20-25 წუთის შემდეგ გაიკეთოთ, რადგან ამ დროისთვის კანში უკვე შეაღწევს ყველა ის საჭირო ნივთიერება, რომელიც მთელი დღის მანძილზე იცავს მას.

თუ დილით დროის უკმარისობას არ უჩივით, მაშინ შეეცადეთ, ნიღაბი გაიკეთოთ: კრემი სქლად დაიდეთ სახეზე, გაიჩერეთ 20 წუთი. შემდეგ ზედმეტი ფენა ქაღალდის ხელსახოცით შეიშრეთ. ■



კარგად იცნობთ თქვენს რჩეულს?

გთავაზობთ ფსიქოლოგების რჩევებს, რომლებიც მამაკაცის მოკლე დროში ამოცნობაში დაგეხმარებათ. ადამიანის ყველა ქმედება (განსაკუთრებით ის, რომელსაც გაუცნობიერებლად სჩადის) მის ხასიათსა და თვისებებზე მეტყველებს.

რას უკვეთს რესტორანში

თუ მამაკაცი ხორციან ან კარტოფილიან კერძებს უკვეთს, სავარაუდოა, რომ იგი სანდო და მყარი ურთიერთობების მომხრეა, მაგრამ ცოტა სითამამე აკლია. თუკი თქვენი რჩეული ეგზოტიკურ კერძებს ანიჭებს უპირატესობას, ე.ი. მას ურთიერთობებში სპონტანურობა და რუტინა არ ხიბლავს.

მოწესრიგებული თუ ფეთხუმი

როდესაც მამაკაცი თავის ჭუჭყიან წინდებს თეთრეულის კალათაში აწყობს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ხოლო თუკი ის წინდებს ფერის მიხედვით აცალკევებს და ისე ალაგებს, ფრიად ორიგინალური გემოვნების პიროვნებასთან გქონიათ საქმე — ასეთი მამაკაცი თქვენგანაც დიდ აკურატულობას მოითხოვს. თუკი ის ცდილობს, თავის ჭუჭყიან ტანსაცმელს შესაბამისი ადგილი მიუჩინოს, დამოუკიდებელი ცხოვრების მოყვარული ადამიანი გყავთ გვერდით. ხოლო თუკი სააბაზანოში, მისი გამოსვლის შემდეგ გამუდმებული ქაოსია, იგი ან ძალზე ზარმაცია, ან სერიოზული ურთიერთობისთვის ჯერჯერობით მზად არ არის.

ცაცია

მამაკაცთა 80% მემარჯვენეა. თუ თქვენი მეგობარი ცაციაა, გვერდით შემოქმედი პიროვნება გყოლიათ.

თმა

სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მამაკაცები ისევე ზრუნავენ საკუთარ თმაზე, როგორც ქალები — სხეულზე. რაც უფრო მეტი თმა აქვს თავზე, მით მეტია მისი თავდაჯერებულობის ხარისხი, თუმცა შესაძლებელია, ნაკლებად მგრძნობიარე ხასიათი ჰქონდეს. ხშირი და ლამაზი თმის პატრონმა მამაკაცმა საკუთარი თავის ფასი კარგად უწყის; იცის, რა უნდა ცხოვრებაში და როგორ მიაღწიოს ამას. ნახევრად და სრულიად მელოტ მამაკაცს თავდაჯერებულობის პრობლემა აქვს, თუმცა ქალებთან ურთიერთობაში უფრო თბილი და ფაქიზია.

შვილი

თუ თქვენი რჩეული ოჯახში პირველი შვილი იყო, მას პასუხისმგებლობის გრძნობა კარგად განვითარებული ექნება და ერთობ მზრუნველიც იქნება; ხოლო თუ უმცროსი იყო, უფრო ჭირვეული და „ბუნტისთავი“ აღმოჩნდება. რაც შეეხება შუათანას, ის ყოველთვის დიდ ყურადღებას

მოითხოვს გარშემო მყოფთაგან, მათ შორის — საყვარელი ქალისგანაც.

საზოგადოება

როდესაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას იმყოფებით და თქვენი საყვარელი მამაკაცი განუწყვეტლივ თქვენ გარშემო ტრიალებს, ამით მას ან გარშემო მყოფთა წინაშე თქვენი ურთიერთობის დემონსტრირება სურს, ან თქვენი ბოლომდე დაპყრობის სურვილი აქვს. ხოლო თუკი მამაკაცი ცდილობს, საზოგადოებაში თავშეკავებული იყოს და არავის აგრძნობინოს, რომ ერთმანეთი გიყვართ, ის დარწმუნებული არ არის ან თქვენს, ან საკუთარ გრძნობებში.

თვალები

მამაკაცი, რომელიც მოსაუბრეს თვალებში არ უყურებს, ბოლომდე გულწრფელი არ არის. თუმცა არც თვალის თვალში გასწორებაა მისი გულწრფელობის დასტური — უბრალოდ, ამით თანამოსაუბრეზე გავლენის მოხდენა სურს. ვნებიანი გამოხედვის ამოცნობა კი ყველა ქალს შეუძლია.

საუბარი

თუკი მამაკაცი ენაწყლიანია, ე.ი. ენერგიული ადამიანი გყოლიათ გვერდით, რომელიც ყველაფერს იღონებს თქვენს ხასიათზე მოსაყვანად. ხოლო თუ თქვენი რჩეული, ნელა, ზანტად ლაპარაკობს, ჩათვალეთ, რომ მისი ცხოვრებისეული დევიზია — „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“. მართალია, ასეთი მამაკაცისგან სიუპრიზებს არ უნდა ელოდეთ, მაგრამ ყოველთვის დარწმუნებული იყავით: ის გეუბნებათ სწორედ იმას, რასაც ფიქრობს.

დრო

იმის გარკვევას — რამდენად ერთგულია მამაკაცი, სიტყვის კაცია თუ არა, ან რა მავნე ჩვევები აქვს — გარკვეული დრო სჭირდება. თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ რისკზე და დარწმუნდეთ, ნამდვილად სწორი არჩევანი გააკეთეთ თუ არა.

■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

მოჩვენებებით სავსე სახლები

WINCHESTER HOUSE

CHILINGHAM-ის სასახლე, ნორტუმბერლენდი, ინგლისი

ვიდრე სასახლე უილიამ უოლესის მფლობელობაში გადავიდოდა, იქ დედათა მონასტერი იყო, ინგლისი-შოტლანდიის ომის დროს კი სასახლეში ინგლისის მტრებს აწამებდნენ. თვითმხილველების თქმით, ოთახებში კვნესისა და მოთქმის ხმა ისმის.

CRENSHAW HOUSE

ვილა WHALEY HOUSE, **სან-დიეგო, კალიფორნია**

ამ ადგილას დასვენება და მუშაობა მწერალ სტივენ კინგს უყვარდა. მან სწორედ აქ დაასრულა თავისი რომანი — „ნათება“. ვილაში მისულ სტუმრებს ხშირად ესმით სიმღერისა და სიცილის ხმა, მისაღებში მდგარი პიანინო კი თავისით უკრავს.

ვილა CRENSHAW HOUSE, **ილინოისი**

ვილა 1838 წელს მიწათმფლობელმა ჯონ კრენშოუმ ააშენა. ის თავისუფალ მონებს ქირაობდა, ამუშავებდა და თან, მათ საშინლად ექცეოდა, წამებით ხდიდა სულს. სახლი მრავალჯერ გაიყიდა, მაგრამ ახალი მფლობელები იქ 1 დღეზე მეტხანს არ ჩერდებოდნენ, რადგანაც პარანორმალური მოვლენები მოსვენებას უკარგავდა. დღეს ვილა ილინოისის შტატის მფლობელობაშია და იქ შესვლა აკრძალულია.

ვილა WINCHESTER HOUSE, **სან-ხოსე, კალიფორნია**

ერთ-ერთი სპირიტული სეანსის დროს სარა ვინჩესტერს მეუღლემ დავალება მისცა, სან-ხოსეში ახალი სახლი აეშენებინა. როგორც კი ქალი მშენებლობას დაასრულებდა, მოკვდებოდა. ქალმა ქმრის მოთხოვნა აღასრულა, მაგრამ სიკვდილი არ სურდა და ამიტომაც, მშენებლებს უცნაურ დავალებებს აძლევდა — ააშენებინა კიბე, რომელიც ჭერსაა მიბჯენილი, სახლი კი ერთ დიდ ლაბირინთად აქცია. ამბობენ, სახლში შესული ადამიანი გამოსასვლელს ვეღარ აგნებს და ჭკუიდან იშლება. ვილაში გარდაცვლილი ადამიანების სულებიც ბინადრობენ.

ქორწილის დღეს საგრეოსგან მიგოვებულმა გოგონამ თავი მისაღებ ოთახში ჩამოიხრჩო

სასტუმრო HISTORIC ANCHORAGE HOTEL, **ალასკა**

სასახლე ერთ ოჯახს ეკუთვნოდა. აქ უცნაურობები მას შემდეგ დაიწყო, რაც ქორწილის დღეს საგრეოსგან მიტოვებულმა გოგონამ თავი მისაღებ ოთახში ჩამოიხრჩო. მოგვიანებით სასახლე სასტუმროდ გადააკეთეს, სადაც სტუმრები ნომერს მხოლოდ იმიტომ ქირაობენ, რომ თვითმკვლელი პატარძლის უცნაურობები იხილონ. ფარდების დაწვა, კედლებიდან ნახატების ჩამოვარდნა და ჭურჭლის მსხვრევა ამ სასტუმროში ჩვეულებრივი მოვლენაა. სასტუმროს ადმინისტრატორი ჟურნალსაც კი აწარმოებს, სადაც მოჩვენების ყოველდღიურ „ცელქობებს“ იწერს.


WHALEY HOUSE

ვილა BEAUREGARD HOUSE, **ახალი ორლეანი, ლუიზიანა**

ახალ ორლეანში ჩასული ტურისტები მოჩვენებებით სავსე სახლების დასათვალიერებლადაც მიჰყავთ. ერთ-ერთ ასეთ სახლში, სამხრეთისა და ჩრდილოეთის სამოქალაქო ომის დროს ერთი გენერალი ცხოვრობდა. XX საუკუნის 40-იან წლებში სახლი იტალიელმა ემიგრანტებმა შეიძინეს, მაგრამ იქ დიდხანს ვერ გაჩერდნენ, რადგანაც ოთახებში გენერლის ბრძანებები, ჯარისკაცების ფეხის და იარაღის სროლის ხმა ისმოდა.

■

მეცნიერებისთვის გაღებული მსხვერპლი

ქირურგი, რომელმაც ძაღლს მეორე თავი გადაუნერგა

1954 წელს ქირურგმა ვლადიმირ დემიხოვმა მსოფლიოს თავისი შედევრი, ორთავიანი ძაღლი წარუდგინა. მან გერმანულ ნაგაზს მეორე ძაღლის თავი, კისერი და წინა 2 თათი გადაუნერგა. ძაღლი რამდენიმე დღეში მოკვდა. 15 წლის მანძილზე მეცნიერმა ასეთი 19 ექსპერიმენტი ჩაატარა.

ციებ-ცხელების მკვლევარი

XIX საუკუნეში მიაჩნდათ, რომ ციებ-ცხელება არაინფექციური დაავადებაა. სტაბინ ფირფმა ექსპერიმენტების ჩატარება საკუთარ თავზე დაიწყო: დაავადებულის ნერწყვს ჭრილობაზე იდებდა, შემდეგ კი მას სვამდა კიდეც. იგი მართლაც, არ დაავადებულა, მაგრამ მოგვიანებით დამტკიცდა, რომ ციებ-ცხელება ინფექციური დაავადებაა, რომელიც კოღოს ნაკბენით გადადის.

„სიკვდილის ანგელოზი“

იოსებ მენგელე ოსვენციმის ექიმი იყო და მას ბანაკში „სიკვდილის ანგელოზს“ ეძახდნენ. ექსპერიმენტებს ძირითადად, ტყუპებზე ატარებდა. ზოგჯერ დაკვირვებისთვის იმდენჯერ იღებდა სისხლს, რომ პაციენტები სისხლნაკლულობისგან იღუპებოდნენ. ერთხელ 2 ბოშა ბიჭუნა ერთმანეთს მიაკერა, რათა სიამის ტყუპი მიეღო. იოსები ყასაბივით მოქმედებდა, ავადმყოფებს ანესთეზიის გარეშე, კუჭსა და გულზე ოპერაციებს უტარებდა.

ფრანკენშტეინის პროტოტიპი

იოჰან კონრად დიპელი 1673 წელს, გერმანიაში, ფრანკენშტეინის სასახლეში დაიბადა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ის მერი შელის ნაწარმოების მთავარი გმირის — ფრანკენშტეინის პროტოტიპია.

თეოლოგიის, ფილოსოფიისა და ალქიმიის შესწავლის შემდეგ მეცნიერმა „უკვდავების ელექსირი“ დაამზადა, რომელიც ცხოველების სისხლის, ძვლებისა და სხვა ორგანოებისგან შედგებოდა. დიპელი სხვადასხვა ექსპერიმენტსაც ატარებდა. მაგალითად, ხელოვნური არსების შესაქმნელად ადამიანის გვამებს ხარშავდა, ძაბრისა და ლანცეტის საშუალებით, ერთი გვამიდან მეორეში სულის გადანერგვას ცდილობდა და ა.შ.

ელექტროსეკვები

ჯოვანი ალდინი იტალიელი პროფესორის, ლუიჯი გალვანის დისშვილი იყო. ერთ-ერთი ექსპერიმენტისას მან ელექტროსადენი დამხრჩვალ ბაყაყს მიადო, შედეგად, რეპტილიის კიდურები ამოძრავდა. ჯოვანიმ სწორედ ამის მერე გადაწყვიტა, გვამებზე ექსპერიმენტი ჩაეტარებინა. ერთხელ, მან მაყურებლები მიიწვია და სერიული მკვლელის გვამი ელექტროშოკის გამოყენებით „ააცეკვა“. მაყურებლებიდან რამდენიმე ადგილზევე გარდაიცვალა.

P.S. ასეთივე ექსპერიმენტებს ატარებდა შოტლანდიელი ექიმი ენდრიუ ური.

ადამიანი-კიბორგი

1998 წელს პროფესორმა კევინ უორვიკმა კანქვეშ გადამცემი ჩაიმონტაჟა, რომლის მეშვეობითაც კარის გაღება, სინათლის ჩაქრობა-ანთება და სხვა ელექტროხელსაწყოს ჩართვა-გამორთვა შეეძლო. უორვიკი დღესაც ატარებს ექსპერიმენტებს საკუთარ თავზე და კიბერნეტიკის სფეროში უამრავ აღმოჩენასაც აკეთებს.

ცოცხალი თავის შემქმნელი

1928 წელს სერგეი ბრიუხონენკომ შექმნა აპარატი, რომელსაც გულისა და ფილტვების მაგივრად მუშაობა შეეძლო. მან ეს აპარატი გადაჭრილი ძაღლის თავს მიუერთა. მართალია, ძაღლს ჭამა არ შეეძლო, მაგრამ ზოგიერთ გამაღიზიანებელ ფაქტორზე რეაქცია ჰქონდა — თვალებს ახელდა, თათს მაღლა სწევდა.

სასტიკი ექიმი

იაპონური არმიის გენერალ-ლეიტენანტი და მიკრობიოლოგი შირო იშიი განზრახ ასნებოვნებდა ადამიანებს, რათა მათი მკურნალობით ახალი ექსპერიმენტები ჩაეტარებინა. გართობის მიზნით, იგი პაციენტს კიდურებს აჭრიდა და მათ ადგილებს უნაცვლებდა. ცოცხალ ადამიანებს, მათ შორის, ფეხმძიმეებსაც ვივისექციას (ცოცხალი ორგანიზმის გაკვეთა ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციის შესასწავლად) უტარებდა. ■

ზეადამიანები

ადამიანი-ხანძარი

1927 წელს ექიმ ვუდმანს შავკანიანი პაციენტი, ვინმე ანდერვუდი ეწვია. აბსოლუტურად ჯანმრთელ ადამიანს ერთი უცნაურობა სჭირდა — ღრმად ჩასუნთქვისას პირიდან ცეცხლის ნაპერწკლებს ყრიდა. მას შეეძლო, ქსოვილი ან ხმელი ფოთოლი პირთან მიეტანა და დაეწვა. ხანგრძლივი გამოკვლევების მიუხედავად, მედიკოსებმა ეს ფენომენი ვერ ახსნეს.

ჩამოკიდებული იოგი

ინდოელი რავი ვარანასი, მისივე თხოვნით, 87 დღის განმავლობაში, 1 მეტრ სიმაღლეზე, 8 კაუჭზე იყო ჩამოკიდებული. მას რკინის კაუჭები ტანისა და ფეხების კანში ჰქონდა გაყრილი. ამ დღეების განმავლობაში ვარანასი მაყურებლებს ესაუბრებოდა, იშვიათად და მცირე ულუფებით სადილობდა. 88-ე დღეს იოგი კაუჭებიდან ჩამოხსნეს. მან თავისუფლად გაიარა და რამდენიმე ასანაც (იოგის ვარჯიში) შეასრულა.

უძილობა და უგერეგლობა

26 წლის იაკობ ცეპეროვიჩმა კლინიკური სიკვდილი განიცადა და მას შემდეგ აღარც დაუძინია. „ჩემთვის ცხოვრება დაუსრულებელი დღეა, რომელიც უსასრულოდ გრძელდება“, — ამბობს იგი. უძილობის გარდა, ცეპეროვიჩს ერთი უცნაურობაც სჭირს — იგი აღარ ბერდება და 43 წლის ასაკში 26 წლის ბიჭივით გამოიყურება.

გველეგის მომთვინიერებელი

კობრების ტერარიუმის დალაგებისას, ინდოელ სინგხ აბუს გველმა უკბინა, მაგრამ გადარჩა. მოგვიანებით, აბუ მაყურებლებისთვის წარმოდგენებს აწყობდა — კობრებით სავსე ტერარიუმში შიშველი შედიოდა და მართალია, მას გველები კბენდნენ, მაგრამ სინგხი არანაირ დისკომფორტს არ განიცდიდა. სამეცნიერო შემოწმებისას გაირკვა, რომ ინდოელის ორგანიზმში შემავალი შხამი სისხლში იხსნება და მისთვის არანაირი ზიანი არ მოაქვს. ■

სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბება, ბერმონაზვნობა და ანგელოზებრივი სახეები

დევნის შეწყვეტის შემდეგ ადამიანებისთვის მოუპოვებელი გახდა მარტვილებრივი ღვაწლი, უფლისთვის ფიზიკური ტანჯვა-წამების გზით თავგანწირვა და ამიტომაც, ბერმონაზვნურ ღვაწლს მისცეს თავი. ვინ მიიჩნევა ბერმონაზვნობის ფუძემდებლად, ვის ბოროტებას გაექცა უდაბნოში მოღვაწე პავლე თებაიდელი, ვინ იყო ღვთისმოსავი ქალწულების პირველი წინამძღოლი და რა არის ბერმონაზვნობის არსი? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხს არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე) გაგვცემს.

შორენა მერკვილაძე

— სამონასტრო ცხოვრება ქრისტიანობის პირველივე ხანებში — III-IV საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა.

— ბერმონაზვნობის ჩანასახები პირველი საუკუნიდანვე ჩანს და მის ფუძემდებლად იოანე ნათლისმცემელია მიჩნეული. განსაკუთრებით III-IV საუკუნეებში ხშირად იხსენიებიან მოღვაწენი, რომლებმაც სიქალწულე შეინარჩუნეს და ცხოვრება უფალს მიუძღვნეს ანუ არსებობდა ქალწულთა ინსტიტუტი, მაგრამ მონასტრული სისტემები — ბერმონაზვნები რომ სადმე გასულიყვნენ და ერთად ეცხოვრათ, არ არსებობდა.

ბერმონაზვნობამ — მოღვაწეობის ამ სახემ IV საუკუნიდან, განსაკუთრებით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ მასობრივი სახე მიიღო, რადგან დევნის შეწყვეტის შემდეგ, ადამიანებისთვის მოუპოვებელი გახდა მარტვილებრივი ღვაწლი, უფლისთვის ფიზიკური ტანჯვა-წამების გზით თავგანწირვა და ამიტომაც მისცეს თავი ბერმონაზვნურ ღვაწლს. თანაც, იმის გამო, რომ დევნის შეწყვეტის შემდეგ ადამიანებს შორის ფართოდ გავრცელდა ქრისტიანობა, მათთვის უფრო შესაცნობიც გახდა ღვთის ჭეშმარიტება და შესაბამისად, ბევრმა ისურვა სრულად მიეძღვნა თავი ღვთისთვის.

ამ დრომდე ბერმონაზვნობის გავრცელებას ხელი შეუწყო დევნამაც, განსაკუთრებით, ქრისტიანთა ბოლო დევნამ, რომელიც დიოკლეტიანეს პერიოდში მოხდა. იყო შემთხვევები, როდესაც შეშინებული ქრისტიანები უდაბურ, უკაცრიელ ადგილებს აფარებდნენ თავს, სადაც ჯალათის და მტარვალის ხელი ვერ შეეხებოდათ და იქ განადიდებდნენ უფალს. დევნის შეწყვეტის შემდეგ ეს ადამიანები უკან აღარ ბრუნდებოდნენ, მთელი ცხოვრება უდაბნოში რჩებოდნენ. უდიდესი ბერმონაზვნური ღვაწლის მტვირთველი

ანტონ დიდი

მამა პავლე თებაიდელი ქრისტიანთა ერთ-ერთი დევნის დროს დის ქმარმა დაასმინა, რომ ქრისტიანი იყო — პავლეს საკმაოდ დიდი ქონება ჰქონდა და წარმართ სიძეს მისი ხელში ჩაგდება სურდა. როცა 17 წლის ჭაბუკმა სიძის განზრახვის შესახებ შეიტყო, მძიმე ფიზიკური ტანჯვა-წამების შეეშინდა და თავის გადასარჩენად თებადის ქვიშიან, უკაცრიელ უდაბნოს შეაფარა თავი, კლდეში გამოქვაბული იპოვა და იქ დამკვიდრდა. როცა დევნა დასრულდა, უკან, ერში დაბრუნება აღარ ისურვა. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება უდაბნოში, უმკაცრეს მოღვაწეობაში გაატარა — სასმლად ქვაბულის მახლობლად მდებარე ანკარა წყაროს წყალი ჰქონდა, საზრდოდ — პალმის ნაყოფი; სამოსელს პალმის ფოთლებისგან იკერავდა და მთელ დროს ლოცვაში ატარებდა. როგორც ვთქვით, პავლე თებაიდელის მსგავსად, ქრისტიანთა დევნისას მრავალმა ადამიანმა მიაშურა უდაბნოს, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ პავლე თებაიდელის მსგავსად, ცხოვრება მათაც უდაბნოშივე დაასრულეს. რაც შეეხება პავლე თებაიდელს, გარდაცვალების შემდეგ იგი უდაბნოში ანტონ დიდმა ნახა, რომელიც სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებლად მიიჩნევა.

ანტონ დიდი ეგვიპტეში, ქრისტიანულ ოჯახში, 251 წელს დაიბადა. მან მოიარა იმ პერიოდში მოღვაწე ყველა მამა, თითოეულ მათგანთან იცხოვრა, შემდეგ განმარტოებით დამკვიდრდა თებაიდის უდაბნოში და გახდა რა მკაცრი მოღვაწე, მასთან შეკრება დაიწყეს ბერმონაზვნობის მსურველმა ადამიანებმა. მის გარშემო შეიკრიბა საძმო, ჩამოყალიბდა მონასტერი. მასთან მოღვაწე ბერმონაზვნებს ანტონ დიდმა დაუწესა წესი, განგება — ტიპიკონი ბერმონაზვნური ცხოვრებისა და ამიტომაც მიიჩნევა ის სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებლად. ამავე პერიოდში მოღვაწეობდა ღირსი პახუმი დიდიც, რომელმაც დაადგინა ბერთა თანაცხოვრების წესები. შემდგომში სამონასტრო ცხოვრების სხვა წესდებებიც გაჩნდა: პალესტინაში — საბა განწმენდილის, ბიზანტიაში — ღირსი თეოდორე სტუდიელის, დასავლეთში — ღირსი ბენედიქტესი.

თანდათანობით ჩამოყალიბდა ბერმონაზვნური ცხოვრების სახეები. როგორც ვთქვით, IV საუკუნემდე არსებობდნენ მხოლოდ განდეგილი, განმარტოებით მოღვაწე ბერმონაზვნები, IV საუკუნიდან კი მოხდა ზოგადცხონებულთა მონასტრების ჩამოყალიბება — ბერთა ერთად ცხოვრების წესი. არსებობს ასევე შერეული ტიპის სამონაზვნო ცხოვრება — ლავრის სტილი, რომელიც ოდნავ მოგვიანებით გაჩნდა ანუ ჩამოყალიბდა 3 სახის ტიპიკონი ბერმონაზვნობისა: განდეგილური, განმარტოებული ცხოვრების წესი, როდესაც ბერმონაზვნები აბსოლუტურად განმარტოებით მოღვაწეობდნენ, მხოლოდ ზიარების მისაღებად მიდიოდნენ ახლომახლო არსებულ მონასტერში; ასევე, არსებობდა ლავრები. იქ მოღვაწე ბერმონაზვნები მხოლოდ შაბათ-კვირას და სადღესასწაულო მსახურებებზე იკრიბებოდნენ, დანარჩენ დროს კი თავიანთ სენაკებში იყვნენ და პირად კანონებს აღასრულებდნენ; ჩამოყალიბდა ზოგადცხონებულთა სამონასტრო ცხოვრების წესიც, სადაც ბერმონაზვნები ერთად ცხოვრობდნენ, ყველასთვის ერთი ტიპიკონი მოქმედებ-

და, მსახურებებსაც ერთად ესწრებოდნენ, ერთად ტრაპეზობდნენ და შრომობდნენ. დღესდღეობით, ძირითადად, დამკვიდრებულია ზოგადცხონებულთა სამონასტრო ცხოვრების წესი.

— არსებობდა თუ არა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, თუნდაც, სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბების შემდეგ მონაზვნად აღკვეცის წესი?

— თავიდან ასეთი რამ არ არსებობდა. როდესაც ადამიანი ტოვებდა ამქვეყნიურ, საერო ცხოვრებას, გადიოდა უდაბნოში და იქ იწყებდა მოღვაწეობას, მასზე საგანგებო რიტუალი — მონაზვნად აღკვეცის წესი არ აღესრულებოდა. იყვნენ მოღვაწეები, რომელთაც საერო ცხოვრების დატოვების შემდეგ ადამიანი საერთოდ არ უხილავთ და ისე აღესრულნენ. მონაზვნად აღკვეცის წესი უფრო შუა საუკუნეებიდან დაწესდა. სხვათა შორის, აღთქმა რომ არ გაეტეხათ, მათ მონაზვნობის პირობის დადება საძმოს წინაშე დაიწყეს...

დღესდღეობით, როდესაც ადამიანი საერო ცხოვრებას ტოვებს და მონასტერში მიდის, ხდება მორჩილი; მორჩილების შემდეგ ხდება მონაზვნად აღკვეცა. აღკვეცილს, თუ ის ქალია, ვუწოდებთ მონაზონს, მამაკაცს — ბერს. თუმცა, ახალაღკვეცილი მამაკაციც მონაზონია, რადგან მონაზვნობა არის შუალედური საფეხური ბერობამდე, ბერობა კი განსაკუთრებული მდგომარეობაა, იგი მონაზვნობაზე მაღლა დგას. ბერობა, რომლის რუსული შესატყვისია „სტარეც“, სულიერ ცხოვრებაში გამოცდილს, დაბერებულს ნიშნავს. შესაძლოა, ადამიანი ისე დაბერდეს მონაზვნად, რომ ბერობის საფეხურს ვერ მიაღწიოს.

ძველად არსებობდა აღკვეცა მანდილით და აღკვეცა სქემაში: მანდილით აღკვეცა ნიშნავდა მონაზვნად აღკვეცას, სქემაში აღკვეცილს კი ბერი ეწოდებოდა. დღეისათვის, რუსულიდან მომდინარე ტრადიციის მიხედვით, ეს ერთმანეთთანაა გათანაბრებული და ეწოდება მცირე სქემაში აღკვეცა და ასევე რუსულიდან მომდინარე ტრადიციით დამატებულია დიდ სქემაში აღკვეცა.

— ეი. ადამიანმა ბერობამდე გარკვეული საფეხური უნდა გაიაროს?

— ცხადია. ბერობის მდგომარეობას, სულიერების ამ საფეხურს ადამიანმა შეიძლება რამდენიმე თვეში მიაღწიოს და ისიც შესაძლოა, რომ ამას წლები დასჭირდეს. მთავარია, ადამიანმა ისწავლოს წესი ამ ცხოვრებისა და განმტკიცდეს. განმამტკიცებელი თავად აღკვეცა ხდება. აღკვეცა მონაზვნური ღვაწლის დასაწყისია. აღკვეცამდე შეგიძლია გადაწყვეტილება შეცვალო და მონასტრიდან წამოხვიდე, აღკვეცით კი უკან დასახევ გზას იჭრი, საბოლოოდ სწირავ თავს უფალს და სწორედ აქედან იწყება ბერმონაზვნური ღვაწლი.

— რადგან ბერმონაზვნობას შეეხეთ, მისი არსიც განვმარტოთ...

— ბერმონაზვნობის ერთ-ერთი სახელმძღვანელო არის იოანე კიბისაღმწერლის „კიბე“, სადაც ის ყურადღებას ამახვილებს იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც ადამიანი მონასტერში მიდის: პირველი — ღვთის უდიდესი სიყვარულის გამო. როდესაც ადამიანს ღვთის გარდა არაფერი ახსოვს და სურს, მას თავი მთლიანად მიუძღვნას, მისი ცხოვრება მიწაზე აზრს კარგავს; მეორე — როდესაც ადამიანი შეძრწუნებულია თავისი ცოდვებით, საკუთარი ცოდვების გარდა აღარაფერი ახსოვს და უფალს მხოლოდ ცოდვათა შენდობას სთხოვს; მესამე — როდესაც ამ ღვაწლს იღებს ღვთის სადიდებლად. ბერმონაზვნური ცხოვრება არის სწორედ ის, რომ ადამიანმა უფალი ადიდოს განსაკუთრებული ღვაწლით, სრულად მიუძღვნას თავი მას, გონებით განუწყვეტლივ უფალთან მყოფობდეს და სულ ღვთის დიდებაში იყოს. სწორედ ეს არის ბერმონაზვნობის არსი.



იოანე ნათლისმცემელი

პავლე თებაიდელი

ბერმონაზვნობა არის ანგელოზებრივი ცხოვრება დედამიწაზე. ისევე, როგორც ანგელოზები, ისინიც აქებენ და ადიდებენ უფალს, ღვთის ნების აღსრულების გარდა მათთვისაც არაფერი არსებობს.

— ქალწულებრივ ცხოვრებას, მონაზვნობის ღვაწლს ქალებიც ტვირთულობენ. ქალთა მონაზვნურ ცხოვრებასაც ხომ ქრისტიანობის პირველივე ხანებიდან დაედო სათავე?

— მკაცრი მონაზვნური ცხოვრება ქალებსაც იზიდავდა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ბევრმა ქალწულმა დატოვა საერო ცხოვრება და სულიერი მოღვაწეობის გზას დაადგა. IV საუკუნიდან ქალთა სავანეებიც დაარსდა.

ქალთა მონაზვნობის ფუძემდებლად წმინდა სვინკლიტიანა მიიჩნევა, რომელიც ალექსანდრიაში მდიდარ და ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. ქალწული მშვენიერებითაც გამოირჩეოდა. მას შეეძლო, ამქვეყნიური ბედნიერებით დამტკბარიყო, მაგრამ ყრმობიდანვე ყველასა და ყველაფერზე მეტად ქრისტე შეიყვარა. მსახურებით სავსე სასახლეში მუდამ საქმეს ეძებდა, უმეტეს დროს ლოცვაში ატარებდა და მკაცრად მარხულობდა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მთელი ქონება ღარიბ-ღატაკთ დაურიგა, მერე კი ხუცესი იხმო, ამა სოფლიდან განშორების ნიშნად თმა მოიკვეცა და თავის უსინათლო დასთან ერთად ერთ სახლაკში დამკვიდრდა.

მალე სვინკლიტიანას მახლობლად ღვთისმოსავი ქალწულები და ქვრივი დედაკაცები დამკვიდრდნენ და მას წინამძღვრობას სთხოვდნენ. ქალწული თავიდან უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს დედების თხოვნას დაჰყვა და მათი სულიერი წინამძღოლობა ითავა. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ავტომობილი ბენტლი ხელით იწყობა.
2. დისკუსი მალბორო აკვარიუმის თევზია.
3. მიქელანჯელოს ვირების ხატვა უყვარდა.
4. ბათო ყაენი ჩინგიზ ყაენის შვილიშვილი იყო.
5. კუნძულ ტასმანიაზე მსოფლიოში ყველაზე სუფთა ჰაერია.

6. ლომის ღრიალი სავანაში 8 კილომეტრის მანძილზე ვრცელდება.
7. 1666 წელს ლონდონის ხანძარმა ქალაქის 4/5 შეიწირა.
8. „უ ნას ედინსტვენნი ევროპეეც ეტა პრავიტელსტვო“, — წერდა პუშკინი.
9. ფილმი-ზღაპარი „სამი კაკალი კონკიასათვის“ ჩეხი რეჟისორის, ჟდენეკ ტრიოშკას გადაღებულია.
10. სიცივეში უფრო კარგად ვრცელდება ბგერა, ვიდრე სიცხეში. ორმოცგრადუსიან ყინვაში სმენადობა იდეალურია.
11. არტილერია და შიმშილი — აი, ორი რამ, რითაც ფაშისტები ლენინგრადის დამორჩილებას ცდილობდნენ.
12. იაპონელებმა სარეცხის სამაგრი გამოიგონეს, რომელიც უამინდობისას პატრონის მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტურ შეტყობინებას აგზავნის — წვიმს და სარეცხი ჩამოხსენიო.
13. ადამიანისგან განსხვავებით, ძაღლი არ ოფლიანდება და შესაბამისად, ამ გზით საკუთარ სხეულს გადახურებისგან ვერ იცავს. სირბილით დაღლილი ცხოველი ენას გადმოაგდებს ხოლმე და ქოშინით იგრილებს სხეულს.
14. ირანის რევოლუციის დროს თეირანში მდებარე ამერიკის საელჩო სტუდენტების შეიარაღებულმა ჯგუფმა აიღო. დატყვევებული მძევლების გამოსახსნელად ვაშინგტონს ერთწლიანი მოლაპარაკებები დასჭირდა.
15. ძველ დროში აბჯრებს ჯერ კიდევ შუმერები ამზადებდნენ. მათი აბჯრის ზურგი დაუცველი იყო, რათა მეომრებს უკან დახევა ფიქრადაც არ ჰქონოდათ.
16. პლასტიკური ქირურგიის საშუალებით მკერდის გადიდება პირველად 1946 წელს, იაპონელმა ქალებმა დაიწყეს. მსოფლიო ომის შემდეგ იაპონია სავსე იყო ამერიკელი ჯარისკაცებით, რომლებსაც ადგილობრივი სუსტი სქე-

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

გრიპის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატი

კალიფორნიის შტატში ჩატარებულ მიკრობიოლოგთა კონფერენციაზე გრიპის სამკურნალო ახალი პრეპარატი წარადგინეს. ლაპარაკია ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ შემუშავებულ გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატ პერამივირზე, რომელიც, როგორც მაშინ ამბობდნენ, ეფექტიანობის მხრივ ტამიფლუს ჩამოუვარდებოდა. მეცნიერები აგრძელებდნენ ამ პრეპარატის შესწავლას და უკვე დაადგინეს, რომ იგი ეფექტიანია მხოლოდ ვენაში შეყვანის შემთხვევაში და ეფექტის მისაღწევად საკმარისია ერთი ინიექცია. ამასთან, მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ის ადამიანს ფრინველისა და ღორის გრიპით ინფიცირების შემთხვევაშიც კი გადაარჩენს. ახლო მომავალში ამ პრეპარატის კლინიკური გამოცდა დაიწყება. ■

პოლივიტამინების ერა დასრულდა (?!)

დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი დიეტოლოგის, საკვები პროდუქტების ნაციონალური საგენტოს ექსპერტის — ბრაიან რატკლიფის აზრით, მულტივიტამინებისა და ბადების (ბიოლოგიურად აქტიური დანამატები) მოხმარება დროის ფუჭად ხარჯვაა. მეცნიერის აზრით, ვიტამინებსა და მინერალებზე ადამიანებს სხვადასხვანაირი მოთხოვნილება აქვთ. ამ ნივთიერებების ყოველდღიურად, თანაც, ერთი და იმავე დოზით მოხმარება კი არარაციონალურია და ზოგჯერ ამან შეიძლება, ჯანმრთელობისთვის სახიფათო ვიტამინების სიჭარბეც გამოიწვიოს. მაგალითად, A ვიტამინის შემცველი პოლივიტამინის კაფსულისა და ბადის ერთდროული მიღების შემთხვევაში, ორგანიზმში აღმოჩნდება ზედმეტი A ვიტამინი, რომლის სიჭარბე იწვევს თავის ტკივილს, გულისრევას და ა.შ. რატკლიფი დარწმუნებულია, რომ პოლივიტამინებით გატაცების ერა დასრულდა და ექიმმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეარჩიოს ვიტამინების საჭირო დოზა. ■

მანდილოსნებს ვარჯიში „ცუდი“ ქოლესტერინის დაქვეითებაში დაეხმარება

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველდღიური ვარჯიში სუსტი სქესის წარმომადგენელთა სისხლში „ცუდი“ ქოლესტერინის დონის დაბლა დაწევას უწყობს ხელს. მკვლევრებმა 9-წლიანი დაკვირვების შედეგად შეისწავლეს, თუ როგორ მოქმედებს ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვა... ამ ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო საშუალო ასაკის 9 ათასმა მამაკაცმა და ქალმა. გაირკვა, რომ დღეში ერთსაათიანი ფიზიკური ვარჯიში ან ნახევარსაათიანი ინტენსიური სეირნობა დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებში შემავალი ქოლესტერინის დაქვეითებას უწყობს ხელს. სწორედ ქოლესტერინის ეს ფრაქციაა მიჩნეული „ცუდად“ — მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ათეროსკლეროზის ფორმირებაში. სამწუხაროდ, მამაკაცებში ამგვარი კანონზომიერება არ იქნა შემჩნეული. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge
პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“

გამოცემის დასახელება	1ეგზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

სინათლე და მწვანე ჩაი ნაოჭებს გაგიქრობთ

ულმას უნივერსიტეტის (გერმანია) მეცნიერებმა შეიმუშავეს ნაოჭების გასაქრობი ახალი და მეტად ორიგინალური მეთოდი, რაც სინათლით თერაპიისა და მწვანე ჩაის შემცველი ექსტრაქტის კომბინაციაში მდგომარეობს. შეგახსენებთ, სინათლე 40 წელზე მეტია, ნაოჭების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენება, ახლა კი მეცნიერებმა ამ ძველი მეთოდიკის სრულყოფა გადაწყვიტეს. ჩატარებული კვლევის მიხედვით, მწვანე ჩაის შემადგენლობაში შემავალი ანტიოქსიდანტები 4-ჯერ აძლიერებენ ფოტოთერაპიის ეფექტს. ახალი მეთოდის კლინიკური გამოცდის შემდეგ მეცნიერები თითქმის 100%-ით არიან დარწმუნებული, რომ სინათლის თერაპია, მწვანე ჩაის ექსტრაქტთან ერთად, სერიოზულ კონკურენციას გაუწევს ბოტოქსს. ■

პაციენტის 7 მთავარი შეკითხვა

ისრაელის რამდენიმე კლინიკაში განხორციელდება ახალი პროგრამა — „ექიმისთვის დასასმელი 7 შეკითხვა“. მეცნიერების ჩანაფიქრის მიხედვით, კლინიკაში შესვლისას ყველა პაციენტი მიიღებს სამახსოვრო ბროშურას, რომელშიც მითითებული იქნება 7 უმთავრესი შეკითხვა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შესაძლო მკურნალობის შესახებ. ასეთი პროგრამის შემუშავების აუცილებლობა გამოიწვია ექიმებისა და პაციენტების გამოკითხვის შედეგებმა, რომლის მიხედვითაც, პაციენტთა უმრავლესობას ექიმთან ვიზიტის დროს ავიწყდება ან ერიდება მეტად მნიშვნელოვანი კითხვების დასმა.

აი, რა მთავარ კითხვებს უნდა უსვამდეს პაციენტი ექიმს:

1. როგორი მკურნალობა ან ოპერაცია დამჭირდება?
2. რა გართულებებია მოსალოდნელი?
3. რა გამოკვლევა უნდა ჩამიტარდეს?
4. რატომაა მათი გაკეთება საჭირო?
5. ვინ და როდის განმიმარტავს გამოკვლევის შედეგებს?
6. რა წამლები დამჭირდება?
7. რა უნდა გავაკეთო და როგორ ვებრძოლო დაავადებას, რომ გამოვჯანმრთელდე? ■

ორსულობა და სპირტიანი სასმელი

დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის დეპარტამენტმა ორსულებს და იმ ქალბატონებს, ვინც დედობისთვის ემზადება, მოუწოდა, უარი თქვან ალკოჰოლურ სასმელზე. ადრე ბრიტანელი მედიკოსები

მიიჩნევდნენ, რომ ორსულებისთვის უმნიშვნელო ოდენობის სპირტიანი სასმლის მიღება შეიძლებოდა, მაგრამ ბოლო დროს მოსაზრება რადიკალურად შეეცვალათ. თუმცა, ისიც აღიარეს, რომ მათ რეკომენდაციას მეცნიერული მონაცემები არ უდევს საფუძვლად. მოთხოვნის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ ალკოჰოლის „უმნიშვნელო“ ოდენობა ყველას სხვადასხვაგვარად ესმის. ბრიტანელ მეცნიერთა მონაცემებით, ალკოჰოლის დასაშვებ დოზას — კვირაში 1-2 ულუფას, შემთხვევით თუ განზრახ, ორსულთა დაახლოებით 9% აჭარბებს. მეანობა-გინეკოლოგიის სამეფო კოლეჯი, რომლის სპეციალისტები ორსულებისთვის ალკოჰოლის ზომიერ მიღებას დასაშვებად მიიჩნევენ, მთავრობის ამ ინიციატივას გულგრილად შეხვდნენ. ■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ღვალილ
უბის წიგნაკიდან:

სის წარმომადგენლები ნაკლებად იზიდავდათ. შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, იაპონელი ქალები იძულებულნი იყვნენ, ევაჭრათ სხეულით, რომელიც ვერა და ვერ აკმაყოფილებდა ამერიკულ სტანდარტებს. მოგეხსენებათ, მაშინ სილიკონი არ არსებობდა და მინიატიურული აღნაგობის მქონე იაპონელები მკერდს ღორის კანის დახმარებით იდიდებდნენ.

17. II მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს იატაკქვეშეთში მომუშავე ესპანელთა ცნობა კასაბლანკაში რუზველტისა და ჩერჩილის მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ, მაგრამ ჩათვალეს, რომ შეხვედრა ვაშინგტონში უნდა შემდგარიყო, რადგანაც სახელწოდება „კასაბლანკა“ (სიტყვასიტყვით — თეთრი სახლი) მათ შეტყობინების მთელ ტექსტთან ერთად თარგმნეს.

18. „კუკარაჩას“ გამოქვეყნების შემდეგ ნოდარ დუმბაძე საპატიო პოლიციელად აირჩიეს. კიდევ დაწერე ჩვენზე რამე და პოლკოვნიკობას მოგცემთო, — „დაჰპირებიან“ მწერალს. თქვენ მალე ისე იზამთ, მამაჩემის დახვრეტასაც მე დამაბრალებთო, — გასცინებია დუმბაძეს.

19. გალილეო გალილეიმ თავისი ტელესკოპისთვის ლინზები ვენეციელ შუშისმბერველებს შეუკვეთა, რადგან სწორედ იქაური ოსტატები ამზადებდნენ საუკეთესო ხარისხის, სუფთა და გამჭვირვალე მინას. მეცნიერმა ლინზები დაამუშავა, გააპრიალა და საკუთარი ხელით დამზადებულ ჭოგრიტში ჩაამაგრა. შემდგომში სწორედ ამ ხელსაწყოს საშუალებით აღმოაჩინა გალილეიმ იუპიტერის 4 თანამგზავრი და გაარჩია მთვარეზე მთები და კრატერები, რითაც დაამტკიცა, რომ მთვარის ზედაპირი სულაც არ იყო ისეთი იდეალურად სწორი და გლუვი, როგორიც ადრე ეგონათ.



20. „გერმანიაში განავალი ამ სიმაღლემდე დაგროვდა“, — ამბობდნენ 1933 წელს გერმანელი ანტიფაშისტები და ფაშისტური წესით იშვერდნენ ხელს. გერმანელი კომუნისტები მასხრად იგდებდნენ ნაცისტებს და ფაშისტური შეძახილის — „HEIL HITLER“-ის ნაცვლად „HALB LITER“-ს („ნახევარი ლიტრი“) გაიძახოდნენ.

იყიდეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

[illegible]

[illegible]

[illegible]



ადამიანი

„თბილისში ვცხოვრობ და თბილისში დავეძებ თბილისს...“

გიზო ნიშნიანიძე თბილისის კოლორიტია, ვერაზე, ზემელზე დაიბადა და შოთა რუსთაველის ძეგლის თვალწინ გაიზარდა. ამბობს, რომ ბავშვობაში ის და მისი ძმაკაცები „იძულებით კაცები“ იყვნენ, კაცობაში კი საკუთარი ნებით, ბავშვებად დარჩნენ. ახალგაზრდობაში იმ დღით, იმ წუთით ტკბებოდა და მომავალზე ნაკლებად ფიქრობდა.

თამუნა კვინიკაძე

ახლა ბევრს ფიქრობს, ოღონდ ისევ იმ დღეებზე; განვლილ გზას შორიდან უყურებს და საკუთარ წარსულს მესამე პირში „კითხულობს“. „წაკითხული“ ფურცელზე გადმოაქვს და გვპირდება, რომ მომავალში ჩვენც წაგვაკითხებს. ბატონ გიზო ნიშნიანიძეს საყვარელ ქალაქზე და „თბილისელ ბიჭებზე“ სასაუბროდ შინ ვეწვიე. „დრო ჯიბის ქურდივით გვიფათურებს ხელს გულის ჯიბეში და გვწაპნის ასაკს... ალალი იყოს!“ — მითხრა და სამუშაო ოთახში, უფრო სწორად, საკუთარ სამყაროში მიმიპატიჟა. უცხო სიტყვათა ლექსიკონი გადაშალა და წამიკითხა: „კოლორიტი“ — იტალიური სიტყვაა, რომელიც ფერს, ფერების შეხამებას ნიშნავს; რაც ქმნის სურათის, ორნამენტის, მოზაიკის მთლიანობას, იერს“, — შემდეგ კი თხრობა განაგრძო:

ჩემი ცხოვრების გზა ვერის უბნიდან იწყება...

— საკუთარი ფერი არ უნდა დავკარგოთ. გლობალიზაცია ჩვენს ცხოვრებაში სწრაფი ტემპით შემოიჭრა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართველი კაცი ქართული ხასიათის გარეშე არაფერია. დღევანდელი დღე უფრო ცივია, ვიდრე — გუშინდელი, რაზეც ძალიან მწყდება გული. ადრე სიყვარული ბატონობდა, უფროს-უმცროსობა ყველამ იცოდა... ერთხელ მე და რეზო ესაძეს მოსკოვში ჩეჩნებთან უთანხმოება მოგვიხდა. როგორღაც, რეზო გავაპარე; ბოლოს ჩეჩნებმა მითხრეს, — წამოგვყევი და ჩვენთან ვილაპარაკოთო. გავყევი. სუფრასთან აღმოვჩნდით. ოჯახში შესულს სხვაგვარად შემომხედეს, საძღვრძელო ვთქვი, მოეწონათ. რაც ჩვენ შორის მოხდა, მოხდა; ახლა ჩამოვწეროთ, ვინ რამდენი წლის ვართ და რომელიც უფროსი იქნება, ეს ამბავი იმან გადაწყვიტოსო, — მითხრეს. ვიღაცაზე 2 თვით უფროსი აღმოვჩნდი. ამაში ცუდი რა არის, აბა, უფროს-უმცროსობას უმცროს-უფროსობა სჯობია?! რაც მე ვიცი, ის შენ ჯერ არ იცი, რადგანაც ის გზა ჯერ არ გაგივლია.

— **„ამ ქვეყანაზე რამდენი კაციცაა — იმდენი ბილიკია“,** — **წერთ წიგნში — „პაემანი ვერაზე“. მინდა, თქვენი ცხოვრების გზის დასაწყისზე მიამბოთ.**

— ჩემი ცხოვრების გზა ვერის უბნიდან იწყება... თბილისში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი გვარი იმერეთის ერთი უძველესი ისტორიული კუთხიდან ოკრიბიდან მოდის. ნაძვა — ნიშნიანიძეებისა და უგრეხელიძეების სოფელია.. მამაჩემი ჩინოსანი იყო, დედა — მკერავი. ზემელზე, მოსკოვის ქუჩის №2-ში ვცხოვრობდით, იქ, სადაც ახლა „კინოს სახლია“. კარგი თბილისური ეზო გვქონდა. ერთხელ, სახლში შემთხვევით, სამიოდე წლის ბიჭის სურათი ვიპოვე; დედას ვკითხე — ეს ფოტო ვისია-მეთქი? სახეზე ფერი ეცვალა, მცირე პაუზის შემდეგ მიპასუხა: — ეს შენი ძმაა; მე შვილი მაკლია, შენ მის სანაცვლოდ დაიბადეო... ჩემს

მშობლებს ორზე მეტი შვილის გაზრდის საშუალება არ ჰქონდათ, თორემ დებსა და ძმებს არ მომაკლებდნენ. ჩემი ძმა „კიროვის პარკის“ (ვერის ბაღი) ეზოში დაუკრძალავთ. დღეს, როცა იქ გავივლი ხოლმე, სულ იმის მეშინია, საფლავს ფეხი არ დავაბიჯო... მაშინდელ მე-18 სკოლაში ვსწავლობდი (ახლანდელ 51-ეში), მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი „სკოლა“ ვერაზე ცხოვრება იყო. ჩვენს ეზოში ბევრი ხალხი მიდი-მოდიოდა (მარტო 6 მკერავი ცხოვრობდა). ვისი სახლიდანაც კარგი სურნელი გამოდიოდა, მასთან ვსადილობდით. ერთი დიდი ოჯახი გვქონდა, ჭირიც საერთო გვქონდა და ლხინიც. რესტორან „გემოდან“ ბარბაცით გამოსულ გალაკტიონს რომ დავინახავდით, ძმაკაცებივით შემოვეხვეოდით. ის კი ღიმილით ზემოდან დაგვცქეროდა. ერთხელ გვკითხა: როგორ სწავლობთო? იმ დროს საიდანღაც ჩვენი კლასელი (შემდგომ, არცთუ ისე უმნიშვნელო კაცი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — დიმიტრი ქართველიშვილი) გამოძვრა: ლექსებში 2-იანებს გვიწერენ და ხუთიანები სახეზე გვახატია, მამების ტორებს ვეღარ ვუძლებთ, ცოტა იოლი ლექსები წერეთო, — „ააწყო“ გალასთან საქმე.

— **მერე, რა გითხრათ გალაკტიონმა?**

— მისთვის დამახასიათებელი ღიმილით ჩაიქირქილა — თავადაც ხომ დიდი ბავშვი იყო!.. ჩვენს კიდევ ერთ ბავშვურ ოინს გავიხსენებ. ერთხელ

„თბილისელი ბიჭები“ — მარჯვნივ გიზო ნიშნიანიძე

პატარა ბიჭებს „მუშტაიდის ბაღთან“ „დეზერტირების“ ბაზრიდან გამოსულმა აზერბაიჯანელებმა გვკითხეს: „მალჩიკი, მალჩიკი, გდე ვოგზალ?“ — ჩვენი „ვაგზალი“ აგერაა, მუშტაიდის საბავშო რკინიგზა-თქო. ავუღეთ ბილეთი, ჩავსვით „კუკუშკაში“ და „მარნეულისკენ გავისტუმრეთ.“ ალბათ, ჩვენს ოინბაზობას სადგურ „მზიურში“ ან „პიონერულში“ მაინც მიხვდებოდნენ.

— **ალარ შეგვხვედრიან?**

— არა. ერთი ბეწო იუმორის გრძნობა თუ ჰქონდათ, ამ უბოროტო ხუმრობაზე ჩვენსავით იცინებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენი სიჭაბუკის წლები ომმა დაანგრია. თბილისის ფანჯრებში სინათლე ჩაქრა, პური ზომაზე „მოგვიჭრეს“, თითქოს მზეც დაბნელდა, ცაზე ვარსკვლავები გაქრა...

— **მსმენია, ბავშვობაში გერმანელი „შპიონი“ დაგიჭერიათ...**

— ეს სოფელ ნაძვაში მოხდა. 1942 წლის 28 აგვისტო იყო. წინაღამეს სოფლის თავზე მტრის სამხედრო თვითმფრინავებმა გადაიფრინეს (მათ ღმუილზე ვცნობდით), დილით კი სოფელში ხმა გავარდა, გერმანელებმა დესანტი გადმოსხესო. შუადღეზე ბებერი მუხის ქვეშ ვიჯექი და ყინულივით ცივ წყალს ვსვამდი. უეცრად, ზურგს უკან ვიღაცის სუნთქვა ვიგრძენი, გამაცივა... მხარზე ხელის შეხებამ გამომაცოცხლა, ჩემ უკან ვეებერთელა ზურგჩანთამოკიდებული კაცი იდგა და მიღიმოდა. მან ალბათ იფიქრა, რომ ერთი მიამიტი სოფლელი ბიჭი ვიყავი, რომელსაც ყველაფერს დააფქვევინებდა. ცაგერის გზა მკითხა, ვითომ თავის ნაწილს ეძებდა; მერე — სოფელში ჯარისკაცები თუ არიანო? მივხვდი, შპიონი იყო. „როგორ მოვიქცე?“ — ვკითხე საკუთარ თავს. გონებაში ათასმა აზრმა გამიელვა. „შპიონი“ „დამტვრეული“ რუსულით ლაპარაკობდა. მას ისე ავურიე გზა და კვალი, ცაგერის ნაცვლად ჩვენი სოფლის ცენტრისკენ — ფრიალოულისკენ გავუშვი. მე კი სხვა გზით მოვუარე და ჩავასწარი. იღბალზე, სოფლსაბჭოში სახალხო ბატალიონის შეკრება იყო; წინა ღამით გადმოსხმული დესანტის დაჭერის ოპერატიულ გეგმას ადგენდნენ.

— ფაშისტი მოდის! ფაშისტი მოდის! — ქვეყანა ყვირილით შევძარი. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბენია ხუციბერიძემ შეიარაღებული ბიჭები დაახვედრა და ჯაშუშს იარაღი აჰყარეს. მე მაშინვე ხალხში გავძვერ-გამოვძვერი და „შპიონს“ წინ ავეტუზე. ყველაფერს მიხვდა, თვალები ორლულიანი თოფივით ისე მომიშვირა, ადგილზე დამმარხა... ამ ამბის შემდეგ ბენია ხუციბერიძე — „წითელი დროშის ორდენით“, მე კი 30 შრომადღით დამაჯილდოეს და მომცეს ცნობა, რომელშიც ეს ამბავი დაწვრილებით იყო აღწერილი. ეს ცნობა, არ იკითხავთ, რაში გამომადგა? კომკავშირში არ მიღებდნენ — მაგან ჯერ თავის ყოფაქცევას მიხედოსო, — ბოლოს კი ამ ცნობის წყალობით მიმიღეს. სიმართლე გითხრათ, იმ შპიონის დაჭერის ამბავს ახლა საკუთარ თავს ლამის ცოდვად ვუთვლი. თბილისში დაბრუნებულმა, როცა ეს ამბავი ბიჭებს ვუამბე, მითხრეს, „შპიონი“ შენ ყოფილხარ, კაცი თავის გზაზე მიდიოდა, რას დააჭერინეო?!. 1937 წლით ისე ვიყავით დაგეშილები, ქუჩაში ვინმე ფოტოაპარატით თუ დადიოდა და სურათებს იღებდა, მასაც კი ეჭვის თვალით ვუყურებდით...

— **თქვენი დროის თბილისურ ამბებს დავუბრუნდეთ, თქვენს მეგობრებზეც მიამბეთ.**

— თბილისური ამბებიდან რომელი ერთი გავიხსენო?! ნათქვამია — თუ გინდა, კარგი მეგობარი გყავდეს, შენ თვითონ უნდა იყო კარგი მეგობარიო. კონიაკის ქარხანაში ერთი ჩვენი ძმაკაცი — ოთარ გელაშვილი მუშაობდა. იგი იმ თვითმფრინავში დაიღუპა, რომელშიც — ულამაზესი ნატო ვაჩნაძე. ოთარი მაგარი ბიჭი იყო და მაგარ კონიაკსაც ამზადებდა. რამდენჯერ შევუყვანივართ „პახმელიაზე“ გამოსაყვანად! მაშინ ქარხანაში შესვლაც ჭირდა და იქიდან გამოსვლაც: შესვლაში დარაჯი გვიშლიდა ხელს, გამოსვლისას კი ჩვენ გვეშლებოდა ფეხი... ერთხელ კარისკაცს კარგად შეჭიკჭიკებულმა კუკურა ჟღენტმა გამოსვლისას (აბა შესვლისას ხომ არ აკადრებდა) ჰკითხა: — ბიძაჩემო, უკაცრაული პასუხია, მაგრამ რა ჩინი გაქვთ საუწყებო დაცვაშიო? — ვითომ რატომ კითხულობ? რიგოსანი ვარო, — რიხიანად უპასუხა ბაბუის ხნის კაცმა, რომელსაც პენსიაზე ალბათ იმიტომ ვერ უშვებდნენ, რომ სულ ეძინა და მის გაღვიძებას ერიდებოდნენ... ის ცხონებული მაინცდამაინც მაშინ ფხიზლობდა, როცა ჩვენ — უფრო გასართობად, ვიდრე დასათრობად — შევდიოდით. — ჩინი არ მაქვს, თვალისჩინი კი არ მაკლია... რატომ მეკითხები მაგას, ბიძიაო? — რატომ, ბიძია, და, ამ ქარხანაში ხანდაზმულობით ვარსკვლავები კონიაკსაც კი ემატება და შენ რა ღმერთი გიწყრებაო?!. ერთი კვირა სათოფეზე აღარ გვიკარებდა...

— **ნიაზ დიასამიძესა და ავთო ვარაზზეც ბევრი გაქვთ გასახსენებელი...**

— ნიაზი ბავშვობიდანვე გამორჩეული იყო. ერთხელ ქიმიის მასწავლებელმა, ქალბატონმა „წიწაკამ“ უთხრა: შენი გაძღება აღარ შემიძლია, სხვა

სკოლაში გადადიო. — ამ ნიშნებით სხვა სკოლაში კი არა, „კიროვის პარკში“ არ მიმიღებენო!.. — შეწუხდა ნიაზი. — ნიშნები ჩემზე იყოსო, შეჰპირდა მასწავლებელი და დანაპირებიც აასრულა: ნიაზი 4-ებით და 5-ებით სავსე აკადემიური მოსწრების ფურცლით ჩვენს უბანში მდებარე მეორე სკოლას მიადგა. იმ სკოლის დირექტორის გვარი არ მახსოვს, მეტსახელად — „დობრი მიშკას“ ვეძახდით. ფრიადებმა იგი ძალიან დააეჭვა, ნიაზს კი უთხრა: — ფრიადოსნის მიღება, ფრიად სასიამოვნო ამბავია, მაგრამ ფრიად ვწუხვარ, რომ სკოლაში ვერ მიგიღებ, არც ერთი ადგილი არ გვაქვსო. — რა გაეწყობაო?! — უპასუხა ნიაზმა და ზემელზე შეკრებილი მეკურტნე ქურთებისკენ გაემართა. — ჯიგრებო, თავისუფლები ხართო? — შესძახა მძიმეტვირთიანივით. მერე ერთ-ერთი მათგანი — ადო გამოიხმო და თავისი დარდი „აჰკიდა“, განზრახვაც გაანდო. ადომ სიცილით გული რომ იჯერა, სკოლისკენ გაჰყვა, მისი მერხი ზურგზე მოიგდო და მეორე სკოლაში მიიტანა. მასწავლებლები ლამის ფანჯრებიდან გადმოცვივდნენ. ჩემი ადგილი მოვიტანეო! — ახარა ნიაზმა „დობრი მიშკას“.

— ნიაზმა შეყვარებულს სახლში გალაკტიონი მიჰგვარაო, მართალია?

— მართალია. ნიაზს ბევრი გოგო უყვარდა, მაგრამ მათ შორის ერთს — გულიკო კასაბაშვილს განსაკუთრებით ეტრფოდა. ის მთელ თბილისს უყვარდა. ერთხელ, დაბადების დღეს პირველი თოვლის ფიფქი აჩუქა; მეორე წელს რა უნდა ექნა? გალაკტიონთან ძმაკაცობდა. ადგა და საქმე ისე მოაგვარა, რომ გულის სწორს დაბადების დღეზე გალაკტიონი მიჰგვარა. ავთო ვარაზი ვერაზე ყველას ახსოვს, მაგრამ მისგან წყენა — არავის. ერთხელ ავთოს მეუღლემ კარზე „გლაზოკი“ დააყენა. — ეს რა არისო? — უკითხავს შინ დაბრუნებულ ავთოს. მეუღლეს აუხსნია, აქედან გაიხედავ და კართან ვინ დგას, იმას დაინახავო. — ასეთი რამ მე რაში მჭირდება?! — გაგიჟებულა ავთო. — ეს რას ნიშნავს, ჩემამდე მოსულ ადამიანს შეიძლება, კარი არ გავუღო? ეგ საჭვრიტინო სასწრაფოდ უკუღმა დააყენე, ყველამ შემოიხედოს და გაიგოს, სახლში ვარ თუ არაო... ის არასდროს ყოფილა კინომსახიობი, მაგრამ მისი შესრულებული ფიროსმანი გიორგი შენგელაიას ფილმში ყველას გვახსოვს. ერთხელ მეუღლისთვის უთქვამს: მსახიობი ფიროსმანს ითამაშებს, მე კი ნიკალას გავაცოცხლებო... მამაშვილი არ ჰგავს ხოლმე ისე ერთმანეთს ფერით, იერით, სახით, ფიქრებით, ოცნებით, როგორც ავთო და ნიკალა... ოღონდ ავთოსთვის თბილისი დედა იყო, ნიკალასთვის — დედინაცვალი. ვარაზის პორტრეტები მასავით „ჩაფიქრებულები არიან“... არასდროს უძებნია, ვინ დაეხატა; ხატავდა მეგობრებს, ახლობლებს, ძმაკაცებს — მათ, ვინც უყვარდა.

— ავთო ვარაზის მამა ნობელის პრემიის პრეტენდენტი იყო, არა?

— ვასილ ვარაზი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გახლდათ. მას 1938 წელს შვეციიდან წერილი მოსვლია, რომელშიც ეწერა: გვაქვს პატივი, მოგიწვიოთ ნობელის პრემიის მოსაპოვებლად ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში. 30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ამ წერილის არსებობის შესახებ არავინ იცოდა. იგი ვასილ ვარაზის არქივში, მისი გარდაცვალების შემდეგ, შემთხვევით იპოვეს. რატომღაც არავის გაუმხილა წერილის შინაარსი და უპასუხოდ დატოვა ნობელის პრემიის კომიტეტის თხოვნა, საატესტაციო საბუთების გაგზავნაზე.

— ამბობენ, ძველი თბილისის ყველა უბანსა თუ ქუჩას თავის ყოჩი ჰყავდაო...

— ნამდვილად ასე იყო, ერთი მეორეს არაფრით ჰგავდა, არც მიხრა-მოხრით, არც სიტყვა-პასუხით, არც გარტყმა-გამორტყმით, არც დარდიმანდობით. რუსთაველზე არკადი აბაშიძე არავის აჩხუბებდა — ეს სიყვარულის ქუჩაა. ნაღდი დამრტყმელი იყო. თბილისელი გოგო ქუჩაში რომ გაივლიდა, კარგი ბიჭი იყავი და, რამე გაგებედა: ჩვენი აივნებიდან თვალით ვმწყემსავდით. მოგვიანებით, ჩემი თაობის ერთმა გაუთხოვარმა ლამაზმა ქალმა მითხრა: ეს საქმეა?!. არათბილისელს არ გავყევი ცოლად და თბილისში ქმარი ვერ ვიშოვე, — ყველა ჩემი ძმაკაციაო!.. ჩვენი გურამ თიკანაძის პატარა დაიკო — რუსიკო — „ჩრდილოეთის პატარძალი“ გახდა — ცნობილმა კინორეჟისორმა ბოგინმა მოგვტაცა. ერთხელ მოსკოვში შევხვდი, ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი: აქ როდემდე უნდა იბოგინო-მეთქი? მაშინ თბილისში სხვა სურნელი ტრიალებდა, ცუდი ქცევით თავს ვერავის მოაწონებდი. დღეს კი თბილისში ვცხოვრობ და თბილისში დავეძებ თბილისს...

— რას ნიშნავს თქვენთვის თბილისელობა?

— თბილისელობა საპასპორტო რეჟიმით არ განისაზღვრება, მარტო ამ ქალაქში ჩაწერას არ ნიშნავს. თბილისელი ის არის, ვინც კარგისა და ცუდის, სწორისა და მრუდის გარჩევა იცის. ვინც ამ ქალაქს სიზმარში ხედავს, მისთვის ხარკად სულსა და გულსაც კი გაიღებს. თბილისელობა დიდი ტვირთია!.. ერთმა ამ ქალაქის სადღეგრძელო ასე დალია: ჩვენს თავშესაფარს გაუმარჯოსო! შეუსწორეს, — თბილისის სად-

ჯუმბერ ლომინაძე, გიზო ნიშნიანიძე და ფრიდონ სულაბერიძე

ღეგრძელოს სვამ თუ ქოლგისასო?!. დალევაზე გამახსენდა და აქვე გეტყვით: მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე შარაფისტთა გუნდები ხშირად იკრიბებოდნენ და „საუკუნის მატჩს“ რესტორან „გემოში“ მართავდნენ. ეს ღრეობა კი არა, ქართული სუფრის ზეიმი იყო — მოსწრებული სადღეგრძელო, სიტყვა-პასუხი... ერთ ბრძენს უთქვამს: ისეთ სუფრას რა ვუთხარი, სადაც პურმარილი ყელამდეა, მაგრამ სული მაინც მშიერი რჩებაო!..

ერთხელ ცნობილი კომპოზიტორი — რეზო ლაღიძე და ასევე ცნობილი დირიჟორი ვახტანგ ფალიაშვილი წვეულებაზე ყოფილან. პირველს თურმე ჭიქა ვერ მოაშორეს, მეორეს — ვერ ააღებინეს ხელში. პარადოქსებითაა ეს ქვეყანა სავსე, — უთქვამს ბატონ ვახტანგს რეზოსთვის, — ფალიაშვილი მე ვარ და მუსიკას შენ წერო. — რას იზამ, ჩემო ვახტანგ, ლაღიძე მე ვარ და ლიმონათს შენ სვამო, — უპასუხია რეზოს... მინდა, მათთან ერთად ჩემი მეგობარი ალეკა გორგაძეც გავიხსენო. მას შეეძლო, ათას არაკაცში მდგარიყო და ათასმეერთე არ ყოფილიყო. ვინც ალეკას კარგად იცნობდა, მის ხსენებაზეც კი იცინოდა. ერთხელ ძმაკაცს — ავთო გუნიას სთხოვა, — შენი მანქანა მათხოვე, ქალაქში ვიგრიალებო. ავთო უარს როგორ ეტყოდა. ალეკას საღამოს ერთ ლამაზ გოგოსთან პაემანი ჰქონია. უფიქრია, „ვიტაქსავებ“, ერთ-ორ კაპიკსაც გავაკეთებო, მაგრამ „ტაქსაობასაც“ ხომ ცოდნა უნდა. ალეკას მთელი თბილისი შემოუვლია და ხელაწეული ვახტანგ გორგასალიც კი ვერ უპოვია. ბოლოს ჩოხატაურში ამოუყვია თავი. 2 დღის შემდეგ, საღამოს დაბრუნებულა და მანქანის პატრონისთვის ხარკად, არაყი და 3 მუჭა თხილი ჩამოუტანია. ავთოს უთქვამს, ამის მეტი თუ არაფერი გქონდა, ქვემოდან დაგეძახა, ჭიქებს მაინც ჩამოვიტანდი და შენი მშვიდობით დაბრუნების სადღეგრძელოს დავლევდიო... აი, ეს არის ძმაკაცობა. ჩვენს დროს, ასეთი დაუწერელი კანონი იყო: „მე — შენთვის, შენ — ჩემთვის“; მერე შეიცვალა და გახდა: „მე — ჩემთვის, შენ — შენთვის“; ახლა უარესია: მეც ჩემთვის და შენც — ჩემთვისო. ამასთან შეგუება შეიძლება?.. ზოგი შვილს გოჭივით ზრდის და მერე უკვირს — ღორი რატომ გამოვიდაო?! შვილებს სიქაჩლემდე ვუსვამთ თავზე ხელს, ზედმეტი სულის ბერვით, საპნის ბუშტებივით ვბერავთ და მათთან ერთად გვისკდება გულები!.. ადამიანის აღზრდას სულ სხვა სულის ბერვა უნდა. სათბურში გაზრდილი მწვანილი არ ვარგა და კაცი ივარგებს?! ახლა ყაჩაღებს ყოჩაღებს ეძახიან. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. აღზრდაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერთხელ სკოლაში უეცრად მოსულ რევიზიას კართან წიგნით ხელში დარაჯი დახვედრია. დაინტერესებულან, რას კითხულობთო? — „ოდისეასო“, — წყნარად უპასუხია დარაჯს. კომისიის წევრებს ერთმანეთისთვის გადაუხედავთ და უკან გაბრუნებულან: არ ღირს იმ სკოლის შემოწმება, სადაც დარაჯიც კი ჰომეროსს კითხულობსო. თბილისს ადრე სხვა ზნე „სჭირდა“ — ხასიათიანი ქალაქი იყო: თბილისელობა პროფესიაიაო — გასცა საბუთი გოგლა ლეონიძემ. თბილისელები ერთმანეთს, იცი, როგორ ლოცავდნენ?

— **როგორ?**

— ღმერთმა შენ მოგცეს, რომ მე მქონდესო! თუ ასე არ იცხოვრებდი, ადგილს ვერ დაიმკვიდრებდი. ერთხელ ვერაზე კრიტიკოსი — ფილიპე ბერიძე და პოეტი — მორის ფოცხიშვილი მდგარან და სიგარეტის ფული არ ჰქონიათ. ამ დროს მათთან ვიღაც პიჟონი მისულა, რომელიც თურმე ბიჭებისთვის სანატრელ „პრიმას“ კი არა, მეფურ „ფილიპ-მორისს“ აბოლებდა; აზრადაც არ მოსვლია, მიეწოდებინა. ფილიპეს ვეღარ მოუთმენია და ყბაში ულეწია, თან ორიგინალურად უმართლებია თავი: აბა, რა მექნა? ფილიპე მე ვარ, მორისი — შენ და „ფილიპ-მორისს“ კი ეს დეგენერატი აბოლებდაო. ერთხელ მორისს დავუწერე: „შენ გაგიმარჯოს, მორისო, კაცო საერთაშორისო“. მან კი ასე მომიგო: „ჩემო გიზო, ასე უნდა იგიზგიზო“.

— **ბატონო გიზო, ამჟამად რაზე მუშაობთ?**

— ვმუშაობ წიგნებზე: ნაწილს — „იყოდან არა იყომდე“ დავარქვი, მეორეს — „გაქცეული კალამი“. ნაწილის სახელი ჯერ არ მომიფიქრებია.

— **რა მოგწონთ და რა — არა თანამედროვე თბილისში?**

— არ მომწონს ის, რომ ვბერდები და მომწონს ის, რომ ჩემი ქალაქი ახალგაზრდავდება, გარეგნულად ლამაზდება. გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ თბილისი ცოტა გაცივდა.

— **ეს რისი ბრალია?**

— თითოეული ჩვენგანის. საერთოდ, ტექნიკა რაც უფრო წინ მიდის, ადამიანები ერთმანეთისგან უფრო ვითიშებით. ცოტა ხნის წინ მოვისმინე ინფორმაცია, რომ მთაწმინდიდან სტალინის დედის გადმოსვენება უნდათ გორში. თავად სტალინის ძეგლის გარშემოც კამათობენ... რა უფლება გვაქვს, დროს ხელი ვახლოთ, ის ჩვენი არ არის... ჩვენ ჩვენი დრო გვაქვს და მას უნდა მოვუაროთ. თუ ასეა, მაშინ რაც ჩამოყრილი ძეგლებია, წავიღოთ მახათას მთაზე და იქ „ქვაში დასჯილი ბოროტების მუზეუმი“ გავაკეთოთ.

— **თბილისობა ახლოვდება. ამ დღესასწაულის შესახებ რას გვეტყვით?**

— ადამიანები იხდიან დაბადების დღეებს და ქალაქმა რატომ არ უნდა გადაიხადოს?! მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, როგორც თბილისს ეკადრება. უკვე გითხარი, თბილისი ხასიათიანი ქალაქია. ასეთი ქალაქებია ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ზესტაფონი, ჭიათურა და ა.შ. ახლა პარლამენტის წევრობა მოდაშია, მათ ცნობად სახეებს უწოდებენ. მე მირჩევნია, ქალაქსაც და ქვეყანასაც „გრძნობადი“ და „ძმობადი“ სახეები მართავდნენ. ერთი აზრი მაქვს და ბარემ მოგახსენებთ: ამას საჯაროდ, პირველად თქვენთან ვაცხადებ: მოდი, თბილისის ქუჩები ავალაპარაკოთ. რუსთაველის, ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, წერეთლის და ა.შ. პროსპექტებზე დავდგათ ბილბორდები, რომლებზეც ამ გენიოსების თითო ფრთიანი გამონათქვამი ან აფორიზმი ეწერება. იქნებ აქ მაინც წაიკითხონ, ამაზე კარგი ამ უწიგნურ დროში რა უნდა იყოს?! და კიდევ ერთი სურვილიც — ეს უკვე კარგა ხანია, დედაქალაქის შვილებმა დაიმსახურეს: მეტრო „რუსთაველთან“ მდებარე რესტავრირებულ „რწმენის კედელთან“ ვახტანგ რურუას სურათის მიხედვით შექმნილი „თბილისელი ბიჭების“ ძეგლი დაიდგას. ■

კარგა ხანია, დედაქალაქის შვილებმა დაიმსახურეს: მეტრო „რუსთაველთან“ მდებარე რესტავრირებულ „რწმენის კედელთან“ ვახტანგ რურუას სურათის მიხედვით შექმნილი „თბილისელი ბიჭების“ ძეგლი დაიდგას

„სიცოცხლე ბროლის ჭიქასავით ნაკუწ-ნაკუწ დამიმსხვრიეს“

„რატომღაც მეგონა, 17 წლის ასაკში ვიქნებოდი ბედნიერი... შემდეგ — 19 წლის ასაკში... ოცნების ჩიტი ირეალობაში იკეთებდა ბუდეს... 27 წელი... ამის მერე ყველაფერი ერთფეროვანი გახდა. აი, დღეს 27 დეკემბერია... ახალს არაფერს ველი... სიცოცხლე ბროლის ჭიქასავით სულ ნაკუწ-ნაკუწ დამიმსხვრიეს და ფეხქვეშ დამიყარეს... და თუ დღეს სიკვდილზე ვფიქრობ, არა იმიტომ, რომ დავიღალე ბრძოლით, რომ სადაცაა, თითოეული ძარღვიც კი დასკდება, არამედ იმიტომ, რომ აღარავისი მჯერა ამ ქვეყანაზე...

ზეინაბ! ნუ აუკრძალავ დეიდას, მომიტანოს ქაღალდი, საწერ-კალამი... იქნებ, ეს ჩემი უკანასკნელი ბარათებია...“ (ნაწყვეტი ჟურნალისტ ნაზი შამანაურის დღიურებიდან)

ნაზი შამანაურმა დისიდენტური მოძრაობისთვის ალღოს აღება ვერ შეძლო

შორენა ლებანიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №40

ეგრეთ წოდებული, ასათიანის კლინიკა ქართული საბჭოთა ფსიქიატრიის სახე იყო. მასთან შეხება მძაფრი, მტკივნეული განცდებით იწყებოდა. ახალმიღებულს პირადი ნივთების ჩაბარებასა და საჯაროდ გაშიშვლებას აიძულებდნენ. ერთიც და მეორეც პაციენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვით საბუთდებოდა. პირადი ნივთები — ვთქვათ, გადატეხილი კოვზი — შეიძლებოდა, ნებისმიერ წუთს ცივ იარაღად ქცეულიყო, ტანსაცმლის რომელიმე ატრიბუტი კი — ვთქვათ, საცვლიდან გამოძრობილი რეზინი — თავის ჩამოსახრჩობ ყულფად. ალბათ ამიტომ, პაციენტებს ზამთრის ყინვაშიც კი ხალათები პირდაპირ შიშველ ტანზე ჰქონდათ მოსხმული.

თუ დისკომფორტით გამოწვეული უკმაყოფილება აგრესიაში გადაიზრდებოდა, ისტერიკამდე მისულს ზეწრებით კოჭავდნენ, შემდეგ კი შესაბამისი ინიექციებით ადუნებდნენ. ელექტროშოკი მხოლოდ ერთი მიზეზის გამო არ გამოიყენებოდა: აპარატი 70-იან წლებში გადაიწვა და მის შეკეთებასა თუ ახლის შეძენაზე აღარ იზრუნეს — ძვირიც იყო და არაპოპულარულიც, საზოგადოება მას ჯალათის კუნძთან ან გილიოტინასთან აიგივებდა...

დღეს მეცნიერები აპარატის პროგრესულობაზე ალაპარაკდნენ.

მარინა კურატაშვილი, *ექიმი-ფსიქიატრი:*

— ელექტროშოკურ თერაპიას მაშინ ნიშნავენ, როცა ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილ ავადმყოფზე წამალი აღარ ჭრის.

80-იანი წლების დასაწყისში უცხოეთიდან ახალი თაობის პრეპარატების შემოტანა ჭირდა. აფთიაქებში შეუზღუდავად მხოლოდ ფრანგული ლეპონექსი, ფტელაზინი და მისი ანალოგი ტრიპტიზინი იყიდებოდა. მწვავე დაავადებების ეფექტიან სამკურნალო საშუალებად მიიჩნეოდა და მიიჩნევა პალოპერიდონი, მაგრამ მას უამრავი გვერდითი მოვლენა ახასიათებს: კუნთების გაშეშებას, დაჭიმვას, ხელების კანკალს იწვევს, შესაბამისად, უკუჩვენებების მომხსნელ კორექტორებს საჭიროებს. ლეპონექსის ერთადერთი გვერდითი მოვლენა სისხლში ცვლილებების შესაძლო გამოწვევაა. ამიტომ პრეპარატის აქტიურ მიმღებს ორ კვირაში ერთხელ მკაცრი კონტროლი — ვენური სისხლის ანალიზი — სჭირდება.

„ათზე მეტს აუღეს სისხლი ლაბორატორიული ცდებისთვის. მსუქნიშვილმა წინააღმდეგობა გაუწია, — „მეექვსედ სად გაგონილა სისხლის გამოკვლევა... ახლახან არ ამიღეთ როეზე, საერთოზე, ღვიძლის ფუნქციაზე?.. მენზურა სავსე იყო... ხელი დამიბუჟდა,“ — საწყალი მსუქნიშვილი საწოლქვეშ შეძვრა, მაგრამ ამდენი ხალხის წინაშე რას გააწყობდა.“ (ნაწყვეტი ნაზი შამანაურის დღიურებიდან).

სკანდალი ფსიქიატრიული კლინიკის ცხოვრების წესი იყო. პაციენტებს აღიზიანებდათ: გისოსები, გადაჭედილი პალატები, საავადმყოფოს უნიფორმა, ამინაზინის ნემსები, უგემური საკვები და ამ ყველაფერთან შეგუების კატეგორიული, სასტიკი მოთხოვნა. იძულებითი მკურნალობის შესახებ გამოტანილი განაჩენი მედპერსონალს ცემა-ტყეპის ენაზე საუბარს უკანონებდა. ცემა-ტყეპა — წამლის მიღებისას, ცემა-ტყეპა — შიმშილობისას.

სიტყვა „შიმშილობა“ ფსიქიატრებს შიშის ზარს სცემდა. საკვების აკრძალვის გამო პაციენტის დაღუპვა მათ სამსახურის დაკარგვით ემუქრებოდა. საჭირო იყო სისხლის ვიტამინებით კვება, მაგრამ გადასასხმელი აპარატურისა და ზონდის გამოყენება პრობლემას მხოლოდ დროებით და ნაწილობრივ ხსნიდა. აცეტონის სუნი არ ქრებოდა. წამლის მიღება რთულდებოდა... და იწყებოდა ნამდვილი ომი: გაჯიუტებული პაციენტის გაკოჭვა, სკამზე მიბმა, პირის გასაღებად ცხვირზე ხელის მოჭერა, ლანცეტის სასამდე მიბჯენა...

ამ პირობებში ნაზი შამანაურმა ზუსტად ხუთი თვე გაძლო. პირველი დღეების შთაბეჭდილებები უმძაფრესია:

ძალით გახადეს ტანსაცმელი. ძალითვე ჩააცვეს ზოლიანი ხალათი. მოათავსეს ფსიქიატრიული საავადმყოფოს პირველ განყოფილებაში, სადაც შიზოფრენიის უმძიმესი ფორმით დაავადებული პაციენტები იწვნენ. აუხსნეს: „სავალდებულოა, უსიტყვოდ დაემორჩილო შინაგანაწესს, დალიო წამლები და მიიღო საკვები“.

შამანაურმა, პროტესტის ნიშნად, შიმშილობა გამოაცხადა.

„გამატიტვლეს ყველას თვალწინ. იატაკზე თმით მათრიეს. ხელ-ფეხი შემიკრეს... მუცელში მცემდნენ. თმაზე მექაჩებოდნენ. ცხვირზე ხელს მიჭერდნენ, რომ პირი გამეღო... კანი მეწვოდა, ტუჩები დამილურჯდა, სასა დამისივდა... ლუკმას რომ ვერ მაყლაპებდნენ, ძუძუებზე ფეხს მაჭერდნენ, კისერს საქონელივით მიდრეკდნენ, მუცელში წიხლს მაზელდნენ, ნიკაპში — მუშტს... ლანცეტით მაწამებდნენ... სასამდე მიბჯენილ კოვზს ხახაში ბურღივით მიტრიალებდნენ... ვიხრჩობოდი... იოგები, საყლაპავი მილი დამიზიანდა... კბილები დამემსხვრა... პირსახოცი სისხლიანი იყო...“ (ნაწყვეტი ნაზი შამანაურის დღიურებიდან).

დღიურების მთავარი უარყოფითი პერსონაჟი ქალთა პირველი განყოფილების დიასახლისი ვალიდაა. შამანაურის გადმოცემით, კუშტსა და ჩასკვნილს, „მაღლა შეთამაშებული წარბები“ და მჭექარე ხმა ჰქონდა. სახეზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა. წესრიგის დასამყარებლად მოჭარბებულ ენერგიას არ ზოგავდა. ურჩებს „გვემა-წამების დამამცირებელი ილეთებით“ ათვინიერებდა. პაციენტები „დესპოტს“, „ჯალათსა“ და „გესტაპოელს“ ეძახდნენ. „ხომ დაგწინკნე და დაგასისხლიანე. ჯერ სადა ხარ... ისეთ რამეს დაგარტყამ, დრუნჩი გვერდზე მოგექცეს“, — გაყვიროდა ვალიდა.

მაშ ასე: მოქმედება ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქალთა პირველ განყოფილებაში მიმდინარეობს. პალატებსა და დერეფანში მუდმივი ღავილი, ჩოჩქოლი და ყვირილია.

„50 ადამიანი ერთად სცემს ბოლთას... ყველა თავისთვის ჩივის, ლაპარაკობს. ეს წრე კარუსელივით, თავბრუს დახვევამდე ტრიალებს. წამლებით გაჭყეპილნი, მთვრალი ინდაურებივით დაბორიალებულნი, ერთმანეთს ეხლებიან, ეცემიან... ვიღაც ტირის: „მომეცით ჩემი ვაშლი, თქვენსას ხომ არ გთხოვთ...“ „მომაშარდვინეთ... დამაწვინეთ იატაკზე. საწოლის ღირსი არ ვარ. დამცხეთ ამინაზინი. მაღირსეთ სტელაზინის ამპულის შხამი, რომ როგორმე ჩავძაღლდე...“ „ჩამაცვით ტრუსიკი. მცივა... სად გაგონილა, ქალიშვილი გოგო უნიფხვოდ, ულიფოდ ვიყო?“ (ნაზი შამანაურის დღიურებიდან).

ერთი თვის განმავლობაში ნაზი სტაციონარული ექსპერტიზის პაციენტი იყო. ექსპერტიზამ სულით ავადმყოფად ცნო: „შიზოფრენია, ბოდვითი ფორმა“. სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, დუშეთის რაიონულმა სასამართლომ იძულებითი მკურნალობა შეუფარდა. ნაზი და სარა ერთმანეთს დააშორეს.

მარინა კურატაშვილი:

— ინდუცირებული ბოდვა აზრების მიმწოდებლის მიერ მიმღებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას გულისხმობს. პირველი მეორესთან შედარებით ინტელექტუალური და, შესაბამისად, ავტორიტეტული პიროვნებაა. ნაზისა და სარას შორის „როლები“ შემდეგნაირად განაწილდა: შვილი იდეების მიმწოდებელი იყო, დედა — მიმღები. ერთი დაიწყებდა, მეორე აჰყვებოდა და ისტერიკამდე მიდიოდნენ. გავლენის ქვეშ რომ აღარ მოქცეულიყო, სარა პირველიდან მეცხრე განყოფილებაში გადაიყვანეს და ნაზის ნახვა აუკრძალეს.

ნაზი კიოდა: „დედა!“ დედა შორს იყო, მეცხრე განყოფილებაში. იშვიათად, 15-იოდე წუთით შემოჰყავდათ. ექიმი ბრაზობდა: „რაპორტს დავწერ. რატომ შემოუშვით?.. წადი შენს პალატაში. მომწყდით თავიდან.“ — „დამაცადეთ, ხალხო, შვილი მენატრება.“ — „არავითარ შემთხვევაში, უფლება არ მაქვს, სამსახურს დავკარგავ.“ სარა ცუდად ხდებოდა. ვალერიანის წვეთებით ასულიერებდნენ. ნაზი საფეთქლებს უზელდა: „დედა!“.

რამდენჯერმე ეზოში მოჰკრა თვალი. შებინდებულზე, ნაგვის გადაყრისას, მალვით მოჰყვებოდა სანიტარს. იდგა სარკმელქვეშ და ცრემლები სცვიოდა: „შვილო, კარგად ვერ გხედავ.“

საახალწლოდ შეახვედრეს. ნაზის გული შეეკუმშა: „დერეფანში ისე მოდის ძველი ნაჭრის ჩანთით, როგორც ვიღაც გლახაკი“. ჩანთაში ვაშლები და შოკოლადი ეწყო. შოკოლადს „გაზაფხული“ ერქვა: „ვჩქარობდი, შვილო, რომ თავისთვის რამე არ აგეტეხა... არც იფიქრო, — ამბობდა დედა, — ხომ ნახე, ამნისტია გამოვიდა... მალე სახლში ვიქნებით...“

ექთანმა ხატისოვმა შემოიხედა: „ს ნოვიმ გოდომ, დევოჩკი!“ ხმა არავის ამოუღია. „როდის იყო, გესტაპოს ტყვეს დღესასწაული რამედ უღირდა, — გაიფიქრა ნაზიმ, — განსაკუთრებულ კერძს მაინც შემოგვთავაზებდნენ! ისევ წყალწყალა ვერმიშელის სუპი, რუხი პური, კარაქის თხელი ფენა და ჩაი.“

ზინა ექიმმა შემოაბიჯა. მხრებზე პალტო ჰქონდა მოსხმული. ყელამდე ჩექმა ეცვა. სათვალის ზემოდან გადახედა ნაზის: „ჰმ! კრასავიცა“.

საღამოს ცოტა წაიმღერეს. დასაძინებლად ადრე დაწვნენ. შუაღამისას მარინა ნუნუს ეცა, საწოლზე გადაითრია და კინაღამ დაახრჩო. ყვირილი ატყდა. მარინა ზეწრებით შეკრეს.

მომდევნო ღამეს ებრაელი როზა ლემპერტი გარდაიცვალა. რომ მოიყვანეს, — სადისტებო, ყაჩაღებოო, ყვიროდა. გაკოჭეს. წამლებით გააბრუეს. დაუძლურდა, მაგრამ მაინც არ ისვენებდა. შვილს უხმობდა. უძილობა ტანჯავდა. სამიოდე დღე იცოცხლა.

8 იანვარს ვალიდამ ჩხრეკა მოაწყო. ხალათის ჯიბეები ამოაბრუნებინა ნაზის. მერე ქვეშაგებელი გადაქექა. ვერაფერი იპოვა. „ვიცი, რასაც ეძებს მსუნაგი ძაღლივით, — გადაულაპარაკა ნაზიმ წუთის წინ შემოყვანილ დედას, — დღიურებს.“

ნაზი, წესისამებრ, საწოლში წამომჯდარი, ძაფით აკინძულ ქაღალდის ნაგლეჯებზე წერდა. თავიდან მის სტრიქონებში პროტესტი ჭარბობდა. მერე სევდიანი ნოტები გაჩნდა. ბოლოს ყველაფერი სასოწარკვეთამ და სრულმა აპათიამ დაჩრდილა. ქალმა სიკვდილზე ფიქრი დაიწყო:

„ჩემს დღიურებს მთლიანად აგონიაში ვწერდი... მეტი აღარ შემიძლია. ჯანმრთელობა შენარჩუნებული მაქვს, მაგრამ ფსიქოლოგიურად, მორალურად გამოვიფიტე. ხეს მოწყვეტილი ფოთოლივით ვქანაობ. სიკვდილს ვნატრობ... ძალები არ გამომლევია. უბრალოდ, რწმენა დავკარგე. რწმენის გარეშე სიცოცხლე კი უკვე სიკვდილია...“

ნაზი 12 იანვარს მეცხრე საავადმყოფოში გადაიყვანეს. მუცელი მკვრივი, მტკივნეული და შებერილი ჰქონდა. ქირურგმა ანზორ არველაძემ გონდაკარგული პაციენტი სანიტრებს საოპერაციო მაგიდაზე მოათავსებინა.

როგორც კი კანს დანა დაუსვა, მუცლის ღრუდან თითქოს აირით გაბერილი, გატიკნული ნაწლავები ამოხტა. „ინტოქსიკაციაა?“ — ქირურგმა ფუნქციადაკარგულ ჯორჯალს ნოვოკაინის ბლოკადა გაუკეთა და ტრავმის ან პერიტონიტის ნიშნებს დაუწყო ძებნა. ბადექონი სუფთა აღმოჩნდა. არავითარი ჩირქი და სიმსივნური წარმონაქმნი. არავითარი სისხლნაუღენთი და დაუეჟილობა.

ანზორ არველაძე, *ქირურგი*:

— ვფიქრობ, მოწამლეს ან თავი მოიწამლა.

რვა დღის შემდეგ, 1983 წლის 20 იანვარს, ნაზი შამანაური რეანიმაციის განყოფილებაში გონს მოუსვლელად გარდაიცვალა. სიკვდილის ოფიციალურ მიზეზად სეფსისი დასახელდა.

ანზორ არველაძე:

ავადმყოფობის ისტორია ჩემამდე არ მოსულა. უშიშროების თანამშრომლებმა წაიღეს.

სარა ინაშვილი ქალიშვილის დაკრძალვას არ დასწრებია. ის ჯერაც ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტი იყო. საფლავზე მისვლა გარდაცვლილის ახლობელ-მეგობრებსაც აუკრძალეს. მაინც მივიდნენ და ახალგაზრდა, ლამაზი ქალის ნაცვლად, ერთიანად გაჭაღარავებული მოხუცის ნატანჯი სახე იხილეს.

სარა ინაშვილის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები

როგორ შეეწირა მკურნალი ექიმის სიცოცხლე შამანაურის სახელთან დაკავშირებულ სკანდალს

ნაზი შამანაურის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში, დისიდენტების აქტიური ჩარევით, სარა ინაშვილი ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გაწერეს. ქალი დუშეთის სახლს დაუბრუნდა. გარეთ თითქმის არ გადიოდა. მარტო იშვიათად იყო. ძირითადად, დისიდენტები — ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრები — სტუმრობდნენ.

ბელა წვერაძე:

— სარას პატრონობა მოდად იქცა. ვფიქრობ, ეს გადაჭარბებული, პომპეზური მზრუნველობა სათნოებამ კი არა, დრომ მოიტანა.

სარა ინაშვილი ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლასაც მოესწრო და შვილის გმირად გამოცხადებასაც. ქუჩას, სადაც ცხოვრობდა, შამანაურის სახელი უწოდეს. შენობა სახლ-მუზეუმად გადააკეთეს.

ნაზი შამანაური საბჭოთა რეჟიმს შეწირულ ეროვნულ გმირად იქცა.

1983 წლის გაზაფხულზე, „ჰელსინკელებმა“ მოსკოვში მცხოვრებ ფრანგ კორესპონდენტებს ამცნეს, რომ: „20 იანვარს თბილისის კლინიკაში წამებით მოკლეს დისიდენტი ნაზი შამანაური“. დასავლეთის რადიოსადგურების დღის სენსაციას ანტისაბჭოთა კამპანია მოჰყვა. ჟურნალისტის თამამ ძიებებს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა ეწოდა. „შამანაურის საქმე“ ყალბი კომუნისტური იდეალების მამხილებელ მთავარ არგუმენტად იქცა. უკვე ღიად, დასაბუთებულად შეიძლებოდა საუბარი განსხვავებულად მოაზროვნეთა დევნის მორიგ, ფსიქიატრიულ მეთოდებზეც. ე.წ. 70-იანელების ანტიკომუნისტურმა პროპაგანდამ ფსიქიატრებს ხელისუფლების ნების აღმსრულებელი „ჯალათების“ იარლიყი მიაწება.

ბრალდებების მთავარი სამიზნე ე.წ. ასათიანის კლინიკა იყო. ეროვნული მოძრაობის ლიდერები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პერსონალს ჯანმრთელი ადამიანის გიჟად გამოცხადებასა და წამებით სიკვდილში ადანაშაულებდნენ.

სწორედ ამ პერიოდში გარდაიცვალა ნაზი შამანაურის მკურნალი ექიმი მზია გოგიჩაიშვილი. მან ინსულტი მიიღო და, რაკი მარტოხელას მომვლელი არ ჰყავდა, ქალთა მეოთხე განყოფილებაში, ნაზი შამანაურის პალატის თავზე მოათავსეს. როგორც ამბობენ, ნაზის სახელი მისი გარ-

რატომ ვერ მოერია რუსეთის ხელისუფლება ქართველ კრიმინალებს?!

„უზარმაზარ და აგრესიულ რუსეთს პატარა საქართველოს კრიმინალური ავტორიტეტები მართავენ“

მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ კრიმინალურ სამყაროს სასტიკი ომი გამოუცხადა, „კანონიერი ქურდები“ იძულებულნი გახდნენ, თავშესაფარი სხვაგან მოეძებნათ. „დევნილი“ კრიმინალების უმეტესობა მეზობელ რუსეთში გადაიხვეწა... სხვათა შორის, რუსეთში დარწმუნებული არიან, რომ ქურდული ცხოვრების წესები საქართველოში შეიქმნა და შემდეგ, დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გავრცელდა. რუსული კრიმინალური პრესის („კრიმინალნაია როსია“) მტკიცებით, საქართველოში ქურდული მენტალიტეტი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. მაშინ საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მუშაობასა და ვინმეს მითითების შესრულებაზე უარს ამბობდნენ...

ნინო აფხაზავა

არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომლის მიხედვითაც, კანონიერი ქურდის სტატუსის ჩამოყალიბებას ხელი იოსებ სტალინმა შეუწყო. ამ ვერსიის თანახმად, ციხის პატიმრებს შორის, ერთი ადამიანი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა და იგი ციხის შინაგანაწესს არ ემორჩილებოდა. დანარჩენ პატიმრებს მისი ეშინოდათ ან მის სიტყვას უბრალოდ, ანგარიშს უწევდნენ. ციხეში, სადაც ასეთი ადამიანები სასჯელს იხდიდნენ, მსჯავრდადებულებს შორის დაპირისპირების საფრთხე ნაკლები იყო, რაც ციხის ხელმძღვანელობას შრომას უმსუბუქებდა. ასეთ „პრივილიგირებულ“ პატიმარს გავლენა ციხის ხელმძღვანელობაზეც კი ჰქონდა. მოგვიანებით, ასეთი ადამიანის გავლენა ბიუროკრატებსა და პარტიულ მუშაკებზეც ვრცელდებოდა. გარკვეული საქმეების სანაცვლოდ, მათ კრიმინალურ „საძმოში“ წილი შეჰქონდათ.

რუსეთის შს სამინისტროს პრესსამსახურის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, პირველი „ქურდული სხადნიაკი“ კისლოვოდსკში, 1979 წელს, ქართული კრიმინალური დიასპორის ინიციატივით გაიმართა... საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ, ქართველი ქურდების უფლებები პოლიტიკასა და ბიზნესშიც წარმოუდგენლად გაიზარდა. პარალელურად, შესაძლებელი გახდა ქურდის სტატუსის შეძენაც, რაც საკმაოდ მაღალ თანხებთან იყო დაკავშირებული. რუსები იმასაც აღიარებენ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა წლებში, როგორც რუსეთის, ისე მთელი საბჭოთა კავშირის კრიმინალური სამყარო, პატარა საქართველოდან იმართებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ არაერთხელ სცადა ქართული კრიმინალური დიასპორის „განეიტრალება“, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მეტიც, შედეგად რუსეთში უფრო გაძლიერებული, აგრესიული და გაფართოებული ქურდული სამყარო ჩამოყალიბდა. ხელისუფლებამ ქვეყანაში კრიმინოგენური ფონის გაუარესებაში ქართული მხარე არაერთხელ დაადანაშაულა... და მაინც, რატომ ვერ შეძლო რუსულმა მართლმსაჯულებამ ქართველი კრიმინალური ავტორიტეტების „გაუვნებლება“?! ძლიერი ქართველი კრიმინალები თუ რუსეთის მართლმსაჯულების მანკიერი სისტემა?! — ამ საკითხებზე სასაუბროდ ერთ-ერთ დამოუკიდებელ გამომძიებელსა და ექსპერტს ალექსანდრ

დაცვალების შემდეგ აღარ უხსენებია, თუმცა, ინსულტის მიზეზი ცხადი იყო — გოგიჩაიშვილი აქტიურად ფიგურირებდა „ჯალათი ექიმების“ ჩამონათვალში.

მარინა კურატაშვილი:

— ფსიქიატრია და ავადმყოფებთან ურთიერთობა მზიასგან ვისწავლე... შეეძლო, საათობით მშვიდად ესმინა ყველაზე მძიმე პაციენტებისთვის... ნაზის თითქმის ყოველდღე იბარებდა და მის დაწყნარებას ამაოდ ცდილობდა...

ეროვნული ხელისუფლების პროპაგანდამ შედეგი გამოიღო. ნაზი შამანაური კომუნისტურ რეჟიმს შეწირულ ჟურნალისტად აღიარეს.

მხოლოდ დრომ დაადასტურა, რომ თავდაპირველ შეფასებებში მოვლენების ობიექტურ განსჯას ემოცია სჭარბობდა. სახელდებების სიზუსტე ეჭვქვეშ სწორედ პროპაგანდისტული კამპანიის მოთავე ქართულმა ეროვნულმა ძალებმა დააყენეს და აღიარეს: ნაზი შამანაურის მსოფლხედვას დისიდენტობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ის არ ებრძოდა რეჟიმსა და იდეოლოგიას. პირიქით, გულწრფელად სწამდა „ყველა დროის უნიკალური“ ფორმაციის. „მთავრობას არ ვუჩივი. ვუჩივი უსამართლობას, უკანონობას,“ — ვკითხულობთ დღიურებში. კორუმპირებულ ჩინოსანთა სამეურნეო-ეკონომიკური დანაშაულის მხილება განსხვავებულად მოაზროვნეობასთან არ იგივდება. შესაბამისად, ნაზი პოლიტიკური მოღვაწე კი არა, სიმართლის მაძიებელი ჟურნალისტი იყო.

საზოგადოების ნაწილისთვის სადავოდ რჩება ფსიქიატრების მიერ დასმული დიაგნოზის სიზუსტე: „ქრონიკული სულიერი დაავადება — შიზოფრენია, ბოდვითი ფორმა.“

ნარგიზ პაპკიური, *დუშეთის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე 1973-1991 წლებში:*

— ნამდვილად ავად იყო... სამსახურიდან ჩემს გაგდებას უსაფუძვლოდ ითხოვდა. ბავშვებს აიძულებდა, შადურის ოჯახი დაეწყევლათ, ჩემს შვილს უსაფრდებოდა და ქვებს ესროდა...

ბელა წვერაძე:

— პატარაობიდანვე მარტოსული იყო, ახლო მეგობრები არ ჰყავდა, თუმცა ყველას თანაუგრძნობდა, უბრალო ადამიანებს მფარველობდა. საკუთარი კარიერა არ აელვებდა. ძალიან უჭირდა, პურის ფული არ ჰქონდა, მაგრამ არაფერს ითხოვდა. ერთხელ ოცმანეთიანი ჩავუკუჭე ჯიბეში და კინაღამ იტირა.

სარა ინაშვილი 1996 წელს გარდაიცვალა. ეროვნული მოძრაობის ტალღა უკვე გადავლილი იყო და დაკრძალვას მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი ესწრებოდა. ის შვილის გვერდით დაასაფლავეს.

ნაზი შამანაური დღემდე სიმართლისათვის მებრძოლი ჟურნალისტის სიმბოლოდ რჩება. მან არ მიიღო რეალობა და ომი გამოუცხადა ყველაზე მაღალი იდეალების უარმყოფელ სამყაროს, რაც პიროვნულ ტრაგედიად ექცა. ეს იმედგაცრუება შამანაურს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ■

ცირკოვს დავუკავშირდი, რომელიც რუსეთში „ქართველი კრიმინალური დიასპორის“ საქმეებს წლების განმავლობაში იძიებდა. მასთან დაკავშირება მოსკოვში მცხოვრები ქართველი კოლეგის დახმარებით შევძელი.

ალექსანდრ ცირკოვი:

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ შევიწროებული კრიმინალების უმეტესობა რუსეთში გადაიხვეწა, ნაწილმა კი ევროპის ქვეყნებს მიაშურა. რუსული შსს-ს პრესსამსახურის ოფიციალური მონაცემებით, ამ დროისთვის ქართველი კანონიერი ქურდების უმეტესობა მოსკოვშია თავმოყრილი, მათი რიცხვი 60-დან 80-მდე მერყეობს; მომდევნო ადგილზეა კრასნოდარის მხარე და სტავროპოლი, სადაც 30-50-მდე ქართველი კრიმინალი „მოქმედებს“; შემდეგ მოდის ტიუმენის ოლქი, კერძოდ კი სურგუტი. იქ ვითარებას 30-მდე ქართველი ქურდი აკონტროლებს. ისინი ძირითადად მანქანების ორგანიზებული გატაცებით, ბინების ძარცვით, ყალბი ფულის გასაღებით, ადამიანების საქმეში „გადაგდებით“ არიან დაკავებულები, თუმცა ლეგალური ბიზნესიც აქვთ. მათ მფლობელობაშია: კაზინოები, რესტორნები, გასართობი კლუბები, სასტუმროები და კაფე-ბარები. რუსეთში გავრცელებული ინფორმაციით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი რუსეთში პირველ ადგილზე ქუთაისელი ქურდები არიან, მეორეზე — მეგრელების ჯგუფი, ე.წ. „მენგრელსკაია ბრიგადა“, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა. მათი გავლენა აფხაზეთზეც ვრცელდება. მესამე ადგილზე თბილისელი ქურდები არიან. ბოლოზე კი — შეუვალობითა და სისასტიკით ცნობილი ე.წ. „სვანსკი კრუგი“, რომელიც ყველაზე სახიფათო, იარაღის არალეგალურ ბიზნესზე „მუშაობს“... ქართული კრიმინალური ბიზნესის ყოველთვიური შემოსავალი ასე გამოიყურება: მოსკოვში მათი მოგება 25 მილიარდ დოლარს აღწევს, მთელ რუსეთში კი — 60 მილიარდს აჭარბებს — ეს სერიოზული თანხაა.

— როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ ხერხდება ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ მათი შემოსავლის გაკონტროლება?

— ამას რამდენიმე ახსნა აქვს: მათ შორის ყველაზე მთავარი, რუსეთის სათავეში მყოფი კორუმპირებული ჩინოვნიკები არიან, რომლებსაც ქართველი ქურდების დახმარებით (გნებავთ, მფარველობით) ევროპის ქვეყნებში ვილები აქვთ ნაყიდი... ბოლო მონაცემებით, რუსეთის დედაქალაქში 60-მდე ქართველი ქურდი კანონიერად ცხოვრობს, მათ ადგილობრივი მოქალაქეობა აქვთ მიღებული და რუს ბიზნესმენებს, შოუბიზნესის მოღვაწეებს, პოლიტიკოსებსა და სამხედრო ჩინოვნიკებს წილში გაჰყავთ. მოსკოველ ქართველ ქურდებს შორის ყველაზე გავლენიანები არიან: ტარიელ ონიანი, ილია სიმონია (იგივე მახონია), პაატა თვალჭრელიძე, თემურ ქარჩავა, ავთანდილ ხეცურიანი (ბოქსიორი), დიმიტრი ლორთქიფანიძე და ლაშა შუშანიშვილი (რომელიც ძალიან გავლენიანი ქურდის — იაპონჩიკის ფავორიტად მიიჩნევა). საგულისხმოა, რომ ამ მხრივ არც რუსეთს „უჭირს“, მაგრამ ქართველი ქურდები მათზე ბევრად გავლენიანები არიან...

კრიმინალური გენერლის — იაპონჩიკის ბიზნესიმპერიას ქართველი კანონიერი ქურდი — ლაშა შუშანიშვილი მართავდა

— თქვენ მიერ დასახელებული ქართველი კრიმინალებიდან რამდენიმე უკვე დაკავებულია. ეს ქვეყანაში არსებულ ვითარებას არ ცვლის?

— არანაირად. ყველას ჰყავს თავისი „მიმდევარი“, „მარჯვენა ხელი“ და „შემსრულებელი“. გარდა ამისა, ისინი ციხიდან ბევრად უფრო ორგანიზებულად მუშაობენ, ვიდრე „თავისუფლებაზე“ ყოფნისას. სექტემბერში მოსკოველი ქართველი ქურდის ილია სიმონიას დაკავებას მოსკოვის დაზვერვის სამსახურის რამდენიმე თანამშრომლის სიცოცხლე შეეწირა. ამჯერად საქმეში ქართველი კრიმინალები არ ჩარეულან, თვითონ სამართალდამცველები დაერივნენ ერთმანეთს — ისინი, ვინც ქართველ ქურდებს დიდი ფულის სანაცვლოდ, ყველანაირ ინფორმაციას (მათ შორის სხვა ქურდების გეგმებთან დაკავშირებითაც) აწვდიდნენ და მეორე მხარე, ვინც ბრძანების შესრულებას ცდილობდნენ. სიმონია იაპონჩიკის (იგივე ივანკოვი) ჯგუფს მაშინ დაუპირისპირდა, როცა მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ირკუტსკის ოლქის დაპატრონება მოისურვა. იაპონჩიკი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენიანი ავტორიტეტი იყო, მაგრამ სიმონიამ მას მაინც არ დაუთმო. იაპონჩიკის მხარეს სლავური წარმოშობის ქურდები გაერთიანდნენ, თუმცა თავზე ხელაღებულმა კავკასიელებმა უკან არ დაიხიეს, იაპონჩიკი თითქმის გაკოტრებამდე მიიყვანეს და მისი ქურდული სტატუსიც ეჭვქვეშ დააყენეს. შეურაცხყოფილმა იაპონჩიკმა განაცხადა, რომ ქართველებს არაფერს დაუთმობდა და სიმონიას მოსაშორებლად, ორი კრიმინალი — სერგეი ბოიცოვი და ალექსეი მოისეევი დაიქირავა, რომლებიც ქურდებად გამოაცხადა. ორივე მათგანი სისასტიკით განთქმული იყო, საკუთარ ხალხსაც არ ინდობდნენ და მახონიაზე ნადირობა დაიწყეს. თან ყველგან ამბობდნენ, რომ მის მოკვლას აპირებდნენ. ამ „განაცხადიდან“ ცოტა ხანში მოისეევი საკუთარ მანქანაში აფეთქდა. ბოიცოვმა სიტუაცია რეალურად შეაფასა და იქაურობა დატოვა. მახონია ამჯერად იაპონჩიკის უახლოეს მეგობარს, ასლან უსოიანს, იმავე „დედ ჰასანს“ დაუპირისპირდა. ქართველი კრიმინალები ერთმანეთის დახმარებით, სამოქმედო არეალს თანდათან იფართოებდნენ. მოთმინებიდან გამოსულმა იაპონჩიკმა საკუთარი ხელით დაწერა წერილი, რომელშიც მახონიას „ცოდვები“ იყო ჩამოთვლილი და ქურდებს მისი ლიკვიდაციისკენ მოუწოდა. წერილი სწრაფად გავრცელდა. წესით, ამ წერილის გავრცელების შემდეგ მახონიას, როგორც ქურდის სტატუსი, ეჭვქვეშ უნდა დამდგარიყო (მისი ასლი დღემდე ინახება რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, როგორც იაპონჩიკის კალიგრაფიის უტყუარი ნიმუში). მოგვიანებით, სოჭში „მორიგი“ კრიმინალი მოხდა და ავტომობილში ოთხი ადამიანი ჩაცხრილეს. მათგან ორი გარდაიცვალა, ორი გადარჩა. გადარჩენილებს შორის იყო მახონიაც, რომელიც სოჭში საიდუმლო ვიზიტით იყო ჩასული. მოგვიანებით, მახონია ნარკოტიკების შენახვა-მოხმარების გამო დააკავეს და სასჯელს ბუტირკის ციხეში იხდიდა, მაშინ მახონიაზე მკვლელობის სამი მცდელობა განხორციელდა, მაგრამ სამჯერვე გადარჩა. მას შემდეგ, გაურკვეველ ვითარებაში იაპონჩიკი დაჭრეს, ეჭვი მახონიაზეც მიიტანეს და, სავარაუდოდ, მან თავი საკუთარი უსაფრთხოების მიზნით დააჭერინა...

— დაპირისპირება ალბათ ქართველ ქურდებს შორისაც ხშირად ხდება, არა?

— ცნობილია, რომ კრიმინალური გენერლის — იაპონჩიკის ბიზნესიმპერიას ქართველი კანონიერი ქურდი — ლაშა შუშანიშვილი მართავდა, რომელიც კომერციულ საქმიანობაში, კონკრეტულად კი ფულის გათეთრებაში იყო

„კვეჩცხიპაჩიპ“ ემოღეჩლის ტკპილ-ეწპჩე ენპ ღპ ქაჩთველი ქაღის ვანღილი

„ჩვენს გართობაშიც კი ყველაფერი ქართულია“

ადრე მას ისე იცნობდნენ, როგორც მომღერლის — თამრიკო ჭოხონელიძისა და მსახიობის — გია როინიშვილის შვილს. დროთა განმავლობაში გოგონამ თავისი ნიჭის წყალობით შეძლო, საკუთარი ადგილი დაემკვიდრებინა ცხოვრებაში და ეს მოახერხა კიდეც — დღეს ის ბევრისთვის საყვარელი მომღერალი გახლავთ. მარიამ როინიშვილი სცენიდან ყოველთვის ბავშვურად გვიღიმოდა, ბოლოდროინდელმა მისმა იმიჯმა კი ხალხი აღაფრთოვანა — ბავშვური მარიამის ნაცვლად სცენაზე გამოვიდა მშვენიერი გოგონა, ხალასი ღიმილითა და როგორც ამბობენ, ციმციმა, გაცისკროვნებული თვალებით.

ლიკა ქაჯაია

— ბოლო დროს გამიჩნდა სურვილი და საკუთარ თავს ვუთხარი: უნდა გაიპრანჭო, თვალები შეიღებო, „მაღლებზე“ შედგე... ერთ დროს ხომ ყველა ქალს უჩნდება ასეთი სურვილი?!

— ბოლო დრომდე გაპრანჭვის სურვილი არ გაგჩენია?

— რას ლაპარაკობ, პატარაობიდანვე „შეყუდებული“ ვიყავი ბებიაჩემის მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე; თამრიკოს ყველა ტუში, ფანქარი თუ პომადა გაფუჭებული იყო იმიტომ, რომ ამ ყველაფრის მომხმარებელი მარიამი გახლდათ. რაღაც პერიოდი ვიპრანჭებოდი, 8-დან 14 წლამდე კი საერთოდ დავკარგე იმის შეგრძნება, რომ გოგო ვიყავი და ხეებზე დავძვრებოდი, სულ ეზოში ყოფნა მინდოდა, ფეხბურთს ვთამაშობდი, ბიჭური გასართობები მიზიდავდა.

— ეი. ახტაჯანა იყავი, არა?

— ჰო, დედაჩემი სულ იმას იხსნებს — ეზოში ფანჯარიდან რომ გადავიხედავდი და შენ გეძახდი, ძირს კი არ ვიყურებოდი, ხეებზე გეძებდიო (*იცინის*).

— შენ ხილიც გექნება მოპარული...

— სოფელში ყოფნისას, გარდა ვაშლისა და კოროლიოკისა, გამოგიტყდებით და კვერცხიც მომიპარავს. სხვათა შორის, მოპარულს მართლაც, საუკეთესო გემო ჰქონდა (*იცინის*).

— ჯერ კიდევ 19 წლის ხარ...

— კი, მაგრამ 20-ის მალე გავხდები და თინეიჯერიც აღარ მერქმევა. ამას წინათ მეგობრებთან დავიწუწუნე, — ამ ასაკს სულ მალე გამოვემშვიდობებით-მეთქი. მგონია, წლების შემდეგ აუცილებლად ვიტყვი, რომ ჩემთვის 16-დან 19 წლამდე ასაკი განსაკუთრებული იყო.

— რითია გამორჩეული ეს წლები?

— 16 წლიდან ბევრი რამის უფლებას ვაძლევდი საკუთარ თავს. ჩემს ამა თუ იმ საქციელს ბავშვობას მიაწერდნენ და შესაბამისად, ყველაფერი მეპატიებოდა (ასეა დღემდე). აი, როცა 20 წლის გავხდები, ცანცარულ ნაბიჯს ვეღარ გადავდგამ და ალბათ, ხეებზე ძრომიალსაც შევწყვეტ (*იცინის*).

— იმის გამო, რომ პოპულარული ადამიანების შვილი ხარ, საკუთარ თავს რაღაცების გაკეთებას თუ უკრძალავდი?

— როგორ არა! მაგალითად, ბევრჯერ მქონია სურვილი, ქუჩაში მემაიმუნა, მაგრამ მერე გამხსენებია დედა, მამა და შევჩერებულვარ. თუმცა, ის არ იფიქროთ, რომ ამის გამო ყველაფერში შეზღუდული ვიყავი... ჩვენ, თინეიჯერები ძალიან ცნობისმოყვარეები, საკმაოდ განათლებულები და ინფორმირებულები, მონდომებულები, ჯანსაღი ფსიქიკის მქონეები ვართ. მართალია, უფროსები ჩვენს თაობას ხშირად კიცხავენ, მაგრამ არა მგონია, ასეთი ცუდები ვიყოთ.

— ინფორმირებული უწიგნურები — ასე მოიხსენიებენ შენს თაობას...

— რაღაც დოზით, ეს სიმართლეა. მოზარდთა გარკვეულ ნაწილს წიგნი მართლაც, არასდროს აუღია ხელში და ამა თუ იმ საკითხთან დამოკიდებულებაში ბევრის უვიცობას გავუკვირვებივარ. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის წევრები სულ მიჩიჩინებდნენ, წიგნები წამეკითხა და ლიტერატურასთან ურთიერთობა თავადაც მომწონს, ვერც მე დავიტრაბახებ წიგნიერებით. ბაბუაჩემის და ბებიაჩემის თაობას წიგნის სიყვარული მეტად ჰქონდა, იმიტომ, რომ მაშინ კომპიუტერი არ არსებობდა. მახსოვს, დედაჩემის რჩევით პირველად „ბიძია თომას ქოხი“ წავიკითხე და ძალიან ბევრი ვიტირე. სხვათა შორის, ბაბუა სულ გვეუბნებოდა, წიგნები იკითხეთო, მაგრამ ძირითადად, თვითონ დაგვსვამდა მე, ჩემს ძმას, დეიდაშვილს და გვიკითხავდა ლექსებს, საქართველოს სიყვარულს გვიღვივებდა.

— დედის რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებ?

— იშვიათად, მაგრამ ვაღიარებ, რამდენჯერაც მისი რჩევა არ გავითვალისწინე, იმდენჯერ წავიმტვრიე ცხვირი. თუმცა, ჭკუას მაინც ვერ ვსწავლობ.

— მშობლები რას გიკრძალავენ?

— ისეთს არაფერს ვაკეთებ, რომ ამიკრძალონ. არ მინდა, ჩემები ვანერვიულო და ამიტომაც, სახლშიც ყოველთვის დროულად მოვდივარ. თუმცა, ერთი-ორჯერ ცოტა შემაგვიანდა და მართალია, ძმაც თან მახლდა, მაგრამ ვიცოდი, დედა მაინც ვერ მოისვენებდა; სანამ ჩვენ არ მოვიდოდით, არ დაიძინებდა და ამის გამო ძალიან ვინერვიულე. სხვათა შორის, დედას საყვედური მაშინაც არ დასცდენია.

— მარიამ, სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— ჰუმანიტარულ საგნებს კარგად

ვსწავლობდი, მაგრამ ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიაში ოფიციალური „ბნელი“ და ბეცი ვიყავი. ქიმიის წიგნი მართლა არასდროს გადამიშლია. შეიძლება, ამას სირცხვილით არც უნდა ვამბობდე, მაგრამ სიმართლეა. ამ საგნებთან ვერასდროს ვმეგობრობდი. საბედნიეროდ, ჩემი ნიშნები დედაჩემს დიდად არ აღელვებდა, თორემ ცუდი დღე დამადგებოდა.

— სკოლიდან „შატალოზე“ სად მიდიოდით?

— პირველად „შატალოზე“ მეცხრე კლასში ყოფნისას წავედით და მაშინაც ლამის, ნერვიულობით მოვკვდი. დილის 9 საათზე გავიპარეთ სკოლიდან, ფანჯრიდან გადავძვერით და მთაწმინდაზე ავედით; მეორედ თოვლიან ამინდში გავიპარეთ და მთაზე ხეტიალის სურვილი გაგვიჩნდა. მახსოვს, სამანქანო გზა არ იყო და რაღაც ექსტრემალურ სიტუაციაში ვიყავით, ყოველ წუთას შეიძლებოდა ფეხი აგვცურებოდა და დავგორებულიყავით. ისე, ამ „შატალოს“ თავისებური ხიბლი ჰქონდა.

— ისეთი კლასელი თუ გყავდათ, რომელიც „შატალოს“ დროს გაკვეთილზე რჩებოდა?

— კი, ასეთიც გვყავდა და მასზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება შეგვექმნა... ერთ დღეს დედამ გამაფრთხილა: თუ მთელი კლასი „შატალოზე“ წავიდა, კლასში ნურც შენ დარჩები, ეს ძალიან ცუდი საქციელია. უბრალოდ, ტელეფონი არ გამორთო და არ დამიმალო, რომ გაკვეთილს აცდენ; კარგი იქნება, თუ საქმის კურსში ვიქნებიო.

— როგორ ფიქრობ, ის გოგო რატომ არ გამოგყვათ, მშობლების ეშინოდა თუ მასწავლებლის თვალში კარგი გოგონას იმიჯის შექმნა სურდა?

— ალბათ, მასწავლებლებთან კარგი გოგოს როლი ითამაშა.

— ამის შემდეგ მასთან ურთიერთობა არ გაგიფუჭდათ?

— იცი, მასთან კარგი ურთიერთობა მანამდეც არავის ჰქონდა... უბრალოდ, ყველანი გავბრაზდით, — როგორ იკადრა და კლასში როგორ დარჩათქო. თავად მისთვის კი არაფერი გვითქვამს, ეს საჭიროდ არ ჩავთვალეთ.

— ამბობენ, თინეიჯერებს „მოძველბიჭო ტიპები“ უფრო მოსწონთო. ამ მოსაზრებას რამდენად ეთანხმები?

— ასე ნამდვილად არაა. მე და ჩემი მეგობრები ასეთი ბიჭებით არ ვიხიბლებით. ისინი საინტერესოები არ არიან. რასაკვირველია, „ქუჩის აკადემია“ ყველას უნდა ჰქონდეს გავლილი, მაგრამ იქ ჩარჩენა ვერაა კარგი საქმე. მყავდა ისეთი კლასელებიც, რომლებსაც ეს „აკადემია“ გავლილი ჰქონდათ, თავის დროზე „ბირჟაზეც“ მდგარან და ყველაფერიც გაუკეთებიათ, მაგრამ არც სწავლა მიუტოვებიათ... ისე, ამას წინათ ნათესავი მეუბნებოდა: ადრე გოგონებს ნარკომანები, „მოძველბიჭო ელემენტები“, „ვილკიანები“ მოსწონდათო. მაშინ ეტყობა, ეს რაღაც ახალი იყო და ასეთი რამ ვაჟკაცობად მიაჩნდათ, მაგრამ დღესდღეობით, მერწმუნეთ, ამისკენ ლტოლვა აბსოლუტურად არ იგრძნობა.

— შენ და შენი მეგობრები როგორ ბიჭებს მიიჩნევთ ვაჟკაცებად?

— ნორმალურ ქართველ მამაკაცს, სწავლულს, ინტელექტუალურს. ბევრ ბიჭთან საუბრისას ვერანაირი ხელმოსაჭიდი ვერ მიპოვია ანუ მათთან ვერც ერთ საკითხზე ვერ ილაპარაკებ, უინტერესოები არიან, რაც თავისთავად, ძალიან ცუდია. ისე, ბოლო დროს ბევრი მიხდა, რომ საკუთარი სწავლითა და ცოდნით რაღაცას მიაღწევს, ხოლო უცოდინარს და ბნელს თავის გატანა გაუჭირდება.



მსოფლიოს ყველაფერი ისე უნდა მივაწოდოთ, რომ მათ გაუჩნდეთ ქართველებისთვის მიბაძვის სურვილი...

— შენ და შენი მეგობრები როგორ ერთობით ხოლმე?

— საღამოობით ვიკრიბებით და იწყება ტაშისცემა, გიტარის დაკვრა, თამაში, ცეკვა და სიმღერა. ძირითადად, სახლებში ვიკრიბებით, ზოგჯერ კი სადმე სხვაგან მივდივართ და ვქეიფობთ. სხვათა შორის, ჩვენს გართობაშიც კი ყველაფერი ქართულია. ოღონდ, არ ვგულისხმობ ღრეობას, რაც საშინელებაა. როცა ვქეიფობთ, არ არსებობს, არ დაილიოს სამშობლოს, ჩვენი უწმინდესის სადღეგრძელო. არ ვიცი, რამ გაგვიღვიძა ეს ქართველობა, მაგრამ ფაქტია, ახალი თაობის ბევრი წარმომადგენელი თავის ტრადიციებსა და კულტურას პატივს სცემს... არასდროს დამავიწყდება, თუ როგორ გარბოდნენ ბიჭები, როცა ომის პერიოდში რეზერვისტევის შეგროვება დაიწყეს. სულ ვფიქრობდი: აი, როგორ უჩქეფს ქართველ კაცს სისხლი-მეთქი. იმ საშინელ დღეებში ერთმა ჩემმა მეგობარმა ბიჭმა დამირეკა. ის ტიროდა და მოთქვამდა: ყველა წაიყვანეს, მთელი ჩვენი სამეგობრო იქაა, მე კი აქ დამტოვეს და კაცმა არ იცის, რატომ. ბიჭები იქ არიან და მე თბილისში რა მინდაო?!. თუ გადავრჩებით და დიდი იმედი მაქვს, რომ ქართველ ერს გადაშენება არ უნერია, ასეთი სულისკვეთება და ქართველობა გადაგვარჩენს.

— მიუხედავად იმისა, რასაც ჰყვები, შენს თაობას მაინც მიმბაძველებს ეძახიან და ხშირად ამბობენ, რომ ქართული აღარაფერი აქვს.

— კი, მაგრამ ყველა ერთნაირი ხომ არაა?! ავიღოთ თუნდაც, მუსიკის სფერო. ბოლო დროს ძალიან დიდი ინტერესი გაუჩნდათ ამერიკული პოპმუსიკის მიმართ და ვიღაც ვთქვათ, უიტნი ჰიუსტონის სიმღერას „ეჭიდავება“, იმას კი არ ფიქრობს, რომ ამ სიმღერის შესრულება არ გამოუვა, რადგან ის ჰიუსტონი არაა. სხვათა შორის, ვერც უიტნი იმღერებს ქართულ სიმღერას უნაკლოდ. არ მესმის, რატომ უნდა დავკარგოთ ჩვენი ეროვნული განძი და სხვისი საგანძური ვადიდოთ? მსოფლიოს ყველაფერი ისე უნდა მივაწოდოთ, რომ მათ გაუჩნდეთ ქართველებისთვის მიბაძვის სურვილი...

— იქნებ, ზოგიერთ ქართველ მომღერალს უცხოური სიმღერის შესრულება უადვილდება...

— ჰო, ქართული სიმღერის შესრულება ძალიან ძნელია. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი მიმბძაველობა კი არა, სიგოიმეა.

— ერთი პერიოდი საქართველოში შოუბიზნესი „ყვაოდა“, მაგრამ არსად ჩანდა დედაშენი — თამრიკო ჭოხონელიძე... ამის გამო გული არ გწყდებოდა?

— პირიქით, იქ ისეთი ათქვეფილი საზოგადოება იყო, რომ მათ გვერდით დედაჩემის დანახვა საერთოდ არ მომეწონებოდა. სულ ვფიქრობდი, ეს ყველაფერი დროებითია-მეთქი და ასეც მოხდა. საერთოდ, ვინც არაპროფესიონალია, ის ყველაზე მეტს ყვირის, ნამდვილი პროფესიონალი კი თავის საქმეს ჩუმად აკეთებს. შეიძლება, მწარედ გამომივიდა, მაგრამ რა ვქნა, დედაჩემის შვილი ვარ (*იცინის*), ვერავის მოვეფერები.

— პრესინგის ან სვირინგის გა-

თინეიჯერული პონტები

კეთების სურვილი არასდროს გქონია?

— სხვათა შორის, ახლა ერთ ჩემს საიდუმლოს გაგიმხელ: პირსინგის გაკეთება ძალიან მინდოდა, მაგრამ მერე გადავიფიქრე. მივხვდი, რამდენიმე თვეში მომბეზრდებოდა და ტუჩის ტყუილად გახვრეტის თავი ნამდვილად არ მაქვს (*იცინის*).

— გოგონებს შორის „საქმის გარჩევა“ (ბიჭის ან სხვა რამის გამო), სკოლაში ცივი იარაღის ტარება და ა.შ. ეს შენთვის რამდენად მისაღებია?

— ჩემს გარემოცვაში მსგავსი რამ არასდროს მომხდარა... ერთხელ ჩვენს სკოლელზე შევიტყვეთ, რომ მან ვიღაცას „საქმე გაურჩია“ და დიდი თუ პატარა, ყველა აღვშფოთდით, შევშფოთდით. ის კი არა, დედასაც შევჩივლე, — ასე როგორ მოიქცა-მეთქი? როგორ შეიძლება, გოგომ, თანაც, ქართველმა ქალმა უკადრებელი იკადროს, ასეთი სამარცხვინო საქციელი ჩაიდინოს?! ის ხომ მომავალში ქართველი დედა უნდა გახდეს და მან შვილი როგორ უნდა გაზარდოს?! ცივი იარაღის ტარების სურვილი არასდროს გამჩენია. ალბათ იმიტომ, რომ გოგო ვარ. ის კი არა, ჩემი აზრით, ჩხუბისას მამაკაცებიც საკუთარი მუშტის იმედად უნდა იყვნენ, იარაღისკენ არ უნდა გაექცეთ თვალი...

— მარიამ, თაყვანისმცემლებს როგორ იგერიებ?

— (*იცინის*) ასეთი აბეზარი თაყვანისმცემლები არ მყავს. ისე, ზოგიერთს სერიოზულად დავლაპარაკებივარ და აზრზე მომიყვანია.

— ასეთი მწარე ენა გაქვს?

— პირიქით — გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო (*იცინის*). ზოგჯერ ისეთი სიტუაციიდან გამოვმძვრალვარ, თავადაც გამკვირვებია. არ მესმის იმ გოგონების, რომლებიც ამ დროს საქმეში ახლობელი ბიჭის ან სხვა თაყვანისმცემლის ჩარევას ცდილობენ. ჩემ გამო სხვა რატომ უნდა დაზარალდეს?! იყო შემთხვევა, როცა გოგოს მხრიდან ასეთ მეტიჩრობას თუ მარიაჟობას ვიღაც ბიჭი შეეწირა. ე.წ. სუსტი სქესის წარმომადგენლები მოჩხუბართა შორის მანდილის ჩაგდებას უნდა შევეცადოთ.

— დაბოლოს, რას უსურვებ შენს თანატოლებს?

— არ გადადგან ისეთი ნაბიჯი, რისიც მომავალში შერცხვებათ. იყვნენ საღად მოაზროვნენი და ისეთივე ლაღები, როგორებიც ახლა არიან. როცა ჩემი თაობის წარმომადგენლებს ვუყურებ, გული სიამაყით მევსება — მართლა ძალიან ლამაზი გოგო-ბიჭები დადიან და მათი ყურება თვალს უხარია. ულამაზესი თაობა მოდის და თითოეულს თვალებში ეტყობა, რასაც წარმოადგენს... არ დავკარგოთ ის კეთილშობილება, რომელიც ქართველს ყოველთვის ახასიათებდა. გამოვიჩინოთ კეთილგონიერება, კეთილსინდისიერება. დაბოლოს, ყველას ბედნიერ, წარმატებულ საქართველოში გვეცხოვროს. ■

თინეიჯერები გვწერენ

GRAZY GIRL:

„გამარჯობა. იცით, არ მინდოდა, ასე უხეშად გამომსვლოდა და არც ის მიფიქრია (ღმერთმა დამიფაროს), „გზაში“ რაიმე ეშმაკისეულია-მეთქი. მე ვინ ვარ, რომ ვიღაცას რაიმე მივუთითო ან შენიშვნა მივცე? კარგი, აღარ შეგაწუხებთ ჩემი აზრებითა და „ესემესებით“, მხოლოდ ბავშვებს მივცემ რჩევას. მიყვარხართ და გკოცნით“.

— შენ შეგიძლია, ნებისმიერ დროს მოგვცე შენიშვნა. ჩვენთვის თითოეული მკითხველის მოსაზრება საინტერესოა და თუ შენიშვნა მართებული იქნება, მას აუცილებლად გავითვალისწინებთ კიდეც.

შეშლილი გოგო:

„მინდა, ჩემი სულელური ფიქრები გაგიმხილოთ. „გზაში“ ყველა ისეთი კარგი, ლამაზი, საყვარელი, თბილი და ტკბილია, რომ მათ ფონზე მე არც კი ვჩანვარ. არა, ეგოისტი არ გეგონოთ, ამისგან ღმერთმა დამიფაროს. უბრალოდ, მეშინია, რომ მე, უბრალო, პუტკუნა გოგოს ვერ მიმიღებენ. სწორედ ამ შიშის გამო არ ვხვდები არც ერთ მათგანს და არ ვუგზავნი ფოტოს — ვაითუ, იმედები გაუცრუვდეთ. არადა, უკვე თითოეული თქვენი მკითხველი მიყვარს, ყველა მეგობრად მიმაჩნია და მათი დაკარგვა არ მინდა! ხშირად მიფიქრია, რომ ჟურნალი აღარ მეყიდა, მაგრამ ვერ შეველიე „გზას“, მის მკითხველებს, მარის, ლიკას... მაპატიეთ, ჩემი სისულელეები თავს მოგახვიეთ, მაგრამ მიყვარხართ და ალბათ, მეპატიება“.

რუსპირი:

„გამარჯობა. უნდა მიშველოთ. აღარ ვიცი, რა ვქნა — ანჯელინა ჯოლი შემიყვარდა, მასაც ვუყვარვარ და ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ, მაგრამ ენჯის ეშინია, ეს ჩემმა ქმარმა არ გაიგოს და არ დამენგრეს საათივით აწყობილი ოჯახი და კარიერაო. ის იმდენად მიყვარს, რომ მზად ვარ, მისი ოჯახიც შევინახო. მიშველეთ, რა, დამეხმარეთ, ცუდად ვარ... პატივცემულო ხალხო, გჯერათ ამ აბსურდის? არა, ხომ? ჰოდა, თქვენც ისეთი მესიჯები გამოგზავნეთ, რომელიც ამაზე რეალური იქნება. ცხოვრება ერთი დიდი სპექტაკლია, რომელშიც ყველას თავისი როლი აქვს შესასრულებელი. შეიგნეთ, ყველა რომეო და ჯულიეტა ვერ ვიქნებით. და კიდევ, ხალხნო, ნასწავლი, განათლებული ადამიანები ბაზარში ვაჭრობენ და საინტერესოა, უსწავლელობით თავი როგორღა უნდა გაიტანოთ?..“

ვასილისა, *ათენიდან:*

„მოკლედ, „გზა“ რომ არ გამოდიოდეს, აქაური ემიგრანტების ცხოვრება ბევრად მძიმე იქნებოდა. მე ორ მოხუცს ვუვლი და ქუჩაში ცხვირის გასაყოფადაც არ მცალია. ერთადერთი ნათელი წერტილი კვირადღეა, როცა მაღაზიაში გავრბივარ და სანატრელ „გზას“ ვყიდულობ. თქვენთან ურთიერთობა კვირიდან კვირამდე მაძლებინებს. სხვათა შორის, თქვენს სტატიებს ჩემს მოხუცებსაც ვუთარგმნი და თქვენით ისინიც აღფრთოვანებულები არიან, მოსწონთ ქართული იუმორი და „გზის“ ჟურნალისტებს პროფესიონალებად მიიჩნევენ. ჩემი არ იყოს, მათაც უხარიათ კვირადღის მოახლოება. ძალიან მოეწონათ სვეტა კვარაცხელიას რომანი და მთხოვეს, როცა წიგნად გამოვა, თუ შენთვის შეიძენ, ერთი ჩვენც გვისახსოვრეო. გაიხარეთ, „გზის“ შემქმნელებო და ჩემო იმედო. როცა საქართველოში ჩამოვალ (ოდესმე, თუ მეღირსება სამშობლოში ფეხის დადგმა), აუცილებლად მოგინახულებთ. მიყვარხართ და გკოცნით. უფლისგან დალოცვილი ყოფილიყავით“. ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



მძინარე ქალი

მე შენ დაგყურებ
მშვიდ მძინარესა
და დავსტრიალებ
შენს ბროლის მკერდსა;
მესმის მის რხევა
შუქ-შესხმულისა
და ნელი ღელვა
წრფელის გულისა.
აგწითლებიან
ნაზი ლოყები,
ღიმილით თრთიან
ტუჩთა ლალები.
წრფელი გაქვს ძილი,
ვით ხილვა ცისა,
ზედ გადგა ჩრდილი
ანგელოზთ ფრთისა.
შენ თითონ წრფელსა
წრფელი გაქვს ფშვენა,
ნეტა მის ბედსა,
ვისიც ხარ შენა!..

ილია ჭავჭავაძე

პატარა ლექსიკონი

სპორტულ (და არა მარტო) ტელეჟურნალისტებს ძალიან უყვართ სიტყვა **„შეჯიბრი“**, არადა, ეს სიტყვა ლექსიკონში მოტანილია, როგორც უსწორო, ხოლო ცნებ-ის მართებული ფორმაა

შეჯიბრება

„მოვკვდები, როგორც ქვეყნის ნაწილი

და არა წუთისოფლის სტუმარი...“

ოთარ ჭილაძეს დაუმთავრებელი რომანი დარჩა



„...მაგრამ თუ მეყო დროც და მანძილიც თუ მოვუნახე სულს სასთუმალი — მოვკვდები, როგორც ქვეყნის ნაწილი და არა წუთისოფლის სტუმარი“ — წერდა ოთარ ჭილაძე და მართლაც ასე მოხდა: სამშობლოს, როგორც „ქვეყნის ნაწილი“, ისე დააკლდა. ის არ გამოდიოდა და არ ითქვიფებოდა ფართო საზოგადოებაში, თითოეულ სიტყვას უფრთხილდებოდა, რის გამოც ხშირად საზოგადოებისგან განდგომის ბრალდებას უყენებდნენ. ამაზე თავად ასე უპასუხებდა: „ვერ გავიხსენებ შემთხვევას, კომუნისტურ ეპოქაშიც კი, რაიმე მოვლენის შეფასებისგან თავი ამერიდებინოს... მით უფრო თუკი ის მოვლენა ნამდვილად მნიშვნელოვანი ყოფილა და რაც მთავარია, თუკი იმ მოვლენასთან დაკავშირებით, მაინცდამაინც ჩემი შეხედულებით ვინმე დაინტერესებულა“... ამბობდა, რომ უაღრესად აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა: „სულ ვწერ, ე.ი. ვომობ, თუმცა ჩემი ომი, რატომღაც დუმილად და განდგომად აღიქმებოდა ყოველთვის, განსაკუთრებით ჟურნალისტების მხრიდან... ან ჩემს საქმიანობას არ თვლიან ომად, ან იმას არ ვამბობ, რის გაგონებასაც ჩემგან ელიან“.

თამუნა კვინიკაძე

ძნელია, ოთარ ჭილაძეზე ისე დაწერო, როგორც მის ხსოვნას ეკადრება. მწერლის მიერ სხვადასხვა დროს მიცემული ინტერვიუები გულმოდგინედ წავიკითხე და საინტერესო ადგილები ამოვიღე. დღეს ის თქვენთან, როგორც ცოცხალი რესპონდენტი, ისე ისაუბრებს, დღეს ის კიდევ ერთხელ გეტყვით სიმართლეს, მწარეს, მაგრამ — აუცილებელს.

სიღნაღში დაიბადა. ბავშვობისა და მოსწავლეობის პერიოდს იშვიათად იხსენებდა. ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს კიდეც, ეს დრო არასდროს მომნატრებიაო. სწავლა უნივერსიტეტში გააგრძელა; ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემთხვევით აღმოჩნდა: „როცა მე და ჩემს მეგობარს საბუთები შეგვქონდა, ყველაზე მოკლე ჟურნალისტობის მსურველთა რიგი აღმოჩნდა... სადიპლომო ფრიადზე დავიცავი, მაგრამ რა დასამალია, ვერ ვიყავი კარგი სტუდენტი, ლექციებს ხშირად ვაცდენდი და ბევრ ლექტორს პირველად გამოცდაზე ვნახულობდი. სამაგიეროდ, პასუხისმგებლობის გრძნობამ მაიძულა, უარი მეთქვა დიპლომზე, ასე იოლად არ შემეფერებინა ეს, მართლაც სერიოზული და საპასუხისმგებლო პროფესია. ჩემი დიპლომი ახლაც უნივერსიტეტის არქივში დევს, პროფესიით ერთი დღეც არ მიმუშავია“.

ოთარ ჭილაძის პირველი პოეტური კრებული — „მატარებლები და მგზავრები“ 1959 წელს გამოიცა. თამაზი წერდა ლექსებს და მას მივბაძეო. 10 წლის მანძილზე „არასაიმედო მწერლად“ მიიჩნეოდა და მხოლოდ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. ისე კი ისტორიული მოვლენების ეპიცენტრში თავისი გამორჩეულობის გამო ხშირად ხვდებოდა. ერთხელ, კომუნისტებს ღირსეული ადამიანებით პარტიის რიგების შევსება განუზრახავთ და ოთარსაც დაჰკავშირებიან: „პარტიის ცეკაში სამი მწერალი დაგვიბარეს და გვითხრეს, პარტიაში უნდა შემოხვიდეთო, უარი ვთქვი, მერე ამაზე ტარიელ ჭანტურიამ კარგად იხუმრა, თავადაც მიღების კანდიდატი იყო და უარი თქვა. როცა ჰკითხეს, ეგ რატომ ქენიო? უპასუხა: პარტიაში შესვლა კარგი რომ იყოს, თამაზი ოთარს შიგ მუჯლუგუნით შეაგდებდაო“.

დრო გადიოდა, ოთარ ჭილაძის სათქმელს ლექსი ვეღარ იტევდა და დაიწერა: „წათეს წითელი წაღები“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“... მიაჩნდა, რომ მწერლის მოვალეობა — შექმნაა და არა შექმნილის აღწერა. როცა ახალ ნაწარმოებზე იწყებდა მუშაობას, ძველის გაგონებაც არ უნდოდა. ერთ-ერთ ინტერვიუში ვკითხულობთ: „რატომღაც ესეც დიდი საიდუმლოებაა ჩემთვის — ღრმად ხარ დარწმუნებული, სწორედ ახლა აკეთებ იმას, რისი გაკეთებაც ყოველთვის გინდოდა. ამის განცდა წერის პროცესში სასიამოვნოდ გაბრუებს, მაგრამ დამთავრებისთანავე გული გიტყდება და ეჭვი გიპყრობს, რომ ეს შენი ყველაზე დიდი მარცხია და აჯობებდა, თუკი საერთოდ თავს შეიკავებდი ამგვარი სისულელისგან“... მწერალს ზოგჯერ საკუთარი ნაწარმოებები იმდენად ეუცხოებოდა, იმის დაჯერებაც კი უჭირდა, რაიმე თუ აკავშირებდა მათთან, მაგრამ იქვე დასძენდა: „არაფრით შეიძლება მწერალმა ხელი აიღოს სიტყვასთან ჭიდილზე, უსასრულოდ უნდა იწვალო, ვიდრე არ დაიმორჩილებ. ერთი და იმავე ფრაზის ყველა ვარიანტი უნდა ეძებო უსასრულოდ...“ როგორც თავად ამბობს, მისი ყველა გმირი ერთი და იგივე პიროვნებაა, ოღონდ — სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები და დროის შესატყვისად ფერშეცვლილი. მწერალი ყოველთვის იქ იდგა, სადაც საჭირო იყო და არა იქ, საიდანაც უფრო კარგად გამოჩნდებოდა. წუხდა იმის გამო, რომ უსიყვარულოდ დარჩენილმა ადამიანებმა ოცნებაზე ხელი აიღეს, რის გამოც თავისთავად გაუქრათ მარადიულობის შეგრძნება და შეშინებული, გამწარებული ჩააფრინდნენ წარმავალს. „თავისუფლებამაც ერთაბაშად დაკარგა აზრი, ცარიელ, გაუგებარ, უაზრო სიტყვად იქცა. 1956 წლის 9 მარტსა და 1989 წლის 9 აპრილს შორის, ქრისტეს მთელი ცხოვრება ეტევა, მაგრამ დრო მაინც გადის, მაინც თავისას აკეთებს — უსასრულოდ ქმნის ახალ შეგნებებს... საქართველო კი მაინც ომობს. ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ შეიძლება წააგოს ერთი და იმავე ქვეყანამ ერთი და იგივე ომი, ყოველთვის გამოუცხადებელი და ყოველთვის წინასწარ ამოხსნილი საჭადრაკო ეტიუდივით“. მწერლის აზრით: „ჩვენი ყველაზე დიდი „ნაკლი“, ისტორიაში იძულებითი შეფერხებაა, რის გამოც ბევრი რამ კანონზომიერ მოვლენად ანდა „საყოფაცხოვრებო საქონლად კი არა, ზღაპრულ საოცრებად იქცა, რამაც თავის მხრივ განაპირობა ჩვენი არაბუნებრივი, საერთო პროვინციალიზმი — დაუშრეტელი სათავე ქვეშევრდომული მიდრეკილებებისა და მიმბაძველობის დაუოკებელი ჟინისა, რაც სამწუხაროდ, ცხოვრების წესადაც ვაქციეთ. დღეს აუცილებლად უნდა ვიცოდეთ ყველამ, ვინ ვართ, რატომ ვართ, რა გვევალება, რატომ ხდება, რაც ხდება და რაც მთავარია, რატომ გვინდა (თუკი მართლა გვინდა) ქართველებად დარჩენა...“

ოთარ ჭილაძე ბოლო პერიოდში დაშვებულ შეცდომებზე დაუფარავად ლაპარაკობდა; აღნიშნავდა, რომ ჩვენი ბიოგრაფიის ხალხს გაცილებით მეტი სიფრთხილე და წინდახედულება მართებს, აღიარებდა, რომ საჭირო სიფხიზლე თავადაც ვერ გამოიჩინა; თავის დროზე ვერ ავუმხედრდით „სამხრეთ ოსეთის“ — ამ უაღრესად საბ-

თუ ჩვენს სამშობლოს მართლა დაღუპვა უწერია, გვერჩიოს, გულზე გვეყაროს და არა ფეხქვეშ მისი ქვები

ჭოური, კრემლში შეთითხნილი ცნების აღდგენას, სვანეთის აფხაზეთის ზემო აფხაზეთად გადაკეთებას, უკვე ისედაც დაკარგული ტერიტორიებისთვის ახალი მიწების მომატებას“... ამ ყველაფრის ფონზე, როცა სოციალური პრობლემების გამო, დროგამოშვებით ხელისუფლებას ავუმხედრდებოდით, მწერლის აზრით, ეს მონობაში შეძენილი ბედოვლათობის გამოვლინება იყო და მეტი არაფერი. გულისტკივილით აღნიშნავდა იმასაც, რომ შეცდომების გამოსწორებას კი არ ვცდილობთ, უფრო მეტიც, ახლებს ვამატებთ, არადა, „ხალხი, რომელსაც ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობა უჩლუნგდება, ბიოლოგიურ სიცოცხლეს, მართალია, აგრძელებს, მაგრამ კი არ მრავლდება, სხვა ხალხებში ითქვიფება, ილექება... საკუთარს კი არ ქმნის, სხვათა შექმნილს იმეორებს, ხოლო სხვა კულტურის მექანიკური გამეორება ერის თვითმკვლელობას ნიშნავს და ბუნებრივია, აღარ არის საინტერესო დანარჩენი მსოფლიოსთვის“.

ოთარ ჭილაძე მიიჩნევდა, რომ ჩვენი, როგორც ერის გაქრობის საფრთხე არსებობს. როცა ფიზიკური გადარჩენა უმთავრესი პრობლემაა, მაშინ ნებისმიერ სხვა პრობლემაზე მსჯელობა — თავის მოტყუებაა, ბრძოლის ველიდან გაქცევაა და დასძენს: „გავრბივართ კიდეც — არც ამის დამალვა დაგვაყრის ხეირს — სოკოებივით მრავლდება საზღვარგარეთ ქართული სათვისტომოები... რასაკვირველია, უმიზეზოდ არავინ მიდის, მაგრამ მიზეზს, პრობლემისა არ იყოს, რა გამოლევს, თუკი საზოგადოებაზე მაღლა პირადულს დავაყენებთ... დალაგდება ქვეყანა და ჩამოვალო, — ამ პირობით ტოვებს უმრავლესობა აქაურობას, მაგრამ იმას კი აღარ ამბობენ, ვინ დაალაგებს აქაურობას მათ მაგივრად.... აგვისტოს დღეებში შემოგვითვალეს, თუ საჭირო შეიქნა, ჩამოვალთო. მადლობის მეტი რა გვეთქმის აქ დარჩენილებს, მაგრამ ჩემი აზრით, თუკი საერთოდ საჭიროა ჩვენი ერთად ყოფნა, სწორედ დღესაა საჭირო“. და კიდევ: „ოთხი წლის ბავშვები უკვე ჩვენი ნებით გაგვყავს უცხოეთში და იქაურებად ვზრდით. გამოხედვაც რომ აღარ მოუნდეთ აქეთ, ეს არა მარტო სისხლის სამართლის ტოლფასი დანაშაულია, არამედ ჩვენი უკულტურობის ყველაზე მკაფიო და ამაზრზენი გამოხატულება. უკულტურობაა მშობლიური ენისადმი ცინიკური, აგდებული დამოკიდებულება; არ ვიცით, მადლობა და ბოდიში უნდა მოვიხადოთ თუ გადავიხადოთ: არ ვიცით, ესა თუ ის საქონელი, პროდუქტი, საოფისე ფართობი ან სულაც სამშობლო იყიდება თუ გაყიდვაშია; დარტყმა გავაკეთეთ თუ დავარტყით: მოვახდინეთ გასროლა თუ გავისროლეთ.... საზოგადოება სოკოებივით მომრავლებული რეკლამის შესაბამისად ცდილობს, „იცხოვროს ლაღად“ და „ჩასწვდეს ამერიკულ სულს“. ერთი ბერძენი ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველდღე ისე ქეიფობს ამ გაძვალტყავებულსა და ღირსებააყრილ ქვეყანაში, თითქოს უკანასკნელად ქეიფობდეს და ისეთ სახლებს აშენებს, თითქოს სამუდამოდ აპირებდეს აქ დარჩენას... კი, მაგრამ რატომ?! იმიტომ, რომ ავადაა. ხალხი კი არ ავადმყოფდება, არამედ საზოგადოება. ხალხს შეუძლია, თავისი წიაღიდან წარმოშვას ახალი, ჯანმრთელი საზოგადოება და წარმოშვას იმდენჯერ, რამდენჯერაც დასჭირდება“. მწერალმა იცის, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, პუშკინის და ტოლსტოის ქუჩებს კი არ უნდა გადავარქვათ სახელები, არამედ ყველანაირად ვეცადოთ, ჩვენს სულებში საუკუნეთა მანძილზე ჩალექილი მონობის შლამი რაც შეიძლება მალე მოვიშოროთ, დავიბრუნოთ ჭეშმარიტი ბუნება და ისტორიული მახსოვრობა.



საქართველო უკეთესი მომავლის ღირსი ქვეყანაა და ამას უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდების გასაგონად ვამბობ

მისი აზრით, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ სამასწლოვან ომში ვართ ჩათრეულნი და აგვისტოს ომით, რომელსაც ჩვენ „ორდღიანი ომი“ დავარქვით, არც არაფერი დაწყებულა და არც არაფერი დამთავრებულა. წუხს, რომ ერეკლედან მოყოლებული, საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არაფერი უცდია სიტუაციის შესაცვლელად. „იმის ნაცვლად, კიდევ უფრო ჯიუტად, კიდევ უფრო მტკიცედ დავმდგარიყავით სამზეოზე, თანდათან რული მოგვერია და ისიც ვერ გავიგეთ, ვინ ან როდის შეგვიცვალა მხედრის ულუფა მონის სალაფავით... აღარ გვჯერა, სამშობლოსთვის თავდადებული ვაჟკაცის საფლავი რომ აუღებელი ციხეიმაგრეა მტრისთვის, არადა, თუ ჩვენს სამშობლოს მართლა დაღუპვა უწერია, გვერჩიოს, გულზე გვეყაროს და არა ფეხქვეშ მისი ქვები“, — ამბობს და დასძენს, რომ ჩვენ ახლა უდაბნოში დავხეტიალებთ და ეს ხეტიალი მანამდე გაგრძელდება, სანამ სულ-ხორციანად არ განვიწმინდებით, მონობაში შეძენილ თვისებებს არ მოვიშორებთ, „თვალს არ გავუსწორებთ სინამდვილეს, ყველგან და ყველაფერში არ მოვძებნით სიმართლეს...“

ოთარ ჭილაძის მიერ ნათქვამი სიმართლე მწარეა, მაგრამ მას წამლის სიმწარე აქვს და არა შხამისა. მისმა სიმართლემ თვალი უნდა აგვიხილოს, რათა დანახულმა ყველა ერთად შეგვაწუხოს, შეგვაშფოთოს... მას სჯეროდა — „ხელს თუ გავანძრევთ, ე.ი. მოსწავლე თუ ისწავლის, მშრომელი იშრომებს, მეომარი იომებს... დაუნანებლად და დაუფიქრებლად თუ არ გავაჩუქებთ მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მონაგარს და — რაც მთავარია, თუკი დროულად დავიბრუნებთ ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობას, რასაკვირველია, ჩვენც გადავრჩებით. გაურკვეველი მომავლისკენ მიმავალნი, მთამსვლელებივით ერთმანეთზე ვართ გადაბმულნი და ვინც უნდა მოსწყდეს კლდეს, გინდაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიბრიყვის გამო, ყველამ უნდა შევაშველოთ ხელი. საქართველო უკეთესი მომავლის ღირსი ქვეყანაა და ამას უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდების გასაგონად ვამბობ“.

ოთარ ჭილაძესთან მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებდა პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს. გარდაცვლილი მეგობრის გასახსენებლად, მას შინ ვეწვივ.

ჯანსუღ ჩარკვიანი:

— მე და ოთარმა მთელი ცხოვრება ერთად ვიარეთ, დავნათე-

გაგრძელება იხ. გვ. 78

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-40

გოჩა მანველიძე

ბოლო ორი დღე ყველაზე დამღლელი აღმოჩნდა. ამოცნობისა და შარაბიძის ჩვენების მოსმენის შემდეგ, გოგა სახლში აღარ დაბრუნებულა. სამმართველოდან პირდაპირ საავადმყოფოს მიაშურა, სადაც დედა ეგულებოდა.

ექიმები გაოცებულები ადევნებდნენ თვალს ახალგაზრდა კოლეგას. მათთვის ჩვეული იყო რეანიმაციის შესასვლელთან პაციენტთა ოჯახის წევრებისა და ნათესავ-მეგობრების ხილვა. როგორც წესი, ისინი გასაქანს არ აძლევდნენ ექიმებს, დერეფანში მათი გამოჩენისთანავე გარს შემოეხვეოდნენ და თავიანთი ახლობლის მდგომარეობის შესახებ კითხვებს აყრიდნენ. გოგას კი სრულიად სხვაგვარად ეჭირა თავი: არავის ეკარებოდა, ჩაფიქრებული, დერეფანში ბოლთას სცემდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა...

მეორე დღის მიწურულს მორიგე ექიმმა საორდინატოროში დასვენება შესთავაზა.

— არ დავღლილვარ, — უპასუხა გოგამ.

— რას აკეთებ, ბიჭო?!

— რას ვაკეთებ?! — გაიკვირვა გოგამ.

— რამდენ ხანს გაძლებ ასე?.. ერთ დღეს, ორს, სამს... მესმის, რაც ხდება შენს სულში. მაგრამ რკინის ხომ არა ხარ! მეოთხე დღეს მაინც წაიქცევი. დედაშენს კი ახლა ყველაზე მეტად, შენ სჭირდები, — ამ სიტყვებთან ერთად, ექიმმა მკლავში ჩაავლო ხელი და საორდინატოროსკენ წაიყვანა.

საორდინატოროში არავინ დახვდათ. ექიმმა გადასაფარებელი და ბალიში მისცა და ურჩია: ტახტზე წამოწექი და შეეცადე, დაიძინო. ნუ გეშინია — თუ საჭირო გახდა, მე თვითონ გაგაღვიძებო, — დასძინა. გოგას წინააღმდეგობა არ გაუწევია. სიტყვის უთქმელად ტახტზე დაჯდა, ხოლო როცა ექიმმა შუქი ჩააქრო და საორდინატოროდან გავიდა, წამოწვა. დაღლილობის შეგრძნება მაშინვე მოედო მთელ სხეულს. გოგას თავისით დაეხუჭა თვალები, მაგრამ მაინც ვერ იძინებდა. გადაღლილი სხეული დასვენებას ითხოვდა, მაგრამ ფიქრით დამძიმებული გონება ამის საშუალებას არ აძლევდა.

„რატომ?! რატომ?! რატომ?! — მერამდენედ ეკითხებოდა გოგა საკუთარ თავს. — რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ?! ეს ხომ აბსურდია! ნამდვილი სიგიჟე!.. და ეს შეცდომა არ არის... ვის უნდა მოსვლოდა გონებაში ასეთი სისულელე?.. იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომ მე გავყიდე ჩემი ოჯახის კუთვნილი ხატი. თანაც — როდის?! იმ დროს, როდესაც დედა საავადმყოფოში იწვა, მამა კი მკვდარი ესვენა სახლში!.. ეს სიგიჟეა, მაგრამ რაოდენ აბსურდულადაც უნდა ჟღერდეს, მე მაინც მადანაშაულებენ ამაში!.. რატომ?! განა ისეთი სულელია ეს გამომძიებელი, რომ თავად ვერ ხვდებოდეს ამ ბრალდების აბსურდულობას?! არა... არა... არა!.. ის სულაც არ არის სულელი. სულელსა და შეშლილს ასეთ სამსახურში არ გააჩერებდნენ!.. ის შეგნებულად აკეთებს ამას. მაგრამ მხოლოდ მასშიც რომ არ არის საქმე?! ის ერთი რიგითი გამომძიებელია, მისნაირი ბევრი მუშაობს პოლიციაში. რიგითი გამომძიებლის ხუშტურს არავინ გაუწევს ანგარიშს. ჩემთვის ასეთი იდიოტური ბრალდების წაყენებისთვის, მასვე დატოვებენ უმუშევარს. მაგრამ თუ ეს მაინც ხდება, გამოდის, რომ მისივე ხელმძღვანელების დავალებას ასრულებს!.. მაგრამ რატომ?.. ვინ და რისთვის მსჯის ასე სასტიკად?! ან ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი უბედურების შემდეგ, ხატით ხელში მშრალ ხიდზე მივიდოდი?! არა... არა... არასწორად ვმსჯელობ. ყველა საკუთარი საზომით ზომავს: როგორც ჩანს, იმისთვის, ვინც აბსურდის თეატრი მომიწყო, მსგავსი რამ მისაღებია. და მას არც სხვისი აზრი აინტერესებს... ეს მხოლოდ დასაწყისია, ნიადაგის მოსინჯვა. უარესია მოსალოდნელი!.. უარესი?! — ამ სიტყვამ უეცრად, თავზარი დასცა: — ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს?! ამის შემდეგ, მხოლოდ ერთი რამის დაბრალება დარჩენიათ — მე მოვკალი მამაჩემი და დედის მოკვლასაც ვცდილობდი!..

ამის გაფიქრება და საორდინატოროში ექიმის შემოსვლა ერთი იყო.

— რა მოხდა? — სწრაფად წამოჯდა გოგა.

ვიდრე ექიმი უპასუხებდა, გოგასთვის უკვე კარგად ნაცნობმა გამომძიებელმა გადმოაბიჯა ზღურბლს.

ნაცნობი ოთახი, ნაცნობი სახეები, ნაცნობი ატმოსფერო...

მაგიდასთან პროკურორი, ადვოკატი და გამომძიებელი სხედან. მეორე მაგიდასთან — დამსწრედ მოწვეული მოწმეები. ადვოკატი უცნობია. სამმართველოში მისვლისას გამომძიებელმა გოგას დამცველის მოწვევა შესთავაზა.

— არ მყავს, — მოკლედ უპასუხა გოგამ.

გამომძიებელმა თავად გამოიძახა ადვოკატი.

მოგვიანებით კაბინეტში მისი თანატოლი ორი ახალგაზრდა გამოჩნდა. ისინი კედლის გასწვრივ დადგნენ. გამომძიებელმა ოქმის შევსება დაასრულა და გოგას ჰკითხა:

— რაიმე პრეტენზია ხომ არ გაქვთ პროცედურაში მონაწილე პირების მიმართ?

გოგამ ბრაზიანი მზერა ესროლა.

— ეს მნიშვნელოვანია, — განუმარტა ადვოკატმა, — თუ თქვენ რომელიმე პიროვნების აქ ყოფნას არ ეთანხმებით, მას სხვა შეცვლის.

— მერე, რა აზრი აქვს ამას?.. — გახედა გოგამ.

— ასეთია კანონის მოთხოვნა, — დააზუსტა ადვოკატმა.

— ჩემთვის სულერთია... — ჩაილაპარაკა გოგამ.

— მაშინ ოქმს ხელი მოაწერეთ და ამოსაცნობთა შორის დადექით, — თქვა გამომძიებელმა.

გოგამ უსიტყვოდ შეასრულა თხოვნა — ოქმს ხელი მოაწერა და ახალგაზრდების გვერდით დადგა.

შემდეგ ოთახში პაპაშვილი შემოვიდა და გაუბედავად მიაჩერდა კედელთან გამწკრივებულ სამეულს.

— ამ პიროვნებებიდან ვინმე გეცნობათ? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— შეიძლება, ახლოს მივიდე? — სთხოვა პაპაშვილმა.

— მიბრძანდით, — ნება დართო გამომძიებელმა.

პაპაშვილმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, გოგას პირისპირ შედგა და ხმადაბლა თქვა:

— ეს იყო...

გოგა უკვე მზად იყო ამის გასაგონად, წინასწარ იყო დარწმუნებული, რომ მოწმე მას დაადებდა ხელს. მაგრამ რეალობა მაინც მძიმე აღსაქმელი აღმოჩნდა. პაპაშვილს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ გოგა გააფთრებული სწვდა კისერში, მაგრად შეაჯანჯღარა და მთელი ხმით იყვირა:

— რამდენი გადაგიხადეს ჩემი ამოცნობისთვის, ნაბიჭვარო?!

გიორგი და ოთახში მყოფი პოლიციელები ელვის სისწრაფით ეცნენ გოგას, ახრიალებული პაპაშვილი ხელიდან გამოსტაცეს და მაჯებზე ხელბორკილი მოარგეს.

გოგა ამის შემდეგაც არ დაშოშმინებულა, გაშმაგებული აგრძელებდა ყვირილს, იგრიხებოდა და პოლიციელთა ხელიდან დასხლტომას ცდილობდა.

— სკამზე დასვით! — ბრძანა გიორგიმ.

პოლიციელებმა სწრაფად შეასრულეს განკარგულება. გოგა კაბინეტის მეორე ბოლოში გადაიყვანეს და ძალით დასვეს სკამზე. ამასობაში, გიორგიმ პაპაშვილს წყალი დაალევინა, დაამშვიდა და პროკურორს ჰკითხა: გავაგრძელო პროცედურა თუ არაო?

— განაგრძეთ, — თავი დაუკრა მან.

— სად და რა ვითარებაში შეხვდით ამ პიროვნებას? — მიუბრუნდა პაპაშვილს გამომძიებელი.

— ამ ბიჭმა წაიყვანა ჩემი ძმა. მას შემდეგ ის ცოცხალი აღარავის უნახავს... — უპასუხა მოწმემ.

— ის მაინც მითხარით, ვინაა ეს კაცი და საიდან წავიყვანე მისი ძმა?! — იყვირა გოგამ.

— კითხვების დასმის საშუალება პროცედურის ბოლოს მოგეცემათ, — თქვა გიორგიმ და ისევ მოწმის გამოკითხვა განაგრძო.

მცირე ხნის განმავლობაში პაპაშვილმა სიტყვასიტყვით გაიმეორა წინადღეს მიცემული ჩვენება. მოჰყვა, თუ როგორ შეესწრო კამათს და შემდეგ როგორ ჩასხდნენ მანქანაში მისი ძმა და უცნობი ახალგაზრდა.

მისმა ნაამბობმა გოგას კვლავ დააკარგვინა წონასწორობა. მაგრამ ამჯერად პოლიციელები ამას მომზადებულები დახვდნენ. როგორც კი ის ფეხზე წამოვარდა, მაშინვე მხრებში სწვდნენ და სკამზე დასვეს.

— ახლა შეგიძლიათ, თქვენც თქვათ სათქმელი, — მიმართა გამომძიებელმა გოგას.

— ნაბიჭვარი ხარ! — გაისმა პასუხად.

გიორგიმ მშვიდად ჩაიცინა. მერე მოულოდნელად ადგილს მოსწყდა, გოგას საყელოში სწვდა, თვალებში ჩააცქერდა და უყვირა:

— მიაყენე, ბიჭო! ისედაც ბევრი მოგითმინე. აქამდე მეგონა, რაღაც გაუგებრობასთან მქონდა საქმე. მაგრამ ახლა ყველაფერი „იასნია“!.. არ ვიცი, რას ჩალიჩობდი, მაგრამ მაგასაც „გავაიასნებ“!..

— მშვიდად!.. — კაბინეტის მეორე მხრიდან დაიძახა პროკურორმა.

— „გავაიასნებ“! — ბრაზით გაიმეორა გამომძიებელმა, მერე კი გოგას ხელები უშვა, სწრაფად მიუახლოვდა პროკურორს, მის გვერდით დაიხარა და ყურში წასჩურჩულა: — მის თვალებს დააკვირდით... მის სიტყვებს არ გავუღიზიანებივარ, უბრალოდ, „ჩორტი“ შევუგდე. რეაქცია მაინტერესებდა და შედეგიც მივიღეთ...



პროკურორი მყისვე მიხვდა, თუ რას გულისხმობდა გამომძიებელი. თავადაც შენიშნა, როგორ შეეცვალა გოგას მზერა: ამოცნობის დაწყებამდე ის ყველას მშვიდად შესცქეროდა, ახლა კი ყინულივით ცივი მზერით ბურღავდა, სწორედ იმ მზერით, რომელსაც პირველი ამოცნობის შემდეგ, ასე მკაფიოდ აღწერდა შუბითიძე.

— სუსტი მსახიობი ყოფილხარ, — ისევ გოგას მიუბრუნდა გამომძიებელი, — დიდხანს ვფიქრობდი, მაინც რას გულისხმობდა შუბითიძე „მკვლელის თვალებში“ და შენ თვითონ მიჩვენე. ერთ სიტყვაში გაიშიფრე. საშუალება რომ გქონოდა, ულაპარაკოდ დამბრიდავდი. ასე ჩემს კაბინეტში გეჭირა თავი და წარმომიდგენია, რას მიზამდი, ქუჩაში რომ შემხვედროდი!

— რა გინდათ ჩემგან? — ჰკითხა გოგამ.

— თქვენგან — არაფერი. ჩვენ საქმის გახსნა გვსურს. ეს მხოლოდ ფაქტების მოძიებისა და ანალიზის მეშვეობით თუ მოხერხდება. ფაქტები კი უტყუარია, — უპასუხა პროკურორმა.

— გინდათ დამიმტკიცოთ ის, რაც არ გამიკეთებია, — განაგრძო გოგამ, — რატომ აკეთებთ ამას?

— თქვენ ორმა მოწმემ ამოგიცნოთ. თანაც, ისეთმა მოწმეებმა, რომლებსაც არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან.

— არა, — თავი გააქნია გოგამ, — მე სხვა რამ გკითხეთ, თქვენ კი სხვა რამეს მიხსნით!.. რატომ მიმტკიცებთ იმას, რაზეც წარმოდგენა არ მაქვს? ვთქვი და კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ: არასოდეს დამიპირებია ჩემი ოჯახის კუთვნილი ხატის გაყიდვა! არასოდეს მივსულვარ მშრალ ხიდზე! არასოდეს შევხვედრივარ ვინმე შუბითიძეს! წარმოდგენა არ მაქვს, ვინაა პაპაშვილი და მით უმეტეს, არსად წამიყვანია!..

— ეს არის თქვენი პოზიცია, რომელსაც თქვენთან ერთად, თქვენი ადვოკატიც დაიცავს. თავისი პოზიცია აქვს ძიებასაც, რომელსაც გამომძიებელი დაიცავს. რაც შეეხება მე: ეს კოდექსის თავისებურ დარღვევად ჩამეთვლება, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ ნეიტრალური ვიქნები და მხოლოდ მაშინ გამოვიტან დასკვნას, როდესაც ყველა მონაცემი ხელთ მექნება... — პროკურორი

მცირე ხნით ჩაფიქრდა. მერე გიორგის მიუბრუნდა და ჰკითხა: — რაც აქ მოხდა, ყველაფერი გასაგებია. როგორი იქნება შენი შემდგომი მოქმედება?

— ამას თქვენთან მოთათბირების შემდეგ გადავწყვეტ, — უპასუხა გამომძიებელმა.

პროკურორის ბრძანებით, პოლიციელებმა ყველა მოწმე დერეფანში გაიყვანეს. შემდეგ, კაბინეტიდან ის და გამომძიებელიც გავიდნენ და გოგა და ადვოკატი მარტონი დატოვეს.

— არა მგონია, ბევრი დრო დაგვითმონ, — საქმიანი იერით მიმართა ადვოკატმა, — ამიტომაც, პირველ რიგში, ჩვენი პოზიციები უნდა შევათანხმოთ.

— რომელ პოზიციაზე მელაპარაკებით?! — ყრუდ თქვა გოგამ. — საერთოდ ვერ ვხვდები, რა ხდება ჩემს თავს!

— მესმის, მაგრამ ხომ უნდა გქონდეთ რაღაც მოსაზრება. მაინც, რას უკავშირებთ ამ უცნაურ ამოცნობებს?

— თქვენ რა, თავად ვერ ხვდებით?.. — გაიკვირვა გოგამ. — ყველაფერი გამომძიებლის ნაჩალიჩარია!

— არა, არა... ასე მარტივად ნუ შეაფასებთ მომხდარს. გადაცდომა ყველა საქმეში არსებობს. თქვენ რომ კრიმინალი იყოთ და რიგით ქურდობას ან მანქანის გატაცებას გედავებოდნენ, მეც ეჭვს შევიტანდი გამომძიებლის გულწრფელობაში. მაგრამ ეს ყველაფერი მართლაც, ძალიან უცნაურად გამოიყურება. რა დაინტერესება უნდა ჰქონდეს გამომძიებელს?.. თანაც, გიორგი ასეთი კაცი არ არის. თავისი საქმეც იცის და არც მის პატიოსნებას დავაყენებ ეჭვქვეშ...

— ჰო... ჰო... ყველაფერი რიგზეა. გიორგი პატიოსანი და საქმის მცოდნე გამომძიებელია, მე კი — არაკაცი, რომელმაც საკუთარი დედ-მამა დახოცა და ის რესტავრატორიც ზედ მიაყოლა!.. რაღაა აქ გამოსაძიებელი?! — ბრაზით წამოიძახა გოგამ.

— დედ-მამა დახოცა?! — გაუკვირდა ადვოკატს. — გამომძიებელს მკვლელობა არ უხსენებია!

— გუშინ და დღეს არ უხსენებია, მაგრამ წინასწარ ვგრძნობ, რომ ამის დროც მოვა!

— მოდი, ვარაუდებს თავი დავანებოთ და საქმეზე ვიფიქროთ. ჯერ-ჯერობით ყველა ფაქტი გიორგის ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს. არ გამიკვირდება, თუ ახლავე წამოგიყენებს ბრალდებას და პატიმრობაში აგიყვანს.

— რა-ა?! პატიმრობაში?!. რის საფუძველზე?

— არსებობს ორი მოწმე. თან, არ დაგავიწყდეს — ისინი ერთმანეთს არ იცნობენ და ორივე ერთსა და იმავეს უჩვენებს!.. ეს მხოლოდ საქმის ნახევარია. გამომძიებელს უკვე აქვს ექსპერტიზის დასკვნა; ამ დასკვნით, მამაშენისა და იორამ პაპაშვილის მკვლელობები ერთი და იმავე პისტოლეტითაა ჩადენილი... ძალიან მურტალი საქმეა, გოგა. ღმერთმა ქნას, რომ არაფერი გაკავშირებდეს ყოველივე ამასთან, რაშიც დარწმუნებული ვარ, მაგრამ გამომძიებელმა ბრალდება რომ წამოგიყენოს, ცამდე მართალი იქნება. მის ადგილზე, მეც ასე მოვიქცეოდი.

გოგამ საფეთქლები მოისრისა და ყრუდ თქვა:

— რა ვქნა?.. რას მირჩევ?..

— ეე... ეგეთები არ იყოს! ეს რა არის?!. რა მხრები ჩამოგიყრია!.. უარესებიც მინახავს... აქამდე მარტო გიორგი ჩალიჩობდა. ახლა ჩვენი ჯერია. მაგის ორ მოწმეს ათ ჩვენსას დავუპირისპირებ!

— ვის?

— თუნდაც იმათ, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ის დღეები მათთან ერთად გაატარე და შუბითიძესთან და პაპაშვილთან შეხვედრა ფიზიკურად არ შეგეძლო. სხვა ფაქტებსაც მოვძებნი... ახლა კი ერთ რამეზე შევთანხმდეთ: რამდენიმე წესის შესრულებას მოგთხოვ; იცოდე, თუ არ დამყვები, თანამშრომლობა არ გამოგვივა!..

— რომელი წესების? — ჰკითხა გოგამ.

— პირველი და მთავარი წესი: უჩემოდ, ჩვენების სახით არაფერი თქვა და არც ერთ დოკუმენტს არ მოაწერო ხელი. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ გიორგი რაიმე ხაფანგს გიგებს, მაგრამ მაინც, ეშმაკს არ სძინავს. თავის დაზღვევა არასოდესაა ზედმეტი! და კიდევ... — ადვოკატმა სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო — სწორედ ამ დროს კარი გაიღო და კაბინეტში გიორგი და პროკურორი შემოვიდნენ.

— ჩვენ ჯერ არ დაგვიმთავრებია, — შეაგება ადვოკატმა შემოსულთ.

— საუბარს მოგვიანებით გააგრძელებთ. ახლა კი... — გიორგიმ გოგას გახედა და შემდეგ დაამატა: — რამდენიმე წუთის წინ საავადმყოფოდან გვაცნობეს, რომ დედათქვენი გონს მოეგო.

გოგა ფეხზე წამოხტა და კარისკენ გაიწია.

— ერთი წამით! — პროკურორი წინ გადაუდგა.

— თქვენ რა, არ გამიშვებთ?! — მოიღრუბლა გოგა.

— რა თქმა უნდა, გაგიშვებთ, მაგრამ მანამდე ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ, — უპასუხა პროკურორმა.

— რაზე?

— დასამალი არაფერია... მოტივების ჩამოთვლას არ დავიწყებ; მგონი, ისედაც გასაგებია ყველაფერი. გამომძიებელი თქვენს პატიმრობაში აყვანას ითხოვს. მე თანახმა ვარ, მაგრამ დედათქვენის გონებაზე მოსვლამ ვითარება შეცვალა. ადამიანები ვართ... ასეთ დროს შეუძლებლად მიმაჩნია საკანში თქვენი გამოკეტვა. არსებობს სხვა მიზეზიც: დედათქვენი თავდასხმის თვითმხილველია და ეს მის ჩვენებას ძალზე მნიშვნელოვანს ხდის. მე დედის მონახულების შესაძლებლობას მოგცემთ, მაგრამ თქვენს საუბარს გამომძიებელიც დაესწრება. თანახმა ხართ?

— მხოლოდ ერთი პირობით: თუ ექიმიც დათანხმდება მის დაკითხვას!

— ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია: ექიმის ნებართვის გარეშე, დედათქვენს ერთ კითხვასაც არ დაუსვამენ! — პირობა მისცა პროკურორმა.

გიორგიმ მებადრაგე პოლიციელები ფოიეში დატოვა, თვითონ კი გოგასთან ერთად, რეანიმაციულ განყოფილებას მიაშურა. მორიგე ექიმი მათ უკვე ელოდა, გოგას დანახვისთანავე მისკენ გამოქანდა და სწრაფად ალაპარაკდა:

— ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. აპარატურა ჩვეულ მონაცემებს უჩვენებდა... წნევა, პულსი, სუნთქვა — ყველაფერი ნორმაში იყო... პალატაში პაციენტის სანახავად შევედი. ის კი თვალებგახელილი დამხვდა. მოულოდნელობისგან ადგილზე გავშეშდი. ვიფიქრე: დაღლილობისგან ხომ არ მომეჩვენა-მეთქი?.. ამ დროს დედამ შენ გიკითხა: გოგა სად არისო?.. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი კარგადაა. მაგრამ მე მაინც არ მომწონს მისი მოულოდნელი გონს მოსვლა. ეს რაღაც, აფეთქებას მაგონებს, ენერგიის უეცარ მოზღვავებას... ექიმი ხარ და თავადაც კარგად იცი, რომ მკურნალობის პროცესში მდგომარეობის უეცარი ცვლილება არასასურველი მოვლენაა.

— მასთან გასაუბრება თუ შეიძლება? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— დაკითხვას გულისხმობს, — ჩაურთო გოგამ.

— ეგ გამორიცხულია, — უყოყმანოდ უპასუხა ექიმმა, — გოგას შეშვებითაც ძალიან დიდ რისკზე მივდივარ: ახლა არ არის საჭირო იმ საშინელი დღის შეხსენება!

— როგორ მოვიქცეთ? — გამომძიებელს გახედა გოგამ.

ის წამით შეყოვნდა. მერე კი თანხმობის ნიშნად, თავი დაუკრა: შედი, მე აქ დაგელოდებიო.

დედას სახე ზეწარივით გაჰფითრებოდა, ყვრიმალისა და საფეთქლის სიახლოვეს ისევ აჩნდა ჩაშავებული ლაქები... თვალები დახუჭული ჰქონდა. გოგას მოეჩვენა, რომ ეძინა, მა-

გრამ როგორც კი საწოლის სიახლოვეს სკამზე დაჯდა, ქალმა თვალები მძიმედ აზიდა და მას შეხედა.

— დედა!.. — გოგა გაუბედავად მოეფერა ლოყაზე.

— ვახტანგი... სად არის ვახტანგი?.. — ძლივს გასაგონად წარმოთქვა.

გოგას ძალიან გაუძნელდა ამ სიტყვების თქმა, მაგრამ ტყუილი მაინც ვერ უთხრა დედას:

— მამა დაიღუპა!..

ქალს სუსტი კვნესა აღმოხდა და თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა.

— დამშვიდდი... გთხოვ, დამშვიდდი!.. — გოგამ ხელებზე თითები მოუჭირა.

— მაინც გვიწია ცოდვამ... მთელი ცხოვრება შიშში გავატარე, მაგრამ მაინც ვერ გადავრჩით...

— რას ამბობ, დედა?! — გაოგნებულმა ჰკითხა გოგამ. — რომელმა ცოდვამ გვიწია?!

— გვაპატიე მე და მამაშენს... — ჩურჩულით განაგრძო თამარმა. — დიდი ხნის წინ გვინდოდა, შენთვის სიმართლის თქმა. მაგრამ გვეშინოდა, რომ ვერ გაგვიგებდი... ახლა აზრი აღარ აქვს რამის დამალვას. მადლობა ღმერთს, რომ ცოტა ხანს მაინც მაცოცხლა. იმისთვის მაცოცხლა, რომ ყველაფერი მეთქვა შენთვის...

— რა... რა უნდა გეთქვა?

ქალი კარგა ხანს დუმდა. თითქოს ძალას იკრებდა. მერე, აცრემლებული თვალებით შეხედა და უთხრა:

— შენ ჩვენი შვილი არა ხარ...

— რაო?! — სუნთქვა შეეკრა გოგას.

— ჩვენი აღზრდილი ხარ... არ ვიცი, სხვები რას მიიჩნევენ დედაშვილურ სიყვარულად... შენ შვილი იყავი, ჩვენ კიდევ — შენი მშობლები, მაგრამ მაინც, მე არ გშობე...

— არა... არა... — გაჭირვებით წარმოთქვა გოგამ. ის, რასაც ახლა დედა ეუბნებოდა, საშინელ სიზმრად, იმ კოშმარის გაგრძელებად ეჩვენებოდა, რომელშიც ბოლო დღეების განმავლობაში ცხოვრობდა.

— ყველაფერს დავთმობდი, ასე რომ არ ყოფილიყო, სიცოცხლესაც კი, მაგრამ... შენ ბევრი რამ არ იცი ჩვენი ოჯახის წარსულის შესახებ, იმის შესახებ, რაც შენს დაბადებამდე მოხდა... მე და ვახტანგს ბედნიერი ახალგაზრდობა გვქონდა. გვიყვარდა ერთმანეთი... დავქორწინდით... ველოდით შვილს, მაგრამ მაშინ მოხდა უბედურება: შვიდი თვის ფეხმძიმე ვიყავი, როცა გზაზე გადასვლისას მანქანა დამეჯახა. საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მიმიყვანეს. ექიმებმა ჩემი გადარჩენა შეძლეს, მაგრამ შვილი ვერ შემინარჩუნეს... ეს საშინელი ტრაგედია იყო ჩვენთვის. მაშინ მეგონა, რომ ამაზე უფრო საშინელი აღარაფერი მოხდებოდა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ თურმე ეს მხოლოდ დასაწყისი იყო: ცოტა ხნის შემდეგ ექიმებმა გვითხრეს, რომ შვილი აღარასოდეს მეყოლებოდა. ეს განაჩენის ტოლფასი იყო!.. არ დავიჯერეთ. უბრალოდ, არ შეგვეძლო ამის დაჯერება... მრავალი კლინიკა მოვიარეთ, ბევრ ცნობილ ექიმს მივმართეთ, მაგრამ ყველა, ისევ და ისევ, ერთხელ გამოტანილ განაჩენს გვიმეორებდა: არა! არა! არა! შვილი არ გეყოლებათ!.. შეურიგდით ბედს და თავს ნუღარ დაიტანჯავთო!.. მაგრამ ჩვენთვის შვილის ყოლაზე უარის თქმა მომავალზე უარის თქმის ტოლფასი იყო. მაშინ გადავწყვიტეთ ბავშვის აყვანა... წყალი დამალევინე, — მოულოდნელად სთხოვა დედამ.

გოგამ თავი წამოუწია და ჭიქიდან ფრთხილად მოასმევინა წყალი. თამარმა სული მოითქვა და თხრობა განაგრძო:

— ვახტანგის თანაკურსელისა და მეგობრის მამა, აკაკი ბებია სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი იყო. დახმარებისთვის მას მივმართეთ. დაგვპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ჩვენთვის... თითქმის ერთი წელი ველოდით აკაკის. ბოლოს, როგორც იქნა, ის დღეც დადგა. აკაკიმ გვაცნობა, რომ სენაკის სამშობიარო სახლიდან ბავშვის წამოყვანა შეგვეძლო. ერთი წელი ველოდი ამ დღეს და ვერ წარმოიდგენ, თუ რა შიშმა შემიპყრო!.. ეჭვი შემეპარა — მართლაც, მზად ვიყავი ამისთვის თუ — არა?! მაგრამ უკან დახევაც აღარ შემეძლო, ამას ვახტანგიც ვერ გამიგებდა...

სენაკში ჩავედით. სამშობიაროში შესვლისას მუხლები მეკვეთებოდა, მაგრამ მოხდა სასწაული: შენმა ხილვამ ყველაფერი შეცვალა! შიში და დაძაბულობა უკვალოდ გაქრა. მთელი ჩემი არსება დედობრივმა გრძნობამ მოიცვა!.. — თქვა აკანკალებულმა თამარმა და აქვითინდა.

ველარც გოგამ შეიკავა თავი. ქალის ნაამბობით შეძრულმა, დედას მკლავები მოხვია და გულში ჩაიკრა.

თამარი ფრთხილად მოეფერა თმაზე, ისე, თითქოს ეშინოდა, უნებლიეთ რამე არ დავუშავოო... მერე ძალა მოიკრიბა და ლაპარაკი განაგრძო:

— მაშინ ისეთი გაბრუებული ვიყავი, რომ შენ გარდა აღარაფრისთვის მიმიქცევია ყურადღება. მოგვიანებით კი შევიტყვე, რომ შენი შვილად აყვანა უკანონოდ მოხდა: შენი დაბადებისას, სენაკის სამშობიაროში საერთოდ არ გაფორმებულა რაიმე დოკუმენტი; დაბადების მოწმობა მოგვიანებით შეადგინეს. ეს მოწმობა შენც მრავალჯერ გინახავს. იქ წერია, რომ ჩემი და ვახტანგის შვილი ხარ. მაშინ მე მთლიანად შენით ვიყავი დაკავებული, დანარჩენზე ვახტანგი ზრუნავდა. შემდგომშიც არ მიმიქცევია ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება: შენ ჩემი შვილი იყავი და ამას ფარატინა ქაღალდებით დადასტურება არ სჭირდებოდა... აი, ასე მოხვდი ჩვენს ოჯახში, შვილო, და ეს იყო, რის თქმასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ვბედავდი!...

გოგა დიდხანს იჯდა გარინდებული. მერე თავი ასწია, დედას აცრემლებულ თვალებში ჩახედა და ჰკითხა:

— ვინ იყო ჩემი დედ-მამა და რატომ მიმატოვა?

— ვიცოდი, რომ ამას მკითხავდი და ყველაზე მეტად, სწორედ ამ კითხვის მეშინოდა. მეშინოდა იმიტომ, რომ თვითონაც არ ვიცი მათი ვინაობა. მხოლოდ ის ვიცი, რომ დედაშენი მშობიარობას გადაჰყვა, მამამ კი შენი წაყვანა აღარ ისურვა... კიდევ ის ვიცი, რომ შენ ტყუპისცალი ძმა გყავს... — მძიმედ წარმოთქვა თამარმა და თვალები დახუჭა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მე - ფსიქოლოგი

ინგა ჯაყელი

(დასაწყისი „გზა“ №40)

— ბევრი ქალი გყოლია? — ვკითხე ვაჟას, მისი „შემოთავაზების“ საპასუხოდ.

— გააჩნია, რას ვუწოდებ ბევრს. მე მგონი, შემთხვევითი კავშირები არაა სათვალავში ჩასაგდები, თორემ მაშინ მართლა ბევრი გამოვა. საყვარელი ორი მყავდა. ერთი ჩემზე უფროსი იყო და ფაქტობრივად, მან მაქცია კაცად, ამიტომ კარგა ხანს მეგონა, გაგიჟებით მიყვარდა. თავად რომ არ გამოეჩინა ჭკუა, შეიძლება ცოლადაც შემერთო. მე რომ 20 წლის ბიჭი ვიყავი, ის 35-ის იყო და 13 წლის შვილი ჰყავდა.

— ქმარი?

— არ ვიცი, არც მიკითხავს... მგონი, გაყრილი იყო. მეათეკლასელი მიმიყვანეს მშობლებმა მასთან მოსამზადებლად, რეპეტიტორი იყო და სხვა მოსწავლეებიც ჰყავდა... 16 წლისა „შემაცდინა“...

— ინიციატივა მისგან მოდიოდა?

— არა, ვერ დავაბრალებ... მე ვეტაკე მშიერი ხარივით და ძალიანაც არ გამძალიანებია... მერე კი... მერე კიდევ, 5 წელი დავდიოდი „მოსამზადებლად“... შეიძლება, მეტიც მევლო, მაგრამ ვიღაც მდიდარ ბებერს გაჰყვა ცოლად, მგონი, 70 წლის იყო ის კაცი, ჩემი ნელი „მასწავლებელი“ — კი — ორმოცის... ისე, ვცადე მერეც მისვლა, მაგრამ ცივად შემხვდა: რეპეტიტორობას შევეშვი, აღარა მაქვს ამის საჭიროებაო! — მომიხურა კარი ცხვირწინ.

პირველ ხანებში ისე მიჭირდა უმისობა, პატარა ბიჭივით ვტიროდი ღამით მარტოდ დარჩენილი... მერე, „მის ჯიბრზე“ დავქორწინდი ჩემს კურსელზე, რომელსაც ვუყვარდი და მეგონა, მეც შევიყვარებდი, რადგან მართლა კარგი გოგო იყო და ბევრსაც მოსწონდა.

— ახლა შენი ცოლიც ორმოცი წლისაა?

— ორმოცდაერთის. უფროსია ჩემზე ერთი წლით, მაგრამ მხოლოდ ამას არ მოუტანია პრობლემები ჩვენს ურთიერთობებში... ამაზე რომ ვფიქრობ, ერთ დასკვნამდე მივედი — სიყვარულის გარეშე არ უნდა შეირთოს კაცმა ცოლი. დიდი სიყვარულით რომ ქმნიან ოჯახებს, ცოლქმრობა მათ გრძნობებსაც კი აფერმკრთალებს, თორემ შეუძლებელია, მერე ცოლი გიჟურად შეგიყვარდეს...

— მეორე სიყვარულზეც მომიყევი — ახლაც გაქვს მასთან ურთიერთობა?

— ჰო და, ალბათ ვერც ვერასოდეს შეველევი, რადგან ის იმ სიმყუდროვეს მახვედრებს, რომელსაც ოჯახში ვერ ვპოულობ. ჩემ გამო დარჩა გასათხოვარი. სხვათა შორის, ისიც უფროსია ჩემზე, მთელი 4 წლით.

— პათოლოგიად ხომ არ გექცა უფროსი ქალებისადმი ლტოლვა?! — მხრები ავიჩეჩე დაბნეულმა.

— არა, ძვირფასო, ეს არც პათოლოგიაა და არც შენი პაციენტი გავხდები. არ გქონდეს ამის იმედი! — ისევ მომეფერა თმაზე...

ამასობაში ქობულეთში შევედით და ზღვაც გამოჩნდა.

— მიყვარს ზღვა!

— მეც! — თქვა ვაჟამ. — ცუდია, რომ აპრილია და ვერ ვიბანავებთ...

სასტუმროში ვაჟასთვის დაჯავშნილი იყო ნომერი. ჩემთვის გაჭირდა თავისუფალი ოთახის მოძებნა. ხმამაღლა არ ვამბობდი, თორემ თანახმა ვიყავი. ვაჟას ოთახში გამეთია ეს ორი ღამე. ამასაც მიმიხვდა:

— აქ ბევრი ნაცნობი იქნება და არ მინდა შენზე ცუდის თქმის საბაბი მივცე! — ჩამჩურჩულა ყურში.

სასტუმროს დირექტორის ჩარევის შემდეგ მოიძებნა ჩემთვის ნომერი.

ვაჟას თათბირზე აგვიანდებოდა. მარტო დავრჩი. სადილი ნომერში ამოიტანეს, ვაჟს დაუვალებია მომსახურე პერსონალისთვის. ახალგაზრდა მამაკაცმა შემოაგორა ოთახში ნუგბარით გაწყობილი მაგიდა. შევხედე და გავშრი: ჩემ წინ, დილით სიზმარში ნანახი „ინკასატორი“ იდგა, რომელსაც ოფიციანტის უნიფორმა მოერგო რეალობაში...

ჩემი გაოცება და დაჟინებული მზერა არ გამოჰპარვია:

— გნებავთ რამე? — გამიღიმა და ზუსტად იგივე კითხვა დამისვა, რაც სიზმარში.

— მოფერება! — მეც იგივე ვუპასუხე და ჯერ თითით მოვეფერე მის დაბურცულ ტუჩებს, მერე კი ფრთხილად შევეხედ და ვეამბორე.

— Íà ðàáîòà íå ðàçðåøàåòñÿ! — მითხრა რატომღაც რუსულად და გარეგნულად უგრძნობი დარჩა. თუმცა თვალები აშკარად ნდომით აევსო...

— გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, წუხელ მესიზმრეთ და ზუსტად ასეთი დიალოგი წარიმართა ჩვენ შორის! — ვუთხარი და აშკარად არ დამიჯერა..

— კარგი, ჰო... სცენარისტი ვარ, ფილმისთვის ვწერ სცენარს, ჰოდა, ექსპერიმენტისთვის მჭირდებოდა ამ სცენის გათამაშება...

ისევ არ მიპასუხა.

— თავისუფალი ხართ! — ვუთხარი და თან ხუთლარიანი ჩავუკუჭე ჯიბეში — ýòî íå ÷àé! — მეც რუსულზე გადავედი.

— გმადლობთ! — მოკლედ მომიჭრა და კარი გაიხურა.

... ესეც შენი ახდენილი სიზმარი! რატომ მეგონა ნეტავ, რომ ბედნიერებად ჩათვლიდა ჩემს გამოხდომას?!.

ჭამის სურვილი გამიქრა. ტანსაცმელი გამოვიცვალე და ზღვაზე გავედი. პლაჟზე თითქმის არავინ ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულივით თბილოდა, ზღვა საოცრად მშვიდი იყო. ზედმეტად მშვიდიც კი და ამ სიმშვიდეში მომესმა სწორედ ჩემი მობილური ტელეფონის წკრიალი. მეგობარი რეკავდა. რა თქმა უნდა, დაბადების დღის მოსალოცად. ალბათ, უმადური ვარ, მაგრამ კვლავაც არავისთან კონტაქტის სურვილი არ მაქვს... ზარის ხმა რომ შეწყდა, ვნახე, ბევრ სხვასაც დაურეკავს — 12 ზარი იყო შემოსული...

ტელეფონი გამოვრთე და ჩანთის ძირში ჩავაგდე.

საათს დავხედე. ჯერ მხოლოდ ორი იყო. გადავწყვიტე, სასტუმროში დავბრუნებულიყავი და ვაჟას მოსვლამდე გამომეძინა.

სასტუმროს ფოიეში ახალგაზრდა ვაჟმა შემომცინა. „ჩემი“ ოფიციანტი იყო. ეტყობა, მორიგეობა დაასრულა და უნიფორმაც გაეხადა. ჯინსი და მაისური ეცვა და ამ სამოსში კიდევ უფრო მიმზიდველი ჩანდა...

— მოფერების სურვილი არ გაგიქრათ?.. — ჩამჩურჩულა, როცა გვერდით ჩავუარე.

— ეკა! — გავიგონე იმწამსვე ვაჟას ხმა.

მოვიხედე და ვეღარ შევამჩნიე, საით წავიდა და როდის გაუჩინარდა ბიჭი...

— დაამთავრე?! — გამიკვირდა მე.

— არა. შესვენებაზე გამოვედი და მოგიკითხე. ხომ არაფერი გინდა?

— დაძინებას ვაპირებდი.

— ძალიანაც კარგი. დაისვენე. საღამოს რესტორანში უნდა დაგპატიჟო. ბოლოს და ბოლოს, შენი დაბადების დღეა. წამო, ნომრამდე აგაცილებ!

მაგიდაზე მინდრის ყვავილების ულამაზესი თაიგული დამხვდა.

— შენ გამომიგზავნე? — კმაყოფილმა გავხედე ვაჟას.

— არა-ა, აზრადაც არ მომსვლია და მგონი, საეჭვიანოდ მაქვს საქმე.

— აქ არავის ვიცნობ... როგორც ჩანს, სასტუმროს სერვისში შედის! — ავიჩეჩე მხრები, შეუმჩნევლად ამოვაძვრინე კალათიდან ბარათი და ჯიბეში ჩავიჩურთე.

ვაჟა ფანჯართან მივიდა.

— ლამაზი ხედია...

გვერდით დავუდექი:

— მართლაც ლამაზია! — დავეთანხმე და მერე გამომწვევად ვუთხარი: — მაკოცე...

ვაჟას კოცნამ თავბრუ დამახვია და ლამის მუხლები მომეკვეთა. ხელი შემაშველა და ფრთხილად დამაწვინა საწოლზე...

— სამწუხაროა, რომ უნდა წავიდე! — თქვა და აშკარა იყო, რომ ძლივს მოერია თავს.

არაფერი ვუპასუხე.

— მაპატიე!.. — მითხრა შემცბარმა. — ექვსი საათისთვის მოგაკითხავ, მზად დამხვდი...

კარი გაიხურა თუ არა, ჯიბეში კალათიდან ამოღებული ბარათი მოვძებნე. გავშალე და მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომერი დავინახე...

ძალიან მომინდა, დამერეკა, მაგრამ შინაგანმა ხმამ მითხრა, რომ ახლა ამის დრო არ იყო. ბარათი ორად გავკეცე და ისიც ჩანთაში ჩავუძახე. მერე კი ერთბაშად მოვითენთე და რულს აღარ გავძალიანებივარ.

...ვიგრძენი ლოყაზე როგორ დამისვა ვიღაცამ თითი და ზანტად გავახილე თვალი.

ვაჟა იყო:

— შემაშინე, ძილისგუდავ...

— გამორთული გაქვს. რა დროა?

— თითქმის შვიდი.

— მაპატიე... არ ვიცი, რა მეტაკა — ამ დროს არასოდეს მძინავს... ნახევარ საათში მზად ვიქნები...

— მოგეხმარო ჩაცმაში?

— შენ გახდაში მომეხმარე, მოგვიანებით!.. — ისევ გადავედი „იერიშზე“...

ვაჟამ გამიღიმა, დაიხარა და ჩემს მკერდში ჩარგო სახე:

— სიხარულო! — თქვა შეცვლილი ხმით. მერე კი ადგა და უცებ გავიდა...

რესტორნის დარბაზში შესულს, ვაჟა შემომეგება. მუსიკოსებმა ვალსი დაიწყეს და კაცმა გალანტურად გამომიწოდა ხელი, საცეკვაოდ გამიწვია... დიდი მოცეკვავე არ გახლავართ, მაგრამ ვაჟა იმდენად კარგად ცეკვავდა, რომ მეც მოვახერხე აყოლა. დარბაზში მყოფების ყურადღება მივიქციეთ და აპლოდისმენტებიც დავიმსახურეთ...

— ოდესმე მითქვამს შენთვის, რომ ძალიან მიყვარხარ?.. — ჩამჩურჩულა ვაჟამ ყურში.

პასუხად მხოლოდ გავუღიმე. იმწუთას რაღაცნაირად, ბედნიერად ვიგრძენი თავი და საოცრად მადლიერი ვიყავი ვაჟასი. მაგიდასთან მისულს ვარდების ულამაზესი თაიგული დამხვდა. თითოეული ყვავილი ოდნავ მაინც განსხვავებული ფერის იყო.

— ჩემი ცხოვრების მსგავსად, ჭრელი თაიგულია! — აღვნიშნე ხმამაღლა.

— 30 ვარდი — შენი 30 წლის სიმბოლო! — ახლა ხელზე მაკოცა ვაჟამ.

სასმისი აიღო და ყურადღებით დამაცქერდა, მერე კი მოულოდნელი გულახდილობა გამოიჩინა:

— მეშინია კიდეც შენთან სიახლოვის — არ მინდა, შენც ჩვეულებრივ არსებად იქცე...

დავიძაბე...

— ნუ შეშინდები! — ესეც შეამჩნია. — არც მე უნდა მეშინოდეს ალბათ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ხელშია ყველაფერი და გვინდა ამაღლებულს გავხდით ჩვენს ურთიერთობას, გვინდა, მიწაზე დავანარცხებთ... შეგიძლია, თავი ბედნიერ კაცად მაგრძნობინო, ეკა, იმიტომ, რომ ძალიან ჭკვიანი ქალი ხარ, ძლიერიც...

— კაცებს რომ ჭკვიანი ქალები არ გიყვართ და მით უმეტეს ძლიერი?! — ახლა მე გავიკვირვე.

— თუ კაცი ჭკვიანია, ის სულელ ქალს თავის გვერდით დიდხანს ვერ აიტანს, დამიჯერე... გაგიმარჯოს, შენი ჭკუით და სიძლიერით! — ჭიქა მომიჭახუნა ვაჟამ.

— რადგან მხოლოდ ჭკუაზე ამახვილებ ყურადღებას, აშკარად ცუდადაა ჩემი საქმე! მეგონა, ლამაზიც ვიყავი...

— ლამაზი ყველა ქალია! — ხელი აიქნია კაცმა. — ეგ ყველაზე ნაკლებაღსანიშნავია ჩემთვის, ქალის შეფასებისას...

რესტორანში კარგა ხანს დავრჩით. სუფრა დელიკატესებით იყო სავსე, მაგრამ არც მე და არც ვაჟას თითქმის არაფერი გვიჭამია.

უკვე მიღებული მქონდა გადაწყვეტილება — იმ ღამეს კაცის სურვილს დავყოლოდი და ქალად ვქცეულიყავი — სწორედ ეს იქნებოდა საკუთარი თავისთვის გაკეთებული, „განსაკუთრებული“ საჩუქარი. ავღელდი...

როგორც ჩანს, ვაჟამ ჩემი ჩანაფიქრი ამოიცნო, რადგან ისიც არ იყო მთლად მშვიდად.

ნომერში შესულები თითქოს უფრო მეტად დავიბენით და ვაჟამ ლამის უკან დაიხია:

— თუ მეტყვი, წავალ!..

არ შემეძლო ახლა მისი გაშვება; მივუბრუნდი და საკოცნელად გავიწიე... კაცს თანდათან სუნთქვა დაუმძიმდა. ცოტა ხანში, სანახევროდ შიშვლები, საწოლში აღმოვჩნდით. უეცრად გამოვერკვიე. და ცნობისმოყვარეობით აღვსილმა ამ „უცნაური პროცესის“ ყველა დეტალის დაფიქსირებას მივყავი ხელი. აღმოვაჩინე, რომ ვნებამორეული კაცი არცთუ ისე სასიამოვნო სანახავია ფხიზელი თვალით. ვაჟას სახე „გამოთაყვანებულ სიფათადაც“ კი მომეჩვენა და რომ არა ტკივილის შეგრძნება, შეიძლება, გამცინებოდა კიდეც.

— ნუ გეშინია, სიცოცხლევ! — გაბზარული ხმით სცადა ჩემი დამშვიდება, მაგრამ მე მაინც ვერ ვძლიე მისგან გაქცევის სურვილს და დახმარების ნაცვლად, აშკარად ხელი შევუშალე, ამას რომ მივხვდი, ემოცია მოვთოკე და ფსიქოლოგიურად კიდევ მეტი ტკივილისთვის მოვემზადე, მაგრამ... კაცი მოეშვა და ცოტა ხნის შემდეგ გვერდზე გადაწვა...

მართალია, პრაქტიკული გამოცდილება არ მქონდა, მაგრამ თეორიულად იმდენი რამ ვიცოდი სექსუალური აქტის შესახებ, მივხვდი — ვაჟამ ფიასკო განიცადა. სახეზე რომ შევხედე, ისეთი უხერხულობის განცდა ამოვიკითხე, შემეცოდა და თავი გავისულელე:

— გმადლობთ, რომ ტაქტი გამოიჩინე და შემეშვი. დროზე იგრძენი, რომ მეტი ტკივილი დამაფრთხობდა...

ეჭვით შემომხედა, მაგრამ ალბათ იმდენად უმანკო გამომეტყველება ავიფარე სახეზე, წამოეგო ანკესს. დამშვიდდა. სახე ჩემს ყელში ჩარგო და მაკოცა:

— არ შემეძლო, მხეცურად მოგექცეოდი...

მერე ჩაეძინა. მე კი ლამის დილამდე არ მომიხუჭავს თვალი და რატომღაც, ვერ მოვერიე სინანულისა და იმედგაცრუების მწარე ნაზავს.

ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი ამის შემდეგ ალბათ ის იქნებოდა, რომ გათენებისთანავე ჩვენ-ჩვენი გზით წავსულიყავით და თუ სამუდამოდ არა, კარგა ხანს მაინც მოვრიდებოდით შეხვედრას, ვიდრე უხერხულობის გრძნობა არ გაგვიქრებოდა. მშობლიურ ქალაქში რომ ვყოფილიყავით, ალბათ ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ ბათუმიდან გაქცევა მეტისმეტი იქნებოდა, ვაჟა რაღაცას იეჭვებდა და თუ ახსნა-განმარტებას მომთხოვდა, კიდევ უფრო დაიძაბებოდა სიტუაცია...

სხვა გზა არ მქონდა — ძალა მოვიკრიბე და თავის მოთოკვა ვცადე. ვაჟს დღისით ისევ არ ეცალა, მთელი დღე საქმიანი შეხვედრები და მოლაპარაკებები ჰქონდა, მე არსად წასვლის სურვილი არ მქონდა. ძილი მომერია, წინა ღამის უძილარს და კარგა ხანს არც ავამდგარვარ ლოგინიდან.

როცა გამეღვიძა, დღის ორი საათი იყო. შიმშილის გრძნობამ გამახსენა, რომ თითქმის 24 საათი არაფერი მიჭამია. ტელეფონს დავწვდი და შეკვეთა მივეცი, რომ სადილი ნომერში ამოეტანათ. მერე კი უცებ ავფორიაქდი: რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ ისევ ჩემი „სიზმრიდან გადმოსული“ ოფიციანტი მესტუმრებოდა, მერე ყვავილები და ტელეფონის ნომერი გამახსენდა, წინადღეს ჩანთაში რომ ჩავაგდე. ეჭვი არ მეპარებოდა — ყვავილებიც მან გამომიგზავნა...

არ მინდოდა, მოუწესრიგებელი დავხვედროდი, წამოვხტი და კოსმეტიკურ ჩანთას დავწვდი...

სადილი ახალგაზრდა გოგონამ მომიტანა. გამიკვირდა კიდეც, რომ ამან ძალიან დამწყვიტა გული. ლამის ჭამის სურვილიც დავკარგე. „ვაითუ, არც ის ყვავილები იყო მისი გამოგზავნილი?!“ — გავიფიქრე და კიდევ უფრო მეტად მოვიწყინე... ლამის დარეკვა გადავწყვიტე, მაგრამ ბოლოს მაინც გადავიფიქრე — არ ვიცოდი რა უნდა მეთქვა, მხოლოდ მადლობა ყვავილების გამო?! არა, ამისთვის დარეკვა ნამდვილად არ ღირდა... ■

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონით: 899.71.89.39.

მინირომანი

უცნაური ზარები

მარი ჯაფარიძე

დავითი და მისი გოგონა საუზმობდნენ. ერთი სამსახურში მიდიოდა, მეორე — უნივერსიტეტში.

— მამა, მგონია, რომ საკუთარ თავს მეტი დრო უნდა დაუთმო და ხშირად დაისვენო, — მიმართა გოგონამ.

— არც ისე ძალიან ვიღლები, — უპასუხა მამამ და გაუღიმა.

— მე იმას ვგულისხმობ, რომ უნდა გაერთო. სამსახურისა და სახლის მეტი არაფერი იცი.

— მაშინ ისიც მითხარი, სად უნდა წავიდეს გასართობად მამაკაცი, რომელსაც 6 წლის შემდეგ ნახევარი საუკუნე შეუსრულდება?..

— მამა, ასე რატომ ართულებ ყველაფერს? შენ ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი ხარ... ეგ წინადადება შეგეძლო, სხვანაირად, უფრო ოპტიმისტურად გეთქვა: „სად უნდა წავიდეს მამაკაცი გასართობად, რომელმაც 40 წელს 4 წლის წინ გადააბიჯა?“ — გოგონამ მამას თმაზე ხელი გადაუსვა და ცხვირზე აკოცა.

— რაღა დროს ჩემი ახალგაზრდობაა?! თანაც, ჩემ გარშემო ვერ ვამჩნევ ჩემზე შეყვარებულ ქალებს... ნინი, მიხარია, რომ ჩემზე ზრუნავ, მაგრამ ჩემი დრო უკვე წავიდა. რაც დედაშენმა მიგვატოვა, მას მერე ბევრი დრო გავიდა. მივეჩვიე შენ გვერდით ყოფნას და სხვა არავინ მჭირდება.

— კარგი, მამა, შენი სიჯიუტის ამბავი რომ ვიცი, აზრს ვერ შეგაცვლევინებ... გავიქეცი, მაგვიანდება.

— კარგად...

დავითი ექიმი გახლავთ. ყოველ დილით, 9 საათზე უკვე სამსახურშია და პაციენტებს მთელი გულითა და სულით ემსახურება. საღამოს შინ დაღლილი ბრუნდება.

ერთ-ერთ ასეთ საღამოს, როდესაც დაღლილი, თავის საყვარელ სავარძელში იჯდა და ტელევიზორს უყურებდა, ტელეფონმა დარეკა.

— ალო...

ყურმილში მსუბუქი ოხვრა გაისმა.

— გისმენთ, ალო...

პასუხად მხოლოდ სიჩუმე ისმოდა.

— არ ისმის, გადმორეკეთ...

არავის გადმოურეკავს. დავითმა იფიქრა, ვიღაცას ნომერი შეეშალაო და ისევ თავის საყვარელ სავარძელში ჩაეშვა.

შინ დაბრუნებულ ნინის მამა სავარძელში მძინარე დახვდა. გოგონას ამჯერად მამა დაუძლურებულ მოხუცად მოეჩვენა...

მეორე დღეს, როდესაც სამსახურიდან დაბრუნებული დავითი ის იყო, კარს გასაღებს არგებდა, ოთახიდან სატელეფონო ზარის ხმა გაისმა. აჩქარდა, კარი უცებ გააღო და ტელეფონთან მიირბინა.

— ალო, ნინი ხარ?

პასუხად ვიღაცის სუნთქვა ისმოდა.

— გისმენთ! ეს უკვე ხუმრობა აღარაა. თუ ასე გააგრძელებთ, იძულებული გავხდები, ტელეფონის ნომერი გამოვცვალო! — ჩასძახა ყურმილში და ტელეფონი გათიშა.

უცნაური ზარები მთელი მომდევნო კვირის მანძილზე გრძელდებოდა. ყურმილით ხელში ვიღაც ჯიუტად დუმდა, ხანდახან ოხრავდა და ხმის ამოღება არაფრის დიდებით არ სურდა.

დავითმა გადაწყვიტა, ყველაფერი ნინისთვის ეთქვა: მისი მიხვედრილობის იმედი ჰქონდა. იქნებ შვილს ამოეცნო, ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო.

— ნინი, რაღაც უცნაური ამბები ხდება ჩვენს სახლში, — დილით, საუზმის დროს წამოიწყო კაცმა.

— რა უცნაური ამბები, მამა?

— უკვე კვირაზე მეტია, ვიღაც ტელეფონზე რეკავს და ხმას არ იღებს. ვინმეზე ეჭვი ხომ არ გაქვს? იქნებ, შენი თაყვანისმცემელია?

— აზრზე არა ვარ, ვინ შეიძლება იყოს. არა მგონია, ჩემი თაყვანისმცემლებიდან ვინმე ასეთი მორიდებული იყოს. ახლანდელი ბიჭები მორცხვები არ არიან, თუ რამის თქმა უნდათ, პირდაპირ ამბობენ. იქნებ... — მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და მამას გადახედა.

— რაო? რისი თქმა გინდა? — თითქოს გამოცოცხლდა დავითი.

— რატომ იფიქრე, რომ ჩემი თაყვანისმცემელი რეკავს? იქნებ სულაც, შენი თაყვანისმცემელია?

— რას ამბობ, გოგო, მე ხომ უკვე 44 წლის ვარ!

— მერე რა? შენ გგონია, ეგ ისეთი ასაკია, რომელიც ქალს ხელს შეუშლის, შეგიყვაროს? შესაძლოა, რომელიმე შენს პაციენტს გაუჩნდა გრძნობა ან თანამშრომელს. მა-ა, ჩაიხედე სარკეში: შენ ხომ ძალიან სიმპათიური ხარ!.. ძალიან ლამაზი თვალები და მომხიბვლელი ღიმილი გაქვს.

— კარგი, გოგო, ნუ გამაწითლე!

— ნუ წითლდები, მერე... ხომ ხედავ, ქალებს ისევ მოსწონხარ, — ნინიკომ რძის ბოლო ყლუპი მოსვა, ჩანთას ხელი წამოავლო და გაქუსლა...

საღამოს, ტელეფონმა ჩვეულებისამებრ დარეკა. ისევ ვიღაც დუმდა.

— იცით, რას გეტყვით?!. არ ვიცი, ვინ ხართ, მაგრამ მე მეტისმეტად დიდი ვარ იმისათვის, რომ ამ თამაშში აგყვეთ. თუ ნინისთან რეკავთ, ცოტა მოგვიანებით დარეკეთ. კარგად ბრძანდებოდეთ! — დავითმა ყურმილი დაკიდა, მაგრამ თითქოს სევდა შემოაწვა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ახლახან ვიღაც ძალზე შინაურსა და ახლობელს დაემშვიდობა.

მთელი მომდევნო კვირის მანძილზე კაცი უცნაურ თაყვანისმცემელზე ფიქრობდა. მისი გონება ნაცნობ თუ უცნობ სახეებს ხატავდა. დავითი ცდილობდა, წარმოედგინა, როგორ გამოიყურებოდა მისი მდუმარე თაყვანისმცემელი. ხვდებოდა, რომ უკვე ელოდა საღამოობით ამ უცნაურ ზარს და თუ „ის“ არ დარეკავდა, რაღაც აკლდა.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა 2 დღის დუმილის შემდეგ ტელეფონმა დარეკა, დავითმა სიხარულით მიირბინა.

— ალო!

ისევ დუმილი.

— ხმა ამოიღეთ, რამე მითხარით, — ლამის შეევედრა.

ჩუმი ოხვრა გაისმა.

— თქვენი ყურადღება ძალიან მსიამოვნებს. უცნაურია, მაგრამ ეს 2 დღე რომ არ გამოჩნდით, ძალიან ვინერვიულე. მაინტერესებს, როგორ გამოიყურებით და მგონია, რომ ძალზე სასიამოვნო ხმა გაქვთ. ნახვამდის... — დავითმა ყურმილი დაკიდა, თვითონ კი კვლავ გამოცანის ამოხსნას ცდილობდა. „იქნებ, ის ქერათმიანი ექთანია, ნევროლოგიური განყოფილებიდან?.. მგონი, თინიკო ჰქვია. ხშირად შემინიშნავს, რომ უცნაურად მიყურებს. ძალიან სიმპათიური ქალია. შესაძლოა, ის არ არის... ან... ნატო... „მიმღების“ ნატო იქნება. ისეთი ტიპია, მსგავსი რაღაცის გამკეთებელია... მხიარულია და სექსუალური. ამას წინათ ისეთი კომპლიმენტი მითხრა და ისე შემომხედა, ლამის იქვე დავდნი... საინტერესოა!..“

დავითი თვალსა და ხელს შუა შეიცვალა. ჩუმი, შებოჭილი ადამიანიდან თავდაჯერებულ, ვაჟკაცურ, წელში გამართულ, მიმზიდველ მამაკაცად გადაიქცა. ეს კი ქალებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მას ნამდვილი მაჩოს გარეგნობა ჰქონდა... ჩაცმის სტილიც შეიცვალა — კლასიკური შარვლების ნაცვლად, ჯინსი შეიძინა, ფეხსაცმელიც უფრო მოხდენილი და სპორტული შეარჩია, პერანგების ნაცვლად — მაისურები. თითქოს 10 წელი მოაკლდა. თავისი ძველი „ოპელი“ გაყიდა და ახალ, „მიცუბიშის“ ჯიპში გადაჯდა.

ეს ცვლილება მასში უცნობმა თაყვანისმცემელმა გამოიწვია. ის აძლევდა ძალას საიმისოდ, რომ ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე მამაკაცად ეგრძნო თავი.

ამასობაში, ზარები კვლავ გრძელდებოდა. ერთხელ კი დავითს ნამდვილი სიურპრიზი ელოდა: როდესაც ყურმილს დასწვდა, ძალზე სასიამოვნო და ნაზი მუსიკის ხმა შემოესმა. სავარძელში მოხერხებულად ჩაჯდა, თვალები მილულა და მუსიკას ბოლომდე მოუსმინა. თან, უცნობ ქალბატონზე ფიქრობდა. „იქნებ, ეს — ნანაა? მთავარი ექიმის მდივანი... უჰ, რა ქალია! ვერასოდეს გაიგებ, რას ფიქრობს... რა მკერდი აქვს, რა ფეხები!.. ახალგაზრდობაში ასეთ ქალებზე ვაფრენდი. ძალიან მაგარი იქნება, ეს უცნობი, ნანა რომ აღმოჩნდეს. ნეტავ, ასეთი მუსიკა უყვარს?“ — ფიქრობდა დავითი.

ერთ საღამოს ნინი და დავითი წვეულებიდან ბრუნდებოდნენ. ნინიმ საჭესთან მჯდომ, წელგამართულ, მოდურად თმაშეკრეჭილ, სუნამონაპკურებ მამას გახედა და სიამაყით აივსო. „ასე მოკლე ხანში როგორ შეიცვალა!..“ — გაიფიქრა გოგონამ.

— მამა, დიდი ხანია მინდა, გითხრა, რომ ძალიან შეიცვალე და მაგრად გამოიყურები. ჩემისთანა მამა არავის ჰყავს, გეფიცები! რა ხდება შენს ცხოვრებაში?.. — ეშმაკურად გაუღიმა.

— ვცადე, შენი რჩევისთვის ყური მეგდო. მართლაც, ბოლოს და ბოლოს, სულ რაღაც 44 წლის ვარ.

— შენი საყვარელი სავარძელი სადაა? სახლში აღარ ჩანს...

— ძველი იყო ის სავარძელი. გარაჟში ჩავიტანე. და საერთოდ, მე მგონი, დროა, მთელი ავეჯის გამოცვლაზეც ვიფიქროთ.

— ვააუ, რამხელა პროგრესია! ამას ხომ დიდი ხანია, გეხვეწები, — აღფრთოვანდა ნინი, — მა-ა, ის ზარები ისევ გრძელდება?

— რომელი ზარები?

— აი, ის, ვიღაც რომ რეკავდა და დუმდა.

— ა-ა... ახლა უკვე იშვიათად. სულ არ მაინტერესებს.

— რატომ?

— ახლა ისე იშვიათად რეკავს, რომ ალბათ მალე სულ გაჩერდება.

— მაშინ ის მითხარი, გუშინ მობილურზე ქალმა რომ დაგირეკა და ეჩურჩულებოდი, ის ვინ იყო? — მკლავზე უჩქმიტა შვილმა.

— ნანა იყო, ჩვენი მთავარი ექიმის მდივანია.

— უყურე შენ!..

— ჰო... ძალიან კარგი გოგოა. შეიძლება, შემიყვარდეს კიდეც.

— მაშასადამე, ის შენი უცნობი და მდუმარე თაყვანისმცემელი — ნანა აღმოჩნდა?

— არა, ის არ იყო. რამდენჯერმე გადავუკარი სიტყვა ამ უცნაური ზარების შესახებ, მაგრამ ვერც კი მიხვდა, რას ვგულისხმობდი.

— საინტერესოა, მაშ, ვინ რეკავდა?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს. ბოლო დროს სულ უფრო იშვიათად რეკავს. ძალიან მოსაბეზრებელი კი იყო... ნანა რეალური ადამიანია, ზარები კი... არავინ იცის, ვის უჭირავს ყურმილი. გარისკვად არც ღირს...

— გეთანხმები, ჩემო სექსუალურო, ლამაზო და უმაგრესო მამიკო!..

მალე დავითმა ნანა შინ მიიყვანა და ნინიკოს გააცნო. არც ისაა გამორიცხული, რომ მათი მეგობრობა ცოლქმრობაში გადაიზარდოს. შვილს ეს ახარებს, რადგან ნანა მშვენიერი ქალია და, როგორც ჩანს, ის და მამამისი კარგად უგებენ ერთმანეთს. დავითს უცნობი თაყვანისმცემლის მიმართ ინტერესი დაეკარგა.

ძალიანაც კარგი! ნინიკოს ძალიან მოჰბეზრდა წარამარა შინ რეკვა და დუმილი... ■

დასაწყისი იხ. გვ. 67


ისინი ერთი სიყვარულით, საერთო ნიჭით ცხოვრობდნენ

სავდით კიდეც — ის ჩემი შვილიშვილის — ირინოლა ჩარკვიანის ნათლია იყო. 14 წლის ბიჭები ვიყავით, როცა ერთმანეთი პიონერთა სასახლეში გავიცანით. მე და ოთარი უნივერსიტეტშიც ერთად ვიყავით. ჩვენს თაობას „პირველ სხიველებს“ ეძახდნენ. უნივერსიტეტში გამოსულ ჟურნალ „პირველ სხივში“ ოთარი წერდა:

„მე მეშინია იმ ერთი წამის,
იმ ერთი წვეთი თაფლის თუ შხამის,
მაგრამ ცხოვრება, შლეგიც და მშვიდიც,
ჯერ ისევ მიდის, მიდის და მიდის“.

ოთარის ცხოვრება, ისევე, როგორც ყველა დიდი ხელოვნისა, შლეგიც იყო და მშვიდიც. მე ისე მიყვარდა მისი პოეზია, როცა შევიტყვე, რომანების წერა დაიწყოო, შევცბი. მაგრამ მისი რომანები მკითხველმა მაშინვე აიტაცა და მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა.

— მის ოჯახზე რას გვეტყვით?

— ოთარის ყველაზე დიდი სევდა ის იყო, რომ ძალიან ადრე გარდაეცვალა ბრწყინვალე მეუღლე — ნანა თოფაძე (ბიზნესმენ გოგი თოფაძის და გახლდათ). მართალია, მწუხარებას გაყოლილი სიხარული უკან აღარ ბრუნდება, მაგრამ დროს მაინც თავისი მშვენიერება აქვს. ნანამ ოთარს ორი შვილი — ზაზა და თაკო დაუტოვა.... არ შემიძლია, არ გავიხსენო ოთარისა და თამაზის ძმობა. „ჭილაძეები“ — ხშირ შემთხვევაში ძმებს ასე მოიხსენიებდნენ. ასეც იყო — ისინი ერთი სიყვარულით, საერთო ნიჭით ცხოვრობდნენ. ერთად რომ ყოფილიყვნენ, ოთარი თამაზთან და მათ დასთან — თინიკოსთან გადავიდა საცხოვრებლად. დღეს, როცა თამაზისა და თინიკოს ცრემლიან თვალებს ვუყურებ, ვგრძნობ, რომ დაირღვა სამთა ერთობა...

— როცა ახალ ნაწარმოებს დაწერდა, ამის შესახებ მეგობრებს თუ გესაუბრებოდათ? ახალ ლექსებს თუ გიკითხავდათ?

— არა, ასეთი რამ არ ახასიათებდა. რაც პროზის წერა დაიწყო, ცოტა გულჩათხრობილი გახდა. ბოლო 20 წელი ასე იყო: როცა ლიკანში ერთად ვისვენებდით ხოლმე, მაშინაც კი სულ იმას ცდილობდა, როგორმე განმარტოებულიყო. არადა, ახალგაზრდობაში სხვანაირი იყო — სუფრისა და ქეიფის მოყვარული, კარგი სიმღერის თქმაც შეეძლო.

— მის პიროვნულ თვისებებზე კიდევ რას გვეტყვით?

— ოთარი ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო. არ მახსენდება ერთი შემთხვევაც კი, მას ვინმეზე აუგი ეთქვას. ოთართან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ. ჩვენ საერთო ძმაკაცი გვყავდა — გივი სამსონაძე. ვერაზე ცხოვრობდა. გივიმ გადაწყვიტა, რომ მონათლულიყო და ნათლიებად მე და ოთარი აგვირჩია. სტუდენტები ვიყავით; ისეთი დრო იყო, ეკლესიაში არავინ დადიოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, მღვდელი გივის სახლში მიგვეყვანა, მაგრამ... მე და ოთარს მაშინ გაგვახსენდა, რომ მონათლულები თავადაც არ ვიყავით... გამოსავალი მალე ვიპოვეთ: გაგვახსენდა, რომ იმ ქუჩის ბოლოში თბილისის კოლორიტი — თენგიზ კეკელიძე ცხოვრობდა. მისკენ გავეშურეთ. საბედნიეროდ, სახლში დაგვხვდა. ჩვენი მდგომარეობა ავუხსენით და ვთხოვეთ, მოვენათლეთ. წამოგვყვა. იმ დღეს გივი სამსონაძის სახლში დიდი ნათლობა შედგა: მე და ოთარს თენგიზი გვნათლავდა, ჩვენ — გივის. საოცარი სანახავი იყო ეს ნათლობის დღესასწაული. ის წლები ძალიან კარგად მახსენდება... სექტემბერი მამღვრევსო, — წერდა ერთ ლექსში. სწორედ სექტემბერში გადაინაცვლა მარადისობაში — 30 რიცხვში, ჩემი დაბადების დღეს.

— ამჟამად რაზე მუშაობდა? თუ იცით, დაუმთავრებელი ნაწარმოები ხომ არ დარჩა?

— თინიკომ მითხრა, რომანს წერდაო. დიდი ნაწილი დაწერილი ჰქონია, დამთავრება კი ვეღარ მოასწრო...

■


დღეს, როცა თამაზისა და თინიკოს ცრემლიან თვალებს ვუყურებ, ვგრძნობ, რომ დაირღვა სამთა ერთობა...

მარი ჯაფარიძე

შემდეგი 2 დღის განმავლობაში ლალი და ვასიკო უჩემოდ ურთიერთობდნენ. შინ დაბრუნებული ვასიკო გამუდმებით მასზე ლაპარაკობდა. მივხვდი, რომ ლალიმ მისი დაინტერესება მოახერხა. დაწვრილებით მიყვებოდა მთელი დღის განმავლობაში მომხდარ ამბებს და ისეთი აღფრთოვანებული იყო, რომ ეჭვი აღარ მეპარებოდა — უკან სამნი დავბრუნდებოდით.

დღეები გადიოდა, მელანოს შესახებ კი ახალი ჯერ არაფერი გაგვიგია. ლალი ჯიუტად დუმდა და ვერ დავადგინეთ, მართლა არ ჰქონდა მის შესახებ ინფორმაცია თუ საგულდაგულოდ მალავდა.

ერთ დილით, როგორც იქნა, მოვიცალე და სასაფლაოზე წასვლა დავგეგმე. ლალი და ვასიკოც მახლდნენ.

ჩემი მშობლების საფლავი მოვლილი დამხვდა. მესიამოვნა, როცა საფლავზე აბიბინებულ ყვავილებს თვალი შევავლე. მიწას ეტყობოდა, რომ ახალი მორწყული იყო.

ვასიკომ და ლალიმ სასაფლაოზე გასეირნება გადაწყვიტეს. მიხვდნენ, მარტო ყოფნა მერჩივნა. მე კი დავრჩი და იქვე ჩამოვჯექი.

კარგა ხანი იყო გასული, რაც აქ არ ვყოფილვარ და როგორც ჩანს, მაშინ გადახდილი ფული ჯერ კიდევ „მოქმედებდა“. ქვაზე დახატული დედის სურათი ცოტა გაფუჭებულიყო, ერთ თვალზე გამოსახულება გაბაცებულიყო. მივედი, ხელი გადავუსვი. მომეჩვენა, რომ იმ თვალიდან რაღაც სითბო და ტკივილი მოდიოდა...

ცრემლი თავისით ჩამომიგორდა ლოყაზე...

ის დღე გამახსენდა, როცა სასაფლაოზე მყოფმა შევიტყვე, რომ ნაშვილები ვიყავი. ისევ ის შეგრძნება დამეუფლა, რაც მაშინ — შიშის, გაოცების, შფოთის...

საკუთარ თავთანაც კი მიჭირს იმის აღიარება, რომ აღმზრდელი მშობლები ბიოლოგიურ მშობლებზე მეტად მიყვარან. არადა, დედა ისე ზრუნავს ჩემზე!.. ცდილობს, დაკარგული წლები აანაზღაუროს... თითქოს მისაღებია მიზეზი, რომლის გამოც გამაშვილეს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიპატიებია, როგორც ჩანს...

ლალი და ვასიკო რომ მოვიდნენ, უკვე დამშვიდებული ვიყავი.

— სასაფლაოს დირექტორთან უნდა მივიდეთ, — ვთქვი და წინ გავუძეხი.

— რა გინდა? — გაუკვირდა ვასიკოს.

— რა მინდა და, ფული უნდა დავუტოვო. ახალი ქვა უნდა გავაკეთებინო ან ეს შევაკეთებინო და სასაფლაოს დასუფთავებაც რომ განაგრძონ.

დირექტორის კაბინეტში ასაკოვანი დირექტორის ნაცვლად, ახალგაზრდა მამაკაცი დამხვდა.

— ბატონი ვახტანგი სადაა? — ვიკითხე.

— მამაჩემი?.. მე ვახტანგის შვილი ვარ. მამა გარდაიცვალა, მის ადგილზე მე ვარ...

— ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, —

ხელი ჩამოვართვი ახალ დირექტორს. — სასაფლაოს დირექტორობა თუ მემკვიდრეობით გადადიოდა, არ მეგონა... ახალგაზრდა კაცი იყო, დასანანია... — გულწრფელად ვთქვი.

— საოცრად დაიღუპა... მამას ამ სასაფლაოზე თავისთვის საუკეთესო ადგილი წინასწარ ჰქონდა არჩეული და შემოღობილი. ჰოდა, ერთ დღეს ვიღაც მამაკაცი მივიდა, თავისი სიმამრისთვის საფლავი უნდოდა და სწორედ იმ ადგილისთვის დაუდგამს თვალი. მამაჩემს უთქვამს, ეს ადგილი დაკავებულიაო. იმას დიდძალი ფული შეუძლევია: ოღონდ ეს ადგილი დამითმოს იმ კაცმა, ვისაც დაკავებული აქვს, მეგობრებში თავი არ მომჭრას და იმასაც გადავუხდი ფულსო. მამაჩემმა მეორე დღისთვის დაიბარა თურმე. მოსაფიქრებლად დრო სჭირდებოდა. არც მიწა ეთმობოდა და არც — ფული... იმ ღამით ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა, ადგილი დაეთმო... დილით იმ კაცს დაუკავშირდა, შეხვდა და შინ მალევე დაბრუნდა. ფული მაგიდაზე დადო და თქვა, ცუდად ვარო. „სასწრაფო“ გამოვიძახეთ, მაგრამ ვეღარ ვუშველეთ. გულის შეტევით გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე მოასწრო წინა დღის ამბების მოყოლა და ეს ყველაფერი იქიდან ვიცი.

— გამოდის, თავისი საფლავის მიწა გაყიდა თუ არა, იმ დღეს მოკვდა?!. — გაოცება ვერ დაფარა ვასიკომ.

— ჰო, ასეა. სიკვდილის წინ კი დაიბარა, ამ სასაფლაოზე არ დაგვეკრძალა.

— რას არ გაიგებ ადამიანი!.. — ჩავიბურტყუნე, მოსმენილით გაოცებულმა.

— თქვენ რა გინდოდათ? — როგორც იქნა, დაინტერესდა.

ვუთხარი, რაც მინდოდა, ფულიც დავუტოვე და წამოვედი.

მთელი საღამო მარტო ამაზე ლაპარაკობდა ვასიკო.

— ვაა, მიწა გაყიდა და მოკვდა, ტოო! — წარამარა იმეორებდა.

მეორე დღე იმ ხალხთან სიარულს მოვანდომე, ვინც ნარკობიზნესთან იყო დაკავშირებული. როგორც იქნა, გავიგე, რომ თბილისის ბაზარზე ახალი დილერი გამოჩენილა, ქალი... სახელი არ ემთხვეოდა — ქალს ელენედ მოიხსენიებდნენ.

საჭირო კაცს ვთხოვე, დაწვრილებით გაეგო ყველაფერი, მათ შორის ისიც, თუ სად შეიძლებოდა ამ ქალის ნახვა. შემპირდა, 2 დღეში დამიდგენდა.

2 დღე ისე გაიწელა, ლამის 2 საუკუნედ მომეჩვენა.

ამასობაში ვასიკოსა და ლალის ურთიერთობაში ახალი ხანა დაიწყო. ვასიკომ მის ოჯახში მისვლა და მშობლების გაცნობა გადაწყვიტა.

საღამო ხანს ორივე გავემზადეთ და ლალის სახლის კარს მივადექით.

კარგად მიგვიღეს. იმ საღამოს ლალისა და ვასიკოს ბედი გადაწყდა. როსტოვში ისინი, როგორც ცოლ-ქმარი, ისე წავიდოდნენ.

ლალი თან წამოვიყვანეთ და ჩვენთან დარჩა. მთელი ღამე ლაპარაკში გავათენეთ.

— მიხარია, რომ ბედნიერები ხართ, — გულწრფელად ვთქვი.

— შენც იქნები ბედნიერი, — ლალის შევეცოდე, როგორც ჩანს.

— იმედი მაქვს...

— მელანოს შესახებ ვერაფერი გაიგე? — მკითხა მერე.

— ვერა, მაგრამ ჩემს ბედნიერებასთან ეგ არავითარ კავშირში არაა.

— მე ვიცი, სადაცაა მელანო, — ხმადაბლა, თითქოს შიშით თქვა.

ვასიკომ გადმომხედა.

— და აქამდე რატომ არ გვეუბნებოდი? — მიუბრუნდა ლალის.

— აქამდე არ ვიცოდი, რატომ ეძებდით.

— ახლა იცი?

— კი, ახლა ვიცი. წუხელ დამირეკა და მკითხა, უტა ხომ არ გამოჩენილაო? არამეთქი, ვუთხარი და ვკითხე, რატომ დაინტერესდა? გულახდილად მიამბო.

— რაო, რა გითხრა?

— უტას ძველებურად ვუყვარვარ, მე კი აღარ მიყვარს, აქაური ბიზნესმენი გავიცანი და იმას უნდა გავყვე ცოლად, უტა კი მეხვეწება, რომ მას გავყვე და თუ სხვაზე ფიქრს გავბედავ, მოკვლით მემუქრება; ხომ იცი, როგორია, მუქარას აუცილებლად შემისრულებს, ამიტომ მისი სახლიდან წამოვედი და ვიმალებიო.

მე და ვასიკო გაოცებულები ვისმენდით ამ ზღაპარს.

— ჰო, სიმართლე უთქვამს... მერე, რატომ გადაწყვიტე, რომ ახლა უნდა გეთქვა ეს ამბავი?

— დღეს ძალიან ბედნიერი ვარ... მე და ვასიკო ოჯახს ვქმნით. მიყვარს ეს კაცი. ასე მოკლე ხანში, სულ რაღაც 12 დღეში ისე მომხიბლა, რომ მზად ვარ, სიკვდილამდე ვემსახურო და მისი ერთგული ვიყო. ჰოდა, მინდა, რომ ჩემ გარშემო ყველა ბედნიერი იყოს და ამიტომ გადავწყვიტე მეთქვა, სადაა მელანო.

— კარგი გოგო ხარ! აბა, გვითხარი, სადაა, — ვასიკომ ხელი მოხვია და მკერდზე მიიკრა ქალი.

— ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა და პირობა დამადებინა, რომ არავის ვეტყვი.

— ჩვენ ხომ გვეტყვი? — თავზე აკოცა ვასიკომ.

— კი, — გაბუტული ბავშვივით დაუკრა თავი.

ნომერი მოსკოვის იყო. გამოდის, მელანო მოსკოვში იმყოფებოდა. აქ ტყუილად ვეძებდით.

2 დღის შემდეგ ეს ცნობა ჩემმა ინფორმატორმაც დაადასტურა და მაუწყა, რომ ვინმე ელენე მოსკოვშია, აქ კი თავისი ხალხის მეშვეობით შემოაქვს წამალი. როგორც ჩანს, ნიადაგს ამზადებდა აქ გადმოსასვლელად.

გადაწყდა, რომ 2 დღეში უკან დავბრუნდებოდით.

ლალი და ვასიკო ვერ დავითანხმე, რომ როსტოვის რეისით წასულიყვნენ. ვასიკო ჩემთან ერთად წამოვიდა, მარტო არ დამტოვა. შინ წასვლას ყოველთვის მოვასწრებ, შენი მიტოვება ამ გადამწყვეტ მომენტში არ შეიძლებაო. ვუთხარი, ახალდაქორწინებულთათვის საკადრის პირობებს ვერ შეგიქმნით-მეთქი, მაგრამ დამამშვიდეს...

სახლის კარი შევაღე თუ არა, მაშინვე ტელეფონმა დარეკა.

ხმაზე ვიცანი, ალექსანდრე ვერტიუკოვი იყო, რომელმაც თბილისში წასვლამდე დამირეკა.

— შინ ხართ? — სერიოზული ხმით მკითხა.

— დიახ.

— ნახევარ საათში თქვენთან ვიქნები, — მომიჭრა და ყურმილი დაკიდა.

მისი ასეთი თავხედური საქციელი მაბრაზებდა, მაგრამ არ მაღიზიანებდა.

ზუსტად ნახევარ საათში კარზე ზარი დაირეკა...

შუახნის, სიმპათიური მამაკაცი სერიოზული სახით მათვალიერებდა. ეს კაცი თითქოს მეცნობოდა. მის ზურგს უკან კი 4 ახმახი იდგა და მიბღვერდა. მივხვდი, ერთი არასწორი, მკვეთრი მოძრაობა და „ტრუპი“ ვიყავი.

დასასრული შემდეგ ნომერში

აკრძალული ოცნებები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №38-40

ლელუკა ერთი პატარა, გამხდარი, უფრო სწორად, გალეული ქალი აღმოჩნდა. მას ცალ ხელში სიგარეტი ეჭირა, მეორე ხელით კი ცდილობდა, დაეკავებინა მოკლე ღვედზე გამობმული ფოქსტერიერი, რომელიც ხმამაღლა ყეფდა და მთელი ძალით პატრონისგან დასხლტომას ლამობდა. არც ისე ახალგაზრდა ქალს თეძოებზე შემოტკეცილი ჯინსის შარვალი და ალუბლისფერი თხელი სვიტერი ეცვა. თმა საგულდაგულოდ დაევარცხნა და კინკრიხოზე ბუდესავით დაემაგრებინა, მეტყველი ცისფერი თვალები ამავე ფერის ჩრდილით წვრილად ჰქონდა მოხატული. ყველაზე მეტად, ნინი მისმა ხმამ გააოცა, ბოხმა და ჩახრინწულმა. „ეს, ალბათ, სიგარეტის ბრალია“, — დაასკვნა გოგონამ თავისთვის.

— ეს შენ ხარ უსახლკარო არსება? — გაიღიმა ლელუკამ და გოგონა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა. — წამოდი, საყვარელო, არ უსმინო მაგ გადარეულს, — გიოს მისამართით თქვა ქალმა და ახალ მდგმურს წინ გაუძღვა.

სახლს გვერდიდან მოუარეს და ნახევარსარდაფს მიადგნენ.

— აქ მხოლოდ ერთი ოთახი მაქვს თავისუფალი, მაგრამ თავისი აბაზანითა და სამზარეულოთი; სხვებისგან იზოლირებულად იქნები, ჩემო კარგო, — ქალმა კარი გააღო და ნინის შიგნით შეუძღვა, — იქით არავინ ცხოვრობს, ძველი ნივთების სათავსი მაქვს გაკეთებული, მაგრამ შენ ხელს არაფერში შეგიშლის, დაკეტილია. ამ დივანს ადვილად გაშლი და საწოლად გადააკეთებ, როცა დაძინება მოგინდება. თეთრეულს და პირსახოცს ახლავე ჩამოგიტან. სამზარეულოსთვის საჭირო ატრიბუტებსაც მოგცემ — ტაფას, ქვაბს, თეფშებს... ყველაფერს, რაც პირველ ხანებში დაგჭირდება. აბა, რას იტყვი, „წავა“? უკმაყოფილო ხომ არ დამრჩები?

— რას ამბობთ, შესანიშნავია, ძალიან დიდი მადლობა, ქალბატონო... მაგრამ აქედანვე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ აქ დიდხანს დარჩენა არ მომიწევს... მალე წავალ...

ლელუკა ამ ამბავს ოდნავადაც არ აღუშფოთებია.

— ჩემთან დიდხანს ისედაც არავინ რჩება, საყვარელო. ადამიანები მოდიან და მიდიან, მაგრამ ამის გამო არ ვბრაზდები, ყველას თავისი გზა აქვს. მე თითქოს გამშვები პუნქტის როლს ვასრულებ მათ ცხოვრებაში, — გაიცინა ქალმა, — ჰო, მართლა! თანხა იცი, რამდენი უნდა გადამიხადო?

— არა, არ ვიცი... ეს არ უთქვამთ ჩემთვის...

— მოდი, ჯერ სამოცი დოლარი მომეცი... შენ ხომ არ მუშაობ... ცოდო ხარ. გასწვდები? ისე, ას დოლარად ვაქირავებ, რომ იცოდე.

— არა, ჯერ არ ვმუშაობ, — მხრები აიწურა ნინიმ, — მაგრამ ორშაბათიდან შევუდგები სამსახურის ძებნას. ჯერ მაქვს ცოტა ფული. ასე რომ, არ დაგაღალატებთ.

— რა სამსახურს ეძებ, თუ საიდუმლო არ არის? მსახიობი ხარ თუ მოდელი?

— ღმერთო, არა, რა თქმა უნდა! — მიუხედავად იმისა, რომ უსიამოვნო დღე ჰქონდა, ნინის გულიანად გაეცინა. — რატომ დაასკვენით, რომ მაინცდამაინც მსახიობი ან მოდელი უნდა ვყოფილიყავი?

— რა ვიცი, გენაცვალე, შენი გარეგნობის გოგო სხვა პროფესიის ვერც წარმომიდგენია, — თბილად უპასუხა ლელუკამ და კიდევ ერთხელ, ახლა უფრო დაკვირვებით შეათვალიერა.

— ჩვეულებრივი მდივნის ადგილიც კი მაკმაყოფილებს, თუ გამოჩნდა. ისე, პროფესიით იურისტი ვარ, — მორცხვად ჩაილაპარაკა გოგონამ.

— ო! ეს საინტერესოა! — ლელუკამ პატივისცემით ახედა ახალ მდგმურს. — ჩემი მდგმურები ძირითადად, ოფიციანტებად ან გამყიდველებად მუშაობენ, თან არ კარგავენ იმედს, რომ ოდესმე მათ ვინმე შეამჩნევს და ერთი საფეხურით მაღლა ავლენ... აბა, შენ იცი, საყვარელო, მოეწყვე, დაისვენე... მაცალე, ჩაპა, ნუ გაგიჟდი! — დაუცაცხანა ძაღლს და კარისკენ გაემართა. — მერე ამოდი ჩემთან, მაღლა, ყავა დავლიოთ და უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი, ცოტა წავიჭორაოთ. აგიხსნი, სად რა მაღაზიაა, რომელში უფრო სიიაფეა, რა წესებია დასაცავი ჩემს სახლში და ასე შემდეგ. მე და ჩაპა სამზარეულოში დაგელოდებით, — ამ სიტყვებით ლელუკამ თვალი ჩაუკრა ნინის და კარი მიიხურა.

ნინის მადლიერი ღიმილი აღებეჭდა სახეზე.

— გმადლობთ, ძალიან გულისხმიერი ადამიანი ხართ, — მიაძახა გასულ დიასახლისს.

უეცრად კარი ისევ გაიღო და ლელუკამ თავი შემოყო.

— რისი მადლობა, გენაცვალე?! შენ გიომ გამოგგზავნა ჩემთან, მე კი მისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მოისურვებს. გადარეული კი არის, მაგრამ ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანია, დავალებული ვარ მისგან.

„მეც“, — ღვარძლიანად გაიფიქრა ნინიმ და ახალ ნაცნობს თბილად გაუღიმა.

ოთახი საკმაოდ დიდი იყო, ავეჯი — გემოვნებით შერჩეული და მოხერხებული. დიასახლისს ყველაფერი დაეწკრიალებინა, საოცარი სისუფთავე სუფევდა ირგვლივ. ნინიმ ჩანთა გახსნა და ტანსაცმელი კარადაში შეალაგა.

თანხა, რომელიც ლელუკამ დაუსახელა, ძალიან დაბალი იყო თბილისის კვალობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ოთახი ნახევარსარდაფს წარმოადგენდა. სამზარეულოც დიდი აღმოჩნდა, რამაც ნინი გააოცა. იქ ისეთი სიმყუდროვე იგრძნობოდა, უკეთესს ვერც ინატრებდა. აბაზანაც კეთილმოწყობილი იყო, ახალგარემონტებული... ასე რომ, ამ ქალს რომ მოენდომებინა, ას დოლარად კი არა, უფრო მეტადაც შეძლებდა გაქირავებას...

თავი მოიწესრიგა თუ არა, მაღლა ავიდა, რათა ლელუკა ენახა. იგი ჩაპასთან ერთად, სამზარეულოში დახვდა. ფოქსტერიერი კვლავ ყეფით შეეგება.

— ჩაპა! გეყოფა, გადი აქედან! — დაუ-

ცაცხანა ქალმა. — შენ აწი უკვე უნდა ცნობდე, ვინ არის მტერი და ვინ — მოყვარე, დებილო ძაღლო!

— ნაგაზივით ტემპერამენტი აქვს, — განმარტა ლელუკამ, — ვერა და ვერ მოვარჯულე, ვერ შევუცვალე ხასიათი. ყველას ასე უყეფს, ვინც უნდა მოვიდეს. არ ვიცი, რა მეშველება!.. აი, ის სკამი მოაჩოჩე და დაჯექი! არა, იქ არა, აქ! ის ჩაპას ადგილია და შეიძლება, ამის გამო გაგიჟდეს, — გაიღიმა დიასახლისმა და ყავის მადუღარაში წყლის ჩასხმას შეუდგა, — ტკბილი გიყვარს, თუ?..

— მე უშაქროს ვსვამ... — მორიდებით ჩაილაპარაკა ნინიმ და მითითებულ ადგილზე დაჯდა.

ლელუკამ ყავა წამში მოადუღა, კერამულ ლამაზ ფინჯნებში ჩამოასხა და ნაღებთან ერთად, მაგიდაზე დადგა, თან სინზე დაწყობილი ნამცხვარიც მოაყოლა.

— აბა, მომიყევი შენზე: ვინ ხარ, საიდან მოხვედი, რა გეგმები გაქვს... — სთხოვა ლელუკამ და სანთებელას გაჰკრა სიგარეტის მოსაკიდებლად. — რამდენი ხანია, ჩემს მეგობარ გიოს იცნობ?

გიოს ხსენებაზე ნინიმ სასწრაფოდ დადგა ყავიანი ფინჯანი მაგიდაზე, რადგან ხელები აუკანკალდა.

— მე... არც ისე დიდი ხანია... ძალიან ცოტა... — ჩუმად წარმოთქვა.

ან კი რას მალავს? თქვას ყველაფერი ისე, როგორც იყო, სიმართლის თქმის შემთხვევაში, თუნდაც ქუჩაში აღმოჩნდეს.

— გულახდილად რომ გითხრათ, სულ ორი საათია, რაც გავიცანი. მე... მე სხვა ადამიანს ვეძებდი და...

— ესე იგი, ბედნიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, — მშვიდად შენიშნა ლელუკამ.

— მე ასე ვერ ვიტყოდი, — მორცხვად გაიღიმა ნინიმ და დიასახლისს მზერა აარიდა.

ლელუკამ გადაიკისკისა.

— გამოდის, რომ იჩხუბეთ... გადასარევია! დიდებული რამეა ასე დაწყებული ურთიერთობა!

— ვშიშობ, ის ასე არ ფიქრობს, — ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა გოგონამ.

— არც მიკვირს, ჩემო კარგო. ლამისაა, ჯოხით უწევს ქალების მოგერიება იმ დღიდან, რაც ფეხი აიდგა! ახლა კი ისეთი ამბავია, დედა შვილს არ აიყვანს ხელში. ყველას უნდა, ცნობილი ტელევარსკვლავის ყურადღება მიიქციოს. მოსვენებას არ აძლევენ გოგონები.

— ტელევარსკვლავის? — დაბნეულად გაიმეორა გოგონამ.

აი, თურმე, რატომ ეჩვენა მისი სახე ასე ნაცნობად! ღმერთო, რა შტერია! ახლაღა მიხვდა, ვის ელაპარაკებოდა ასე უკმეხად. ნუთუ გიორგი რობაქიძეს?! ყველაზე გახმაურებული პოლიტიკური ტოქშოუს ყველაზე აღიარებულ წამყვანს!.. ხომ ამბობდა, სადღაც მინახავსო! აქამდე როგორ ვერ მიხვდა?!

— რობაქიძეა, არა? ხომ არ ვცდები? — წამოიძახა უცებ და დიასახლისს შეაჩერდა.

— არ ცდები, საყვარელო! ის არის, — უპასუხა ლელუკამ, კმაყოფილმა გოგონას რეაქციით — ვფიქრობ, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს, რატომღაც, ძალიან მომეწონე, — დაამატა ბოლოს და უცებ მოიქუფრა: — გიო ხანდახან ძალიან უხეშია, მაგრამ რას იზამ, სამუშაო აქვს ისეთი... ნებისმიერს უმტყუნებს ნერვები. სამაგიეროდ, გული აქვს უთბილესი... სხვანაირად შენ ჩემთან ვერ მოხვდებოდი, საყვარელო. ის კი არა, ვიღაც ნათესავი შემოისახლა ისე, ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, სჭირდებოდა თუ არა ეს. ჩემი აზრით, დიდი სისულელე ჩაიდინა.

ამის გაგონებაზე ნინის ნამცხვარი სასულეში გადასცდა და ხველა აუტყდა.

— ალალი იყოს, რა დაგემართა?! მოდი, ზურგზე დაგარტყა ხელი, — ალერსიანად თქვა ქალმა და გოგონას ზურგზე გაშლილი ხელისგული დაუტყაპუნა.

— თავისი ნათესავი თუ?.. — სული რომ მოითქვა, პირველი ეს იკითხა.

— თითქმის ნათესავი... — დააზუსტა ლელუკამ. — უფრო სწორად, სიძე, ბიძაშვილის ქმარი. გიო და თაკო ერთად გაიზარდნენ, ის გოგო ძალიან ძვირფასია მისთვის, სამსახურიც კი დააწყებინა თავისთან ტელევიზიაში, ხელი შეუწყო, გაქაჩა... მაგის ქმარი კი ერთი უსუსური და ხელით სათრევი ბიჭი აღმოჩნდა... მაგრამ რას იზამს, მაინც სიძეა და უნდა დაეხმაროს...

ნინიმ საშინელი სიცივე იგრძნო, ტანში უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. ამის მოსმენას სიკვდილი ერჩივნა! ცნობილი ტელეწამყვანი და მისი მწვალებელი თურმე თაკოს ბიძაშვილია! თაკო კი თორნიკეს ცოლი! აი, ბედის ირონია რას ჰქვია! ეს უნდოდა ახლა?! „მე კი დიდი თავმოწონებით გამოვცხადდი მის სახლში და მისი ბიძაშვილის ქმარზე ჩემი პრეტენზიები წამოვაყენე! ვაიმე, რა სირცხვილია! ეს რა ჩავიდინე?! ოჰ, თორნი, თორნი! ეს რა დღეში ჩამაგდე, რატომ არ გამაფრთხილე თავიდანვე?!“ — მოთქვამდა გულში, სასოწარკვეთილი.

„თორნიკემ რა იცოდა, თავქუდმოგლეჯილი მართლა რომ გაიქცეოდი თბილისში?! — ნიშნის მოგებით ჩასძახა შინაგანმა ხმამ. — ეს ხომ მთლიანად შენი ინიციატივა იყო, შენ თვითონ მიიღე გადაწყვეტილება ისე, რომ დაქალსაც არ მოუსმინე. ჰოდა, ახლა თავადვე აგე პასუხი მომხდარზე!“ — არ ასვენებდა გაგულისებული მეორე „მე“.

ლელუკამ შეშფოთებით შეხედა გაფითრებულ მდგმურს.

— რამე მოხდა? ისეთი სახე გაქვს, თითქოს მოჩვენება დაგენახოს.

— არა, არაფერი... — ნაძალადევად გაიღიმა ნინიმ. — მგონი, ნამცხვარი ზედმეტი მომივიდა, თან სასულეში რომ გადამცდა, ცოტა უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა.

— სხვათა შორის, საჭმელზე უნდა მეთქვა რაღაც, — ლელუკამ მაგიდის კიდისკენ გაიწვდინა ხელი, სადაც გაზეთების დასტა იდო და ცისფერი კონვერტი აიღო, მერე ჯიბიდან კალამი ამოაძვრინა, კონვერტი ამოაბრუნა, რაღაც ხაზები გაავლო და ახსნას შეუდგა. — ეს ჩვენი ქუჩაა; აი, აქ რომ შეუხვევ, ას მეტრში დიდ სუპერმარკეტს მიადგები. იქ იყიდი ყველაფერს, რაც დაგჭირდება, ხილ-ბოსტნეულსაც და პროდუქტებსაც. შაქარი-მაქარი, პური-მური და რა ვიცი, რაც გაგიხარდება, სულო და გულო! ოღონდ საფულეს კარგად გაუფრთხილდი — იქაურობა ჯიბგირებითაა სავსე, იცოდე!

ერთი საათის შემდეგ გაბრუებული ნინი ჰაეროვანი ნაბიჯებით მიუყვებოდა ქუჩას, თან გონებაში ლელუკასთან საუბარს აანალიზებდა. დიასახლისმა ტაქტის უჩვეულო დაცვით გამოჰკითხა ყველაფერი, რაც აინტერესებდა — ნინის დაბადებიდან დღემდე. გოგონას დასამალავი უკვე აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ მაინც დაიზღვია თავი და არ გაუმხილა ქალს თბილისში მისი ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი. ისედაც ზედმეტი თქვა მისი და თორნიკეს ურთიერთობის შესახებ, თუმცა სასიყვარულო რომანი არ უხსენებია. ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს და თბილისში სამსახურის დაწყებას შემპირდა, ამიტომაც ჩამოვედიო, აუხსნა ლელუკას. იმედია, გიო არ მოუყვება მას, რა სისულელეებიც ელაპარაკა სიძეზე, თორემ ამ ქალმა შეიძლება ყველაფერი სხვანაირად გაიგოს და არ მოუწონოს საქციელი! იმისთვის, რომ კიდევ რამე არ დასცდენოდა, მოიმიზეზა, საყიდლებზე უნდა გავიდეო და დროებით დაემშვიდობა დიასახლისს...

უმისამართოდ დაუყვა დაღმართს... მიწისქვეშა გადასასვლელთან ქუჩის მუსიკოსები ისხდნენ და რომელიღაც ინგლისურ მელოდიას აკვნესებდნენ გიტარასა და კლარნეტზე. იქვე ნამდვილი ბაზრობა იყო გაჩაღებული. ზოგი ხილ-ბოსტნეულს ყიდდა, ზოგი თევზს, პურს... ზოგიც — ნახმარ ტანსაცმელს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მოსაღამოე-

ბული იყო, ხალხი ბლომად ირეოდა ბაზრობაზე. ნინიმ ჩანთა კისერზე ჩამოიკიდა და მკერდზე მჭიდროდ მიიხუტა იმის შიშით, ვინმემ ხელიდან არ გამომტაცოსო. ცოტა კიდევ რომ გაიარა, სუპერმარკეტიც გამოჩნდა. შვებით ამოისუნთქა. შევიდა მაღაზიაში და აუჩქარებლად შეარჩია დახლებზე კოხტად დალაგებული საჭირო პროდუქტები და სალაროსთან მივიდა. მის წინ რიგში ახალგაზრდა წყვილი იდგა, მათ ხელი ჩაეჭიდათ ერთმანეთისთვის და რაღაცაზე გულიანად იცინოდნენ. ნინიმ თავისი თავი და თორნიკე წარმოიდგინა მათ ადგილას და გული მოეწურა. აი, ისინიც ასე ივლიდნენ მარკეტიდან მარკეტში, დახლიდან დახლთან, ერთად შეარჩევდნენ სასურველ საქონელს და მერე ხელიხელჩაკიდებულნი გაუყვებოდნენ გზას შინისაკენ...

გარეთ გამოსულმა თავი გადააქნია, რათა ასეთი სისულელეებზე მეტად აღარ ეფიქრა. იმის შემდეგ, რაც დღეს გადაიტანა, ნაკლებსავარაუდოა, ოდესმე შეხვდეს თორნიკეს და მათი ურთიერთობა გაგრძელდეს. მას სხვანაირად ჰქონდა დაწყობილი გეგმები, სულ სხვა რამეს მოელოდა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ახლა კი... არ არის გამორიცხული, დამოუკიდებლად მოუწიოს ცხოვრებამ ამ მკაცრ, მაგრამ ლამაზ ქალაქში. არის კიდევ ერთი ვარიანტი — ბათუმში დაბრუნდეს. იქნებ აღიდგინოს კიდეც თავი ძველ სამსახურში? რა მოხდა მერე, თუკი არ გაუმართლა? ყველაფერი ხდება. ლენუკამ, იმედია, ყველას არ მოსდო, რის გამოც დატოვა მშობლიური ქალაქი. ნინიც იტყვის, რომ თბილისში ახალი სამსახურის შოვნა არ გამოუვიდა და უკან დაბრუნება არჩია. რა არის ამაში საჩოთირო?..

არა, არა, ეს შეუძლებელია! გაგიჟდება დედამისი, ისედაც ჭკუაზე არ იყო, როცა თავისი განზრახვა გაანდო, ნერვიულობისგან ლამის შეიშალა ქალი. მოიცა, ნინი, ჯერ ხომ ყველაფერი არ არის დაკარგული, რა იცი, რა ხდება?! წინასწარ რატომ კარგავ იმედს?! ჯერ ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ხელი ჩაიქნიო და არც ისეთი შეცდომა მოგსვლია, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია. შენ კარგი სპეციალობა გაქვს, რომლითაც ადვილად შეძლებ თავის რჩენას! კი, როგორ არა! ხვალვე მოგართმევენ იურისტის ადგილს! აპლოდისმენტებით გელოდებიან ყველგან! ეჰ... მერე რა, ხვალ თუ არა, მომავალში მაინც იშოვის სათავისო სამსახურს. ჯერ უბრალო ადგილს მოძებნის, მაგალითად, რომელიმე დირექტორის მდივნის ან რაიმეს ამდაგვარს, შემდეგ კი... მოახერხებს რამეს, არ დარჩება შეუმჩნეველი! — შეუძახა საკუთარ თავს და თავაწეული გაუყვა სახლისკენ მიმავალ აღმართს...

ოთახში შესულმა პროდუქტი პარკებიდან ამოალაგა და მაცივარში შეაწყო. მერე ერთი ცალი კვერცხი და ორი სოსისი შეიწვა და სუფრას მიუჯდა. რაც მთავარია, ახლა სულით არ უნდა დაეცეს, ძალები მოიკრიბოს და ორშაბათიდან დაიწყოს სამსახურის ძებნა. იქნებ, ლელუკაც დაეხმაროს რამეში... დიასახლისის სახელის წარმოთქმისას დაქალი გაახსენდა. იქ ლენუკა ჰყავდა, აქ ლელუკა ჰყავს... მოეწონა ამ ქალს, გადასარევად მიიღო, გული გადაუშალა... ქვაბებით და ჯამ-ჭურჭლითაც მოამარაგა... ტელევიზორსაც კი შეჰპირდა, გათხოვებო... კარგი კი იქნებოდა, რაღაცით ხომ უნდა გაილამაზოს მარტოობა! რას იფიქრებდა, ასე ეულად თუ დარჩებოდა ამხელა ქალაქში?!.

ის იყო, ჭამას მორჩა, რომ კარი გაიღო და ლელა გამოჩნდა, ვიღაც მსუქან მამაკაცთან ერთად, რომელსაც ორივე ხელში დიდი ტელევიზორი ეჭირა და ხმამაღლა ქოშინებდა.

— სად დავდგათ, ნინი, რომელ კუთხეში გირჩევნია? — საქმიანად იკითხა დიასახლისმა.

გოგონა იმდენად დააბნია მოულოდნელი სტუმრების გამოჩენამ, თვალებგაფართოებულმა მხრები აიჩეჩა მხოლოდ.

— უი, ვახშმობდი? მოგიკვდეს ჩემი თავი, საყვარელო, ეგ არც მიფიქრია, თორემ ცოტა მერე მოვიდოდი. გრიშა, აგერ დადგი, გენაცვალე, ტუმბოზე... ფრთხილად, არ გაგივარდეს, შე კაცო! — მსუბუქად უსაყვედურა ქალმა მუშას და ხელი შეაშველა, რომ ტელევიზორი მოხერხებულად დაედგა მითითებულ ადგილზე.

— რატომ შეწუხდით, ქალბატონო?.. — თავი უხერხულად იგრძნო ნინიმ.

— არაფერიც არ შევწუხდი. ხომ შეგპირდი, მოგიტან-მეთქი! ჰოდა, შევასრულე პირობა. აბა, როგორ მოეწყვე? ხომ არ მოიწყინე?

— ცოტათი კი მოვიწყინე... იქ მიჩვეული ვიყავი მეგობრებთან, მეზობლებთან ყოფნას, ყოველდღე ვიღაც მოდიოდა ჩვენთან... ასე მარტო პირველად ვარ ცხოვრებაში, მაგრამ არა უშავს, რაღაც იქნება, შევეჩვევი ალბათ... სანამ სამსახურს ვიშოვი, გავიჭირვებ...

— მაგაზე ნუ დარდობ. მე არ მოგაწყენ, საყვარელო. ამ ეზოში სხვა მდგმურებიც არიან, იმათაც გაგაცნობ. მისვლა-მოსვლა და მხიარულება ჩემი მოგონილია, შენ რა გგონია?! ოღონდ „ქალბატონოს“ ნუ მეძახი, ძალიან გთხოვ. ლელუკა დამიძახე და შენობით მომმართე, ვერ ვიტან ოფიციალურობას.

— კარგი, ასე მოვიქცევი, — გაიღიმა ნინიმ და ლოყები შეეფაკლა.

— ქალაქში გასვლას არ აპირებ? არაჩვეულებრივი საღამოა, გაიარე, გამოიარე, თვალს წყალი დაალევინე...

— ჰო, მეც ეგ ვიფიქრე... კინოში ხომ არ შევიდე-მეთქი?..

— ოოოჰ, მოგცლია ერთი! რა გაგიყვანს ახლა რუსთაველზე ან კი რა ფილმი უნდა ნახო ისეთი, რომ მოგეწონოს?.. მე არ მცალია, თორემ სიამოვნებით გამოგყვებოდი... პირველად ხარ თბილისში?

— არა, პირველად არ ვარ, ხშირად ჩამოვდიოდი ადრე... — იცრუა გოგონამ და იგრძნო, როგორ გაუხურდა ლოყები.

— აბა, მაშინ ჩემი დაკვალიანება არაფერში გჭირდება. კარგი, გაეედი, აბა, საყვარელო, და შენ იცი. ძალიან ნუ დააგვიანებ, პირველ საათზე ჭიშკარს შიგნიდან ვკეტავ ხოლმე, რომ იცოდე... ეს არის ნომერ პირველი წესი ამ სახლში.

— არა, ასე გვიანობამდე გარეთ რა მინდა?!. მალევე დავბრუნდები.

ლელუკამ ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა გოგონას და კმაყოფილი სახით დატოვა ოთახი. ნინიმ სუფრა აალაგა, ჭურჭელი დარეცხა და ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა. შავი ჯინსის შარვალი ამოიცვა, ზემოდან კი — ღრმად გულამოჭრილი მწვანე მაისური. ძალიან მოსწონდა თავი ამ ფორმაში, ძალზე მიმზიდველად გამოიყურებოდა.

ფეხით ჩამოვიდა ჭავჭავაძის გამზირზე და ტროტუარს გაუყვა, თან ლამაზად განათებულ ვიტრინებს ათვალიერებდა. ამწუთას მართლაც, არ იყო ფილმის ყურების ხასიათზე, თორემ ნამდვილად არ ეზარებოდა რუსთაველზე გასვლა. ცოტას გაისეირნებს, საღამოს ჰაერს ჩაყლაპავს და მიბრუნდება, მერე წყალს გადაივლებს და დაღლილს კარგად დაეძინება, თუ, რა თქმა უნდა, თორნიკეზე ფიქრმა არ გაუკრთო ძილი...

ამაზე ფიქრისას რომელიღაც რესტორანს ჩაუარა. იფიქრა, შევალ და წვენს მაინც დავლევო... ის იყო, თავისი განზრახვის ასრულება გადაწყვიტა, რომ უეცრად გვერნაკბენივით შეხტა. უზარმაზარ შუშის ვიტრინაში მაგიდასთან მჯდომ, ნაცნობ სილუეტს მოჰკრა თვალი...

მამაკაცმა ხელი აიქნია, როგორც ჩანს — ოფიციანტი იხმო... ნინიმ მაშინვე იცნო იგი. ამჯერად გიო იმ ულალთმიან ლამაზმანთან ერთად არ იყო, რომელიც დილით გამოეცხადა მის სახლში. ეს ვიღაც, ქერათმიანი მომხიბვლელი გოგონა გახლდათ, რომელსაც ძალზე ელეგანტური ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა... როგორც ჩანს, ულალთმიანი ხათო „დესერტად“ მოიტოვა ცნობილმა ჟურნალისტმა. აბა, ღამეს ნინისავით მარტო ხომ არ გაატარებს!.. გოგონამ ტუჩი აიბზუა, სადღაც, გულის რომელიღაც კუნჭულში შეეცოდა კიდეც ქერათმიანი... ნეტავ იცოდეს, როგორ მექალთანესთან დაიჭირა საქმე!

ქერათმიანს ეტყობოდა, რომ მართლაც, ეჭვი არ ეპარებოდა გიორგი რობაქიძის დონჟუანობაში. ანთებული თვალებით შესცინცინებდა მამაკაცს. არც ის რჩებოდა ვალში: ისეთი დამთბარი ჰქონდა სახე, ნინის გაუკვირდა კიდეც. დილით ეს კაცი იმდენად ამაზრზენად და მედიდურად იქცეოდა, თითქოს მის წინ ლამაზი გოგო კი არა, ქუჩის მათხოვარი მდგარიყო; ახლა კი ისე გარდაქმნილიყო, ძნელად თუ შეიცნობდი მასში დილანდელ მასპინძელს, რომელმაც ასე ცივად მიიღო და ლამის კინწისკვრით გამოაგდო დაუპატიჟებელი სტუმარი სახლიდან.

უეცრად რესტორნის წინ ტაქსი გაჩერდა, რომლიდანაც სამი ტანადი გოგონა გადმოვიდა. ისინი სიცილ-კისკისით აუყვნენ რესტორნის კიბეს... ნინი გონს მოეგო. რას დამდგარა აქ, ობოლი ბავშვივით და ვიტრინაში იჭვრიტება?! მაინცდამაინც იმას უნდა დაელოდოს, როდის მოაბრუნებს გიო თავს და დაინახავს?!. შეშინებულმა ირგვლივ მიმოიხედა და სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას. წვენის დალევის სურვილმა გადაუარა. პირველად იგრძნო თავი მარტოსულად და სევდა შემოაწვა...



გიო ერთხანს ჩაბნელებული ვიტრინის მიღმა იყურებოდა, ფიქრებით კი სხვაგან ქროდა. კრისტის არ გამოჰპარვია ეს და ქალურმა ცნობისმოყვარეობამ სძლია. გოგონა თავისი მოვლილი თითებით ოდნავ შეეხო მამაკაცის მაჯას.

— რამე მოხდა, გიო?

მამაკაცი თითქოს შეკრთაო, ფიქრებიდან გამოერკვა, ფანჯარას თვალი მოაცილა და ნაძალადევად გაიღიმა.

— არა, არაფერი... მაპატიე. ვიფიქრე... იქ, ქუჩაში... თითქოს ნაცნობი სახე დავინახე.

კრისტიმ ეჭვნარევი მზერა ესროლა კავალერს და თავადაც გაიხედა ვიტრინის მიღმა.

— არაფერი ჩანს! იქნებ გინდა, გახვიდე და შეამოწმო? არ არის პრობლემა...

— არა, რა თქმა უნდა, — დამნაშავესავით აარიდა თვალი გიომ ლამაზმანს და ოდნავ გააქნია თავი, — როგორც ჩანს, მომეჩვენა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ამას მნიშვნელობა არა აქვს, — მცირე პაუზის შემდეგ კი დაამატა: — არანაირი მნიშვნელობა.

„არა, რა საჭირო იყოს ამის თქმა?! — თავისთვის გაიფიქრა გიომ გულში. — ან კი საერთოდ, რამის თქმა! როცა ასეთ ქალთან ხარ, შეიძლება, ვიღაც გზააბნეულზე იფიქრო?!.“

ნინის ეგონა, ღამის გასეირნების შემდეგ რული ადვილად მოერეოდა და დილით, გამოძინებული, კარგ ხასიათზე გამოიღვიძებდა. მაგრამ ძილი, თითქოს ჯიბრზე, არა და არ ეკარებოდა. დივანი მოხერხებული იყო, რბილიც, მაგრამ ოთახში სუნთქვა არ შეიძლებოდა. გოგონამ ფანჯრები ფართოდ გააღო, მაგრამ უჰაეროობისგან ფარდები ერთხელაც არ შერხეულა. აბა, რომელი ნიავი შემოაღწევდა ამ სარდაფში?! კიდევ კარგი, კოღოები არ დაესია წუილ-წუილით, თორემ მერე ენახა, რა დროს გაატარებდა!.. საათს დახედა, სამი ხდებოდა უკვე. ღამის გათენებულა, მან კი თვალიც ვერ მოხუჭა. ალბათ ძალიან იმოქმედა დილანდელმა ამბავმა... გარდა ამისა, თორნიკესთან მომავალი შეხვედრაც აღელვებდა. როგორ ახსნიდა ვაუბატონი ამ ყველაფერს? კიდევ... კიდევ ის, რომ საერთოდაც, უჭირდა ნინის უცხო ქალაქში, სხვის სახლში, სხვის საწოლში დაძინება... შეუჩვეველი გარემო იყო მისთვის. რომელ ძილზე შეიძლებოდა ლაპარაკი?!

სხვა გზა არ ჰქონდა — ადგა და ფეხშიშველი სამზარეულოში გავიდა, რათა ცხელი შოკოლადი მოემზადებინა. მერე რა, რომ ვერ იძინებს?! თოკოს რომ შეხვედროდა, მასთანაც ხომ მოუწევდა უძილო ღამის გატარება! ან კი ვინ დააძინებდა? ეს ხომ მისი პირველი საქორწინო ღამე იქნებოდა!.. თორნიკე ალბათ სასტუმროში აიღებდა ნომერს, რადგან გიო სახლში არ შეუშვებდა ნინის. როცა წარმოიდგინა, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო ამ ღამით საყვარელ მამაკაცთან ერთად, ისე აუკანკალდა ხელი, ლამის ზედ გადაისხა ქაფქაფა წყალი. სასწრაფოდ შემოდგა ჩაიდანი მაგიდაზე და სკამზე ჩამოჯდა.

რა ცინიკოსია ეს რობაქიძე! თვითონ კარგად ატარებს ღამეს ქალებთან! დღეში ორს არ იცვლის, როოო?! რომ ჰკითხო, მორალისტია! დამპალი!

ნინიმ ხელისგულები შემოაჭდო გაცხელებულ ფინჯანს და თვალი გაუშტერდა. იმედია, თორნიკე გაუგებს და არ გაჰკიცხავს, მისი გაფრთხილების გარეშე რომ ჩამოვიდა თბილისში და დაუკითხავად მიეჭრა სახლში. „ერთი რამით კარგიც კია, რობაქიძემ ყველაფერი რომ გაიგო: შეიძლება, ისე გაბრაზდეს, რომ ბიძაშვილის მოღალატე ქმარი გარეთაც კი გამოაგდოს. მაშინ თორნიკე იძულებული გახდება, რაც შეიძლება სწრაფად იქირაოს ბინა“, — თავს იმშვიდებდა ნინი.

დალია თუ არა ცხელი შოკოლადი, იგრძნო, როგორ მოერია რული და მაშინვე ლოგინში შეწვა. რამდენიმე წუთიც და ძილმა მისდა უნებურად წაართვა თავი...

თორნიკე დაესიზმრა... ნინი სადღაც, უზარმაზარი მინის კედელთან იდგა, რომლის მიღმაც მისი საყვარელი მამაკაცი მოჩანდა. გოგონა გამწარებული აკაკუნებდა მინაზე, ეძახდა, თორნიკეს კი არ ესმოდა, ერთხელაც არ მოუხედავს მისკენ. მერე ნინიმ მუშტები დაუშინა კედელს მთელი ძალით, შეაზანზარა იქაურობა და... მოულოდნელად ვეებერთელა მინა ნამსხვრევებად იქცა... ის კვლავ ეძახდა მამაკაცს, კვლავ უხმობდა თავისკენ, მაგრამ — ამოოდ... უეცრად ვიღაცამ მძლავრად ჩაავლო ხელი მკლავში. მიიხედა და გიო რობაქიძე შერჩა. შეშინებულმა თვალები ფართოდ გაახილა და ირგვლივ მიმოიხედა.

— ღმერთო ჩემო... ეს რა საშინელებაა... — ამოიკვნესა სასოწარკვეთილმა, როცა მიხვდა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ სიზმარი იყო.

თავიდან ვერც გაიაზრა, სად იმყოფებოდა. გაკვირვებული დივანზე წამოჯდა და კედლები შეათვალიერა. ახლალა გაახსენდა, სადაც იყო... თხელი ფარდებიდან მზეს ადვილად შემოეღწია ოთახში და სასიამოვნოდ ელამუნებოდა მის მოშიშვლებულ გულმკერდს...

ზლაზვნით გამოვიდა ოთახიდან, თავი მოიწესრიგა და საუზმე მოიმზადა. დანაყრების შემდეგ ოდნავ გამოუკეთდა ხასიათი...

ახლა რა ქნას, სად წავიდეს?.. ვაითუ, სადმე გავიდეს და ზუსტად იმ დროს მოადგეს თორნიკე?! ის ალბათ, უკვე ჩამოვიდოდა. გიოც, იმედია, მოუყვებოდა ყველაფერს... რომ არ მოუყვეს?!. არა, ასე როგორ შეიძლება, როგორ იკადრებს ამისთანა რამეს?! თუმცა მისგან არაფერია გასაკვირი, ისეთი თავხედია... მოიცადოს! აი, ნახავს თორნიკეს და თუ სამაგიერო არ გადაუხადოს, ქალი არ იყოს! სწორედ მის ჯიბრზე ისეირნებს თოკოსთან ერთად ზედ მის ქუჩაზე, მისი სახლის წინ, მის ცხვირწინ! ჩაისეირნებენ, ამოისეირნებენ... კიდევაც გაუსკდება გული და ღირსიც იქნება! თავხედი!.. რა უტიფრად მოექცა გუშინ, არც სტუმარი იცის და არც... გულაჩუყებულს ცრემლები მოაწვა... რომ არ ეტირა, თითები მთელი ძალით მომუშტა და საფეთქლებზე მიიჭირა. ასე შეიძლება, გაგიჟდეს, თუ დროზე არ მოუხმო გონებას. როგორმე უნდა აიყვანოს თავი ხელში.

უეცრად კარზე დააკაკუნეს.

— საყვარელო, გღვიძავს? შეიძლება, შემოვიდე?

ეს ლელუკა იყო. მას სალათისფერი კაბა ეცვა და, როგორც ყოველთვის, ღვედზე გამობმული ფოქსტერიერი ახლდა.

— რა მყუდროდ მოწყობილხარ!.. მგონი, უკვე ისე გრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში, — გაიღიმა ქალმა, ოთახს დაკვირვებული მზერა მოავლო და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

ამით ისარგებლა ჩაპამ, პატრონს ხელიდან გაუსხლტა და ნინის შეახტა.

— აჰა, უკვე ოფიციალურად ხარ აღიარებული ამ სახლის ბინადრად, — გადაიკისკისა ლელუკამ, — ჩაპა გაგიშინაურდა. ოჰ, როგორ მეზარება ახლა მისი გასეირნება, ვერ წარმოიდგენ.

— შეიძლება, მე გავასეირნო? — გამოცოცხლდა ნინი იმ იმედით, რომ ძაღლთან ერთად თამამად ჩაუვლიდა გიოს სახლს და იქნებ თორნიკესთვის მოეკრა თვალი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"

გერმანიისგან მოსალოდნელი აგრესიის მოლოდინში, იოსებ სტალინი ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა გაეუმჯობესებინა ლენინგრადის სტრატეგიული მდგომარეობა: სახელმწიფო საზღვარი რუსეთის „ჩრდილოეთ დედაქალაქთან" ძალზე ახლოს გადიოდა და ომის შემთხვევაში, ლენინგრადს ძალზე იოლად დაბომბავდნენ ფინეთის ტერიტორიიდან. ამ ქვეყნის მთავრობა საბჭოთა კავშირისადმი მტრული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა.

დასაწყისი იხ. „გზა", №27-40

ომი ფინეთთან

1979 წელს გამოცემულ „საბჭოთა სამხედრო ენციკლოპედიაში" ნათქვამია: „ფინეთის რეაქციულმა მმართველმა წრეებმა, იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით, ამ ქვეყნის ტერიტორია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედებისთვის მოსამზადებელ პლაცდარმად აქციეს. საზღვრისპირა რაიონებში, ლენინგრადიდან 32 კმ-ის დაშორებით, გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი და ბელგიელი სამხედრო სპეციალისტებისა და ბრიტანეთის, საფრანგეთის, შვედეთის, გერმანიისა და აშშ-ის დაფინანსებით მძლავრი, ხანგრძლივმოქმედი სამაგრი სისტემა — „მანერჰაიმის ზოლი" ააგო".

ფინეთის შესაძლო აგრესიის ამგვარი ახსნა, ერთი შეხედვით, საკმაოდ დამარწმუნებლად ჟღერს. ისიც სიმართლეა, რომ ბევრი ქვეყანა დაინტერესებული იყო საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის კონფლიქტით. მაგრამ შეტევითი, აგრესიული სამხედრო დოქტრინა სრულიად სხვაგვარი მახასიათებლებით გამოირჩევა. საიერიშო ზოლის ასაგებად უზარმაზარი შრომისა და მილიარდების დახარჯვა არათუ გაუმართლებელი, არამედ, სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, უბრალოდ, უვიცობის გამოხატულება იქნებოდა. ასე რომ, ცხადზე უცხადესია, რომ მანერჰაიმის ზოლი არა საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად, არამედ პირიქით — მეზობლისგან მომცრო ფინეთის თავდასაცავად აიგო.

1939 წელს ფინეთში ვიზიტისას, გერმანიის გენშტაბის უფროსი ჰალდერი განსაკუთრებით, ლენინგრადისა და მურმანსკის სტრატეგიული მიმართულებებით დაინტერესდა. შემდგომში ფინეთის პრეზიდენტი, ურხო კეკონენი წლების შემდეგ იგონებდა: „30-იანი წლების დამლევისთვის ჰიტლერის აჩრდილი თავს დაგვტრიალებდა და ფინელი საზოგადოება ვერ უარყოფს იმას, რომ მაშინ ის ფაშისტური გერმანიის მიმართ ერთობ კეთილგანწყობილი გახლდათ"...

1931-37 წლებში ფინეთის პრეზიდენტი სვინხუვუდი აცხადებდა: რუსეთის ნებისმიერი მტერი ფინეთის მეგობარი უნდა იყოს"... 1939 წელს გერმანელმა სპეციალისტებმა ფინეთში ისეთი აეროდრომები ააშენეს, რომლებიც მთელი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში არსებულ თვითმფრინავებზე ბევრად მეტს დაიტევდა. კარელიის ნახევარკუნძულზე აგებული მანერჰაიმის ზოლი ფინეთის ყურიდან ლადოგის ტბამდე იყო გაჭიმული; ის სამრიგიან, მძლავრ თავდაცვით სისტემას წარმოადგენდა, რომლის სიგრძე 90 კმ-ს აღწევდა.

1939 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის გაიმართა მოლაპარაკება უსაფრთხოების საკითხებზე. მაგრამ ფინეთის მთავრობა არ დათანხმდა საბჭოთა წინადადებას, თავდაცვითი კავშირის ხელშეკრულების დადების თაობაზე. ფინეთს, როგორც გერმანია, ასევე ინგლისი, საფრანგეთი და აშშ-იც კი აღუთქვამდნენ მხარდაჭერას.

თავდაპირველად ყველას ეგონა, რომ შეიარაღებულ კონფლიქტამდე საქმე მაინც არ მივიდოდა. ალბათ ასე მოხდებოდა, ფინეთი სტალინის წინადადებას რომ დასთანხმებოდა: მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ფინელებს კარელიის ნახევარკუნძულის გარკვეული ნაწილი უნდა დაეთმოთ და სანაცვლოდ, ჩრდილოეთით სხვა ტერიტორია მიეღოთ. გაცვლა, ცხადია, საბჭოთა კავშირისთვის ხელსაყრელი გახლდათ, რადგან ფინეთს ისეთ მიწას სთავაზობდნენ, რომელიც არც ეკონომიკური და არც სამხედრო თვალსაზრისით, არაფერში გამოადგებოდა...

სტალინმა, რომელსაც ჰიტლერთან საიდუმლო შეთანხმება ჰქონდა დადებული, გადაწყვიტა, ამ გარემოებით ესარგებლა და ლენინგრადიდან მოშორებით გადაეწია სახელმწიფო საზღვარი. თან, თავდაცვის სახალხო კომისარი ვოროშილოვი არწმუნებდა, რომ ომის შემთხვევაში, წითელი არმია ფინურ ჯარს რამდენიმე დღეში დაამარცხებდა. ეს რწმენა უმაღლეს სამხედრო წრეებში იმდენად მტკიცე იყო, რომ ომის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის, შაპოშნიკოვის გარეშე მოხდა: ის ამ დროს შვებულებაში იმყოფებოდა.

ფინეთის მთავრობამ პირდაპირ მიმართა გერმანიას დახმარების თხოვნით. აი, რას სწერდა ქვეყნის ელჩი ვიუორიმაა გერმანიის საიმპერიო საგარეო საქმეთა მინისტრ რიბენტროპს: „გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ რუსეთი ფინეთს ისეთივე მოთხოვნებს წაუყენებს, როგორიც ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს წაუყენა... ასეთ შემთხვევაში, გერმანია წაყრუების პოლიტიკას ხომ არ აირჩევს?! და თუ — არა, მაშინ გთხოვთ, გვაცნობოთ, რა პოზიციას დაიკავებს გერმანია".

26 ნოემბერს მოლოტოვმა ფინეთის ელჩი, ირის-კოსკინენი მიიწვია და მას საბჭოთა მთავრობის ნოტა გადასცა, სადაც ნათქვამი იყო: „წითელი არმიის გენერალური შტაბის ცნობით, დღეს, 26 ნოემბერს, 15 საათსა და 45 წუთზე კარელიის ნახევარკუნძულზე, ფინეთის საზღვართან, სოფელ მაინილასთან განლაგებულ ჩვენს ჯარს ფინეთის ტერიტორიიდან საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს. სულ 7 ზალპი დაფიქსირდა, რომლის შედეგადაც, სამი ჯარისკაცი და ერთი ქვედა რგოლის მეთაური დაიღუპნენ; დაჭრილია შვიდი რიგითი და ორი პირი სამეთაურო შემადგენლობიდან. საბჭოთა ჯარმა, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, არ წამოჰგებოდა პროვოკაციას, საპასუხო ცეცხლის გახსნისგან თავი შეიკავა... საბჭოთა მთავრობა იძულებულია აღნიშნოს, რომ ლენინგრადის მახლობლად ფინური საჯარისო ნაწილების კონცენტრირება არა მარტო საფრთხეს უქმნის ლენინგრადს, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ აქტს წარმოადგენს, რომელსაც უკვე მოჰყვა საბჭოთა ჯარზე თავდასხმა და მსხვერპლი... ყოველივე ამის გამო საბჭოთა მთავრობა მტკიცე პროტესტს გამოთქვამს და სთავაზობს ფინეთის მთავრობას, დაუყოვნებლივ გაიყვანოს საკუთარი ჯარი საზღვრიდან 20-25 კილომეტრით, რათა ამით თავი ავარიდოთ განმეორებით პროვოკაციებს".

საზღვრიდან 20-25 კმ-ით სიღრმეში ჯარის გაყვანა იმას ნიშნავდა, რომ მანერჰაიმის თავდაცვითი ზოლი უნდა მიეტოვებინათ სწორედ მაშინ, როცა მეზობლისგან სამხედრო შეჭრის რეალური საფრთხე არსებობდა. ასეთი, თვითმკვლელობის ტოლფასი გადაწყვეტილება, საეჭვოა, რომელიმე სახელმწიფოს მთავრობას მიეღო... ■

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

უშეცდომო არავინაა და ალბათ ყველა ჩვენგანს ცხოვრებაში არაერთი შეცდომა აქვს დაშვებული. მეც ხშირად მახსენებს თავს ჩემი შეცდომები. თუმცა, ნათქვამია, თუ გულით მოინანიებ, ღმერთი ყველაფერს გაპატიებსო. არა, ისეთი არაფერი ჩამიდენია, რომ სხვისთვის მევნო. ყველაზე მეტად საკუთარ თავს ვავნე და მოვიმკე კიდეც, საკუთარი დანაშაულის სამაგიერო. ასე რომ, როცა გულახდილობის განწყობილებაზე ვიქნები, აუცილებლად მოგიყვებით ჩემი დანაშაულის შესახებ... ახლა კი თქვენს შეცდომებს გავეცნოთ.

ერთხელ მეც შევცდი

მოკლე ჩართვა

როგორი უნდა იყოს იდეალური შეყვარებული?

• იდეალური შეყვარებული უნდა იყოს წყნარი, მშვიდი, ბუთხუზა :) და არა ისეთი, როგორიც ჩემი მეგობრები არიან. თეო...თეო.

• იდეალური შეყვარებული ისეთი უნდა იყოს, მე რომ მყავს. თბილი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე, მხიარული. რაც ყველაზე მთავარია, უნდა გენდობოდეს და არ უნდა იყოს ეჭვიანი. მწარე.

• იდეალური შეყვარებული? ყურადღებიანი, გამგები, ჭკვიანი, მეგობრული, გვერდში მდგომი, მხიარული, ლამაზი, მამაკაცური (ვინაიდან და რადგანაც გოგო ვარ) და რაც მთავარია, ისეთი, რომლებიც დღესდღეობით არ არსებობენ... ეჰ, ამეშალა ფიქრები. :) სოფი19.

• იდეალური შეყვარებული იქნება ის, ვინც შემიყვარდება და შემიყვარებს. 2-ნი.

• იდეალური შეყვარებული უნდა იყოს სიმპათიური, განათლებული, თბილი, კეთილი, ყურადღებიანი, საქმიანი, ერთგული, შეგნებული, შეეძლოს ბოდიშის მოხდა, არ ეტანებოდეს ალკოჰოლს, სიგარეტს... მოკლედ, გადასარევი გემოვნება მაქვს. იმედი აღარ მქონდა, მაგრამ ახლა ყველა ამ და კიდევ ბევრ კარგ თვისებას ერთ ადამიანში ვხედავ და დიდი იმედი მაქვს, არ ვცდები. ისე, თავად ამბობს, იდეალები არ არსებობენ, მაგრამ ვინც მეყვარება, მისთვის ბრილიანტიც გავხდები, თუ თავად იქნება ოქროო. სვანის ასული.

➲ 88

„ძალით“ რთველი

„ერთხელ კი არა, არ არსებობს, რამე გავაკეთო და მერე არ ვინანო. ეს კი ყოველთვის ჩემი სიჯიუტის ბრალია... შარშან გადავწყვიტე, პაპაჩემთან წავსულიყავი კახეთში. წლები იყო, არ მენახა და მარტოდმარტო გავეშურე კახეთში, დავისვენებ, ყურძენს შევჭამ, პაპას ვნახავ და განტვირთვას მოვიწყობ-მეთქი. როგორც იქნა, ჩავედი. მეორე დილას პაპაჩემმა სახლის დალაგება მიბრძანა. მე მელოდნენ თუ რა იყო, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, საღამოს ძლივს მოვრჩი. როგორც კი დაღამდა, კოსმოსური სისწრაფით გადავეშვი დასაძინებლად იმ იმედით, რომ დილით გვიან ავდგებოდი. თურმე სადა ბანაობ, უბედურო სოფო? დილით გამომიცხადეს, რთველი გვაქვს, ვენახში მივდივართო. ნუ, გამიხარდა, რთველია-მეთქი და კი დავათრევდი ჩემ სიმძიმე ვედროებს, აქეთ-იქით (არადა, სულ რაღაც 54 კილო ვარ). დილის 7-ზე გასულები, საღამოს 9-ზე ძლივს მივედით სახლში, ლოგინამდე — 12-ზე. ჯერ სად ვარ, თურმე... მეორე ვენახიც დასაკრეფი ჰქონიათ (არა, აშკარად მე მელოდნენ, რა!). რაღას ვიზამდი?

გულით მინდოდა წამოსვლა, მაგრამ მთელი სანათესაო მებღაუჭებოდა და დავრჩი. 14 დღე ძლივს გავქაჩე და იქით გახედვაც აღარ მინდა... მე მაშინ შევცდი, აქედან გიჟივით რომ გავიქეცი და უკან ისეთი დავბრუნდი, ლაპარაკიც მეზარებოდა, არამც თუ ხელის განძრევა. რა მიმარბენინებდა, ახლაც ვერ ვხვდები, მაგრამ მე იქით წამსვლელი აღარ ვარ. ყოველ შემთხვევაში — რთველში. სოფი19“.

„ბებიამკვდარი“

„შეცდომების უზარმაზარი „თაიგული“ ვარ... მიკვირს, ამდენი დაშვებული შეცდომის გამო ფეხზე რომ დავდივარ, მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომა ფსიქოლოგიის გამოცდაზე მომივიდა. მთლად კარგი მომზადებული არ ვიყავი და გამოცდის გადატანა მოვითხოვე, მაგრამ ლექტორმა უარი მითხრა. რას ვიზამდი? მთელი ჩემი ცოდნა გადმოვაფრქვიე, მაგრამ მაღალი ნიშანი მაინც ვერ გავქაჩე. ჰოდა, ჩემს თავზე გაბრაზებულს, ცრემლები წამომივიდა... აუდიტორია დავტოვე, განაწყენებულმა. ლექტორს უკითხავს, თამუნას რა სჭირს, ნეტავო? უთქვამთ, ბებია მოუკვდა და ალბათ მაგიტომ არის ასე უხასიათოდო. გულქვა ლექტორს გული მოლბობია და ნიშნები არ გამიფუჭა, მაგრამ მეორე დღეს სამძიმარი რომ მითხრა, გავიკვირვე — რას კადრულობთ, პატივცემულო, საყვარელ ბებოს ნიშნების გამო როგორ გავიმეტებდი-მეთქი? ჰოდა, მაშინ გაჩნდა ჩათვლის წიგნაკში „სამიანი“. ისე, ვინ მექაჩებოდა ენაზე? ბელო“.

ქმრის ხამი

„ერთხელ მეც შევცდი და იცით, რაში? როცა ჩემი ყოფილი შეყვარებულის ცოლს ქმრის წართმევით დავემუქრე (ისე, გასამწარებლად, აბა, რა უნდოდა, რომ მიმესიჯებდა, რომელი ჩემი დაქალი ეგ იყო, ნანახიც არ მყავს?!). ნამდვილად შევცდი და ვნანობ. ჯერ ერთი, ჭორაობის მიზეზი მივეცი და მაგაზე უარესი — თავის ქმრის „ხამად“ ჩამთვალა. სხვაში არაფერში შევმცდარვარ, რადგან ძალიან დაკვირვებული ვარ (მაგრამ ჭკვიანი — არა). სხვის შეცდომებზე ვსწავლობ და არა — საკუთარზე. ალინა“.

დამსახურებული პედაგოგი

„აუ, მაარ, მაგარი თემა გაქვს. ისე, რაც თავდაპირველად ევა შეცდა და აკრძალული ხილი მიირთვა, მას შემდეგ ყველა ადამის ჯიშისანი ვცოდავთ და ვცდებით. თუმცა, ერთი ცოდვა ყველას ეპატიებაო, გამიგონია. ჰოოდა, აი, ზუსტად ამ ერთ და საბედისწერო შეცდომაზე უნდა მოგიყვეთ. შეცდა ერთხელ ჩემი ქუთაისელი მეზობელი, ვიოლა და ქე დაემსგავსა მისი ბიჭუნა მეზობლის კაცს, გაჭრილი ვაშლივით. პრინციპში, მისი ქმარიც შეცდა თავის დროზე, ერთხელ. რა ეგონა აბა, მთელი უბნის ბიჭების „დამსახურებული პედაგოგი“ რომ მოიყვანა ცოლად?“

დაჟივებული

„სანამ ჩემს დაშვებულ შეცდომაზე მოგითხრობდეთ, მის წინაპირობას გაგაცნობთ: კლასელებმა მთაწმინდის პარკში წასვლა გადავწყვიტეთ.

ჭალაში — ასთეტოლოგიბეზოლი ჯუნგლოში ყი ვარ, ადამიანური ზოოპარკია



ჯერ იყო და მინიავარიაში მოვყევით, ჩვენს „სანდრაბუსს“ (როგორც მგზავნელები იტყოდნენ) ქალი დაეჯახა (მანქანით, რა თქმა უნდა). ამ დროს ორი ქალი მე დამეჯახა (ავტობუსში, რა თქმა უნდა), მაგრამ გადავრჩი... როგორც იქნა, ავაღწიეთ პარკში და სწორედ აქ „ერთხელ მეც შევცდი“. „ნაფოტებზე“ (წყლის ატრაქციონზე) დავჯექი. რა ვიცოდი, ასე თუ დავუივდებოდი? ამ შეცდომის შედეგად ვირთხასავით გაწუწული და ძაღლივით აკავკავებული მოვრბოდი სახლში (მე რა, ხალხით გადაჭედილი „სანდრაბუსი“ „მორბოდა“). ჰოდა, ახლა ვწერ ამ მესიჯს და მეეჭვება, მზის შუქი იხილოს ან მე შევძლო მისი ხილვა, რადგან ამაღამ თუ სიცხეს გადავურჩი, დედუცის რისხვას ვერ გადავურჩები (ასე მითხრა, დაჟიებული რომ დამინახა: ახლა არაფერს გეუბნები, მაგრამ სიცხე თუ მოგცაო...) და მაინც, თუ გადავრჩი, ამის შემდეგ მოქმედი მგზავნელი გავხდები. იტალიანკა“.

„წადი!“

„მიყვარხარ, ჯიუტო! ვერ ხვდები მაგას? თუ არ გინდა, გაიგო? ეგებ გაწუხებ ჩემი სიყვარულით? დაგღალე, ლამაზო? გინდა, წავალ, სულ წავალ... აღარასდროს შეგახსენებ, რომ მიყვარხარ, რომ ჩემთვის ყველაზე და ყველაფერზე მნიშვნელოვანი ხარ, აღარ გეტყვი, რომ უშენოდ ჩემი ცხოვრება უფერული, ძალიან უღიმღამო და მოსაბეზრებელი იქნება. წავიდე? მითხარი, მხოლოდ ერთი სიტყვა მითხარი, „კი“ ან „არა“... მართალია, ჩემი ჩანაწერები და მისი წერილები დავხიე და დავწვი, მაგრამ მისი გამოგზავნილი ეს წერილი როგორ გადამირჩა, არ ვიცი. ახლა ვფიქრობ, რომ მაშინ ყველაზე დიდი შეცდომა დავუშვი, როცა ვუთხარი, რომ უნდა წასულიყო. იმიტომ, რომ მიყვარდა. მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ მსგავსი გრძნობა აღარასდროს გამჩენია, არავის მიმართ. მას მერე წლები გავიდა, დრომ მისი თავიც დამავიწყა და ისიც, თუ როგორ უნდა სიყვარული. P.S. მე აქ ვაარ! ფეშენა“.

შეჩვენებულის მკერდი

„ჩემი ბიძაშვილი სულ კაიფობდა კლასელებზე, მასწავლებელმა საღეჭი რეზინი ჩააწება თავშიო. ჰოდა, ერთ დღესაც თვითონ შეცდა, უნებურად აუტკლაცუნა მასწავლებელს „ბიგბაბოლი“ ცხვირწინ და შედეგად, გადახოტრილ-გადაშიშვლებული თავი მიიღო. ჩემი კლასელიც შეცდა ერთხელ, გასაღების ჭუჭრუტანიდან ქიმიის მასწავლებელს უყურებდა. უცებ დაიჩურჩულა — აუ, ბიჭებო, რა მაგარი მკერდი აქვს ამ შეჩვენებულსო. ჰოდა, ჩვენი რეაქციის დასანახავად რომ შემობრუნდა, ხელში დამრიგებელი შერჩა. ეჰ, ძლივს გადაურჩა სკოლიდან „დადეპორტებას“. კიდევ, მე და ვერმახტიც შევცდით, თავის დროზე. თუმცა, ერთხელ... არა, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ, ექვსჯერ, შვიდჯერ და მგონი, რვაჯეეერ?! არ ვიცი, რა ვიცი... თუმცა, ეს იყო მაშინ, ახლა კი, ახლა აღარ ვცდებით ეგრე, გავიზარდეთ... კიდო, მარი, შენც შეცდი, დედი, ეს „გზავნილები“ რომ შექმენი საკუთარი გულის, ნერვებისა და გონების სატანჯველად. თუმცა, რას იზამ?! პასუხი უნდა აგო. ჰოდა, აგვიტანე, აგვიტანე, სანამ ჩვენ და შენ ვიარსებებთ... ნეტავ, გვეშველება რამე?! მიყვარხართ, ბოთუკებო. მაესტრო“.

კოცნა

„16 წლიდან მოყოლებული, სულ შეყვარებული ვარ. გოგოს გულის მოსაგებად რა აღარ გამიკეთებია, საჩუქრებით ვავსებდი ყველას, ამით მეტ-ნაკლებად კი ვიღებდი, რაც მინდოდა. ერთი წლის წინ, ერთ გოგოს გადავეყარე. მოუშორებელი ჭირი იყო, დედაჩემსაც იცნობდა შორიდან და ამით სარგებლობდა. ბევრი იწვალა, უნდოდა, „შემტენოდა“ (ცოლად გამომყოლოდა, რა...), მაგრამ ვერ მივართვი, მაგას ვჭამდი? ეგ ცოლად მომეყვანა და თავისუფალი ცხოვრებისთვის ხელი დამექნია? ჩემს მეზობელთან მისი მამიდაშვილი გოგო, მარი ჩამოდის ხოლმე. სერიოზულად მევასებოდა, იმ პერიოდ-

ჭირვეული შაოლ ლმერთისა შექმნა,
ჭირვეული ჭალოჭი ყი — ყონნმა

მოკლე ჩართვა

როგორი უნდა იყოს იდეალური შეყვარებული?

86

- **ჩემს შეყვარებულს რომ ჰკითხო, იდეალური შეყვარებულიც, გოგოც და თავად სრულყოფილებაც მე ვარ, მაგრამ მე პირიქით ვფიქრობ, იდეალური სწორედ ისაა! დამთმობი, ყურადღებიანი, გაწონასწორებული, საქმიანი, ხალისიანი და თან — სერიოზული. ასეთია ჩემი სუპერბიჭუნა, რომლისთვისაც ვარსებობ მე და მერე ყველა დანარჩენი. ამიტომ მიყვაარს! პარიჟანკა.**

- **იდეალური არავინაა, მაგრამ... ჰე... ჰეეეე... როკოსნაირი?! სიკვდილა.**

- **იდეალური „ლოვე“? „ვისოკი“, „კრასივი“, „ინტელიგენტნი“, ჯიპიანი, თვითმფრინავიანი, „დაჩიანი“, ბანკში ფულიანი და შტერი, რომ ჩემს ჭკუაზე იცეკვოს. მაოცნებეთ, რა�ა... გრუზინკა.**

ში ცოლის მოყვანაც მინდოდა, მარი კი იდეალური ვარიანტი იყო. ეგ რას გამომაპარებდა? ჩემს დანახვაზე სულ ცახცახებდა... ახლოს არ მიკარებდა, თორემ მის აჩქარებულ გულისცემასაც წავაწყდებოდი. ვითომ მაბოლებდა, „ლოვე“ მყავსო. არადა, ვიცოდი, მარტო იყო. ჩემს დაბადების დღეზე, რა თქმა უნდა, მარიც იყო. მე დავთვერი და ყველაფერი გავაფუჭე. მარის გული ვატკინე, ერთი კოცნის გამო. გოგონები რომ იტყვით ხოლმე, ბიჭებს გული არ გაქვთო, „პროსტა“ მაგრად ცდებით, რა... მარის გული რომ ვატკინე, დღესაც ვნანობ. მისნაირი პატიოსანი გოგო საცოლედ ჯერ ვერ ვნახე. ნამდვილი მამაკაცი“.

ცალთვალა

„ერთხელ კი არა, იმდენი შეცდომა მაქვს დაშვებული, თმა არ მაქვს თავზე მაგდენი. ჯერ იყო და ძლივს სიყვარულივით შემიღიტინა გულში რაცხამ და ისიც ცალთვალა იყო. თაყვანისმცემლების მთელი არმია კი მყავდა, „მწყობრში“, მაგრამ ორიგინალურობა ხომ უნდა გამომეჩინა, არა? გავიგიჟე თავი, მიყვარს, თვალი რა შუაშია-მეთქი (არადა, თავშია). მერე დედა გამიგიჟდა, მაგისთვის ვზრდიდი გოგოსო? აკივლდა. მოკლედ, დამაშორეს ჩემს ცალთვალა რომეოს. ყველაზე დიდი შეცდომისგან დედამ გადამარჩინა. მას რომ არ დავშორებოდი, ჩემი კვატატი ხომ არ მეყოლებოდა? მიყვარხარ, დე. მია“.

მოძალადე პატრული

„იცით, რა დამემართა? ახლობლის მანქანით ქალაქში ვიყავით. მე მაღაზიაში შევედი, ცოტა ხანში გამოვედი და ვხედავ, ჩვენი მანქანა დგას, მაგრამ შიგნით არავინ ზის. არადა, მძღოლი და 2 დაქალი უნდა იყვნენ. ვიფიქრე, ალბათ სადმე აქვე, მაღაზიაში შევიდნენ-მეთქი. წვიმდა და ვიფიქრე, იქნებ მანქანა ღია დატოვეს-მეთქი. გამოვაღე კარი. გაიღო და ჩავჯექი! თან დავურეკე, სად წახვედით-მეთქი? აგერ გავედით და მოვალთო! მე რომ ფეხით ველოდი, ესენი მანქანით მოვიდნენ და მირეკავენ, სად ხარო? კოსმოსური სიჩქარით გადმოვფრინდი მანქანიდან და ჩვენს მანქანაში ჩავხტი. არადა, რომ გამოვედი მაღაზიიდან, კარგად დავაკვირდი. მარკა იგივე, ფერი იგივე, ნომერსაც შევხედე და პირველი ასო სერიის იგივე რომ იყო, დაუჭვებლად ჩავჯექი სხვა მანქანაში. ნომერს უკვე სამშვიდობოს მყოფი დავაკვირდი და აღმოჩნდა, რომ იმ მანქანის პატრონსაც ვიცნობდი, მაგრამ არა ისე ახლოს, რომ მოსულიყო და არ გაჰკვირვებოდა, რა მინდოდა მის მანქანაში. აი, ასეთი დაბნეული ვარ ხანდახან. ეს რომ სხვას მოეყოლა, არ დავიჯერებდი. პატრული ელისო“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„გამოგიტყდებით, არაერთხელ შევმცდარვარ, მაგრამ ბოლო ის იყო, რომ მარიამულის ჩამოსვლის წინა დღეს გავემგზავრე თბილისში და 2 მხიარული დღე გამოვტოვე, მგზავნელებთან ერთად. ილინ, მანაველ, grin, sweet, ბისკვიტებმა მოვიწყინეთ უთქვენოდ. კოზანოსტრა (ბისკვიტი)“.

„არ ვიცი, ამ მესიჯს თუ დაბეჭდავთ, მაგრამ გეტყვით, რომ მიყვარხართ, მგზავნელებო. მე მაშინ შევცდი, როცა ედგარი შემიყვარდა, მაგრამ ეს შეცდომა მაინც ლამაზი იყო. მიმტანი“.

■

ჭიმწინეზა მოკლე დასვენეზაა, ჩოქანეზს ზოლის.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „გაუმხელელი გრძნობის მსხვერპლი“.
გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com ***რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს“.***

„როცა მამაჩემი გარდაიცვალა, გავბოროტდი“

„ერთ დღეს მეც მოვკვდები, სული კი იცოცხლებს...“

„გზის“ №40-ში დაიბეჭდა აბეზარას მესიჯი. ის გვწერდა: „სიკვდილი“ — ეს სიტყვა ჩემთვის ყოველთვის გლოვასთან, ძაძებთან, ცრემლთან და დიდ ტკივილთან ასოცირდებოდა და ამაზე ფიქრს გავურბოდი, მაგრამ ცხოვრება ხომ მოულოდნელობებითაა სავსე!.. ძალიან ცუდად ვარ, დიდი ბებია გარდამეცვალა“. აბეზარას მისი სიკვდილის დაჯერება უჭირს და ამ ფაქტს ვერ ეგუება.



ლიკა ქაჯაია

კოზანოსტრა (ბისკვიტი):

„გამარჯობა. აბეზარა, ვიზიარებ შენს მწუხარებას. მეც დამიკარგავს ახლობელი ადამიანები და ვიცი, როგორ გიმძიმს ბებიის დაკარგვა. გახსოვდეს, ყველანი წუთისოფლის შვილები ვართ და მარადიული მხოლოდ ჩვენი სახელი და მოგონებაა... ჩვენი ვალია, სანთელი დავანთოთ მიცვალებულთა სახელზე და მათი შესანდობარი შევსვათ, გამოვნახოთ გულში ადგილი მათი სამარადისო ხსოვნისთვის. და კიდევ, ცხოვრება ერთი წამია და უნდა ეცადო, ეს წამი გაილამაზო“.

თეო-თეო:

„ასეთ დროს გარდაცვლილის სულისთვის ვლოცულობ. იცი, თავიდან ვერც მე წარმომედგინა ახლობელი ადამიანის სიკვდილი. ვფიქრობდი, რომ ჩემები ყოველთვის გვერდით მეყოლებოდნენ, რომ ვერასდროს შევეგუებოდი ვინმეს გარდაცვალებას, მაგრამ თურმე, ეგრე არაა ცხოვრება მოწყობილი და ჩვენც ყველაფერს ვეგუებით. მისთვის ილოცე“.

მეამგოხე სული:

„მისი სულისთვის უნდა ილოცო! ამქვეყნად უკვდავი არავინაა და ადრე თუ გვიან, სიკვდილი ჩვენთანაც მოვა. მე მამა არ მყავს, მაგრამ ის მუდამ ჩემს გულში ცოცხლობს. როცა გარდაიცვალა, გავბოროტდი, მაგრამ ახლობლები დამეხმარნენ ყველაფრის გაცნობიერებაში. იცოდე, ბებიას შენი მწუხარება არ გაუხარდებოდა. გაძლიერდი, ის ხომ შენს გულში იცოცხლებს!“

სარვიეტა:

„ვწუხვარ, რომ ბებია გარდაგეცვალა, მით უმეტეს, რომ ის ძალიან გიყვარდა. 9 წლის წინ ბებოს სიკვდილი მეც შენსავით განვიცადე. არ მჯეროდა, რომ ის ვეღარასდროს ჩამიხუტებდა. მის მიერ მოტანილი ტკბილეული ყოველთვის გემრიელად მეჩვენებოდა... მერე მამის დაკარგვით გამოწვეული ტკივილიც ვიგემე. ასე რომ, ჩემთვის ძნელად წარმოსადგენი არ არის, თუ რას გრძნობ ახლა. ამიერიდან, უკლებლივ ყველა ახლობელ ადამიანთან ერთად, მშვიდ, ბედნიერ და ღიმილით გაჯერებულ ცხოვრებას გისურვებ!“

ზოკოლადა:

„შენი მესმის, საშინელებაა, როცა ახლობელ ადამიანს კარგავ, თან — სამუდამოდ, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდე. იმაზე იფიქრე, რომ ბებიაშენი მარადიულ სასუფეველშია და ილოცე მისთვის. ამის მერე იგრძნობ, რომ ის შენთანაა და არც არასდროს მიუტოვებიხარ. უფალმა გაგაძლიეროს“.

მწარე:

„ნუ დაითრგუნები, ილოცე მისი სულისთვის, დაუახლოვდი ეკლესიას და მერწმუნე, ბებიისთვის ძალიან ბევრი რამის გაკეთებას შეძლებ“.

ნილგოსანი:

„სამწუხაროდ, ასეთ დროს სიტყვები ნუგეშად არ გამოდგება. ყველაზე რთული იმის გააზრებაა, რომ საყვარელ ადამიანს ვეღარასდროს ნახავ და მასზე მოგონებების გარდა, თითქოს აღარაფერი რჩება. მიენდე უფალს, იწამე მარადიული ცხოვრების და ილოცე მისი სულისთვის. დამიჯერე, სიმშვიდეს სწორედ ეს მოგიტანს. ღმერთი გფარავდეს“.

იკუშკეები:

„ჩემო კარგო, ახლა დეპრესია გაქვს და ყველაფერს ართულებ. მესმის, საყვარელი ადამიანის გარდაცვალება მტკივნეულია, მაგრამ უფალი მოწყალეა და მჯერა, შენი ბებიკოს სულს ნათელში ამყოფებს. ილოცე მისთვის. სიკვდილთან უბრალო მოკვდავი ვერაფერს გავხდებით. დამშვიდდი, საკუთარი განცდების შესახებ მოძღვარს ესაუბრე და დარწმუნებული ვარ, სულის სიმშვიდეს მოიპოვებ. საყვარელო, აღარ ინერვიულო, კარგი?..“

რუისპირი:

„ვიზიარებ შენს მწუხარებას. მესმის შენი და გულწრფელად თანაგიგრძნობ. ახლა რასაც გეტყვი, გთხოვ, სწორად გამიგე. შენ დიდი ბებია გარდაგეცვალა და ალბათ, შეგუებულიც იყავი იმ ფაქტს, რომ ოდესმე ასე მოხდებოდა, ზოგს კი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ახლობელი უკვდება — ასეთია ცხოვრება. იფიქრე იმაზე, რომ ის სამოთხეშია და შენთვის ლოცულობს. წარმატებები!“

ალინა, ათენიდან:

„სიხარულო, მეც მსგავს სიტუაციაში ვარ — აღდგომას დიდი ბებია მომიკვდა. არადა, როცა საქართველოში ვიყავი, წამოსვლისას არც დავემშვიდობე — ვიცოდი, ამით გულს დავუმძიმებდი... არც მე მჯერა, რომ მოკვდა და ისიც ვიცი, რომ საყვარელი ადამიანის დაკარგვა ძნელია, მაგრამ დრო მართლაც, ყველაფრის მკურნალია“.

სვანის ასული:

„რამდენიმე წლის წინ მსგავსი რამ ვერც მე წარმომედგინა, მაგრამ რეალობა მწარეა და ადამიანებიც ყველაფერს ვეგუებით — მე თუ მკითხავ, სხვა გზა არც გვაქვს. მის სულს ლოცვით დაეხმარე“.

ჩუჩი:

„ვიცი, სიკვდილთან შეგუება ძნელია, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერს შეცვლი. ბებიის სულისთვის ილოცე და შვებას იგრძნობ. აბა, წარმატებები და შენ გვერდით მიგულე“.

დამავოი:

„საყვარელო, ცოტა ხნის წინ 6 თვის ნათესავი დამეღუპა. ანუკი ჩემი სიხარული იყო და მეგონა, ამ ამბავს ვერ გადავიტანდი, მაგრამ... ეს ცხოვრება ასეთია. უკვდავი არავინაა და უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენი საყვარელი ადამიანები დაგვტოვებენ... ანუკის სიკვდილის შემდეგ მოძღვარმა მითხრა: თავს ასე თუ დაიტანჯავ, მიცვალებულის სული ვერ გაიხარებსო. ჩემო კარგო, იფიქრე იმაზე, რომ შენი საყვარელი ადამიანი ახლა სამოთხეშია, მისი სულისთვის ილოცე, ფსალმუნები იკითხე. ამ ტკივილის გადატანაში ღმერთი დაგეხმარება“.

ლიმონა:

„გულით თანაგიგრძნობ, ჩემო პატარა. მოდი, ცხოვრებას გვერდიდან შევხედოთ: იბადები, არსებობ, გადის დღეები, ბერდები, მერე ერთ მშვენიერ დღეს გეწვევა მიქელ-გაბრიელი და არე-მარეს კიდევ ერთი ბორცვი შეემატება, ზედ ქვის ლოდს დადგამენ, რომელზეც ორი თარიღი იქნება ამოჭრილი, ერთმანეთისგან გამოყოფილი პატარა ტირეთი. ეს იქნება შენი ცხოვრების ტირე, რომელიც დაიტევს მთელ შენს

დარდს, სიხარულს და ყველაფერ იმას, რასაც ცხოვრება ჰქვია... ცხოვრება მართლაც, რომ ტირეა, ხიდია სასუფეველში მოსახვედრად. შენი ტირილი და ვაება ბებიაშენს არაფერს მოუტანს. ამას ჯობია, მის სახელზე ბევრი ილოცო, პანაშვიდები შეუკვეთო. ბებიას შენი დახმარება ძალიან სჭირდება, რადგანაც მისი ნამდვილი ცხოვრება ახლა იწყება!“

BOY 19:

„ჩვენ სიცოცხლის უფრო უნდა გვეშინოდეს, ვიდრე სიკვდილის. მე უკვე შევეგუე იმ ფაქტს, რომ წლების შემდეგ მამას და კიდევ, ბევრ სხვა ახლობელს ვეღარასდროს ვნახავ“.

GOLD GIRL:

„1 წლის წინ მეც დავკარგე საყვარელი ადამიანები. ილოცე ბებიაშენის სულისთვის და შესთხოვე უფალს, რომ მას ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს, ხოლო როდესაც ძალიან მოგენატრება, გააცოცხლე და მიეფერე შენს მოგონებებში და ამით დიდ შვებას იგრძნობ. P.S. ისე კი, დარწმუნებული ვარ, ის ბედნიერი წავიდა ამქვეყნიდან, რადგანაც დატოვა ისეთი შვილთაშვილი, რომელსაც უმისობა ასე სტკივა. ღმერთი გფარავდეს“.

გაცოცხლებული თოვზინა:

„დაიკო, ადამიანები მოკვდავები ვართ და ზეცას ვერავინ გამოვეკერებით. მეც ცუდად მხდის და გულს მიღონებს პანაშვიდები, ტირილი და ყვავილები, მაგრამ ნუ გეშინია, დრო ყველაფრის მკურნალია. შენი ბებო ვეღარ გაცოცხლდება და ეს უნდა გაიაზრო, აღარ იტირო. მიყვარხარ და ნურაფრის გეშინია. მე შენთან ვარ“.

სიკვდილა:

„აბეზარ, ცხოვრება დაუნდობელია და იმათ გვართმევს, ვინც გვიყვარს. გენაცვალე, აბა, დაფიქრდი, ბებიაშენს მოეწონებოდა, ასეთი დარდიანი რომ ენახე? გულში გყავდეს და მისი გარდაცვალების გამო არ იდარდო“.

პარიშანკა:

„ჩემო კარგო, ვიზიარებ შენს მწუხარებას. სწორედაც რომ ნაცნობია შენი ტკივილი ჩემთვის — 2 კვირის წინ ბებიაჩემმა ჩემს ხელში დალია სული. მეც მეშინოდა მიცვალებულების, მაგრამ ჯერ კიდევ თბილ მის სხეულს სიყვარულით ვეფერებოდი... ბებოს ნამდვილ მეგობრად მივიჩნევდი და უსაზღვროდ ვენდობოდი. თანდათანობით ვაცნობიერებ, რომ ის სამუდამოდ დავკარგე, რომ მხოლოდ ფოტოებიდან გამიღიმებს თავისი სათნო ღიმილით და აუტანელი ტკივილი მტანჯავს. მაგრამ მისი თხოვნა იყო, ღიმილით გაგვეხსენებინა ხოლმე და ვცდილობ, თავს მოვერიო. ძალიან მაკლია მისი ალერსი... დაე, იძინონ მშვიდად!“

GREEN GIRL:

„ახლობელი ადამიანის დაკარგვა მართლაც, მტკივნეულია, მაგრამ პირადად მე, ასეთ დროს მიცვალებულის სულისთვის ვიწყებ ლოცვას. თუ ილოცებ, შენც მოგეშვება და ეს ბებიაშენის სულსაც წაადგება“.

მარიკუნა:

„იცი, ბებო მეც გარდამეცვალა და 16 წლის ასაკში ჭირისუფალი ვიყავი. ჩემები უცხოეთში გახლდნენ და ის ჩემთვის ყველაფერი იყო. უკვე ვიცი, რომ ერთ დღეს მეც მოვკვდები, სული კი იცოცხლებს და ეგაა მთავარი“.

GRAZY GIRL:

„ჩემო პატარა, ვიცი, რასაც ნიშნავს საყვარელი ადამიანის დაკარგვა. შენი ტოლი ვიყავი, როცა უსაყვარლესი ბიძა დავკარგე და დღესაც — 8 წლის შემდეგ ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ ცოცხალი აღარაა. როცა მის სახლში მივდივარ, ასე მგონია, იქ დამხვდება... ტკივილს უნდა მოვერიოთ, ჩემო ანგელოზო“.

GINA:

„პირველად გწერთ და ისიც, აბეზარას გამო: ჩემო კარგო, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ვწუხვარ, მეგობარო, ასეთ დღეში რომ ხარ. თავი ხელში აიყვანე და ეცადე, სხვა რამეზე იფიქრო, გული რაღაცას გადააყოლო. თუ მეგობრობის სურვილი გაგიჩნდება, შემეხმიანე, დაიკო“.

კაკუ:

„შაბათს დიდი ბებია მეც დამეღუპა. ბევრი ვიტირე და გულიც საშინლად დამწყდა, მაგრამ შენსავით დეპრესიაში არ ჩავვარდნილვარ. იცი, რატომ? — ვიცი, რომ ცხოვრება უნდა გავაგრძელო და მისი სულისთვის ვილოცო. გირჩევ, შენც ასე იფიქრო და თავს უკეთ იგრძნობ“.

მორჩილა:

„თუ ეკლესიურად იცხოვრებ, სიკვდილი ყოველთვის გარდაცვალებად იქცევა. ჩემო კარგო, გარდაცვლილისთვის უნდა ილოცო, მის სახელზე მოწყალება გასცე. გული გაუხსენი უფალს. ლოცვა დაგამშვიდებს“.

ჭრიჭინა:

„შარშან მეც გარდამეცვალა დიდი ბებია. ზუსტად 90 წლის იყო. იმდენი ვიტირე, გული ცუდად გამიხდა. სიმართლე გითხრა, დედაჩემმა ლამის მომკლა, — 90 წლის ქალი ტირილით კი არა, სიცილით უნდა გააცილოო. ძალიან ძნელია იმის გააზრება, რომ საყვარელ ადამიანს, ტკბილ და კეთილ ბებიას ვეღარასდროს ნახავ, მაგრამ რას იზამ, ცხოვრება ეგრეა მოწყობილი — ასაკოვანი ადამიანი კვდება და მისი შთამომავალი აგრძელებს ცხოვრებას. შენ მხოლოდ ის შეგიძლია, რომ ბებიაშენის სულისთვის ილოცო“.

გრუზინკა:

„ანი, სიხარულო, საყვარელი ადამიანის დაკარგვა ყოველთვის ტკივილთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი ვალია, ამ ტკივილს გავუმკლავდეთ. განა, ბებოს გაუხარდებოდა, შვილიშვილი ასე დარდიანი რომ ენახა?! გეტყოდა: ანი, ბებო, შენც ჩემ ასაკამდე იცოცხლეო. P.S. ლიკა, გეთანხმები, მესიჯების ჩასწორება-შესწორება საჭიროა“.

„შემიყვარდა 32 წლის კაცი... ოჯახში პრობლემები შემექმნა“

ნინი:

„გამარჯობა. რჩევა მჭირდება. შემიყვარდა 32 წლის კაცი, რომელსაც ცოლ-შვილი ნამდვილად არ ჰყავს. საქმე ისაა, რომ მე 18 წლის ვარ და შეყვარებულის გამო ოჯახში პრობლემები შემექმნა. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. იქნებ, დამეხმაროთ“.

„დედამისმა მომწერა, სხვა უყვარსო...“

უცნობი:

„გთხოვთ, უპასუხოდ არ დამტოვოთ. უმწეო და სრულიად მარტოსული ვარ... ჩვენ ერთმანეთს 2 წელი ვხვდებოდით. მან სახლშიც მიმიყვანა, ნათესავებიც გამაცნო და ამ თვეში ცოლად უნდა გავყოლოდი, ის კი — გაქრა. დედამისმა მომწერა, სხვა უყვარსო (ვიცი, ვიღაცას ურიგებენ, ის ახლახანს გააცნეს). ამას წინათ შეყვარებული ვნახე. მითხრა, — მიყვარხარ, ჩემი სიცოცხლე ხარო. იცით, ჩემს სურათებსაც ტელეფონში ინახავს. არ მეუბნება, რა სჭირს, ასე რატომ იქცევა. მის გარეშე ვიტანჯები, ცუდად ვარ და თავის მოკვლაზეც ვფიქრობ. ვცდილობ, ყველაფერი „გადავყლაპო“ და დავივიწყო, მაგრამ ვერ ვახერხებ“.

P.S. მაშ ასე, თუ ნინისა და უცნობის წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გთხოვთ მომწეროთ „გზა“ №39-ში გამოქვეყნებული, მე-10 განცხადების ავტორის ნომერი. ლალი.

2. ვარ 22 წლის, ლამაზი გოგო. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 20-30 წლის, სიმპათიურ, ფულიან მამაკაცს.

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, მაღალ, განათლებულ, სიმპათიურ, ყურადღებიან მამაკაცს, 25-27 წლამდე (თუ ასეთები საერთოდ არსებობენ).

4. მინდა გავიცნო ჩემი შესაფერისი პიროვნება. ვარ ქმარს გაცილებული. მინდა ნამდვილი პიროვნება გამომეხმაუროს. ქვრივი, სერიოზული პიროვნება, თუნდაც ბავშვიანი.

5. ვარ ანა, 29 წლის, განათლებული, მშვენიერი. მაქვს სმენის პრობლემა. გავიცნობ დაოჯახების მსურველს, თუნდაც რაიმე ნაკლით, განათლებულს, 35 წლამდე, შეგნებულ ადამიანს. დატოვეთ მესიჯი.

კაცები

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, შეძლებულ გოგოს, სერიოზულს და პატიოსანს, 34 წლამდე. ვარ რაიონიდან.

7. თაგვის ან დრაკონის წელში დაბადებული გოგონათი ვარ დაინტერესებული, ძალიან. ზოდიაქოთი ვარ ვერძი. თქვენ?

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის ქალბატონს. ვარ 36 წლის.

9. ვარ რაიონიდან, 33 წლის, დასაოჯახებელი. გავიცნობ მატერიალურად შეძლებულ, თბილისელ მანდილოსანს. ასაკს მნიშვნელობა არ აქვს.

10. გავიცნობ 22-26 წლამდე მანდილოსანს. დანარჩენი — რეალში. სასურველია, თბილისი-ქუთაისი-ბათუმი. გოგიტა.

11. ვარ 29 წლის მამაკაცი. გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, 38 წლამდე ასაკის ქალბატონს. დამიკავშირდით! დათო.

12. ვარ 38 წლის, ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილი, უცოლო მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სამსახურით, ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილ, 36 წლამდე ასაკის ქალბატონს.

13. ვარ 32 წლის, სასიამოვნო გარეგნობის. გავიცნობ ქალბატონს. სასურველია, იყოს ქუთაისიდან. ვარ მარტოსული ახალგაზრდა. დათო.

14. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ 34 წლის, თბილისელი მამაკაცი.

15. გავიცნობ ძალიან საყვარელ, სათნო და თავდაჭერილ, ქართულ ოჯახში აღზრდილ გოგონას, რომელზედაც მე ვიზრუნებ, თუ ღმერთი ინებებს. მე გიო ვარ, 24 წლის.

16. ვარ რაიონიდან, 38 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ რაიონიდან ან სოფლიდან, თუნდაც ქვრივს და უშვილოს. კახა.

17. ვარ 36 წლის, დასაოჯახებელი მამაკაცი. გავიცნობ 32-37 წლამდე ასაკის ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ რაიონიდან.

18. გავიცნობდი 36 წლამდე ასაკის ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით. უშვილოს ან თუ ეყოლება ერთი შვილი.

19. ვარ 42 წლის, განქორწინებული მამაკაცი. ვცხოვრობ რაიონში. გამომეხმაუროს 35 წლამდე ასაკის ქალბატონი. სასურველია, იყოს უშვილო. გიორგი.

ვეძებ

20. ვეძებ საბერძნეთში, ქალაქ სალონიკში მცხოვრებ დათო ქართველიშვილს. იგივე, დავიდ ქართის. ძალიან გთხოვ, თუ წაიკითხავ, მომწერე ნომერი, როგორ დაგიკავშირდე. მენატრები.

21. ეკა პაიკიძის მესიჯის საპასუხოდ, რომელიც დაიბეჭდა 37-ე ნომერში: ნანა დვალიშვილს სურს შენთან დაკავშირება. შეგიძლია ჩემი საშუალებით. ნინო გიორგაძე.

სხვადასხვა

• იყო ქვეყნად მოყმე ერთი, უსიტყვო და თავმდაბალი, ფერწასული, სუსტი მკერდით, მაგრამ სულით მხნე და სალი. მან ჩვენება ერთი ნახა, გონებისთვის უხილავი და გულში ღრმად ჩაესახა, ის ფარული სანახავი. იმის შემდეგ გული დადგა, აღარ სურდა ქალის ცქერა, სიკვდილამდე არც ერთ

ქალთან არ უგრძნია გულის ძგერა. დარჩენილი მარტო, კენტად, ატარებდა კრიალოსანს, ცივ ბინაში ჩაიკეტა და სიმშვიდით შეიმოსა. სავსე წმინდა გრძნობის სვეტით, ოცნებობდა მეგობარზე, და ლ.(ე).ბ. სისხლის წვეთით, დააწერა თავის ფარზე. პალესტინის ომში ჰქროდა გმირთა რაზმი და თან მკვახე, ფიცხი ხმებით გასძახოდა, არჩეული ქალის სახელს — „ლუმენ ცოელუმ, სანტა როსა!“ ის ჰკიოდა, ცეცხლის მგვანე, მისი, როგორც მეხის დროსა, ეშინოდათ მუსლიმანებს. დაუბრუნდა კოშკის კარებს და დაადო საკანს კლიტე, სულ უბარი და მწუხარე როგორც გიჟი, მოკვდა კიდეც... 9717.

● ახლა ერთი ძალიან დიდი ხნის ამბავი გამახსენდა: ზღვაზე ვიყავით. მაშინ 5 წლის ვიყავი. ჩვენ გვერდით ერთი ოჯახი ცხოვრობდა, ჩემხელა გოგონა ჰყავდათ, ია. მოკლედ, ოჯახებით დავმეგობრდით. ერთ დღესაც წყალში ჩუმად შევედი. არადა, ცურვა საიდან მეცოდინებოდა, პატარა ლაწირაკს? ჰოდა, ვიხრჩობოდი. ვერავინ დამინახა, იას გარდა და ყვირილი ატეხა, მიშიკოს უშველეთო. მოკლედ, გადავრჩი და თქვენთან ვარ. ახლა გამახსენდა ეს ამბავი და მომინდა, იასთვის მადლობა მეთქვა, მაგრამ როგორ? მარტო სახელი მახსოვს მისი. არც გვარი, არც საცხოვრებელი ადგილი იმ ადამიანის, ვისი წყალობითაც ცოცხალი ვარ დღეს, არ ვიცი. მაგარია, არა? ა, ასეთია ცხოვრება. მადლობა ია... 9717.

● გვინდა, ნინი შერმადინს ვუთხრათ: საბერძნეთში მცხოვრები ყველა ქართველი შენ გვერდით გვიგულე. გისურვებთ გამარჯვებას. შენი ფანები.

● გამარჯობა მარი, მინდა, რაღაც გთხოვო. 3 თვეა, ათენში ვარ და აქ არც ერთი ჩემი მეგობარი არ მყავს. მთელი ცხოვრება მეგობრების გარემოცვაში ვიყავი და ახლა ძალიან მიჭირს მათ გარეშე. ძალიან მინდა, აქაც შევიძინო ნამდვილი მეგობრები. თუნდაც მარტო ერთი. დამეხმარები? ნათია.

● ლუნა, სიხარულო, სად მიდიხარ ან რა მიზეზით გვტოვებ? არ წახვიდე, რა, გთხოვ. ალინა.

● ისევე, როგორც ქვეყნად არავის, არც მე მინდოდა და მაინც შევცდი, გამოსავალი არსად არ არის, ვიცი, რომ უკვე ვერაფერს შევცვლი... ტკივილი, სევდა, ხვეწნა-მუდარა, ეს ყველაფერი სასაცილოა, თუ კი ლოცვაც კი ველარ გიშველის, მაშინ სიტყვები რა საჭიროა? ყოველდღე მახსოვს ეს ყველაფერი, გულზე სიმძიმედ მადევს ლოდები, ნეტავ ოდესმე გამოვისყიდი? შემსუბუქდება ჩემი ცოდვები? მაინც ვოცნებობ და ვნატრობ ხოლმე, მხოლოდ სულ ერთი, ერთი რამ მინდა, თუნდაც ერთხელ ვთქვა სიცოცხლის ბოლოს, რომ ამ ცხოვრებით, ცხოვრება ღირდა... მაესტრო.

● უნდა გიამბოთ, როგორ მაწვალებენ მაესტრო, სუპერსთარი, როკო და კოზანოსტრა. მაესტრო სულ მეჩხუბება, მე და როკო კი კატა და ძაღლივით, ერთმანეთს ვჭამთ, სუპერსთარი კი მთელ ბათუმს 9 კრუგს დამარტყმევინებს, მერე კი კაიფობს, რომ ვწუწუნებ, ფეხები მეგრიხება-მეთქი. ერთი კოზანოსტრა მანებივრებს და ჩემი თაკალელი „დუხიც“ მაჩუქა. მარ, ვგიჟდები ამათზე. მიყვარხართ, მიყვარხართ და სულ რომ ცოცხლად შემჭამოთ, მაინც არ დაგანებებთ თავს. გივიკო, შენს ლექსებზე ვგიჟდებიიიი! სკარლეტი.

● ყველა კიკინებიან, საყვარელ, პატარა გოგოდ მიცნობს. ეს კარგია, მაგრამ მეც ხომ მინდა, თქვან, სკარლეტი მაგარი ქალიაო? ჰოდა, იმიჯის შეცვლა გადავწყვიტე. ჯერ ქუსლიანი ფეხსაცმლის ყიდვა მოვინდომე და ეგრევე 15-სანტიმეტრიანებს ვეცი. მერე, ჩემი ჭკუით, მეზღვაურის ფორმა გავასექსუალურებინე და ისეთი მოტმასნილი კაბა შევაკერინე, საათში ერთხელ ძლივს თუ ამოვისუნთქავდი. თმაც გავისწორე და დავადექი აკადემიის გზას. თითოეულ ნაბიჯზე სიმწრის ოფლი მდიოდა. ნელ-ნელა დავამუღამე სიარული და არ შემხვდა დიდი გუბე?! ჰოპ! და გადავახტი ზედ. რაღაც უცნაური ხმა კი გავიგონე, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და წავაწყდი გაოგნებულ თვალებს. 5 ბიჭი გუგაგაფართოებული მიყურებდა. ამაყად მივედი და ვეკითხები: რა, ქალი არ გინახავთ, რას მიყურებთ-მეთქი? კი, გვინახავს, ლამაზო, მაგრამ ქუჩაში ტრუსებით — არა. თან ტრუსიდან სპანჩბობი რომ ენას გვიყოფს, ისეთიო. ის უცნაური ხმა ჩემი კაბის დახევის ხმა ყოფილა. შემოვიფარე მისი ნარჩენები და გამწარებული გავვარდი სამკერვალოში. აი, ასე შევცდი ერთხელ და იმედია, უკანასკნელად. ისევ ჩემი საყვარელი კეტოჩკები და მიჩაჩული, როგორც მაესტრო იტყოდა — ზანგური შარვალი ჩავიცვი, კიკინები გავიკეთე და წავტლაკუნდი სუპერსთართან. ჯანდაბას, ვიყო საყვარელი, პატარა გოგო. არ გაამართლა სექსუალური გოგოს იმიჯმა. სკარლეტი.

● ყველას მოგესალმებით! კითხვა არ გინდათ, თუ როგორ ბრძანდებით. უბრალო მკითხველის თვალითაც კარგად ჩანს, თქვენი ერთმანეთის მიმართ სიყვარული (სიძულვილი). ჰო, კიდევ, იკუშკებს მინდა ვკითხო: მისტერს ასეთი რა უთხრა (უქნა), რომ ახლა ფინია ძაღლივით კუდს უქიცინებს? ამ ენიგმაზე (ბერბიჭაზე) ხომ გადაირივნენ ეს უდონო გოგონები. მსაჯული.

● მე ვარ ჟურნალი „გზა“, ჭრელი მოზაიკა, უხვად მოხატული ხალხთა გალერეა, მკითხველთა სინოტივე სულში ლოცვად მიკრავს, თუ კი, რა თქმა უნდა, გზა არ ამერია. მე ვარ მარორიტა, მე ვარ განშორება, მე ვარ მონატრება, მე ვარ სიმარტოვე, ცუდი ლექსიკით და უაზრო ნაწერებით, თუ კი ისევ მოხვალ, მე შენ მიგატოვებ. მე ვარ „გზავნილები“, ლექსთა გაფიცხება, სისხლის ადუღება, მესიჯ-შარბათებით ვიწყებ ხუთშაბათით, მერე ლოდინით და მერე იმედით და... ისევ გავნათდები... მე ვარ პროვოკატორი, უხმო გაშიშვლება, უხმო კრიტიკის და უცხოთ სინანული, „გზაში“ პირველ გვერდზე სუნთქვად გავიშლები, მწარე სიმართლით და მწარე სიყვარულით. მე ვარ ქაჯაია, მე ვარ გადაბნევა, მე ვარ გადანერგვა სხივთა პალიტრების, მე ვარ თავად რჩევა, მე ვარ შენი შემწე, მე ვარ მოლოდინი დიდი დაფიქრების. მე ვარ გრაფ თარხანი, უცხო სიმბოლიკა, ახსნაგარეული ხიბლი მკითხველების, მე ვარ ფსიქოლოგი, მე ვარ ანდამატი, შენი არეული დარდის მრიცხველების. მე ვარ ანანიძე, ჯაბა ბათუმიდან, შხეფთა აღწერის და ფერფლად მინავლების, ერთ დროს დამდაგველი მწველი მხურვალება, ბოლოს შვებულების ნისლით ვიმალები. მე ვარ ლიმონჩეკა, მე ვარ გაფითრება, მე ვარ სასწაულის მკვეთრი ნაბიჯები, მე ის სიკეთე ვარ, რომ არ გაითვლება, მე ის ბავშვობა ვარ, რომ არ დავდინჯდები. მე ვარ ცისტრუსთქალი, მე ვარ ატირება, მე ვარ ამურისგან გულებდამსხვრეული, მე ვარ კვირტდამზრალი ციტრუსთყვავილობა, მე ის ლიმონი ვარ, მტვერში წაქცეული. შენ ხარ სვანთ ასული, მე ვარ კოლხთა მზერა, მე ვარ მონა-ლიზას სიცილთ ორეული, შენ ხარ აუხსნელი, შენ ხარ ასახსნელი, თითქოს ახლობელი, მაგრამ შორეული. ან აქ რას ვაკეთებ, ღმერთო, აქ რა მინდა? ასე რად მომნუსხა „გზის“ ამ გალერეამ, თითქოს მომიყვანეს სულ სხვა სამყაროდან და ამ სამყაროში გზები ამერია... არის ჟურნალი „გზა“, არის ხუთშაბათი და ამ დღეთა მადლი ჩემი მფარველია... P.S. მომენატრეთ. ლიმონა-მანიუ.

● მინდა, მგზავნელების კლუბს შევუერთდე. 2 წელია, თქვენს გზას ვადგავარ და პირველად გწერთ! მყავს ცოლი, სასტიკად ეჭვიანი და იმიტომ ვიკავებდი თავს, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, შემოგიერთდეთ, რადგან სულითა და გულით თქვენთან ვარ! პატივისცემით, მრთ-999.

● მარ, როგორ ხარ? ახლა ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ აქვს. გუშინ ნინი შერმადინმა ბერძნები დაშოკა, თავისი სიმღერით და გარეგნობით. მოკლედ, მაგრად გვასახელა. ალინა.

● იკუშკები, როგორ ხარ, სიხარულო, ხომ ხარ კარგად? მაპატიე, ამდენი ხნის პაუზა. შენი ნომერი დავკარგე და ველარ შეგეხმიანე. მოკითხვისთვის მადლობა. სოფო, ათენიდან.

● ნურასოდეს დავკარგავთ ერთმანეთს, ეს ჟამთასვლა მოგონებად ვაქციოთ და როდესაც ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს, მეგობრობის სადღეგრძელო დავლიოთ. დათო ჯიაძეს, სოფოსგან.

● სევდის ქარი, გულის დარი, იდუმალი მეგობარი, მგზავნელების სიყვარუ-

ლი მუდამ იყოს შენი ფარი. უკეთესსაც იმსახურებ, ჯერ სახელი რად ღირს — მარი. მერწყული.

● ძალიან, ძალიან მტკივა გული. 2 შვილი მყავს და უსაყვარლესი ცოლი მყავდა. მყავდა იმიტომ, რომ აღარ მყავს. ძალიან ბევრ ადამიანს არ უნდოდა ჩვენი ერთად ყოფნა და ჩემმა „რიჟების დედოფალმაც“ ვერ გაუძლო ამდენ ტანჯვას და წავიდა, მიმატოვა, მარტო დამტოვა. შორიდან ვეფერებით ერთმანეთს. დღეს მივდივარ მის სანახავად და ღვთის წყალობით, ვნახავ ალბათ. ძალიან, ძალიან მიყვარს ჩემი თამარა და გეხვეწებით ყველას, მაცადეთ ბედნიერება ცოტა ხნით მაინც, ხალხოოო!

● ახლა ქუთაისში, კიკაბიძის კონცერტზე ვარ და ბუბა რუსულ სიმღერებს დიდი ენთუზიაზმით მღერის. მე ვაპროტესტებ, მაგრამ... გერასიმე.

● ჟურნალი თითებს არ აშავებსო?! განა მარტო თითებს? ამას წინათ ჟურნალზე ჩამეძინა, გავიღვიძე თუ არა და გონს მოვედი, მთელი მარჯვენა ლოყა წარწერებით მქონდა სავსე. უკარება.

● მისტერს: უცხო კაცთან მე ისეთი მხდალი ვარ, გვერდით როგორ დავუწვები, მისტერ?/ მე ისეთი პაწაწინა ქალი ვარ, რომ სირცხვილით დავიწვები, მისტერ,/ მე ისეთი პატარა ვარ, მე ისეთი პატარა ვარ ჯერ,/ მე რომ დედას მომაშოროთ, ცოდვა არის, ადრე არის, მისტერ.../ დედამ კაბა შემიკერა ლამაზი, წითელ-ყვითელ საკინძებით, მისტერ,/ ხომ დაჭმუჭნით, ხომ წახდება სამოსი, თქვენ რომ გვერდით დაგიწვებით, მისტერ?../ შემოდგომის უქმე უკვე გავიდა, გრძელი არის ზამთრის ღამე, მისტერ,/ მე იმ ღამეს სხვასთან როგორ ავიტანე, არ მეყოფა სითამამე, მისტერ./ აგერ, ქარმაც ამოყარა ფიფქები, ფოთოლიც კი არ ჩანს მწვანე, მისტერ.../ გაზაფხულზე უფრო დიდი ვიქნები, მოდით, მაშინ წამიყვანეთ, მისტერ! გაცოცხლებული თოჯინა.

● ერთხელ მეც შევცდი, მეც შემიყვარდა, გულში ფარულად გაჩნდა ბზარები, ერთხელ მეც, როგორც პატარა ბავშვმა, ცრემლების ჩუმად დავდგი ღვარები, მეც შემიყვარდა პატარა ბიჭი, ისე ამაყი ვიყავი ამით, მან მიმატოვა, ჩუმად წავიდა და ღამეები მიქცია თეთრად, აქ თუ კი არა, ჩემო სიცოცხლევ, იქ, მაღლა, ცაში ვიქნებით ერთად. საკუთარი ჩანაწერებიდან ეძღვნება ჩემს სიკალულს, რომელსაც შორიდან ვეტრფი. ჩემო გოჭუკი, შემიყვარე. რომ იცოდე, რა გოგჩო ვარ, მაგრამ თავად მნახავ, რომ ჩამოვალ. უკარება.

● ბევრჯერ შევცდი, როცა სიყვარულის არსებობა დავიჯერე. დავიჯერე, რომ შეიძლებოდა ბედნიერი ვყოფილიყავი, მაგრამ თურმე ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვსურს. ვიღაცისთვის მეტისმეტად კარგი ხარ, ვიღაცისთვის ისეთი არა, როგორზეც ოცნებობდა. იმედდაკარგული, გულს ხურავ და ეჩვევი შენს უბედურებას. მაინც მჯერა, რომ ვიღაც არსებობს, ვისაც ჩემი მარტოობა დასჭირდება, რომ მეც მაპოვნინოს ცხოვრების აზრისკენ მიმავალი გზა და შევძლო, მასაც გავულამაზო მარტოობა. მინდა, ბედნიერებას დავედევნო და დავიჯერო, თუ ავტირდები, მხოლოდ სიხარულისგან, მაგრამ გასაქცევად ძალა არ მყოფნის. ტირიფი73.

● ისა, ჰოო... და რავა მოგეწონათ „ჯეოსთარის“ შესარჩევ ტურზე დახვეწილი და უფროსი ძმა? ჩემი შორეული, მონათესავე სულები არიან. ქასთინგიდან გამოსულებს ბიძაშვილი შეხვდა და — აჰა, ძმებო, ესეც თქვენი პოპულარობა. მთელი შიდა ქართლის კაიფი არ გყოფნიდათ, ახლა მთელი საქართველო უკეთ იკაიფებსო. აპაა, ასეა და ამგვარად. დამავიო.

● სიკვდილ, ჩემო კარგო, შევეფეთოთ, აბა რა უნდა ვქნაააათ? მგონი შაბათ-კვირას ჯობია, თორემ ისე არავის სცალია... ერთი სული მაქვს, როდის გნახავთ, კუდრაჭებოოო! უნდა შეგახრამუნოოოთ... sweet-girl.

● ashley, ashley, ashley და კიდევ ერთხელ ashley! მმმმმმაგარია! ხალხო, შეეშვით ანგელოზს და საკუთარ თავებს მიხედეთ!!! ის განსაკუთრებულია! filippo.

● მარ, ამ დროს რომ გწერ sorry, მაგრამ მადლობის სათქმელად მოგწერე. მადლობა იმისთვის, რომ არსებობთ შენ, „გზა“ და მგზავნელები. ყველანი ძალიან მიყვარხართ...

● მოგესალმებით ყველა მგზავნელს, როგორ ხართ? მე ახალი ვარ და თუ მიმიღებთ... გინა20.

● ashley pcd, დიდი სიამოვნებით გაგიცნობ, გენაცვალე... ძალიან საყვარლები ხართ. მიყვარხართ და გკოცნით. თქვენი გულნატკენი...

● ეთო, იმიტომ არ გწერ, რომ ჩემს ნაკლს შეეხე. ლუნაც მაგიტომ დაგშორდა. მადლობა მას. ახლა კი შენს ბოღმას ჩვენზე ანთხევ. ხურდა დაგიბრუნე, ყვავო. მშვიდობით. გრუზინკა.

● სიყვარულით მოვიკითხავ sweet-ს, green-ს, ashley-ს, სუპერსთარს, ლიმონას, ჩუპის, დუჩის, 9717-ს, ლი ჰარვი ოსვალდს, კამ-კამას, აბეზარას, ნერტისს, ლუნას.

● მისტერ, ჩემო გულის გამხარებელო, მითხრეს, რომ ეჭვიანობას ვერაფერი ჰკურნავს. ასე რომ, უნდა გამიძლო. ლიზის მთელი გულითა და სულით უყვარხარ! ცოცხალი თოჯინა.

● გადავიფიქრე, აღარ მინდა ვიყო გულნატკენი... მიცნობდეთ, როგორც ამოუცნობი... ბერბიჭავ, სიხარულო, შენს ყურადღებას არ ვიმსახურებ?

● მოვიკითხავ ყველას, ვისაც ვახსოვარ. სევდიან და იდუმალ ქალს, ჩემს გრუზის, კამის და სხვებს. მაპატიეთ უყურადღებობა. სითბო მოგაკელით. ბედნიერებას მეც დავეწევი. ტირიფი73.

● თაკო, შენ და დედას მოგიკითხავთ, დიდი სიყვარულით. მომავალ წელს ისევ გავაწვალოთ სუპერსთარი. :) ათენი23 გავიცანი. ჰოდა, ქუთაისში დიდი შეკრება იგეგმება. :) green girl.

● იდუმალო, ზუმიდან ვარ, სიხარულოო! ფოთში კი დეიდა მყაავს. თბილისში ვარ, გენცვი და გაგიცნობ კიდევააც. თოლია, გამიხარდა, რომ დარჩი, ჩიტუნავ. კამ-კამ, მპუა შენა. ლიმონა.

● მისტერ, შენზე არ იყო ეგ მესიჯი და ასათიანზეც არასდროს ვყოფილვარ. ლუნ, არ წახვიდე, რა?! ლიმონას, გრუზინკას და მთელ გზავნილეთს მოკითხვები... მიყვარხართ. სოფი19.

● კაროჩეე, ლორელაი, რიცა, მაკადადუ, კუსკუსელა, აბეზარა, სარვიეტა, ეშმაკუნა, ფეშენა, სევდიანო, ცდუნებავ, უკარებავ, სოფ19, დუჩ, დამავიო, კამ-კამ და დალშე — მომენატრეეთ! ლიმონა.

● ლა-ლოლა, ჩემი ნომერი „გზის“ 32-ე ნომრის მე-3 განცხადებაა. გელი! საღამოსკენ შემეხმიანე. მენატრებით. ლუნა.

● ბერბიჭას: ჩანჩქერიო?! შემაშინე, ვნებიანო ნიაგარავ, მე რომ მზე ვარ დაგავიწყდა? მაგ კლდეებზე მიგაჯაჭვავ! დაგაშრობ და შეგსვამ წუთში, გემრიელი თუ ხარ მართლა? ცხრათვალა.

● ორად ორი მეგობარი, ორნი ვართ და დღეიდან ვიწყებთ „გზაში“ მოგზაურობას. სხვებსაც თუ ჩვენნაირად ფიქრი აქ მოუნდათ, შანსები ნულია. ვნახოთ, მათ რა მოუვათ. დროებით. 2-ნი.

● სუპერსთარ, დიიიდი მადლობაო, შენაო! :) აუცილებლად მოვალ, გპირდები. :) წარმატებები! დამავიო.

● თოლია, დურად, შენი წასვლა-დარჩენა არ მაღელვებს და არც არშიყზე მჭირდება ვინმეს დასტური. არც

იმისათვის შორ განმარტოდე,
დიდ ქალაქში უნდა წახვიდე

მე მინდა, ცუდად გითხრა რამე. ჰოდა, ბედნიერად, რა! იდუმალ ქალს მპუა. ბერბიჭა.

● გოგონებო, რატომ გაბრაზდით? თქვენ რა, ყველას ევასებით? მე სხვა სტილის გოგონები მევასებიან, უფრო. ესაა, რა! ირმუშკა, გაიხარეეე! ნამდვილი მამაკაცი.

● საჭიროების შემთხვევაში, არც შენ დაგაკლებ იმას, რაც გეკუთვნის. ზედმეტები არ მოგივიდეს. რეალში გნახავ, დამირეკე. ნამდვილი მამაკაცი.

● ლუნა მიდისოოო?! კაი, კაცო... წავიდეს, მერე, აქამდე ვინ აკავებდა, როო? მაგასაც არ გაეკიდოს მთელი გზავნილეთი! ვისურვებ, თან გაჰყოლოდეს ძალად ქართველებიც! ვოოტ! პარმენა.

● ashley, მარტო ფეხი კი არა, ყველანაირად მემსუბუქება და�ა... გიუოოო, აქ ვარ, შენი პარმენა!

● ლუნაჩკა, სად მიხვალ, გოგოო? მსიამოვნებდა შენი მესიჯების კითხვა. ვასას ბოდიში. ნამდვილი მამაკაცი.

● თეთრო ყვავო, რომ გაგაშავო, არ გეშინია? ხუმრობა ვერ გაიგე, შურიანი გოგო იქნები, გეტყობა ბოღმის ნთხევაზე. ნამდვილი მამაკაცი.

● თუ მგზავნელი ხარ, ცეცხლს შენობით ელაპარაკე. crazy, საოცრება გოგო ხარ. ჭრიჭიი, ძლივს გვიკადრე, რაა... :-) სიკვდილ, დაგჭმუჭნი. ჩვენი ვასასიც მოგრანდიოზულდაა... ლიმონა.

● სევდიან ქალს: მადლობა კარგო და თბილო ადამიანო, გულითადი მოკითხვისთვის. გრუზინკასაც ძალიან უყვარხარ და პატივს გცემს. ძალიან მიხარია შენი გაცნობა. გრუზინკა.

● შეწირულს: დათ, იქნებ შემოაღო „გზავნილების“ ჭიშკარი და დაამესიჯო, რადგან ძალიან გვენატრები. მე — განსაკუთრებით. მინდა, შენი გზავნილები წავიკითხო. გაკოცე. გრუზინკა.

● ლუნას: მიხარია ძალიან, სწავლა რომ გადაწყვიტე. ამით ჩემს მოგებულ სურვილს ასრულებ.

● როგორ ხართ? არც თუ ისე ხშირი მკითხველი ვარ „გზის“. ძალიან მომწონს „გზა“... მინდა, „გზის“ მკითხველები გავიცნო. სიყვარულით, ლალი, 20 წლის. გკოცნით.

● მე გეთანხმები სიკვდილ იმაში, რომ სიყვარულის ყვავილი იასამანია. ეტყობა, გიყვარს იასამანი. მე კი ვგიჟდები, ისე მიყვარს. ჩემი ნიკიც ამაზე მეტყველებს. იასამანი.

● პრივეტ, როგორ ხართ? დიდი ხანია, „გზის“ ფანი ვარ, მაგრამ პირველად გადავწყვიტე მოწერა და იმის თქმა, რომ ყველანი ძალიან მიყვარხართ... cold girl.

● რაღაც რომ გთხოვოთ, დამეხმარებით? I'm in georgia.

● მემე, შემოვრჩით სევდის თალხისფერ ემბაზს და სასწაულებს აღარ მოველით, მგონი ორივე ვრჩებით ოცნებად, შორეულნი და მიუწვდომელნი. მარა იცი, რაა? გულს ნუ გავიტეხთ, იმედითაა წუთისოფელი. ენიგმა. P.S. ალინა, მოიფიქრე რამე, თორემ მოგვიკაკუნა სიბერემ. I love „გზა“. გილოცავ მგზავნელობას. სულ მწვანე გზით იარე. დროებით გტოვებთ. ენიგმა.

● სიყვარულით მოვიკითხავ კამის, ლიმონას, ლამაზ ქალებს (სევდიანი და იდუმალი ქალები), ჯეჯეს, ბერბიჭას, ენიგმას, კუსკუსელას. მოკუსკუსდი ჩვენთან, კუსკუს. :) იასამანი.

● თეთრო ყვავო, სხვისი არ ვიცი და მე მომწონხარ. თუ დედუქციას და ლოგიკას შევაჯერებთ, გზავნილიორკის მთავარი ღერძი ხარ. მარ, თითს მუქარით ნუ მიქნევ, ეგრეა დაა... ბერბიჭა.

მიყვარხარ

● მინდა ვუთხრა ომარ დარჩიძეს, რომ თვალი გაახილოს. არ ვიცი, ბრმა ხარ თუ თავს იბრმავებ, მაგრამ ეს კი დანამდვილებით ვიცი, რომ მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად! ვერასოდეს ვერავინ შეგიყვარებს ისე ძლიერად, როგორც მე მიყვარხარ. არ ვიცი, რა გავაკეთო, რომ მიხვდე, მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ჟამი. ცხოვრებაში ერთხელ მღერის თეთრი გედი, ეს ცხოვრება ერთი დიდი ნაბადია, რა გაჩუქო სიყვარულზე უკეთესი, გულის მეტი არაფერი მაბადია. მიყვარხარ, ომარ დარჩიძევ. დაიკო.

● დილარ, შენ ჩემი ცხოვრება, სიხარული და სუნთქვა ხარ. სიგიჟემდე მიყვარხარ. შენი პატარა ბუსა.

გილოცავ!

● ოლე, მა, გილოცავ პატარა ლიკას დაბადებას. ოჯახის პატარა, ახალი წევრის შემატებას. ღმერთმა ჯანმრთელი და დღეგრძელი გიმყოფოთ. გკოცნი, შენი უკარება.

● ჩემს ძამიკოს, ოლეგარიოს, მთელი გულით ვულოცავ შვილიშვილის, პატარა ლიკას დაბადებას. პატარა პრინცესას ვუსურვებ ჯანმრთელობას, უღრუბლო ბავშვობას და ბედნიერ მომავალს. ოლე, ძმაო, ღმერთმა ბედნიერები დაგიბეროს ქალიშვილიც და შვილიშვილიც. ულევ ბედნიერებას გისურვებ, შენს ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარხარ! სევდიანი ქალი.

● ვალერი, გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი. აგსრულებოდეს შენი გულის ჩანაფიქრი, 100%-ით. გვიყვარხარ და გვენატრები. ვალერ ეფხოშვილს, და-ძმებისაგან.

● 3 ოქტომბერს დაბადების დღეს ვულოცავთ ჩემს ულამაზეს ნათლიას, თამთა ჩხაიძეს. მრავალს დაესწარი. უფალი გფარავდეს. შენი პაწკო დათუჩა.

● ქუთაისში, დედა-შვილს, თამარსა და ფიქრიას ვულოცავთ დაბადების დღეს, 7 და 10 ოქტომბერს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და უფლის წყალობას. ვოვა და მიშიკო ხიჯაკაძეები.

● ზურა შავიშვილს: ჩემო საყვარელო გოჭუნა, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ გეპოვოს შენი ადგილი ცხოვრებაში. მჯერა, შენ შეგიძლია! დიდი სიყვარულით, ეკა. გკოცნი.

● 10 აგვისტო ხომ ჩემი მანოს დაბადების დღე იყო. ამ დღეს 18 წლის გახდებოდი, დაი. რომ იცოდე, რა ძნელია, უშენოდ ყოფნა. გაუსაძლისი ხდება ცხოვრება უშენოდ.

● ბექა გოგუას: 11 სექტემბერს დაბადების დღეს გილოცავ, გაიზარდე ჩვენ სასახელოდ. მაგრად მიყვარხარ. ღმერთს ებარებოდე. შენი მამიდა, ეკა გოგუა.

● ქობულეთში, ზურა შავიშვილო, 6 სექტემბერს შენი დაბადების დღეა. გილოცავ, მინდა, ბედნიერი იყო. შენ ეს დაიმსახურე. მაგრად მიყვარხარ. ღმერთს ებარებოდე. ეკა, თბილისიდან.

● სალონიკში, ნინო გაზაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო მონატრებულო შვილო, გისურვებ ბედნიერებას, შენს პატარა ოჯახთან ერთად. გფარავდეს ღვთისმშობელი მარიამი და წმინდა ნინო. ძალიან მენატრები. შენზე ფიქრით იწყება და მთავრდება დღე. ძალიან გვიჭირს მე და შენს დაიკოს და გვჭირდები, შვილო. სიყვარულით, დედიკო და მაკა.

● სალონიკში, ნინო გაზაშვილს 8 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო დაიკო, გისურვებ ბედნიერებას, ულევ სიხარულს. მენატრები ძალიან. შენი დაიკო, მაკა გაზაშვილი.

● მარი, გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაესწარი, სასახელო და ჯანმრთელი გოგო გაზრდილიყავი. შენი კარგის მსურველი, ეთო ბებო.

● მარი ნოზაძეს 5 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, ოჯახის წევრებთან ერთად. მარი, მიყვარხარ და მენატრები. შენი დეიდაშვილი ფატი და შენი დედიკო, თამარა. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

● ათენში დროებით მცხოვრებ ლალი ბერაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 ოქტომბერს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, მონატრებულ ოჯახში მალე დაბრუნებას. მძახალი, ირა ვირსალაძე.

● ქუთაისში, ჩემს მონატრებულ

შვილს, მალხაზ კვიჟინაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 7 ოქტომბერს. დე, მრავალს დაესწარი შენი ცოლ-შვილით. ღმერთი გფარავდეს. გკოცნი. შენი მონატრებული დედა, ირა ვირსალაძე.

● ჩემს საყვარელ მეუღლეს, ანზორ გეწაძეს ვულოცავ 12 ოქტომბერს 70 წლის იუბილეს. ღირსეულია ის ამაგი, რომელიც გასწია ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების აღზრდისთვის. გისურვებ ჯანმრთელობას, ტკბილ სიბერეს და შენი მონაგარის კიდევ უფრო გამრავლებას. გფარავდეს უფალი. შენი ჟუჟუნა. გკოცნი, ჩემო დიდო იმედო.

● 17 ოქტომბერს დაბადების დღეს ვულოცავ თამუნა ფილიას, ჩემს საყვარელ შვილიშვილს. ვუსურვებ ბედნიერ ბავშვობას, ლამაზ მომავალს, ულევ სიხარულს, სიყვარულსა და სიკეთეს. თამუნა, მიყვარხარ და მენატრები. ღმერთი იყოს შენი მფარველი. შენი ნათელა ბებო, ათენიდან.

● მინდა, დაბადების დღე მივულოცო წეროვანში ჩემს საყვარელ დისშვილს, თამუნა ფილიას. გისურვებ ჯანმრთელობასა და ულევ სიხარულს. მიყვარხარ და მენატრები, ჩემო ლამაზო სიხარულო. უფალი გფარავდეს. შენი ხათუნა დეიდა, ათენიდან.

● დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ ნათელა ბაბოს შვილიშვილები, ზიკო, თამუნა, ნათია, მარი, ლეილა, ირინა და ლიზიკო. გისურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

● ჩემს ულამაზეს დედიკოს, ქეთინო აბრამიშვილს ვულოცავ იუბილეს. დედიკო, ძალიან მიყვარხარ და ვამაყობ შენით. უფალს ვთხოვ, შენნაირი დედები უმრავლოს საქართველოს. თამი.

● ბერეკაშვილო, გილოცავ სამშობლოში დაბრუნებას, გისურვებ შენი ფიქრებისა და მიზნების ასრულებას. მჯერა, ვაუკაცი ხარ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც გენდომება. ნისი.

● ირმა ბუჯიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ჩემო კარგო, ია-ვარდებით მოფენილ გზაზე გევლოს, მთელი ცხოვრება, ანგელოზ შვილთან ერთად.

● სოფო ადანაიას 5 ოქტომბერს ვულოცავ 25 წლის იუბილეს. მრავალს დასწრებოდე ლამაზო, მინდა, რომ იყო მუდამ მშვენიერი, ცხოვრება გქონდეს უზომოდ ბედნიერი. გკოცნი. დადუ.

● დათო ჯიაძეს ვულოცავ იუბილეს. 2 ოქტომბერს ხდება 26 წლის. დათო, გისურვებ უსაზღვრო სიხარულსა და წმინდა სიყვარულს. ღმერთი — შენკენ. სოფო.

● ჩემს 12 წლის უნახავ შვილიშვილს, დიანა ბოჭორიშვილს 6 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, გისურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულსა და სიყვარულს. არ მოგკლებოდეს უფლის წყალობა და მფარველობა. შენი მონატრებული ბებია, ჟუჟუნა ცუცქირიძე.

● რუსთავში, ჩემს საყვარელ შვილს, ნინო ქავთარაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 10 ოქტომბერს. გისურვებ ჯანმრთელობასა და ულევ სიხარულს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ღვთისმშობელი მარიამის მფარველობა არ მოჰკლებოდეს შენს პატარა ოჯახს. გკოცნით, მიყვარხარ და მენატრები, დედას სიცოცხლევ. შენი მშობლები, მანანა და შალვა.

● მინდა, დაბადების დღე მივულოცო ნინო წიქორიძეს. მრავალს დაესწარი, ქმარ-შვილთან ერთად. გახარება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. გფარავდეს უფალი. ლელა მაჩიტაძე.

● სექტემბერში დაბადებულ ძმებს, დათო და ლაშა სულაკაძეებს ვულოცავ დაბადების დღეს, საყვარელ ხალხთან ერთად. ინეზა და ბესო.

● ჩემს მონატრებულ შვილს, ვალერის ვულოცავ დაბადების დღეს, 31 წლის შესრულებას და შვილიშვილს, ილონას 11 წლის შესრულებას. ვუსურვებ მამა-შვილს ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. თქვენგან მონატრებული დედა და ბებია.

● ირმა, ჩემო კარგო, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. გისურვებ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. მალე შენს ოჯახში დაბრუნებას. გულიზა მამასახლისი.

● რუსიკო ზარნაძე-დევიძეს: დედა, გილოცავთ დაბადების დღეს, გაიხარე შენი საყვარელი ოჯახით. წინსვლა და სიხარული მოეტანოს ყოველი წლის მომატებას. დიდი მადლობა, ჩვენი შვილების ყურადღებისთვის. ირინა და კახა დევიძეები.

● მადონა ჩაფიძეს და თამუნა ჭეიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 3 და 11 ოქტომბერს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს. ათენი, მეგობრები.

● თამუნა ჭეიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 ოქტომბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერი ოჯახის შექმნას. შენი დედიკო, ნანა ქათამაძე.

● ჩვენს შვილებს, გაგა და ანზორ (აჰო) დევიძეებს ვულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გაიხარეთ, ბიჭებო, თქვენ ხომ შარშანდელი სასწავლო წლის წარჩინებით დამთავრებისთვის ქების სიგელები მიიღეთ. ჩვენთვის ეს დიდი სიხარულია. გფარავდეთ უფალი. თქვენი დედიკო და მამიკო, ირინა და კახა დევიძეები.

● წითელხევის მე-2 საშუალო სკოლის პედკოლექტივს ვულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. წარმატებები, წინსვლა და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. ბევრი სასახელო შვილი გაგეზარდოთ საქართველოსთვის. მადლობა, რომ არსებობთ, მომავალი თაობის საკეთილდღეოდ. ირინა და კახა დევიძეები.

● ნინო ანანიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, ოჯახთან ერთად. გფარავდეს ყველაწმინდა. თამილა.

● ქუთაისში, მაკა სალდაძის შვილს ვულოცავ იუბილეს. ანუკი გვიშიანს ვუსურვებ სიხარულს, წარმატებას ცხოვრებაში, ლამაზი მომავლით. გფარავდეთ უფალი. ეკა ფურცხვანიძე.

● ქეთინო მოისწრაფაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარული და სიყვარული არ მოგკლებოდეს. გისურვებ საუკეთესო მომავალ წლებს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შენს დედას, ქალბატონ რუსიკოს მადლობა ვუთხრა, თქვენისთანა შვილების აღზრდისათვის. გფარავდეთ ღმერთი. ნ.ბ.

● ნესტან ტვილდიანო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ უღრუბლო ცასა და შენი ოცნების ახდენას. ჯანმრთელობასა და წმინდა და სპეტაკ წლებს, შენს ლამაზ მაგდასთან და ნიკოლასთან ერთად. ნელი ბართია.

● დოდო და მაია ტიკარაძეებს ვულოცავ დისშვილის, ქეთინოს დაბადების დღეს და ვუსურვებ ყველაფერს კარგს. კეთილო ადამიანებო, გფარავდეთ ღმერთი. ნესტანი.

● დაბადების დღეს, 4 ოქტომბერს ვულოცავთ იმედა (ოთიკო) ბაღდავაძეს, ვაშლარაში. დაესწარი მრავალს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. უფალი გფარავდეს. მაყვალა და ომარი, ოჯახით. ■

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

გონიერი მკითხველი

ფოტო, რომელმაც ნორნორა დაკარგა



• „უხილავი სიკვდილი“.

• „ნარკომანია კლავს“.

• „აქაც ვერა ვძლებ უშენოდ, გოგო!“

• „ეჭვიანი ადამი: — ვისზე გამცვალე, ევა?“

• „ოლონდ საქართველო აღორძინდეს და თავსაც არ დავზოგავ“.

• „თავის მოკვლას, სათვალე რომ მოეხსნა ბოლო წუთს, იქნებ მიმხვ-დარიყო, რომ სიცოცხლე სინათლეა, ცხოვრება მშვე-ნიერია! ბოლოს მიხვდა და სულ ეს აზრი აწვალებს იქაც!“ რაი-მ23

• „100 წლის შემდეგ“.

• „პუტინს — რა? თავში ტყვიაااااა!“

• „ამან მე-13 ნეკნი რომ ვერ იპოვა, თავს იკლავს“.

• „დავფიქრდეთ, თუ რა მნიშვნელოვანია სიცოცხლე“.

• „არ მინდა ასეთი სიკვდილი, თავი უნდა ვიცოცხლო“. ჩუმლაყელი.

• „მუქი სათვალით ვუყურებ, ამ საიქიოს“. ჩუმ-ლაყელი.

• „ვაჩვენოთ ეს სურათი მიცვალებულებს და კუკია დაცარიელდება... მოიცა, მოიცა, კი მაგრამ, კუკიის დაცარიელება ხომ იქ მომუშავე მამაკაცების უმუშევრად დატოვებას გამოიწვევს? შედეგად, ოჯახში ფულს ვეღარ მიიტანენ, ამიტომ მშივრები დარჩებიან. მშივრები რომ დარჩებიან, კუჭები გაუხმებათ, კუჭები რომ გაუხმებათ, მოკვდებიან და რომ მოკვდებიან, კუკია ისევ გაივსება. მაშ ასე, დასკვნა: სურათი არ ვაჩვენოთ!“ მისტერ.

• „ვისროლო? სათვალე რომ გაიბზაროს, დავიღუ-პები და ეგაა“. მია.

• „მასაც არ გაუმართლა სიყვარულში“...

• „თავს კი ვიკლავ, მაგრამ ისედაც მკვდარი არ ვარ?“ გრუზინკა.

• „არ გავარდა, არა!“ გრუზინკა.

• „უკვე მერამდენედ ვიკლავ თავს, მე უტვინო?“ გრუზინკა.

• „მომბაძეთ, ვისაც გინდათ“. გრუზინკა.

• „ასე დამასაფლავეთ, არ გატყუებთ, ჩემსა მზესა, აქაც კარგი კაცი ვიყავ, იქ ნათელი დამ-ადგესა“. ადლიაოტი.

• „ჩონჩხების რუსული რულეტკა“.

• „აქაც იგივე ცხოვრება ყოფილა, ფუ, ამის დედაც!“ კნოპკა.

• „სიკვდილი სიკვდილით გადაიღალა და სწორი არჩევანი გააკეთა“.

• „თუ არ შემიყვარებ, იცოდე, თავს აღარ ვიცოცხლებ“.

• „ორჯერ სიკვდილი“. სიკვდილა.

• „ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია, ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი“. ვალიკო, კატორი მიმინო.

• „ვაიმე, რას ვგავაااარ! თავს მოვიკლაااااავ! პრინციპში, აწი რაღას მოვიკლაااااავ!“ ჩუპი.

• „სულის სიცარიელე სხეულის თვითმკვლელობაა“.

• „საკუთარი თავისგან სიკვდილიც ვერ გიხსნის“.

■

ზაიმ-აუზი

გონებამახვილი მილიონერები

ცრუ სანტა კლაუსი

გამდიდრების უჩვეულო ხერხს მიაგნო ბაირონ რიზმა, რომელმაც 2001 წელს ჩრდილოეთ პოლუსზე საფოსტო ყუთი გახსნა, სანტა კლაუსი დაირქვა და მის სახელზე გამოგზავნილ წერილებზე ბავშვებს პასუხობს. სანტას წერილში მშობლები 10 დოლარს იხდიან, რამაც ბაირონის ბიუჯეტი რამდენიმე მლნ დოლარით გაზარდა.

სპორტ-კარტი

ყოფილმა მეზღვაურმა და ფიტნეს-ინსტრუქტორმა ფილ ბლექმა ბანქოს ქაღალდებზე სხვადასხვა ვარჯიში დაბეჭდა, შეფუთა და თითო დასტა 18.95 დოლარად გაყიდა. ბლექის შემოსავალი წელიწადში 5 მლნ დოლარია.

პაემანი ინფიცირებულთან

დაავადებულ ადამიანთან ურთიერთობას ყველა გაურბის, ზოგისთვის კი შეიძლება, ეს შემოსავლის წყაროდაც იქცეს. მაგალითად, პოლ გრეივსისა და ბრენდონ კოჩლინის სააგენტო შიდსის ვირუსის მატარებელს პაემანს უნიშნავს და კლიენტის მოთხოვნის მიხედვით, სააგენტოს წარმომადგენელი მასთან ერთად სეირნობს, რესტორანში სადილობს და არც სექსუალურ ურთიერთობაზე ამბობს უარს. პირველივე წელიწადს სააგენტოს შემოსავალმა 110 ათასი დოლარი შეადგინა.



ჩანთა დედებისთვის

კრისტი რეინმა დედებისთვის შექმნა პრაქტიკული და მოსახერხებელი ჩანთა, რომელშიც ჩვილისთვის (და დედისთვისაც) აუცილებელი ყველა ნივთი ეტევა. ჩანთა 14.99 დოლარი ღირს. რაც შეეხება კრისტის შემოსავალს, ის ყოველწლიურად 180 ათასი დოლარით იზრდება.

ქათმის ძვალი

ვინ იფიქრებდა, რომ ქათმის ძვალს მიმსგავსებულ პლასტმასის „სურვილის ძვალს“ ვინმე იყიდდა? კენ ახრონი წელიწადში 30 ათას ასეთ ძვალს ყიდის და იმედი აქვს, რომ ცოტა ხანში მსოფლიო ბაზარსაც დაიპყრობს.

ქალის ხვედრი

აღმოსავლეთის ქვეყნებში ოჯახის უფროსი კლავდა ქალიშვილს, რომელიც ოჯახს შეურაცხყოფდა. 2005 წელს თურქეთში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, სამუდამო პატიმრობა ელის მას, ვინც ქალიშვილს მოკლავს.

აღმოსავლეთში ახალი დაუწერელი კანონიც ამოქმედდა: მშობლების ნების წინააღმდეგ წასულ გოგონას (შერჩეულ საქმროზე უარის თქმის ან სატრფოსთვის გაგზავნილი მესიჯის გამო) ოჯახი აიძულებს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულოს. სტატისტიკის მიხედვით, სუიციდის შემთხვევა ყოველწლიურად იზრდება.

ძველად არაბები ჩვილ ქალიშვილებსაც კი ხოცავდნენ, რათა მომავალში ოჯახისთვის სირცხვილი აერიდებინათ.

იორდანიაში თუ გასათხოვარ ქალს სასიყვარულო კავშირში ამხელდნენ, თუნდაც ეს ჭორი ყოფილიყო და სამედიცინო გამოკვლევასაც დაედასტურებინა, რომ იგი კვლავ ქალიშვილია, მას აუცილებლად სიკვდილით დასჯიდნენ. „დამნაშავის“ სიკვდილით ოჯახი ღირსების აღდგენას ცდილობდა.

ევრაზიური ცრურწმენები

* იტალიელებს ძალიან ეშინიათ ავი თვალის. „თვალი რომ არ ეცეთ“, მარჯვენა ხელით „თხას“ აკეთებენ (საჩვენებელ და ნეკა თითს წინ სწევენ, დანარჩენებს კი ხრიან). ავი თვალის ასარიდებლად, იტალიელები რქისგამოსახულებიან თილისმასაც ატარებენ.

* ბერძნების აზრით, ღამურას ძვალს წარმატების მოტანა შეუძლია, მაგრამ მისი მოკვლა, ძვლის მოპოვების მიზნით, დიდ უბედურებად მიიჩნევა.

* არც ერთი ჩინელი არ დაიჭრის ფრჩხილებს ღამის 12 საათის შემდეგ, რათა სულებთან შეხვედრა აიცილოს თავიდან.

* ცრუმორწმუნეები არიან ირლანდიელებიც. მამა ახალშობილი ჩვილით მუხლებამდე წყალში უნდა შევიდეს, რათა გაარკვიოს, ჩვილი ნამდვილად ბავშვია თუ ეშმაკისეული. ირლანდიელებს მიაჩნიათ, რომ ეშმაკისეულებს წყლის ეშინიათ.

* ინგლისელები მიიჩნევენ, რომ კიბის ქვეშ გავლა, ყვავის ნახვა ან მისი ხმის გაგონება უბედურების მომტანია.

* ფრანგები მიიჩნევენ, რომ შავი კატის დანახვა უბედურების მომასწავებელია; ინგლისელები კი ერთმანეთს შავი კატისგამოსახულებიან ბარათებს ჩუქნიან და ერთურთს წარმატებას უსურვებენ!

* იტალიელი მიიჩნევს, რომ წარმატებას მიაღწევს, თუკი კატის ხმას გაიგონებს, ინგლისელი კი ამისთვის ყოველი თვის პირველ რიცხვში ხმამაღლა ყვირის: „თეთრი კურდღელი“.

* იაპონელების აზრით, უბედურება დაატყდება მას, ვინც ჰასის (ხის ჯოხები) ბრინჯის ჯამში ჩაარჭობს. მათთვის მიუღებელია ფოტოსურათზე 3 ადამიანის გადაღებაც — თურმე მას, ვინც შუაშია, ავადმყოფობა ან სულაც, სიკვდილი ელის.

* ჩინეთში მიაჩნიათ, რომ ცოცხში სული ცხოვრობს. ამიტომ, ცოცხით ვინმეს ცემა არ შეიძლება. ■



ნივთმტკიცება

ნინა ვანგი აზიის ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ექსტრავაგანტური ქალი გახლდათ. მისი გარდაცვალების შემდეგ (2007 წლიდან) არ წყდება სასამართლო პროცესი, სადაც 4,14 მილიარდი დოლარის მემკვიდრეობის მისაღებად რამდენიმე ადამიანი იბრძვის. ბრძოლა უკვე მეორედ წააგო ფენ-შუის ექსპერტმა, რომელიც ამტკიცებს, რომ გარდაცვლილის საყვარელი იყო და ამის დასადასტურებლად, ნივთმტკიცებების სახით, გარდაცვლილის საცვლები და ნახმარი პრეზერვატივებიც კი წარადგინა, რომელიც ფენ-შუის ექსპერტს რატომღაც, „შემთხვევით“ შეუნახავს. ■

იყიდება „უკვდავება“

ერთ-ერთი ამერიკული კომპანია „უკვდავებას“ 30 დოლარად ყიდის და მისი შეძენა ინტერნეტშია შესაძლებელი. თუ ამ ფასად Legacy Locker-ზე დარეგისტრირდები, საიტის მფლობელები გარანტიას გაძლევენ, რომ მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე და მის შემდეგაც შენი პაროლი, ლოგინი და ყველა კოდი ხელმისაწვდომი იქნება იმ მეგობრებისა და ნათესავებისთვის, რომლებსაც თქვენი ნების თანახმად, სიკვდილის შემდეგ ენდობით. ■

„როგორც მე მინდა“

ნორვეგიის სასამართლომ 80 ათასი დოლარით დააჯარიმა ბიზნესმენი, რომელმაც ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილით 40 მ გაიარა. წესით, ასეთი დარღვევის შემთხვევაში, კანონი 80 ევროთი დაჯარიმებას ითვალისწინებს, მაგრამ თურმე, ნორვეგიულ კანონმდებლობაში არსებობს მუხლი, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეს შეუძლია, ჯარიმის რაოდენობა დამნაშავის ქონების რაოდენობის მიხედვით დაადგინოს. ■

რა ღირს ქალაქის მერის ცემა?

ბელორუსიელმა პენსიონერმა ქალაქ ვიოსკოეს მერი სცემა. მას მილიციამ დააკისრა ჯარიმის — 606 ათასი ბელორუსიული მანეთის (დაახლოებით, 220 დოლარი) გადახდა, მაგრამ მამაკაცმა შეძლო და სასამართლო პროცესზე მოსამართლე დაარწმუნა იმაში, რომ ქალაქის მერი სამართლიანად გაიღახა. ამის შემდეგ მას უკან დაუბრუნეს ის თანხაც, რომელიც ჯარიმის სახით გადაიხადა. როგორ ფიქრობთ, ქართველმა პენსიონერმა ქალაქის მერი რომ სცემოს, რა მოხდება?.. ■

სკლეროზი

სამხრეთ კორეის ერთ-ერთ უსახლკარო მაწანწალას თავისი სახელი და გვარი დაავიწყდა, რის გამოც ბანკში, მის სახელზე არსებული 10 ათასი დოლარი ვერ აიღო და შიმშილით ამოხდა სული. ვარაუდობენ, რომ მამაკაცი 56 წლის გახლდათ და კიბოთი გარდაიცვალა. ■

საყვარელი ძაღლი

ბანგკოკელმა იუველირმა თავის ძაღლს 4,2 მილიონად შეფასებული ტიარა აჩუქა. ხვადი 15 წლისაა და კანუნი ჰქვია. როგორც ცხოველის პატრონმა აღნიშნა, ამ ჟესტით მან საკუთარი ძაღლისადმი უზომო სიყვარული გამოხატა. გამოფენაზე, რომელშიც კანუნი მონაწილეობდა, სხვა ძაღლები მათთვის საგანგებოდ შეკერილ საცურაო კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი, კანუნი კი ოქროს ტიარათი იწონებდა თავს. ■

სტიმული სასიძოებისთვის

„ოჯახის დაცვის სახალხო ლიგა“, რომელიც ღაზის სექტორში მოქმედებს, იმ მამაკაცს, რომელიც შაჰიდის ცოლზე დაქორწინდება, თვეში 280 დოლარს გადაუხდის. ლიგა წუხს იმის გამო, რომ ღაზაში, ისრაელის არმიის ქმედებების შედეგად, გარდაცვლილი შაჰიდების რაოდენობა გაიზარდა. ამჟამად ლიგა იძულებულია, ოპერაცია „ჩამოსხმული ბრინჯაოს“ შედეგად გარდაცვლილი 10 შაჰიდის ცოლი გაათხოვოს, რათა ქალებსაც და მათ შვილებსაც პატრონი ჰყავდეთ. მომავალი სიძისთვის კი ლიგის მიერ დაწესებული თანხა ერთგვარი სტიმული იქნება. ■

დაჩი ცაგურია ხაინდრავების სიძე ხდება

ახალგაზრდული ოპოზიციური ფრთის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი — დაჩი ცაგურია შეხვედრაზე ისე დამთანხმდა, არც კი უკითხავს, რა თემაზე უნდა გვესაუბრა. ერთმანეთს დათქმულ დროს შევხვდით. როგორც კი გაიგო, რომ „ერუდიტში“ უნდა ჩამეწერა, ინტერვიუს გადადება მთხოვა, — მოვემზადები და მერე ჩამწერეო, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას არ დავთანხმდი და იძულებული გახდა, ჩემ მიერ დასმულ კითხვებზე ეპასუხა.

„ყურებამდე ვარ შეყვარებული...“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— გავიგე, დაქორწინებას აპირებსო, მართალია?

— მართალია!

— შენი რჩეული ვინ არის?

— ნათია ხაინდრავა. რატომღაც, ყველას ჰგონია, რომ გოგა ხაინდრავას სიძე ვხდები, მაგრამ ნათია გოგას შვილი ნამდვილად არ არის.

— დიდი ხანია ერთმანეთს იცნობთ?

— 2 წელია. ერთმანეთი საერთო მეგობართან გავიცანით და ახლა ყურებამდე ვარ შეყვარებული.

— „ყურებადე სიყვარული“ რას ნიშნავს?

— (*იცინის*) ასეთი გამოთქმაა და...

— როცა შენ დაგაკავეს, ნათიამ კარავი გაშალა და შიმშილობა გამოაცხადა.

— დიახ, ასე იყო. ერთად ბევრი რამ გადავიტანეთ.

— შენს პოლიტიკურ აქტიურობას როგორ აფასებს?

— დადებითად და არ მთხოვს, შევიცვალო. როგორიც ვარ, ისეთი ვუყვარვარ.

— ჯვრისწერას სად აპირებთ?!

— მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში.

— შენი მეჯვარეები ვინ იქნებიან?

— ჩემი მეჯვარე ირაკლი კორძაია იქნება. ის, ვინც მეორე მეჯვარე უნდა ყოფილიყო, ამჟამად პატიმრობაშია — ვაკო გრძელიშვილი ჩემთან ერთად დააკავეს. მას ლოცვებში მაინც მოვიხსენიებთ.

— ბედნიერებას გისურვებთ!

— გმადლობთ.

— ქართველთა რომელ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ჯვაროსნები?

— დიდგორის ბრძოლაში.

— რა ჰქვია გზას, რომელზეც ციური სხეულები მოძრაობენ?

— ორბიტა.

— რა ფერის თმა აქვს მალვინას „ბურატინოს თავგადასავალში“?

— წითელი.

— ცდები, მას ცისფერი თმა აქვს. რა სახელს ატარებდა ძველად მეტროსადგური „ავლაბარი“?

— (*ფიქრობს*) 26 კომისრის სახელს.

— ადამიანის რომელი ჯირკვალი გამოყოფს ადრენალინს?

— არ ვიცი.

— თირკმელზედა ჯირკვალი. დაასახელე ზღვის დიდი ფრინველი, რომელსაც ფრენა არ შეუძლია.

— პინგვინი.

— ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ის ცალთვალა გოლიათი იყო, გამოქვაბულში ცხოვრობდა და ბობოქარი ხასიათით გამოირჩეოდა. რა ერქვა მას?

— ციკლოპი ხომ არა?

— დიახ. ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილ ამ შეჯიბრებას 41 კაცის სიცოცხლე შეეწირა. გამარჯვებულმა პრომაქოსმა, რომელსაც მეფემ ოქროს გვირგვინი საკუთარი ხელით დაადგა, 3 დღეც ვეღარ იცოცხლა. რაში მოაწყო შეჯიბრება ალექსანდრე მაკედონელმა?

— ეს ამბავი მეცნობა... შეჯიბრება ღვინის სმაში მოეწყო, არა?

— დიახ. რომელმა ლიტერატურულმა გმირმა იმოგზაურა ლილიპუტების ქვეყანაში?

— გულივერმა.

— 1986 წლამდე, აფრიკის რომელი ქვეყანა ატარებდა სახელწოდებას „სპილოს ძვლის ნაპირი“?

— არ ვიცი.

— კოტ დ'ივუარი. რომელ ქვეყანაში იყო ფაშის ტიტული?

— ოსმალეთში.

— რომელ ფილმში განასახიერა იპოლიტე ხვიჩიამ თავისი მოსახელე გმირი?

— (*ფიქრობს*) „თოჯინები იცინიან“.

— ცდები, სწორი პასუხია — „მხიარული რომანი“. რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია ბეირუთი?

— ვერ ვიხსენებ.

— ლიბანის. რომელი სიგარეტის კოლოფს ამშვენებს იულიუს კეისრის სიტყვები: „მივედი, ვნახე, დავამარცხე“?

— არ ვიცი.

— „მალბოროს“. რომელ ქართულ მხატვრულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“?

— „ქეთო და კოტეში“.

— რომელ ქვეყანაში დაარსდა პირველი დისნეილენდი?

— აშშ-ში.

— რა ერქვა ავაზაკს, რომელიც იესო ქრისტეს დასჯის სანაცვლოდ გაათავისუფლეს?

— ბარაბა.

— რომელ თევზს აქვს ორივე თვალი ცალ მხარეს?

— კამბალას.

— რა ჰქვია ნავს, რომლითაც ვენეციის არხებში დაცურავენ?

— არ ვიცი, ვენეციაში ნამყოფი არა ვარ.

— გონდოლა. 1626 წელს ერთმანეთს ორი ლაშქარი დაუპირისპირდა: ერთს გიორგი საakაძე მეთაურობდა, მეორეს — მეფე თეიმურაზი. სად გაიმართა ეს ბრძოლა?

— ბაზალეთის ტბასთან.

— რუსეთის იმპერიაში რომელი სოციალური ფენის გაერთიანება იყო გილდია — ვაჭრების, ხელოსნების, ჩინოვნიკების თუ ინტელიგენციის?

— ალბათ, ინტელიგენციის.

— ცდები. გილდია ვაჭრების გაერთიანება იყო. გაიუს მარიუსი, იულიუს კეისარი, მარკუს კრასუსი, პომპეუსი — ამ სარდლებიდან, რომელმა დალაშქრა საქართველო?

— პომპეუსმა.

— რომელი მომღერლის ნამდვილი სახელია რეჯინალდ კენეტ დუაიტი — სტინგის, ელტონ ჯონის თუ პოლ მაკარტნის?

— არ ვიცი.

— ელტონ ჯონის. რომელ ქვეყანაში მოღვაწეობდა ანთიმოზ ივერიელი?

— რუმინეთში.

— სადაური იყო დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის დამაარსებელი დავით გარეჯელი?

— ასურელი. იგი 13 ასურელი მამიდან ერთ-ერთი იყო.

— ჭიდაობის რომელ სახეობას უწოდებენ კლასიკურს?

— ბერძნულ-რომაულს.

— რა არის რიბირაბო?

— არ ვიცი.

— გარიჟრაჟი. რომელი კომპოზიტორის მუსიკა დაედო საფუძვლად საქართველოს ჰიმნს?

— არც ეს ვიცი.

— ზაქარია ფალიაშვილის. რას ნიშნავს სიტყვა „კავკასიონი“?

— ვერ გიპასუხებ.

— ყინულოვანს. რომელი ტომების თავდასხმებისგან დასაცავად ააგეს ჩინელებმა დიდი კედელი?

— მონღოლთა შემოსევებისგან თავის დასაცავად.

— რომელი ქვეყნის საპორტო ქალაქია ბილბაო?

— ესპანეთის.

— რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან პანამის არხმა?

— წყნარი ოკეანე.

— რომელი ქართველი მწერალი მოღვაწეობდა გერმანიაში?

— გრიგოლ რობაქიძე.

— რას ვეძახით ნატრიუმის ქლორიდს?

— სოდას, არა?

— არა.

— მაშინ, მარილს.

— გამოიცანი. ოდესღაც მათი ემბლემა კაჭკაჭი იყო. რას საქმიანობდნენ ეს ადამიანები?

— ვერ გიპასუხებ.

— გაზეთს უშვებდნენ. სიცოცხლის ბოლო წლებში რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა ჩარლი ჩაპლინი?

— ამერიკაში.

— დარწმუნებული ხარ?

— არა, ზუსტად არ მახსოვს.

— ბოლო წლებში მსახიობი შვეიცარიაში ცხოვრობდა. ფილოსოფოსმა კარლ-გუსტავ იუნგმა „დიპლომატიის არდადეგები“ რას უწოდა?

— (*ფიქრობს*) ომის დაწყებას ხომ არა?

— პასუხი ჩაგეთვალა. დაასახელე პირველი ქალაქი მსოფლიოს ისტორიაში, რომლის მოსახლეობამ რაოდენობით მილიონს გადააჭარბა.

— არ ვიცი.

— ბაბილონი. მათემატიკა კარგად იცი?

— ნაკლებად.

— მოსწავლეს 4 ფანქარი რომ ეყიდა, 5 თეთრი დარჩებოდა, ხოლო იმავე თანხით 8 ფანქარი რომ ეყიდა, 7 თეთრი დააკლდებოდა. რა თანხა ჰქონდა მოსწავლეს?

— (*ფურცელს და კალამს იმარჯვებს და 5-წუთიანი ანგარიშის შემდეგ ამბობს*) დავიტანჯე, სწორი პასუხი ვერა და ვერ მივიღე. მითხარი, ნულარ მაწვალებ.

— მოსწავლეს 17 თეთრი ჰქონდა. თეთრად აღინიშნებიან ისინი, ვისი მდგომარეობაც დამაფიქრებელია; მწვანედ — რომელთა რაოდენობაც აღდგა; წითელი ფერით აღნიშნავენ მათ, ვინც საფრთხის ქვეშ არიან. რაზეა ლაპარაკი?

— (*ფიქრობს*) გიჟებზე.

— ორიგინალური პასუხია.

— ვერ გამოვიცანი, არა? სწორ პასუხს მეტყვი?

— ლაპარაკია „წითელ წიგნში“ შეტანილ მცენარეებსა და ცხოველებზე. თუ იცი, სად უფრო მეტი ჯარისკაცი ირიცხება — ასეულში, ბატალიონში თუ ბრიგადაში?

— ბრიგადაში.

— დაბოლოს, დაასრულე ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს ცნობილი გამონათქვამი: „არამზადის სინდისი რომ გავაღვიძოთ...“

— „სიმართლე უნდა ვუთხრათ“.

— „...სილა უნდა გავაწნათ“.

■

ერუდიტი +

1. კატაკომბა (იტალ. catacomba) — ძველ რომსა და რომის იმპერიის სხვა ქალაქებში ვრცელი მიწისქვეშა გალერეა, სადგომი სადაც თავს დევნილი ქრისტიანები აფარებდნენ.

2. დოგმა (ბერძნ. dogma) — უკრიტიკოდ მიღებული დებულება, რომელსაც ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ.

3. დოგმატიზმი — არაკრიტიკული აზროვნება.

4. პედანტი (იტალ. perante) — ყველა ფორმალური მოთხოვნის ზედმეტად ზუსტად შემსრულებელი ადამიანი.

5. რიმეიკი (ინგლ. remake — ხელახლა გაკეთება) — მხატვრული ფილმის ხელმეორედ გადაღება და მისი ახალი ვერსიის შექმნა თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით.

ანეკდოტები

* * *

ორი მოხუცი ქალი ერთმანეთს შეხვდა:

— მარო, რამდენი ხანია, არ მინახავხარ! გახსოვს, ახალგაზრდობაში რა ლამაზები ვიყავით, განსაკუთრებით — მე!

— ეჰ, ახლა კი რა საშინლად გამოვიყურებით, განსაკუთრებით — შენ!

* * *

— შაქრო, ხვალ დავკოდოთ შენი ბურვაკი, თავისუფალი ვარ! — უთხრა მიხოს ვეტექიმმა.

— ხვალ რომ სახლში არ ვიქნები?

— შენი ცოლი ხომ იქნება სახლში?! უთხარი, მარტო ფეხები ამიწიოს, დანარჩენი მე ვიცი.

* * *

ტრანსპორტში:

— ჯიბეში ხელს რატომ მიფათურებთ?

— ასანთს ვეძებ.

— შეგეძლოთ გეთხოვათ.

— მომერიდა...

* * *

მოდების ჩვენების დროს ჟიურის ერთი წევრი მეორეს ეკითხება:

— ოდესმე თუ გინახავთ ასეთი დეკოლტე?!

— მინახავს!

— ოჰო! როდის?

— როცა ძუძუს მაწოვებდნენ.

* * *

ტურისტი, რომელსაც თუთიყუში საზღვარზე გადაჰყავდა, მებაჟემ გააფრთხილა:

— თუთიყუშზე ბაჟი უნდა გადაიხადოთ!

— რატომ?

— ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ საზღვარზე ბაჟის გადაუხდელად მხოლოდ ფიტულის გადატანა შეიძლება.

მგზავრი ჩაფიქრდა. სახეზე ყოყმანი დაეტყო.

— ეეე, იცოდე, არაფერი მიქარო, წადი და ბაჟი გადაიხადე! — აყვირდა თუთიყუში.

* * *

— როგორ უნდა მივანიჭოთ ქალს მეტი თავისუფლება?

— სამზარეულოს ფართობი უნდა გაუზარდოთ.

* * *

დიალოგი ციხის კამერაში:

— შენ ადრეც იჯექი?

— ჰო!

— რისთვის?

— თავით კედელი გავანგრიე.

— მერე, მაგაზე დაგიჭირეს?

— ჩემი კი არ იყო ის თავი!

* * *

— თქვენ მე იდიოტი გგონივართ?!

— არა, მაგრამ ხომ შეიძლება, ვცდებოდე?

* * *

ოფიციანტი:

— თუ შეიძლება, თავი ასწიეთ, თეფში უნდა გამოვცვალო.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა არის წარნაქი?
2. ეს ამერიკელი მწერალი ძირითადად, ფანქრით წერდა. დღის ბოლოს ხშირად უთქვამს, — დღეს ბევრი ვიმუშავე, ნახევარი ფანქარი შემომეხარჯაო. დაასახელეთ იგი.
3. „აი, ახლა კი მესმის ჭკვიანური სიტყვა სენატში!“ — რის შემდეგ წარმოთქვა რომის იმპერატორმა კალიგულამ ეს სიტყვები?
4. რა არის ეტრატი?
5. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ ოფიციალურად დაადგინა, რომ ერთხელ, ღამით, მკვეთრმა შუქმა გამოაღვიძა კორეის ყველა მცხოვრები. ისინი სახლებიდან გამოვიდნენ და გაკვირვებულები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, — რა მოხდაო? რა მოხდა იმ ღამეს კორეის მეცნიერებათა აკადემიის მტკიცებით?
6. დაასრულეთ სატირიკოს არკადი არკანოვის იუმორისტული მოთხრობების კრებულის სათაური: „ოტ ილიჩა დო...“
7. რა არის ქულბაქი?
8. რა არის კუბერა?
9. შუა საუკუნეებში, თავით ფეხებამდე აბჯარში ჩამსხდარ რაინდებს, ბრძოლებსა და რაინდთა ასპარეზობებში დაღუპვაზე მეტად, ბუნების სასასტიკე აშინებდათ. დაასახელეთ ბუნებრივი მოვლენა, რის გამოც მარტო 1360 წელს უფრო მეტი ინგლისელი რაინდი დაიღუპა, ვიდრე პუატიესა და კრესის ბრძოლაში ერთად აღებული.
10. რა არის შუნი?
11. რა არის ცრინტილა?
12. რით ფარავდა იულიუს კეისარი უკვე აშკარად შესამჩნევ სიმელოტეს?

* * *

ქმარი ცოლს ავტომობილის ტარებას ასწავლის:

— წითელ ფერზე გაჩერდი, მწვანეზე გაიარე, ჩემს გაფითრებულ სახეს კი ყურადღებას ნუ მიაქცევ.

* * *

— ცურვა იცი? — ეკითხებიან გურულს.

— სად? წყალში?

* * *

მიხო ქალაქშია ჩამოსული, დგას შუა ქუჩაში და ყვირის:

— ვაიმე, მიჭერენ!

— ვინ გიჭერს, აქ ხომ არავინაა? — გაოცდა გამვლელი.

— „ბათინკები“ მიჭერს, „ბათინკები“!

— კი, მაგრამ რომ არ გაცვია?

— მაგიტომაც არ მაცვია, ჩანთაში მაქვს შენახული!

* * *

— უკვე მითხრეს, რომ ძალიან ლამაზ და ჭკვიან ქალზე დაქორწინდი.

— ვინ გითხრა?

— შენმა ცოლმა!

* * *

— ვერ მეტყვით, ვინ არის ეს საფრთხობელა?

— ჩემი ცოლია.

— ოჰ, უკაცრავად, ნამდვილი დეგენერატი ვარ.

— ეეჰ, დეგენერატი შენ კი არა, მე ვარ!

* * *

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ხომ ხედავ, მესამე ხალათს ვრეცხავ.

— ორი უკვე გარეცხე?

— არა, პირდაპირ მესამეთი დავიწყე.

* * *

— იცი, გუშინ ზედმეტი 80 კილოგრამი მოვიშორე.

— როგორ?

— ცოლს გავეყარე.

* * *

შეკითხვა სომხურ რადიოს:

— რომელმა ქალმა გაიარა ყველაზე მეტი ტანჯვა-წამება კაცობრიობის ისტორიაში?

— კარლსონის დედამ... მშობიარობისას...

* * *

პატიმარი ციხიდან გამოვიდა. ახლობლები ეკითხებიან:

— რა გეგმები გაქვს?

— 3 გეგმა მაქვს: ორი ბანკის და ერთი საიუველირო მაღაზიის.

* * *

ორი ქირურგი ერთმანეთს შეხვდა:

— რაღაც მოწყენილი ხარ. რა იყო, ავადმყოფი შემოგაკვდა?

— უარესი!

— მაკრატელი ჩაუტოვე?

— უფრო უარესი: 100-დოლარიანი ჩამრჩა მის მუცლის ღრუში...

— ნეტა, რა განერვიულებს?! დღეს-ხვალ მოკვდება, გაკვეთ და ამოიღებ!..

— რომ არ მოკვდეს?!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მოყვითალო ფერის საღებავი მიწა, რომელსაც თიხის ჭურჭელს გამოწვამდე უსვამენ. გამოწვის შემდეგ იგი წითელი ხდება.
2. ერნესტ ჰემინგუეი.
3. როცა დარბაზში სენატორად არჩეული საკუთარი ცხენის, ინიციატიტუსის ჭიხვინი გაიგონა.
4. საგანგებოდ დამუშავებული ტყავი, რომელიც ძველად საწერ მასალად იხმარებოდა.
5. იმ ღამეს თურმე დიდი ბელადი, კიმ ირ სენი დაბადებულა.
6. „...ლამპაჩკი“.
7. ბაზრის დუქანი.
8. პურეულის თავთავის ერთი შტო.
9. მეხი.
10. დედალი ჯიხვი.
11. „სურდო“ და „ცრინტილა“ სინონიმებია.
12. დაფნის გვირგვინით.

ჩვენი ფოტო მაღვრევა

ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა ლევან ლეჟავამ მოგვაწოდა და დაარქვა „თავი სილაში“

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ვირისკოპი

(8-16 ოქტომბერი)

ვირაქი:
კარგი პერიოდია პრობლემების მოსაგვარებლად და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შეეცდებით, საყვარელ ადამიანს სიამოვნება მიანიჭოთ და საჩუქრებით გაანებივროთ.

ჯუჩი:
ამ კვირაში ფული უყაირათოდ არ დახარჯოთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. კარგი დროა სასიყვარულო რომანის დასაწყებად. მოგზაურობა დროებით გადადეთ.

ტყუპი:
დაიმახსოვრეთ, კარიერაში წარმატების მისაღწევად, ბევრი შრომაა საჭირო. შეეცადეთ, დასახულ მიზანს არ გადაუხვიოთ და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მაქსიმალურად მხიარული იყოთ.

ჯიჩიხი:
ახალი საქმის წამოწყებისგან თავი შეიკავეთ და დროულად გაწყვიტეთ კავშირი არასასურველ პარტნიორებთან. კარგია, თუ სამოგზაუროდ წახვალთ და უცხო ქვეყნის კულტურას გაეცნობით.

ლომი:
ნუ შეგეშინდებათ სიახლეების. კარგი დროა ქორწინებისათვის. მოგზაურობისას ეცადეთ, არ იყოთ კონფლიქტური, თორემ შესაძლოა, სამართალდამცავ ორგანოებთან პრობლემა შეგექმნათ.

ეკაგწუგი:
გაურკვევლობის შეგრძნება სამომავლო გეგმების დასახვაში შეგიშლით ხელს. ნუ მიიღებთ მონაწილეობას მასობრივ ღონისძიებებში. კარგია, თუ საყვარელ ადამიანთან ერთად, ბუნებაში გაისეირნებთ.

ხასწიჩი:
კარგი დროა ცოდნის მისაღებად ან გამოცდების ჩასაბარებლად. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ერიდეთ თვალთმაქცობასა და ტყუილს. იცოდეთ, ყოველი საიდუმლო მალე გამოაშკარავდება.

ფრიანფაკაგი:
პატიმოყვარეობა ახალი ცოდნის მიღებისაკენ გიბიძგებთ. საქმეები ერთფეროვანი, დამღლელი მოგეჩვენებათ და ამიტომაც, მათ გვერდზე გადადებთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

ბუბიდიხაფი:
თუ ინტუიციას დაეყრდნობით და ისე იმოქმედებთ, თქვენი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. ეცადეთ, ოჯახში ან საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა აღადგინოთ.

ოხიხ რეჭ:
შესაძლოა, პრობლემა შეგიქმნათ კომპიუტერულმა ან სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკამ. ეს ძველი სასიყვარულო ურთიერთობის გაწყვეტისა და ახალი რომანტიკული თავგადასავლის დროა.

ბეჩწუუგი:
შეუპოვრობის, მიზანდასახულობის, თვითკონტროლის, ნიჭისა და შრომისუნარიანობის მეშვეობით გასაოცარ წარმატებას მიაღწევთ. ნებისმიერ ინფორმაციას საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებთ.

ოგეგზებიბ:
მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას არ აჩქარდეთ. კარგად ჩაივლის შეხვედრები და მოლაპარაკებები, განსაკუთრებით — უცხოელებთან. ფრთხილად იყავით, არსებობს ავარიის ალბათობა.

პატარები გვიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

4 წლის ოთარ ჯავახიშვილის ბებია მეზობელს ეუბნება:
— ოთარიკო რუსულ საბავშვო ბაღში უნდა შევიყვანო, იქნებ, ენა გაიტეხოს.
მეორე დღეს ოთარიკომ პაპას განუცხადა:
— მე რუსულ ბაღში არ წავალ!
— რატომ?
— იმიტომ, რომ თურმე, იქ ბავშვები ენას იტეხენ.

3 წლის ვაკო ახალაძეს მამამ ჯოხზე წამოცმული ნაყინი უყიდა. როცა ვაკომ ჯოხი აღმოაჩინა, ტირილი დაიწყო:
— მამიკო, ასეთი ძვლიანი კი არა, უბრალო ნაყინი მინდოდაააა...

2 წლის ნინიკო კავკასიძეს მამა აყვავილებულ შვინდს უჩვენებს და ეუბნება:
— ნახე, როგორ ყვავის შინდი!
ნინიკო აყვავილებულ ხეს უყურებს და თან, სმენად არის ქცეული:
— მამი, აბა, ყვა-ყვას რატომ არ იძახის?

4 წლის საბა ხორავა დედას ეკითხება:
— დედი, დღეს შენი დაბადების დღეა?
— კი, შვილო!
— გილოცავ, დედიკო, ახალ წელს! — მიულოცა საბამ.

3 წლის მაია უყურება მამას, რომელიც სანადიროდ წასასვლელად ემზადება და ეკითხება:
— მამი, ეს რა არის?
— ეს თოფის პატრონაა, ეს თოფის საფანტი, ეს კიდევ, თოფის წამალი.
— რა, მამი, ჩვენი თოფი ავადაა?..

5 წლის რომიკო ტაბიძე აღდგომის დილას დედას ეკითხება:
— დედიკო, დღეს ქალაქში დიდ კვერცხს დადგამენ?
— არა, — სიცილით პასუხობს დედა.
— აბა, ახალ წელს დიდი ნაძვის ხე რომ დადგეს?..

4 წლის ანდრო ტელეფონით თამაშობდა. ავტომოპასუხემ უთხრა:
— თქვენ არასწორად აკრიბეთ ნომერი.
ანდრომ ყურმილი დადო, ცოტა ხნის შემდეგ ისევ აიღო და იკითხა:
— ვინ, მე?

ტაიმ-აუტი



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. უცოდინარი; 2. ცხონება; 3. გოგრა; 4. წნეხი; 5. ვადა; 6. რალი; 7. ფორთოხალი; 8. მთვარე; 9. ნავთი; 10. მოგადიშო; 11. ელ; 12. თაიგული; 13. რენო; 14. დავრდომილი; 15. კია; 16. უილი; 17. გელათი; 18. თბილი; 19. ინდოეთი; 20. ურანი; 21. ლეკვი; 22. ბალანსირი; 23. დელფინი; 24. პილიგრიმი; 25. ბადე; 26. ძიუდო; 27. ჯოხი; 28. შტო; 29. დო; 30. ცხელი; 31. ნავარდი; 32. ლოტი; 33. მელ; 34. ჩია; 35. ნამაზი; 36. ველ; 37. აფრა; 38. ტუ; 39. აიოვა; 40. ტარანტული.

სურათებზე: 1. დრიუ ბერიმორი; 2. ჯოშ ჰარტნეტი.

სპეციალური კროსვორდი



შენიშვნა: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. თბილისის დინამოს ყოფილი მეკარე; **ა.** რუსული ესტრადის მომღერალი, ანჟელიკა ვარუმის მეუღლე; **ე.** რა ეროვნების იყო ჩარლი ჩაპლინი; **რ.** ლექსის სხვადასხვა სტრიქონში ბოლო ბგერათა გამეორება; **თ.** ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ე.** მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **დ.** საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის; **ა.** „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალი; **დ.** ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც კასრში ცხოვრობდა; **ა.** სიმინდის სამშობლო; **ი.** ჭადრაკის სამშობლო; **ს.** შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **ვ.** შურისძიების სიცილიურ-კორსიკული ხერხი; **ე.** საზოგადოებაში თავის დაჭერის წესები; **ნ.** ქარის მიერ ერთ ადგილზე მიყრილი თოვლი; **ე.** დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **გ.** საჭადრაკო პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით წირავენ პაიკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ზ.** მსხვერპლად შესაწირავი საკლავი; **ა.** ცელქი, მოუსვენარი; **ს.** სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **თ.** ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი, ქეთევანის როლის შემსრულებელი მიუზიკლში „ჩხიკვთა ქორწილი“; **ა.** მისაღები თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ უხდიან ვისმე შესასრულებელი სამუშაოს ანგარიშში; **ნ.** საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული ყმაწვილი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც უიმედოდ უყვარდა ნიმფა ექოს; **ე.** ერთი სახელმწიფოს უმაღლესი რანგის მუდმივი წარმომადგენელი სხვა სახელმწიფოში; **რ.** შეკრული და გარეკანში ჩასმული საწერი ქაღალდის ფურცლები; **თ.** ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ა.** ვესტგოთების ბელადი, რომელმაც რომი აიღო; **დ.** ის, რის დეფიციტსაც განიცდის ყველა საქმიანი ადამიანი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

პასუხები: **გ.** გლახო; **ზ.** ზაქი; **ა.** აკლდამა; **გ.** გნეუსი; **ზ.** ზუმბა; **ი.** იდილია; **ს.** სვანეთი; **თ.** თახვი; **ვ.** ვოლანი; **ი.** იგოეთი; **ს.** სასწორი; **ა.** ანძა; **ო.** ოროველა; **ბ.** მეველე; **კ.** კასკადი; **ი.** იადონი; **თ.** თვალი; **ხ.** ხაშური; **ვ.** ვიოლინო; **ე.** ებრაელი; **ლ.** ლა სკალა; **ი.** იდიოტი; **ს.** სეხნია; **თ.** თხემი; **ვ.** ვედრება; **ი.** იმედი; **ს.** სიბილა; **ა.** არარატი; **ო.** ონორე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

აძლევი ახლოს ძოვს და შორს იხედებაო.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

6	7	9	5	3	4	2	1	8
2	3	1	8	9	7	4	5	6
5	4	8	6	1	2	3	7	9
4	8	2	1	5	6	7	9	3
7	6	3	2	8	9	1	4	5
9	1	5	4	7	3	8	6	2
8	9	6	7	2	1	5	3	4
3	5	7	9	4	8	6	2	1
1	2	4	3	6	5	9	8	7

6	4	9	2	3	8	5	7	1
2	1	3	7	5	6	9	4	8
5	8	7	9	1	4	3	6	2
8	7	2	6	9	3	1	5	4
9	5	1	8	4	7	6	2	3
3	6	4	1	2	5	8	9	7
1	3	6	4	7	9	2	8	5
7	2	8	5	6	1	4	3	9
4	9	5	3	8	2	7	1	6

4	2	6	5	3	9	1	8	7
3	5	8	1	7	2	6	4	9
1	9	7	8	6	4	5	2	3
7	6	9	2	8	5	3	1	4
5	4	3	6	1	7	8	9	2
2	8	1	9	4	3	7	5	6
8	7	2	3	9	1	4	6	5
9	1	4	7	5	6	2	3	8
6	3	5	4	2	8	9	7	1

* მარტივი

7			5		2		3	
1		6		7			2	4
8			3			1		
	5			8				2
	6	2	9		3	8	1	
3			2				4	
		8			7			3
6	9			2		7		1
	7		1		8			6

** საშუალო

			1			2		
	3		8			5		
	6			5		9		
		2	5		4			3
6				7				1
9			3			4		
		6		9			7	
		5			3		2	
		9			5			

*** რთული

		9			8			5
1				4		9		
	8		5	6		3		
		8						7
					6			
3			4			2		
		1		3	4		5	
		6		7				8
9			8			4		

ფოტოკუჩიოზები

b35/38

ლევან დავითაია

მე, პრეზიდენტი
და
მსოფლიო ჩემპიონი

გამომცემლობა
„პალიტრა L“